ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ალექსანდრე შარაშენიძე

# ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
**პროფესორი ეთერ ხარაიშვილი**

**თბილისი 2018**

## სარჩევი


**შესავალი** 4

**თავი 1. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის თეორიულ–მეთოდოლოგიური საფუძვლები** 10

1.1 კონკურენციის შესახებ ეკონომიკური აზრის განვითარების მიმოხილვა

1.2 კონკურენტუნარიანობა მაკრო და მიკროეკონომიკური თვალსაზრისით 19

1.3 სტრატეგიული ალიანსები და მათი როლი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში 28

1.4 კონკურენტუნარიანობის გაზომვის მეთოდოლოგია 34

1.5 ქვეყნების კონკურენციული უპირატესობის მოდელები 41

**თავი 2. ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა და პრიორიტეტული დარგების ფორმირების საფუძვლები** 49

2.1 კონკურენტუნარიანობა და მისი მომიჯნავე ეკონომიკური კატეგორიები

2.2 საქართველო ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რეიტინგში 55

2.3 ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირების მექანიზმები 66

2.4 საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შეფასება 73

**თავი 3. საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განვითარების სტრატეგიები** 78

3.1 საქართველოს სოფლის მეურნეობის, როგორც ერთ–ერთი პრიორიტეტული დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია

3.1.1 მეთხილეობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი 92

3.2 საქართველოში ტურიზმის კონკურენტუნარიანობა და განვითარების სტრატეგია 99

3.3 განათლება, როგორც კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორი 116

3.4 ჯანდაცვა, მედიცინა, მომიჯნავე დარგები და მათი კონკურენტუნარიანობა 122

3.5 საქართველოს საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია 129
3.6 ენერგეტიკის, ტრანსპორტის და მრეწველობის განვითარების ტენდენციები საქართველოში 137

**თავი 4. კლასტერების როლი ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში** 146
4.1 კლასტერი – კონკურენტუნარიანობის ამაღლების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი
4.2 კლასტერული ინიციატივების განხორციელების ინსტრუმენტები 151
4.3 კლასტერული ინიციატივის პრაქტიკული მაგალითი 153
**თავი 5. ქალაქების კონკურენტუნარიანობის მნიშვნელობა გლობალიზაციის პირობებში** 158
5.1 ქალაქები მსოფლიო ეკონომიკაში და მათი კონკურენტუნარიანობის შეფასების პრობლემები
5.2 ურბანული განვითარების ტენდენციები საქართველოში 164
5.3 „ჭკვიანი ქალაქისა“ და ელექტრონული მმართველობის როლი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში 171

**დასკვნები და რეკომენდაციები** 173
**გამოყენებული ლიტერატურა** 181

# შესავალი

**თემის აქტუალურობა.** თანამედროვე გლობალურ სამყაროში, ეკონომიკური და სხვა პროცესების დაჩქარებული ურთიერთქმედების პირობებში, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიის მნიშვნელობა განუსაზღვრელია. ქვეყნის ეკონომიკური წარმატების მიღწევის გზების ძიებაში ჩნდება კითხვა როგორ გაიზარდოს ქვეყნის კეთილდღეობა. ეს კითხვა განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის იძენს აქტუალურობას და კიდევ უფრო მძაფრდება ჩაკეტილი ეკონომიკური სივრცის, კერძო საკუთრების და კონკურენციის შეზღუდვის ისტორიის მქონე სახელმწიფოებში. ასეთ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია კონკურენციის არსის შემეცნება. „კონკურენცია ეს აღმოჩენის პროცესია“ [1], – აღნიშნავს ავსტრიელი ეკონომისტი ფრიდრიჰ ფონ ჰაიეკი. შესაძლოა, საკამათო გახდეს, თუ რამდენად აქვთ „აღმოჩენის პროცესის“ წახალისებისა და სწორად დაგეგმვის კულტურა საქართველოს მსგავს პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, თუმცა, სათანადო ბუნებრივი რესურსების თუ კვალიფიციური კადრების გამოყენების, ასევე, საერთაშორისო დონის ტექნოლოგიებთან ჩამორჩენა აშკარაა. შესაბამისად, საჭირო ხდება მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიაზე სრულყოფილი მსჯელობა განაპირობებს მასთან დაკავშირებული საკითხების – კონკურენციის, სხვადასხვა დონის კონკურენტუნარიანობის, მწარმოებლურობისა და ინოვაციების შეფასების აუცილებლობას. თითოეულ მათგანს ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში თავისი განსაკუთებული როლი ენიჭება.

კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორები, როგორც გლობალური, ასევე, ადგილობრივი, განაპირობებს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირების საფუძვლებს. შესაბამისად, მიმდინარეობს პრიორიტეტული დარგების გამოკვეთა, საჭირო ხდება ამ დარგებში არსებული სიტუაციისა და განვითარების პოტენციალის ანალიზი, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება და განვითარების შესაძლო რეკომენდაციების შემუშავება, ყალიბდება დარგობრივი განვითარების სტრატეგიები, საბოლოოდ კი დგება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სურათი. სხვა ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებთან შედარებითა და შეზღუდული

[1]Hayek, Friedrich A. von, Competition as a Discovery Procedure, The Quarterly Journal of Austrian Economics, 2002, გვ. 9-30.

რესურსების მაქსიმალურად ათვისების გზების დასახვით კი იქმნება ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიის განსაზღვრა კომპლექსური პროცესია და საბიუჯეტო ხარჯების მიმართულებას განაპირობებს. საბიუჯეტო ხარჯებს, ექნება მათ საინვესტიციო თუ სოციალური დანიშნულება, მეტ-ნაკლებად ერთნაირი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რადგან კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი წინაპირობა ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებაა, რაც ყველა სოციალური ჯგუფისა და რეგიონის წარმომადგენლისათვის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებას გულისხმობს. ეს კი ცალკეულ შემთხვევაში დამატებით კვლევას საჭიროებს.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მიიღწევა ცალკეულ დარგობრივ და რეგიონულ სტრატეგიებში განსაზღვრული პერიოდისათვის დასახული პრიორიტეტული მიზნების მიღწევის საშუალებით, რომლებიც სრულად გამომდინარეობს ქვეყნის განვითარების ერთიანი გეგმიდან - „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“. დარგობრივი და რეგიონული სტრატეგიების კვალდაკვალ, ქვეყნის საჭიროებიდან გამომდინარე, ვაწყდებით კომპლექსური სტრატეგიების შექმნის აუცილებლობას. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს საქართველოს „სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“, რომელიც სცილდება კონკრეტული დარგის და რეგიონის განვითარების ჩარჩოებს. ასევე, გლობალიზაციის ეპოქაში ეკონომიკაში ქალაქების როლის აშკარა წამოწევა განაპირობებს ურბანული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არსებობის აუცილებლობას, რადგან სწორედ ქალაქებში ხდება ქვეყანაში მშპ-ს ძირითადი გამომუშავება და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორის ინოვაციების შემმუშავებელი ინსტიტუტების განთავსების ადგილებს.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ქვეყნის ეკონომიკის სიჯანსაღის და განვითარების პოტენციალის მთავარი მაჩვენებელია. დღეს ქვეყნებს შორის კონკურენცია უმთავრესად დამოკიდებულია სახელმწიფოს უნარზე აითვისოს და განავითაროს ახალი ტექნოლოგიები, მოახდინოს ბაზარზე წარმატებული ინოვაციების გენერირება. ეროვნულ კონკურენტუნარიანობას განაპირობებს, აგრეთვე, სხვა ფაქტორებიც. მაგრამ ქართულ სინამდვილეში კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი მსოფლიო რეიტინგები ინოვაციებისა და მასთან დაკავშირებული ფაქტორების

არაჯეროვნად განვითარებაზე მიუთითებს. ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის მიზანი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შემაფერხებელი კომპლექსური გარემოებების გამოვლენა და მოგვარების გზების შემუშავებაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეროვნული კონკურენტუნარიანობის, მისი ამაღლების სტრატეგიისა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საკითხები როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული თვალსაზრისით ნაწილობრივ არის შესწავლილი. აღნიშნულ პრობლემას ეძღვნება საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში უცხოელი (მ. პორტერის, კ. შვაბის, პ. კრუგმანის, ფ. ჰაიეკის, ჯ. შუმპეტერის, ა. მარშალის, ს. გარელის, ა. ბრისის, მ. ფრიდმანისა და სხვ.) და ქართველი ავტორების (ნ. ხადურის, ე. ხარაიშვილის, ე. მექვაბიშვილის, რ. გველესიანის, გ. ღაღანიძის, თ. აბრალავას, ე. ბარათაშვილის, გ. ერქომაიშვილის, ი. გაგნიძის, ბ. გეჩბაიასა და სხვ.) პუბლიკაციები, ასევე, ავტორიტეტული ეკონომიკური ორგანიზაციების ეროვნული ეკონომიკისა და ეკონომიკის ცალკეული დარგის შესახებ ანგარიშები და სხვ.

თუმცა, გლობალიზაციის პირობებში ბაზარზე ორიენტირებული პრიორიტეტული დარგების შესაბამისად აუცილებელია მუდმივად ცვალებადი გარემოს გათვალისწინებით ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის კომპლექსური კვლევა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიებზე რეკომენდაციების შემუშავება. ამასთან, ქვეყნის განვითარების დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის არასასურველი დონის გათვალისწინებით დიდ მნიშვნელობას იძენს მათზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა. ამასთან, მოსახლეობის ცხოვრების ყველა სფერო მეტ-ნაკლებად უკავშირდება ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედ ფაქტორებს. ამ ფაქტორთა შორის ერთ-ერთ უმთავრესად ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია უნდა მივიჩნიოთ.

**კვლევის მიზნები და ამოცანები.** კვლევის მიზანია საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიულ მიმართულებებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დაისახა შემდეგი ამოცანები:

- ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებული კატეგორიების განსაზღვრა და მათი როლის შეფასება კონკურენტულ გარემოს ფორმირებაში;

- ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა;
- კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ რეიტინგებში საქართველოს ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი;
- საუკეთესო გამოცდილების ათვისების მიზნით ცალკეული ნიშნით შერჩეული წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კონკურენტუნარიანობის ანალიზი;
- ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირების საფუძვლების განსაზღვრა;
- ეკონომიკური განვითარების შესახებ არსებული სტრატეგიების მიმოხილვა და დაჯგუფება;
- საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების არსებული მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების ანალიზი;
- კლასტერული ინიციატივების შეფასება ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაჯამებლად;
- ეროვნული ეკონომიკის კონკურენუნარიანობის ამაღლების შესახებ დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება

**კვლევის საგანი და ობიექტი.** კვლევის საგანს წარმოადგენს ეროვნული კონკურენტუნარიანობა, მასთან დაკავშირებული ეკონომიკური კატეგორიები და მათი ურთიერთგავლენა. კვლევის ობიექტია ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია, მისი გავლენა ეკონომიკის ცალკეულ დარგსა და ზოგადად ეკონომიკის განვითარებაზე.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.** ნაშრომში გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევისა და სხვ. მეთოდებიც, ასევე, კლასტერული ინიციატივების განხორციელების ინსტრუმენტები.

კვლევისათვის გამოყენებულ მონაცემთა ბაზას წარმოადგენს: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროს, მსოფლიო ბანკის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის და სხვა ორგანიზაციების მონაცემები, ასევე, ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიები, საქართველოში მოქმედი სტრატეგიის შესახებ არსებული დოკუმენტები, საერთაშორისო და სამეცნიერო პუბლიკაციებში ქართველი და უცხოელი მკვლევრების ნაშრომები.

კვლევის პროცესში განხორციელდა პირველადი და მეორეული მონაცემების შეგროვება, შეფასება და კატეგორიზაცია, დარგის ექსპერტებთან ჩატარდა პირადი ინტერვიუები და მოხდა შედეგების ანალიზი.

**სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** ნაშრომის მეცნიერული სიახლეებია:

- გამოვლენილია ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე მოქმედი ფაქტორები ქვეყნის კონკურენტუნარიანობის თავისებურებების გათვალისწინებით;
- გამოკვლეულია ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირების მექანიზმები საბიუჯეტო ხარჯებისა და მშპ-ში საკვანძო წილის მქონე ეკონომიკის დარგების გათვალისწინებით, ასევე, შეფასებულია ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე მათი გავლენის შედეგები;
- შეფასებულია ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის სტრატეგიები, გამოვლენილია მათი შესაბამისობები და ურთიერთგადამკვეთი მიმართულებები;
- დასაბუთებულია სტრატეგიული ალიანსების მნიშვნელობა ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში;
- ეკონომიკის დარგობრივი სტრატეგიების შესაბამისად შეფასებულია საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგები; მათი სუსტი და ძლიერი მხარეების, განვითარების პერსპექტივების, მსოფლიოს ეკონომიკის თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით შემუშავებულია რეკომენდაციები ეროვნულ ეკონომიკასა და ცალკეულ დარგში კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიების შესახებ.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენის მეთოდიკა გააუმჯობესებს დარგების სტრატეგიული განვითარების გეგმების შედგენას. კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესახებ ნაშრომში მოცემული დასკვნები და რეკომენდაციები დახმარებას გაუწევს ზოგადად კონკურენტუნარიანობაზე მომუშავე სახელმწიფო და კერძო სექტორში დასაქმებულ სპეციალისტებს. კვლევის მასალები შესაძლებელია გამოიყენონ კონკურენტუნარიანობის სტრატეგიაზე მომუშავე მკვლევრებმა, ასევე, აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა

**ნაშრომის აპრობაცია** სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია შედგა 2018 წლის 11 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრაზე.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა** ნაშრომი მოიცავს შესავალს, 5 თავს, 22 ქვეთავს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, ასევე, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს. იგი წარმოდგენილია კომპიუტერზე ნაბეჭდი 192 გვერდის მოცულობით. ნაშრომში მოცემულია 13 ცხრილი, 3 სქემა და 27 დიაგრამა. ნაშრომს თან ახლავს ლიტერატურის სია 165 დასახელებით.

# 1. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის თეორიულ–მეთოდოლოგიური საფუძვლები

## 1.1. კონკურენციის შესახებ ეკონომიკური აზრის განვითარების მიმოხილვა

კონკურენციის ცნებასთან დაკავშირებული კანონზომიერებები სცილდება ეკონომიკურ მეცნიერებათა შესწავლის სფეროს და ერთნაირი დიდი მნიშვნელობით განსაზღვრავს სხვადასხვა მიმართულებით ევოლუციასთან/განვითარებასთან დაკავშირებულ წინაპირობებს. თავად ეკონომიკური კონკურენცია, განმაპირობებელ ფაქტორთა მრავალგვარობის გამო, სხვადასხვა ნიშნით კლასიფიკაციას საჭიროებს. სახელმწიფოს – ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფისგან შემდგარი გარკვეული წესებით მართვადი ორგანიზმის, სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მანიშნებელს ეროვნული კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს. ეროვნული კონკურენტუნარიანობის ცნების გააზრება და მისი ამაღლების გზების დასახვა ეკონომიკური კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის შემადგენელი თითოეული ელემენტის განსჯით უნდა დავიწყოთ.

კონკურენცია ზოგადად წარმოდგენს „ორი ან მეტი პირის ბრძოლას, რაც ყველასთვის ხელმისაწდომი არ არის“[2]. ეკონომიკური თვალსაზრისით, კონკურენციის განმარტებისას კონკრეტდება მიზანი, „კონკურენცია წარმოადგენს ორი ან მეტი პირის მცდელობას დამოუკიდებელი მოქმედებით უზრუნველყოს თავიანთი საქმიანობის წარმატება მესამე პირისთვის საუკეთესო პირობების შეთანხმების გზით“[3].

კლასიკოსებმა პირველად სცადეს ბაზრის, სადაც თითოეული ინდივიდი საკუთარი კერძო ინტერესების გატარებას ცდილობს, ზოგადი კანონზომიერებების, მათ შორის კონკურენციის არსის შესწავლა. ა. სმიტის შრომის დანაწილების თეორია[4] სხვადასხვა სუბიექტის განსხვავებული მწარმოებლურობის ახსნის საფუძველს იძლევა, შრომის დანაწილებით ხდება განსხვავებული შრომის შედეგის – გაუმჯობესებული ხარისხის მქონე პროდუქტის წარმოშობა, შესაბამისად, მწარმოებლები იწყებენ მოგების მიღების მიზნით ბაზარზე წარმატებულად ორიენტირებული პროდუქტის გატანას, ანუ საფუძველი ეყრება ეკონომიკურ კონკურენციას. კაპიტალური

---

[2] George I. Stigler, The New Palgrave Dictionary of Economics, Second Edition (2008), http://www.dictionaryofeconomics.com/, ბოლოს გადამოწმებული 13.01.2018.

[3] http://www.merriam_webster.com/dictionary/competition , ბოლოს გადამოწმებული 20.10.2018.

[4] სმიტი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თბ. 1938, გვ. 205.

ინვესტიციები (მანქანა–დანადგარების გაუმჯობესება) და ვაჭრობა (გასაღების ბაზრის გაფართოება) შრომის დანაწევრებას უფრო აჩქარებს, შესაბამისად, იზრდება მწარმოებლურობა და კონკურენციის მასშტაბი. ა. სმიტი კონკურენციას უწოდებდა ბაზრის „უხილავ ხელს“, რომელიც კერძო და საზოგადოებრივ ინტერესთა თანაფარდობას ასახავდა. მისი აზრით, კონკურენცია ეს არის ბაზრის სუბიექტების პროდუქტებისთვის სარფიანი ფასების ცვლის გზით მეტოქეობა. იგი ამჩნევდა, რომ ბაზარი არ არის ერთიანი ორგანიზმი, შესაბამისად, აქ შეუძლებელია კოლექტიური გადაწყვეტილებების გატარება. კონკურენცია, გვევლინება ძალად, რომელიც მოთხოვნა–მიწოდების ურთიერთქმედებას უწყობს ხელს, ათანხმებს მყიდველთა და მომწოდებელთა ინტერესებს, შესაბამისად, ერთგვაროვან პროდუქციაზე ყალიბდება ფასი. ა. სმიტის დასკვნით, რაც უფრო ფართოა და თავისუფალია კონკურენცია, მით უფრო ხელსაყრელია იგი საზოგადოებისათვის[5]. შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის თეორიას დასაბამი ეძლევა ა. სმიტის აბსოლუტური უპირატესობის თეორიით. საერთაშორისო ვაჭრობის განხილვისას იგი აღნიშნავს სამეწარმეო დანახარჯებს, რომელშიც აერთიანებს მოცემული პროდუქტის ბაზარზე მიტანამდე წარმოშობილ ყველა დანახარჯს. ცალკეული ქვეყნისათვის ეს დანახარჯები სხვადასხვაა. იგი აკეთებს დასკვნას, რომ რომელიმე ქვეყანას შესაძლოა გააჩდეს აბსოლუტური უპირატესობა განსაზღვრული პროდუქტის გარკვეულ ბაზრამდე მისატანად, რაც, შესაბამისად, აისახება ფასზე. ვაჭრობაზე შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში, მოცემული ქვეყანა, რა თქმა უნდა, გამოიყენებს თავის აბსოლუტურ უპირატესობას. აბსოლუტური უპირატესობის გამომწვევ მიზეზებად ა. სმიტი ასახელებს ბუნებრივ ფაქტორებს – ნიადაგს, კლიმატს, ადგილმდებარეობას, ასევე, უშუალოდ ადამიანის ზემოქმედების შედეგად წარმოშობილ ფაქტორებს – კანონებსა და ინსტიტუტებს. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ხალხის სიმდიდრე დამოკიდებულია მოსახლეობისათვის პროდუქტისა და მომსახურების ხელმისაწვდომობაზე. ხელმისაწვდომობის ზრდა კი უკავშირდება რესურსების გამოყენების ამაღლებას. აბსოლუტური უპირატესობის თეორია წარმოდგენილია ორი ქვეყნისა და ორი პროდუქტის მაგალითზე (2X2 მოდელი).

კლასიკოსების მეორე წარმომადგენელმა დ. რიკარდომ პროტექციონიზმის კრიტიკით ხაზი გაუსვა კონკურენციის მნიშვნელობას. მას, ასევე, ეკუთვნის შედარებითი უპირატესობის თეორია, რომლითაც იგი ავითარებს აბსოლუტური უპირატესობის

[5] სმიტი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თბ., 1938, გვ. 375.

თეორიას. ეს უკანასკნელი თეორია ვერ ხსნიდა სხვა ქვეყნებთან მიმართებით აბსოლუტური უპირატესობის არმქონე ქვეყნის წარმატებას საერთაშორისო ვაჭრობაში. შედარებითი უპირატესობის თეორიის მიხედვითაც, თუ ერთი ქვეყანა უფრო მცირე ალტერნატიული დანახარჯებით აწარმოებს რომელიმე პროდუქტს, ვიდრე მისი მეზობელი, მან ამ პროდუქტზე უნდა მოახდინოს კონცეტრირება და გამოიტანოს გასაყიდად საერთაშორისო ბაზარზე. დ. რიკარდოს მოდელში მეურნეობის სხვადასხვა სფეროსა და ქვეყნის მაჩვენებლებს შორის განსხვავება გამოწვეულია შრომის შედარებითი მწარმოებლურობით. ამის გათვალისწინებით ერთი ქვეყნის წარმომადგენელი მშრომელები ორივე სახის პროდუქტს უფრო ნაყოფიერად აწარმოებენ (ე.ი. აქვთ აბსოლუტური უპირატესება ორივე პროდუქტთან მიმართებაში) გამომდინარე იქიდან, რომ ერთი სახის პროდუქტის წარმოება უფრო ნაყოფიერია (ე.ი. არსებობს შედარებითი უპირატესობა), მათ ამ სახის პროდუქტზე უნდა მოახდინონ სპეციალიზაცია.

დ. რიკარდოს შედარებითი უპირატესობის მოდელმა ეკონომიკურ თეორიას მთელი რიგი მნიშვნელოვანი დასკვნები შესძინა:

- სახელმწიფოებს და დარგებს შორის ტექნოლოგიების არაერთგვაროვნება საერთაშორისო ვაჭრობისკენ იძლევა ბიძგს;
- ტექნოლოგიური უპირატესობა (შრომის ხარისხის უფრო რაფინირებული მაჩვენებელი) საფუძველს არ გვაძლევს, რომ ესა თუ ის სუბიექტი იქნება კონკურენტუნარიანი, თუ ხელთ არ გვაქვს შედარებითი უპირატესობა;
- თითოეულ ქვეყანას წვლილი მიუძღვის შრომის დანაწილებაში, რაც მათ შედარებით უპირატესობაზეა დაფუძნებული. ქვეყნებს შორის ტექნოლოგიების და მწარმოებლურობის თანაბარი დონის შემთხვევაში საერთაშორისო ვაჭრობას აზრი ეკარგება.

თეორიის სრულყოფის მცდელობის მიუხედავად, დ. რიკარდო არ ითვალისწინებს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს[6] – მოცემულ ორ ქვეყანაში ორი განსხვავებული პროდუქტის წარმოების სხვადასხვა მასშტაბის შესაძლებლობას. ამასთან, თეორია დაფუძნებულია რიცხვით მონაცემებზე და უგულვებელყოფილია ვაჭრობის ზოგადი კანონები, არ განიხილება მოთხოვნის მოულოდნელი შემცირება მოცემულ ქვეყნებში, რაც ქვეყნებს შორის ვაჭრობაზე უარყოფითად აისახება.

[6] Roy J. Ruffin, David Ricardo's Discovery of Comparative Advantage, 2001, გვ. 32.

დ. რიკარდოს შედარებითი უპირატესობის მოდელის განვითარებას წარმოადგენს ჰეკშერ–ოლიმის მოდელი, რომელსაც წარმოების ფაქტორთა მოდელსაც უწოდებენ. მოდელი შემუშავდა შვედი მეცნიერების ელი ჰეკშერისა და ბერტილ ოლიმის მიერ. წარმოების ფაქტორის მოდელის თანახმად, დ. რიკარდოს მოსაზრებისგან განსხვავებით, ტექნოლოგიები მთელ მსოფლიოში ერთ დონეზეა განვითარებული. შედარებითი უპირატესობის გამომწვევი მიზეზი კი წარმოების ფაქტორების ოდენობას შორის სხვაობას იწვევს. ქვეყნები იყენებენ მათ ხელთ არსებულ წარმოების ფაქტორებს. „ორი ქვეყანა, ორი პროდუქტის“ მაგალითიდან გამომდინარე, ჭარბი კაპიტალის მქონე ქვეყანა კაპიტალტევადი პროდუქტის ექსპორტს მოახდენს, ჭარბი შრომის ძალის მქონე ქვეყანა კი შრომატევადი პროდუქტის.

წარმოების ფაქტორთა თეორია იძლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას:

- პროდუქტის ფასის მატება შესაბამისად იწვევს მისი წარმოების პროცესში ინტენსიურად გამოყენებულ ფაქტორზე ფასის მომატებას, შესაბამისად მცირდება დაბალი ინტენსიურობით გამოყენებული ფაქტორის ფასი;
- თავისუფალი ვაჭრობა დაარეგულირებს გამოშვებულ პროდუქტზე ფასს, შესაბამისად, დარეგულირდება გამოყენებული ფაქტორების (შრომა, კაპიტალი) ფასი.

წარმოების თეორია ითვალისწინებს მსოფლიოში ტექნოლოგიების დაახლოებით ერთ დონეზე არსებობას, ავტორები მთელ მსოფლიოს მათთვის ცნობილი ევროპის ცივილიზაციის ფარგლებში აქცევდნენ, რაც, რა თქმა უნდა, რეალობისგან შორს დგას. დანახარჯების მიზეზების ანალიზისას კი, ავტორები ამ გარემოებას არ ითვალისწინებდნენ.

კონკურენციის შესახებ თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანია კლასიკოსების მიერ წარმოდგენილი სრულყოფილი კონკურენციის მოდელი, როდესაც ბაზარზე არც ერთ მონაწილეს არ ძალუძს დააწესოს ფასი ერთგვაროვან პროდუქტზე, მიუხედავად ასეთი სიტუაციის რეალობაში იშვიათიათობისა (ძირითადად ნედლეულისა და სასოფლო–სამერნეო პროდუქციის ბაზრები). ამ შემთხვევაში ბაზარზე სრულყოფილი კონკურენცია ქრება, როგორც კი ხდება მიმწოდებლების მიერ მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენება.

XIX საუკუნის მიწურულში ინგლისელმა მეცნიერმა ა. მარშალმა განავრცო სრულყოფილი კონკურენციის თეორია. ა. მარშალის ნეოკლასიკური კონცეფციის თანახმად, კონკურენცია და ფასების სისტემა დაკავშირებულია ტექნოლოგიებთან

და მასშტაბის უკუგების შემთხვევებთან, „წარმოების მასშატაბების გაფართოება სწრაფად აფართოებს უპირატესობას კონკურენტების წინაშე და ამცირებს ფასებს“[7].

სრულყოფილი კონკურენციის მოდელი ფოკუსირდება კონკურენციის მხოლოდ ერთ სახეობაზე – ფასების კონკურენციის მიმართულებით. ბაზრის მონაწილეები არ ცდილობენ ფასების შემცირებას დიზაინის, რეკლამისა და ინოვაციების გზით. ავსტრიელ–ამერიკელი ეკონომისტი ი. შუმპეტერი აღნიშნავს, – „კონკურენციის ეს სახეობა ძალზე აქტუალური ვერ იქნება, როდესაც ლაპარაკია ახალი პროდუქტის, ახალი ტექნოლოგიის, ახალი რესურსებისა ან ორგანიზაციის ახალი ტიპის შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოებრივი წყობილება უკვე არსებობს და კონკურენციის პროცესი მიმდინარეობს უკვე არსებულ სისტემაში. რეალურ სახელმწიფოში სრულყოფილი კონკურენციის მოდელი ოდესმე რომ არსებულიყო, არ წარმოიქმნებოდა შეზღუდვები საქმიანობის ყველა სფეროში, მაგრამ ეს, ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან სახელმწიფოებრივი შეზღუდვები სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს“[8].

სრულყოფილი კონკურენციის ალტერნატივას წარმოადგენს არასრულყოფილი კონურენცია – ბაზარზე არსებული სიტუაცია, როდესაც კონკურენტებს შეუძლიათ მომხმარებლისთვის დიფერენცირებული პროდუქტების შეთავაზება, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს ბაზარზე განუსაზღვრელ ძალაუფლებას და პროდუქტებზე ნებისმიერი ფასის დადგენას. ცალკეულ შემთხთვევებში ბაზარზე ფასის კარნახი ხდება ერთი დომინანტი ან რამდენიმე წამყვანი მიმწოდებლის მიერ (მონოპოლია, ოლიგოპოლია), ან მეტ-ნაკლებად თანაბარი შესაძლებლობის მქონე სხვადასხვა მიმწოდებელს ბაზარზე გასაყიდად გამოაქვს ერთმანეთისგან სრულიად განხვავებული პროდუქტი (მონოპოლისტური კონკურენცია). ნებისმიერ შემთხვევაში კონკურენტი მიმწოდებლების ხარჯზე მოგების მაქსიმიზაცია - ძირითადი მამოძრავებელი მოტივია.

ეკონომიკური კონკურენციის არსის შემდგომი განვითარებისათვის აღსანიშნავია ავსტრიული სკოლა. კონკურენციის მამოძრავებელი ძალა სრულყოფილი კონკურენციის მთავარი ნიშან–თვისების პროდუქტების ჰომოგენურობის უგულვებელყოფაა – მომხმარებლის უპირატესი ღირებულების განსხვავებული ფასებისა და ხარისხის შეთავაზება პროგრესსა და ინოვაციებს იწვევს. ამრიგად, კონკურენციის

[7]Marshall A., Principles of Economics (Revised Edition), London, Macmillan; reprinted by Prometheus Books, 1920, გვ. 12.
[8] Шумпетер И., Капитализм, Социализм и Демократия, 1995, გვ. 54.

არსი ზუსტად მის არასრულყოფილებაშია – განსხვავებული მიმწოდებლების, პროდუქტის, მყიდველების გამო.

სრულყოფილი კონკურენციის მახასიათებლები სრულიად არარეალური ხდება, - პოტენციური მოგებით მოტივირებული მწარმოებლები პროდუქტში სიახლეების შეტანით მუდმივად ეწევიან რისკს, რომელიც მხოლოდ მომხმარებლის ამ სიახლეების მოწონების შემთხვევაში, შეიძლება იყოს გამართლებული. მოგების სურვილი განაპირობებს მწარმოებლის მისწრაფებას შექმნას მომხმარებლის სურვილზე ორიენტირებული პროდუქტი, რაც შეიძლება ხელსაყრელად გამოიყენოს პროდუქციის საწარმომაებლად საჭირო რესურსი. კონკურენცია აიძულებს მწარმოებლებს შეავსოს ბაზარზე არსებულ მიწოდებასა და მომხმარებლის სურვილს შორის შეუსაბამობის შედეგად გაჩენილი სიცარიელე, ბაზარზე ფართო არჩევნის საშუალებით უკეთ ჩამოუყალიბოს მოთხოვნა. ავსტრიული სკოლის წარმოდგენელი, ნობელის პრემიის ლაურიატი ფრიდრიჰ ფონ ჰაიეკი კონკურენიციას განიხილავს არა როგორც პროცესს, არამედ როგორც სიტუაციას, რადგან ფასების თეორია, რომელსაც ემყარება ეკონომიკურ მოდელთა უმრავლესობა, იზღუდება წონასწორული მდგომარეობის ანალიზით. ჰაიეკის აზრით, კონკურენცია ეს არის მეტოქეობა კონკურენტზე უკეთესი გარიგების შესათავაზებლად. კონკურენცია ბაზარზე წარმოიშვება, როგორც კი ერთ–ერთი ფირმის პროდუქტი გამორჩეული ხდება. კონკურენცია „აღმოჩენის პროცესია“, რომლის დროსაც თითოეული ფირმა ცდილობს სხვა ფირმაზე უკეთესი იყოს, შეიტყოს, რა სურს მომხმარებელს, გამოცადოს საკუთარი სტრატეგიის წარმატებულობა. კონკურენცია ეს გაბნეული ცოდნის შეგროვების პროცესია. კონკურენციის ყოველგვარი შეზღუდვა ამცირებს საზოგადოებისთვის ხელმისაწდომი ცოდნის მოცულობას.[9]

კონკურენცია, როგორც ეკონომიკური ცნება, მთლიანად იყო უგულებელყოფილი სოციალიზმისა და კომუნიზმის მიმდევარ მეცნიერ ეკონომისტებს შორის. სოციალიზმის მამამთავარ კარლ მარქს სჯეროდა, რომ მის დროს გაბატონებული ეკონომიკური სისტემა – კაპიტალიზმი მხოლოდ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს აძლევდა მშრომელთა ხარჯზე დაეგროვებინათ სიმდიდრე. სოციალიზმი და კომუნიზმი აკნინებდა ინდივიდუალური მოგების მნიშვნელობას, სოციალურ მოგებასთან მიმართებაში. სოციალისტური ბანაკის წევრ ქვეყნებში კონკურენციის თეორიის კანონების უგულებელყოფისა და შესაბამისად მათი მიდგომის არაპრაქტიკულობის

[9] ჰაიეკი ფ., საბედისწერო თავდაჯერებულობა, სოციალიზმის შეცდომები, თბ., 2000, გვ. 160.

ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითია XX საუკუნის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფენომენის, გეგმური ეკონომიკის დამარცხება თავისუფალ ბაზარზე დაფუძნებულ ეკონომიკასთან, სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი ფირმების ცენტრალური მართვის სისტემის მარცხი თვითკოტროლირებად კერძო ფირმების კონკურენციაზე დაფუძნებულ სისტემასთან მიმართებით.

თანამედროვე ეკონომისტი მაიკლ პორტერი, რომელსაც მრავალი გამოკვლევა ეკუთვნის, როგორც ფირმის, ასევე, ეროვნული ეკონომიკის დონეზე, აგრძელებს ჰაიეკის აზრს კონკურენციის პროგრესულობის შესახებ. მისი აზრით, – კონკურენცია დინამიკური და განვითარებადი პროცესია, რომელშიც მთავარი როლი განეკუთვნება ინოვაციებსა და ცვლილებებს, ასევე, ფირმათა უნარს, მართებულად გამოიყენონ და შეინარჩუნონ კონკურენციული უპირატესობანი. [10] კონკურენციის თეორიაში მნიშვნელოვანია პორტერის კლასტერების მოდელი (1998), რომლის მიხედვითაც ფირმის კონკურენციული უპირატესობა განისაზღვრება არა წარმოების დანახარჯების ეფექტიანობით, არამედ ფირმის უნარით გამოიყენოს კლასტერში – მათი მოქმედების არეალში, ადგილობრივი კომპანიებისა და კერძო პირთა ქსელში არსებული რესურსები. დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს აგრეთვე მ. პორტერის კონკურენტუნარიანობის შეფასების ალმასის მოდელს, რომელიც იყენებს 4 ძირითად ფაქტორს: 1) ფაქტორების პირობებს; 2) მოთხოვნის პირობებს; 3) მონათესავე და მხარდამჭერი დარგების პირობებს; 4) ფირმის სტრატეგიას, სტრუქტურასა და კონკურენციას; ასევე, ორ დამატებით ფაქტორს: 1) სახელმწიფოს ფაქტორს; 2) შანსის ფაქტორებს. აღნიშნული მოდელით ხდება ქვეყანაში რომელიმე დარგის კონკურენტუნარიანაობის შეფასება, ასევე, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის სიძლიერის განსაზღვრა. ამასთან, მ. პორტერის შემოქმედებაში უნდა გამოიყოს კონკურენციის 5 ძალის (შეჯიბრი არსებულ კონკურენტთა შორის, ახალი კონკურენტების შემოჭრის საშიშროება, შემცვლელი პროდუქტების გამოჩენის საშიშროება, მიმწოდებლთა ეკონომიკური პოტენციალი, მყიდველთა ეკონომიკური პოტენციალი) კონცეფციაც, რომელიც მოცემულ ბაზარზე კონკრეტული მწარმოებლის პოზიციას აფასებს. ცალკეული მკლევრების აზრით, მოდელი ვერ ასახავს დღეს არსებულ დინამიკურ გამოწვევებს, რომელთაც მთელი ეკონომიკის ტრასნფორმაცია ძალუძთ. ამერიკელმა მეცნიერმა ლარი დაუნესმა საჭიროდ მიიჩნია ამ მოდელისთვის კიდევ 3 ძალა დაემატებინა: 1) დიგიტალიზაცია–საინფორმაციო ტექნოლოგიების

[10] Портер М., Конкуренция . Санкт-Петербург, Киев, Москва, 2000, გვ. 12.

ძალა; 2) გლობალიზაცია – თანამედროვე პირობებში შესაძლებელია ბიზნესის გლობალურ დონეზე წარმოება; 3) რეგულაცია – სახელმწიფოს როლი ცალკეულ დარგში, როგორებიცაა: ავიაცია, კომუნიკაცია, საბანკო საქმე და სხვა.[11]

საქართველოში კონკურენციის პოლიტიკა რეგულირდება 2014 წლის 31 მარტის „საქართველოს კანონით კონკურენციის შესახებ". კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. კანონის მიხედვით, კონკურენცია ეს არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ და პოტენციურ აგენტებს შორის მეტოქეობა.

კონკურენციასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით მომუშავე ქართველი მეცნიერ–ეკონომისტთაგან აღსანიშნავია ქართველი ეკონომისტების რევაზ გველესიანისა და ირინა გოგორიშვილის განმარტება, – კონკურენციაში იგულისხმება ბაზარზე მრავალმხრივი საქმიანობა სხვადასხვა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სუბიექტებისა, რომლებიც საკუთარ მიზნებს კონკურენტების შევიწროების ხარჯზე ახორციელებენ და გულისხმობს კონკურენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულებასა და სამეურნეო მეტოქეობას.[12]

პროფესორ ეთერ ხარაიშვილის თვალსაზრისით, ეკონომიკაში კონკურენციის რამდენიმე სახეობა განიხილება: 1) პირდაპირი (დარგის/ბრენდის), როდესაც კონკურენცია ხდება ერთისა და იმავე დანიშნულების პროდუქტებს შორის (მაგალითად, კონკურენცია ღვინის წარმოების სფეროში); 2) არაპირდაპირი, როდესაც კონკურენცია შემცვლელ პროდუქტებს შორის მიმდინარეობს (მაგალითად, კარაქსა და მარგარინს შორის); 3) საბიუჯეტო, რომელიც თავისი არსით ყველაზე ფართოა და მოიცავს ყველა სფეროს, სადაც მომხმარებელმა შეიძლება დახარჯოს შემოსავლები. მისივე განმარტებით, კონკურენციის ცნების ეკონომიკური ასპექტები აიხსნება, როგორც მეტოქეობა უფრო მომგებიანი პირობების მისაღებად.[13]

კონკურენციის მიმართ მიდგომა იცვლება ეკონომიკური თეორიის განვითარებასთან ერთად, ეკონომიკური სკოლების ამოსავალი პრინციპების გათვალისწინებით. თუმცა, როგორც ქართველი ეკონომისტი სლავა ფეტელავა აღნიშნავს, უცვლელი

---

[11] Downes L., „Beyond Porter." Context Magazine, 1997.

[12] გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I. თბ., გამომც. „უნივერსალი", 2012, გვ. 77.

[13] ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბ., 2011, გვ. 19.

რჩებოდა (რჩება) ერთი - კონკურენცია, რაც, ალბათ, ამა თუ იმ ფორმით იარსებებს მანამ, სანამ იარსებებს სოციუმი.[14]

ამრიგად, კონკურენციის შესახებ ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებები. მათი გათვალისწინება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის ამაღლების რეკომენდაციების შემუშავებაში.

[14] ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., 2007, გვ. 28.

## 1.2. კონკურენტუნარიანობა მაკრო და მიკროეკონომიკური თვალსაზრისით

კონკურენციის პრობლემის კვლევის პროცესში აქტუალური გახდა კონკურენტუნარიანობის კვლევა. ზოგადად, კონკურენტუნარიანობა შეიძლება განიმარტოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტების მიმართ უპირატესობის წარმომქმნელი თვისებების ფლობა და ამ თვისებების წამატებით მართვის უნარი. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ლიტერატურაში არ ხდება ცნებების კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის გამიჯვნა (კონკურენტუნარიანობა პირდაპირ გაიგივებულია ეკონომიკურ კონკურენციასთან).

დაჩქარებული გლობალიზაციის პირობებში კონკურენტუნარიანობის, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური ფაქტორის გამოყენება, მუდმივად იზრდება. ცალკეულ შემთხვევაში ხდება მისი გაიგივება მწარმოებლურობასთან. მ. პორტერის მტკიცებით, „კონკურენტუნარიანობის ერთადერთი აზრიანი მნიშვნელობა ეროვნულ დონეზე მხოლოდ მწარმოებლურობით გამოიხატება“.[15] მსოფლიო ეკონომიკის ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში კონკურენტუნარიანობას განმარტავს, როგორც „ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორთა ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მწარმოებლურობის დონეს“.[16] მსოფლიო კონკურენტუნარიაობის კვლევის ცენტრმა, პროფ. ს. გარელის ხელმძღვანელობით, ჩამოაყალიბა კონკურენტუნარიანობის მოკლე განმარტება: „კონკურენტუნარიანობა აანალიზებს კეთილდღეობისა და მოგების მიღების მიზნით ქვეყნებისა და საწარმოების მართვის უნარს“.[17] ასევე, ცენტრის მკვლევარი, პროფ. ა. რისი, უფრო სრულყოფს კონკურენტუნარიანობის განმარტებას: „კონკურენტუნარიანობა ეს არის ქვეყნების, რეგიონებისა და კომპანიების უნარი თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში მიაღწიონ გრძელვადიან ზრდას, შექმნან სამუშაო ადგილები და გაზარდონ სიმდიდრე. შესაბამისად, კონკურენცია წარმოადგენს პროგრესისკენ მიმავალ გზას, რომელსაც არ ჰყავს გამარჯვებული და დამარცხებული, ორი ქვეყნის კონკურენციის შემთხვევაში, ორივე საუკეთესოა“.[18] ა. ბრისი არა მარტო უშვებს კონკურენტუნარიანობას როგორც ეროვნულ, ასევე ფირმის დონეზე, არამედ, ასევე, განიხილავს კონ-

---

[15]. Porter M., The Competitive Advantage of Nations, Harvard Business Review, 1990, გვ. 4.
[16]https://www.weforum.org/agenda/2016/09/what-is-competitiveness/, ბოლოს გადამოწმებული 14.01.2018.
[17] https://www.nbforum.com/, ბოლოს გადამოწმებული 14.01.2018.
[18] http://www.imd.org/wcc/, ბოლოს გადამოწმებული 20.10.2017.

კურენტუნარიანობას რეგიონის დონეზე, რომელიც შესაძლოა არ დაემთხვეს სახელმწიფო საზღვრებს. იგი, ამასთან, ავითარებს პოლ კრუგმანის აზრს სახელმწიფოებს შორის ჭეშმარიტი კონკურენციის არსებობის არამართლგონიერების შესახებ. ეს განსაზღვრება, როგორც ზემოთ მოყვანილი სხვა განმარტებები, შეზღუდულია, არაა გათვალისწინებული, რომ ქვეყნის, რეგიონის თუ კომპანიის სამეწარმეო საქმიანობა გარკვეულწილად ეფუძნება წმინდა ფიზიკურ აქტივებს, ბუნებრივი რესურსების ადგილმდებარეობას, მათ ხელმისაწვდომობას, წარსული პოლიტიკის მემკვიდრეობასა და სხვას.

ცნება კონკურენტუნარიანობა დაკავშირებულია ეკონომიკის სიჯანსაღესთან, რაც ცალკეულ შემთხვევაში არ გულისხმობს მოცემული ეკონომიკის მწარმოებლურობას. ეკონომიკური სიჯანსაღე შესაძლოა გაიზომოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობით. მაგალითად, კონკრეტული რეგიონის ვაჭრობის სექტორი შესაძლოა ნაყოფიერი იყოს, მაგრამ ჰქონდეს უფრო მცირე რაოდენობის სამუშაო ადგილი, ვიდრე ნაკლები მწარმოებლურობის მქონე სექტორს. ეკონომიკური კეთილდღეობის დადგენა ხდება, აგრეთვე, იმ ღირებულების ნამატით, რომელსაც მოცემული სექტორის საწარმოები ამატებენ თავიანთ დანახარჯებს პროდუქტის გაყიდვისას. რაც უფრო დიდია ეკონომიკა, მით უფრო დიდია დამატებული ღირებულების მნიშვნელობა. თუ რეგიონში იმპორტის მოცულობა წარმოებული პროდუქტის მოცულობაზე უფრო მეტია, ეს მიუთითებს იმაზე, რომ კონკურენტუნარიანობის გათვალისწინებით, რეგიონის ეკონომიკა სუსტია. სავაჭრო ბალანსის გამოსწორება შეუძლებელია ექსპორტიორების წახალისებით (მაგ., ვალუტის მანიპულირებით) ან იმპორტიორებისათვის ბარიერის დაწესებით. ამ შემთხვევაში სავაჭრო ბალანსის გადახრა არ აისახება რეგიონის კონკურენტუნარიანობაზე და უფრო ნაკლებად კონკრეტულ მწარმოებელზე ან დარგზე. კონკურენტუნარიანობის მართებული განმარტება შეიძლება იყოს რეგიონის უნარი გამოიმუშაოს უფრო მეტი დამატებითი ღირებულება, ვიდრე იმპორტიორებმა, ისეთი ზომების გათვალისწინებით, როგორებიცაა: სავაჭრო რეჟიმზე მოქმედი სამთავრობო შეღავათები, ხელოვნური ვალუტის კურსი, შეზღუდული ხელფასი, ხელოვნურად შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ექსპორტის პირდაპირი სუბსიდირება და იმპორტისთვის სატარიფო და არასატარიფო ბარიერების შექმნა. ამ განსაზღვრების მიხედვით ქვეყანას შესაძლებელია ჰქონდეს დადებითი სავაჭრო ბალანსი (კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ერთ–ერთი კომპონენტი), მაგრამ თუ ეს განპირობებულია იმპორტიორებისთვის ბარიერის და ექსპორტიორებისთვის შეღავათის დაწესებით, მისი კონკურენტუნა-

რიანობა საეჭვო ხდება. ასეთი მიდგომა აისახება სავაჭრო პირობებზე – მოსახლეობას უწევს უცხოელი მყიდველების სასარგებლოდ უარი თქვას შემოსავლის ნაწილზე და/ან გადაიხადოს უფრო მაღალი ფასი მომსახურებასა და პროდუქტზე. ამის მაგალითია წარსულში ამერიკის შეერთებულ შტატებში სავაჭრო დეფიციტთან დაკავშირებული მოვლენები. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში დოლარის დაბალი კურსის შედეგად გაძვირებულმა იმპორტმა შესაძლებელი გახადა აშშ სავაჭრო დეფიციტის შემცირება, რაც აისახა სავაჭრო პირობებზე (იმპორტით მიღებული შესამოსავლით შესაძლებელი გახდება უფრო დიდი რაოდენობით ექსპორტის განხორციელება). ამიტომ აშშ კონკურენტუნარიანობა უცვლელი დარჩა, გაზრდილი სავაჭრო დეფიციტის მიუხედავად. დღეს აშშ–ს უფრო მეტი სავაჭრო დეფიციტი აქვს, ვიდრე ბევრ მის სავაჭრო პარტნიორს, რომლებიც ადგილობრივი ექსპორტიორების წახალისებასა და იმპორტზე ბარიერების დაწესების პოლიტიკას მისდევენ. თუმცა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ აშშ–ის ეკონომიკა არაკონკურენტუნარიანია. ავსტრია, გერმანია და შვედეთი დადებითი სავაჭრო ბალანსითა და დიდი ხელფასებით კონკურენტუნარიანი ქვეყნების სიის თავში შესაძლოა მოვაქციოთ, მაშინ, როცა ჩინეთი (ექსპორტის წახალისების მაღალი მაჩვენებელი) და აშშ (დიდი საჭრო დეფიციტი) ნაკლებკონკურენტუნარიან ქვეყნებს უნდა მივაკუთვნოთ.

ეროვნული კონკურენტუნარიანობის განსაზღვრელი წინაპირობები მაიკლ პორტერის ნაშრომებშია წარმოდგენილი. მ. პორტერის თვალსაზრისით, სახელმწიფო კეთილდღეობა მემკვიდრეობით არ მიიღება, იგი იქმნება. იგი არაა დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებზე, სამუშაო ძალაზე, საპროცენტო განაკვეთებზე, ან ვალუტის ღირებულებაზე, როგორც ეს კლასიკოსების წამომადგენლებს მიაჩნდათ. ეროვნული კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია ეკონომიკის უნარზე დანერგოს სიახლეები და ჰქონდეს მზარდი დადებითი მაჩვენებელი. საუკეთესოები მოიპოვებენ კონკურენტებთან უპირატესობას წნეხისა და მათივე გამოწვევების მიუხედავად. ძლიერი შიდა მეტოქეების, აგრესიული შინაური მიმწოდებლებისა და მომთხოვნი მომხმარებლის ყოლა, ასევე სტიმულის მომცემია.

მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში სახელმწიფოს როლი უფრო და უფრო იზრდება. რადგან კონკურენციის ამოსავალი წერტილი სულ უფრო ეფუძვნება ცოდნის მიღებასა და მის განვითარებას, ამიტომ სახელმწიფოს მნიშვნელობა, როგორც ამ პროცესის ხელშემწყობისა, მატულობს. კონკურენციული უპირატესობის შექმნა და განვითარება უპირატესად ადგილობრივი პროცესების შედეგად ხდება, შესაბამისად თითოეული ქვეყნის კონკურენტუნარიანობა თავისებურებებით

ხასიათდება. არც ერთი ქვეყანა არ არის კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ყველა დარგში, ესა თუ ის ქვეყანა კონკურენტუნარიანია ეკონომიკის რომელიმე დარგის მიხედვით. ეს მოსაზრებები გახლავთ 1985 წელს საერთო ჯამში მსოფლიო ექსპორტის 50%-წილის შემადგენელ ათ ქვეყანაში (დანია, გერმანია, იტალია, იაპონია, კორეა, სინგაპური, შვედეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი და აშშ) 1985–1989 წლებში ჩატარებული 4-წლიანი ორეტაპიანი კვლევის შედეგი. ამ გამოკვლევის სათანადო დონეზე ჩატარებაში მ. პორტერს ეხმარებოდა 30-ზე მეტი მეცნიერ-მკვლევარი. თავდაპირველად საკვლევ ქვეყნებში გამოვლინდა მოცემული ქვეყნების კომპანიებისათვის საერთაშორისო სარბიელზე წარმატების მომტანი მრეწველობის დარგები. კვლევის ჩატარების დაწყებისას წარმატება განისაზღვრა მსოფლიო ბაზარზე არსებულ სხვა მეტოქეებთან მიმართებით არსებული შედარებითი კონკურენციული უპირატესობით, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოიხატებოდა სხვა ქვეყნებში სტაბილური ექსპორტით და/ან საწყის ქვეყანაში აქტივებსა და გამოცდილებას დაფუძნებული ინვესტიციების დიდი ექსპორტით. შემდგომ ეტაპზე კონკურენტუნარიანი დარგების სტრუქტურაში შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად, ასევე, დროის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების დაკვირვების მიზნით, ურთიერთკავშირებისა და დამოკიდებულებების გამოსავლენად, მოხდა ცალ-ცალკე 1971, 1978 და 1985 წლებისათვის მოცემული ქვეყნების წარმატებული დარგების პროფილების შექმნა. კვლევის მეორე ეტაპისათვის კონკურენციული უპირატესობის მიზეზების დადგენისათვის შეისწავლეს დარგებში კონკურენციული ბრძოლის ისტორია. იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ მხოლოდ ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული დარგები ვერ ქმნიან განვითარებულ ეკონომიკას, ისინი კვლევაში განხილულ არ იქნა.

ყოველივე ამის შემდეგ მ. პორტერი მივიდა ზოგად დასკვნებამდე, რომ კონკურენტუნარიანობა, სხვა არაფერია თუ:[19]

1. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაღალი, საშუალოვადიან პერიოდში სტაბილური ტემპის მიღწევის უნარი;
2. წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობა;
3. ქვეყანაში წარმოებული პროდუქტისა და მიმწოდებლების შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიონ სხვა ქვეყნებს როგორც გარე, ასევე შიდა ბაზრებზე.

[19]Porter, M., On Competition, Harvard Business School Press, 1998, გვ. 23.

მ. პორტერისავე მოსაზრებით კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია წარმოების პროცესების მოდერნიზებისა და სიახლეების შექმნის უნარზე. მსოფლიო მასშტაბით გამძაფრებული კონკურენცია ზრდის სახელმწიფოს მნიშვნელობას, ვინაიდან თუ კონკურენცია ვითარდება ცოდნის ათვისებისა და შექმნის მიმართულებით. კონკურენციული უპირატესობა იქმნება და ნარჩუნდება ძლიერ ლოკალიზებული პროცესების საშუალებით. განსხვავებებს ეროვნულ ფასეულობებში, კულტურაში, ეკონომიკის სტრუქტურაში, არსებულ ორ-განიზაციებსა და ისტორიულ განვითარებაში, თავისი განუმეორებელი წვლილი შეაქვს კონკურენციული უპირატესობის მოპოვებაში. იმის გამო, რომ ქვეყანა ვერ იქნება კონკურენტუნარიანი ყველა ან თუნდაც დარგების უმრავლესობაში, თითოე-ული ქვეყნის კონკურენტუნარიანობის სტრუქტურა ძალზე განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, კონკრეტული ქვეყანა რომელიმე დარგში წარმატებას აღწევს მაშინ, როცა გარკვეულ პერიოდში მისი შიდა პირობები აღმოჩნდება უკეთესი, დინამიკური და პერსპექტიული სხვებთან შედარებით.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა ნაწილი ტერმინს - ეროვნულ კონ-კურენტუნარიანობას, არამართებულს უწოდებს. მ. პორტერი, ეროვნულ კონკურენ-ტუნარიანობის ცნებასთან მყოფი ყველაზე ახლოს მდგომი ავტორი, აღნიშნავს: „უარი უნდა ვთქვათ „კონკურენტუნარიანი ერის/სახელმწიფოს“ გამოყენებაზე, რამ-დენადაც, ტერმინს დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური აღმავლობისათვის“[20] „ცნება კონკურენტუნარიანი კომპანია გასაგებია, ცნება კონკურენტუნარიანი ერი - არა“.[21] უფრო შორს მიდის ამერიკელი ნობელიანტი ეკონომისტი პოლ კრუგმანი, იგი ეროვნული კონკურენტუნარიანობის კონცეფციის განსაზღვრას სახიფათო აკვი-ატებას უწოდებს. მისი აზრით ეროვნულ, კონკურენტუნარიანობას მივყავართ რესურსების გადანაწილებისკენ და პროტექციონიზმისკენ[22]. პ. კრუგმანის აზრით, სახელმწიფოსა და ფირმას შორის პარალელის გავლება არ არის მართებული, წა-რუმატებელი ფირმა საბოლოო ჯამში ტოვებს ბაზარს, ეკვივალენტური შესაძლებ-ლობა კი სახელმწიფოს არ აქვს; როცა ფირმები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ბაზარზე წილის მოსაპოვებლად, ერთი ფირმის წარმატება მიიღწევა მეორის წარუმ-ატებლობის ხარჯზე, ქვეყნებს შორის ვაჭრობა კი არ დადის ორი მოთამაშის ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგის მომტან (ნულოვანი ჯამის) თამაშამდე.

[20] Porter M., The Competitive Advantage of Nations, New York, The Free Press, 1990, გვ. 6.
[21] Porter M., On Competition Boston, Harvard Business School Press, 1998, გვ. 158.
[22] Krugman P., Competitiveness – A Dangerous Obsession, Foreign Affairs, volume 73, number 2, 1994, გვ. 35.

მწარმოებლურობის ზრდა მოითხოვს ეკონომიკის მუდმივ სრულყოფას. სახელმწიფოები, რომლებიც ეკონომიკური დოვლათისათვის იბრძვიან უფრო მეტი ალბათობაა იმისა, რომ წააგებენ. ასეთ შემთხვევაში ნამდვილი ომის მსვავსად, ეკონომიკა ისე ძლიერ არ ნადგურდება, მაგრამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური კონკურენციის შეზღუდვებზე დაფუძნებული მეტოქეობა ყველა მხარისათვის ზიანის მომტანია. აღნიშნულის მაგალითად მსოფლიო ომების შუალედში მიღებული სმუტ–ჰოულის სატარიფო კანონი გამოდგება, რომელმაც ამერიკის ეკონომიკის ვარდნასთაც ერთად მსოფლიო კრიზისიც გამოიწვია.

მაკროეკონომიკური პერსპექტივით კონკურენტუნარიანობის განხილვისას კონსენსუსად შეიძლება მივიჩნიოთ აღიარება იმისა, რომ ერთი ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლის გაუმჯობესება არ უნდა მოხდეს მეორე სახელმწიფოს ხარჯზე. ეროვნული კონკურენტუნარიანობის შესახებ მართებულ განმარტებად შეიძლება მივიჩნიოთ: „ეროვნული კონკურენტუნარიანობა არის მდგომარეობა, რომლის მეშვეობითაც თავისუფალ და სამართლიან საბაზრო პირობებში შესაძლებელია საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტისა და მომსახურების წარმოება და ამავე დროს მოქალაქეების შემოსავლის ამაღლება. ეროვნულ დონეზე კონკურენტუნარიანობა დაფუძნებულია ზემწარმოებლურობასა და ეკონომიკის უნარზე მაღალი მწარმოებლურობა გარდასახოს მაღალ ხელფასებში. კონკურენტუნარიანობა ასოცირდება ცხოვრების სტანდარტის ზრდასთან. დასაქმების შესაძლებლობების მომატებასა და სახელმწიფოს უნართან გაუძღვეს თავის საერთაშორისო ვალდებულობებს. ის არ არის მხოლოდ სახელმწიფოს უნარის საზომი, თუ როგორ უძღვება იგი საერთაშორისო ვაჭრობას ან აღწევს სავაჭრო ბალანსის დადებით სალდოს.“[23]

ევროპის კონკურენტუნარიანობის 2000 წლის ანგარიში ეროვნული კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისას მომავალი თაობების ინტერესებს ითვალისწინებს, შესაბამისად, ხაზს უსვამს გრძელვადიანი ხედვის აუცილებლობას, - „ეკონომიკა კონკურენტუნარიანია, თუ ქვეყნის მოსახლეობა სარგებლობს მზარდი ცხოვრების სტანდარტით და მყარ ბაზაზე დაფუძნებული მაღალი დასაქმებით. უფრო ზუსტად, ეკონომიკური აქტივობის დონემ არ უნდა გამოიწვიოს ეკონომიკის არამყარი გარე ბალანსი და არ უნდა მოახდინოს შემდგომი თაობების კეთილდღეობის უგულებელყოფა“.[24]

[23]The Report of the President’s Commission on Competitiveness 1984, გვ. 4.
[24]European Competitiveness Report 2000, გვ. 23.

აქედან გამომდინარე, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით კონკურენტუნარიანობის ელემენტებად შეიძლება მივიჩნიოთ:

1. ეკონომიკის მწარმოებლურობა, რომელიც ძირითადად გამოიხატება ცხოვრების სტანდარტის ამაღლებითა და მოსახლეობის რეალური შემოსავლებით;

2. სახელმწიფოს ღია ბაზრის პირობები – უცხოელი მწარმოებლების პოტენციური კონკურენციის დაშვება პროდუქტის საწარმოებლად და მომსახურების გასაწევად.

ამასთან, მოკლევადიანმა „კონკურენტუნარიანობამ“ არ უნდა გამოიწვიოს დისბალანსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მწარმოებლურობა არამდგრად ხასიათს მიიღებს.

მეურნეობის ცალკეულ დარგში ბაზრის მექანიზმების დამოუკიდებელი მოქმედება არაეფექტიანია, ვერ ხდება კონკურენციის უზრუნველყოფა და კონკურენციის ძირითად მოთამაშედ გვევლინება სახელმწიფო. ეკონომიკის ლიბერალური სკოლის წარმომადგენლის, მილტონ ფრიდმანის თვალსაზრისით, სწორედ სახელმწიფო წარმოადგენს თავისუფალ ბაზარზე დომინანტი კომპანიებისგან კონკურენციის დაცვის გარანტს.[25]

მიკროეკონომიკური თვალსაზრისით, კონკურენტუნარიანობა განიხილება ფირმის დონეზე, რაც, ზოგადად ფირმის გამსხვილების, შეჯიბრისა და მოგების მიღების უნარზეა დამოკიდებული. კონკურენტუნარიანი ფირმა აწარმოებს პროდუქტს, რომელიც ფასის, ხარისხისა და სხვა მოთხოვნების არსებულ ბაზართან შესაბამისობის გამო წარმატებული ხდება. ბაზარზე დასარჩენად ყოველმა ფირმამ უნდა დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები, უფრო წარმატებული ფირმები კი არა მარტო რჩებიან ბაზარზე, არამედ სხვა კონკურენტების ხარჯზე ზრდიან საკუთარ წილს. ბაზარზე წილის შემცირების შემთხვევაში ფირმას „ხელოვნური“ მხარდაჭერის – პროტექციონისტური ღონისძიებების გარეშე ბაზრიდან გაქრობა ემუქრება.

ქართველი ავტორები რ. გველესიანი და ი. გოგორიშვილი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ფორმირებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ეკონომიკურ პოლიტიკას აკისრებენ. კონკურენტუნარიანობის ამაღლებას კი ნებისმიერი სახელმწიფოს ამაღლების ამოცანად განიხილავენ.[26]

ე. ხარაიშვილი მიიჩნევს, რომ კონკურენტუნარიანობა კომპლექსური და მრავალმხრივი ცნებაა და მისი შეფასება აუცილებელია კონკურენციის სახეობებისა

[25] Friedman M., Capitalism and Freedom, University of Chicago Press, 1962, გვ. 36.

[26] გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I. თბ., გამომც. „უნივერსალი“, 2012, გვ. 77.

და ეკონომიკური სუბიექტების დონეთა მიხედვითაც. მეცნიერ–ეკონომისტთა ნაშრომების შესწავლის შედეგად ე. ხარაიშვილი ასკვნის, რომ ფირმის კონკურენტუნარიანობა ძირითადად პროდუქტის კონკურენტუნარიანობის და/ან საერთაშორისო ვაჭრობის კონტექსტში განიხილება. მკლევარი ითვალისწინებს რა კონკურენტუნარიანობის დიდ მნიშვნელობას, ავითარებს აზრს, რომ ფირმის კონკურენტუნარიანობას, წარმოებული პროდუქტის გარდა, სხვადასხვა ქმედებაც განსაზღვრავს. ე. ხარაიშვილის მოსაზრებით ნებისმიერ ქვეყანაში ფირმის საქმიანობის მაკროეკონომიკური გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის კონ-კურენტუნარიანობაზე, მაგრამ სრულად ვერ განსაზღვრავს ამ მაჩვენებლის დონეს. საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თეორიებით შეუძლებელია იმ მიზეზების ახსნა, რაც ერთსა და იმავე ქვეყანაში ფირმების განსხვავებულ კონკურენტუნარია-ნობას იწვევს, - აღნიშნავს იგი.[27]

ნ. ხადური კონკურენტუნარიანობას უშუალოდ ქვეყნის დონეზე განიხილავს. მიმოიხილავს რა თანამედროვე ეკონომიკურ თეორიას, იგი ასკვნის, რომ კონკურენტუნარიანობა სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესი-სათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ფუნქციონირე-ბადი ფირმების მიერ კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებას. მისი მოსაზრებით, სასურველია კონკურენციული უპირატესობის მიღწევა ყველა დონის ბაზარზე როგორც რესურსული, ისე განსაკუთრებით ტექნიკური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის დონის გათვალისწინებით, ოპტიმალური მიზნობრივი ბაზრების შერჩევის მიზნით. ამასთან, ნ. ხადური ხაზს უსვამს კონკურენციული უპირატესობის მიღწევისათვის მიზნობრივი ბაზრების კვლევის მნიშვნელობას. [28]

ი. გაგნიძე ეკონომიკის თეორიტიკოსთა მოსაზრებების განხილვის საფუძველზე ასკვნის, რომ კონკურენტუნარიანობა ცალკეულ შემთხვევაში დაიყვანება, როგორც მაკროეკონომიკური მოვლენა, რომელიც იმართება ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა, სავალუტო კურსი, სარგებლის განაკვეთი და ბიუჯეტის დეფიციტი.[29]

გ. ერქომაიშვილის, აზრით, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისათვის ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მოქმედი ფირმების მიერ კონკურენტუნარიანი

---

[27] ხარაიშვილი ე. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბ., 2011, გვ. 20-22.

[28] ხადური ნ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, თბ., 2010, გვ. 4.

[29] გაგნიძე ი., ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და კლასტერები: ისტორია და თანამედროვეობა, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2012, გვ. 13.

პროდუქტის წარმოებას.[30] მკლევრის დასაბუთებით, გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის მთავარ და მამოძრავებელ ძალას თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე ორიენტირებული ეროვნული ბიზნესი წარმოადგენს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეკომენდაციების საფუძველზე იგი ასკვნის, რომ ქვეყნის კონკურენციულ უპირატესობას განაპირობებს მეცნიერებატევადი და ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმოებაში მიღწეული წარმატებები, სტაბილური ბიზნესგარემო და ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია.

ამრიგად, კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის შესახებ თეორიები ფართოდაა განხილული უცხოელი და ქართველი მეცნიერიების მიერ, როგორც მიკრო- ასევე მაკროდონეზე. კონკრეტული მონაცემების გათვალისწინებით მათ მოსაზრებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შედეგად ყალიბდება ეროვნული ეკონომიკისა და დარგობრივი კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიები.

[30] ერქომაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, თბ., 2016, გვ. 13.

## 1.3. სტრატეგიული ალიანსები და მათი როლი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში

მცირე და საშუალო საწარმოები საფუძველს უქმნიან ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს, წარმოადგენს სამუშაო ძალის დასაქმებისა და საგადასახადო შემოსავლების წყაროს. საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა მზარდია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წლის მდგომარეობით, საქართველოში დარეგისტრირებულია 598 947 საწარმო. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემით 2016 წელს არსებული დასაქმებულთა რაოდენობა (666 790) საწარმოთა ზომის მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: მსხვილ საწარმოებში დასაქმებულია მთლიანი დასაქმებულთა რაოდენობის 32,7%, საშუალოში – 21,4%, მცირეში – 46,0%, მაშინ, როცა ამავე წელს საწარმოთა ზომის მიხედვით ბრუნვამ შეადგინა სულ 56984,8 მლნ. ლარი, მსხვილ საწარმოებში მოდის მთლიანი ბრუნვის 44%, საშუალო საწარმოებში 21,9%, მცირე საწარმოებში 34%. აღნიშნული მონაცემები ნათლად მიგვანიშნებენ სხვადასხვა ზომის საწარმოებში დასაქმებულთა რიცხვსა და წლიური ბრუნვის თანხებს შორის პროპორციულობას. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 წლის მონაცემით შედეგები აშკარად არაპროპორციული იყო: 2015 წელს არსებულ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა (სულ 626 739 კაცი) საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილ საწარმოებში დასაქმებულია მთლიანი დასაქმებულთა რაოდენობის 56,9%, საშუალო საწარმოებში – 16,1%, მცირე საწარმოებში – 27,0%. 2015 წელს ბრუნვა საწარმოთა ზომის მიხედვით მილიონ ლარებში შემდეგნაირი გახლდათ: სულ – 56984,8 მლნ. ლარი. მსხვილ საწარმოების წილად მოდიოდა წლიური მთლიანი ბრუნვის 82,5%, საშუალო საწარმოებში 8,4%, მცირე საწარმოებში 9,1%. 2015 და 2016 წელს მონაცემების მკვეთრი სხვაობა განპირობებულია იმით, რომ 2016 წლის მონაცემების შეფასების წელს - 2017 წელს განხორცილებული საწარმოების გრადაციის პარამეტრების ცვლილებით, რომელიც განსხვავდება წინა წლების დიფინიციებთან. [31] 2015 წლის მონაცემების არაპრორციულობა აშკარად მიუთითებს გრადაციის პარამეტრების გამსხვილების

[31]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მეწარმოება საქართველოში 2016, თბ., 2017, გვ. 14.

მართებულობას. 2017 წლის ცვლილებით მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების გრადაციის პარამეტრები (დასაქმებულების რიცხვი და წლიური ბრუნვა) შემდეგნარია:

• მცირე საწარმოებისათვის - 50 დასაქმებულია და წლიური ბრუნვის მოცულობა შეადგენს 12 მლნ. ლარს;

• საშუალო საწარმოებისათვის - 250 დასაქმებულსა და 60 მლნ. ლარ წლიურ ბრუნვას;

• მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 249 კაცს და წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს.

იგივე პარამეტრების ზღვრული ოდენობა 2017 წლამდე მოქმედი გრადაციით, შემდეგნაირი იყო:

• მცირე საწარმოებისათვის - 20 დასაქმებული და 500 ათასი ლარი წლიური ბრუნვა;

• საშუალო საწარმოებისათვის - 100 დასაქმებული და 1500 ათასი ლარი წლიური ბრუნვა;

• მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 100 კაცს და წლიური ბრუნვის მოცულობა კი 1500 ათას ლარს.

ცხრილში 1.3.1 ასახულია 2015-2016 წლებში საქართველოს სხვადასხვა ზომის საწარმოებში დასაქმებისა და წლიური ბრუნვის პროცენტული მონაცემების შეპირისპირება, რაც გვიდასტურებს 2017 წელს განხორციელბული გრადაციის პარამეტრების გამსხვილების ცვლილების საჭიროებას.

ცხრილი 1.3.1

**2015-2016 წწ-ში საქართველოს სხვადასხვა ზომის საწარმოს დასაქმებისა და ბრუნვის პროცენტული მონაცემები**

| საწარმოების გრადაცია | 2015 წელს არსებულ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 626 739 კაცი | 2015 წელს ბრუნვა საწარმოთა ზომის მიხედვით მილიონ ლარებში 56984,8 მლნ. ლარი |
|---|---|---|
| სხვილი | 56,9%, | 82,5% |
| საშუალო | 16,1% | 8,4% |
| ცირე | 27,0% | 9,1%. |
| | 2016 წელს არსებულ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 666 790 კაცი | 2017 წელს ბრუნვა საწარმოთა ზომის მიხედვით მილიონ ლარებში 56984,8 მლნ. ლარი |
| სხვილი | 32,7%, | 44% |
| საშუალო | 21,4% | 21,9% |
| ცირე | 46,0% | 34% |

2015 წლის სტატისტიკური მონაცემები სინერგიული ეფექტის – ორი ან მეტი სუბიექტის შერწყმის შედეგად, მათი ცალ-ცალკე ოპერირების შემთხვევაში მიღებული შედეგის ჯამზე, მეტი მწარმოებლურობის გამომუშავების ალბათობას ადასტურებს. კლასიფიკაციის პარამეტრების ცვლილებით, შეიცვალა საწარმოების დაჯგუფების კრიტერიუმი, მისი მასშტაბები გაიზრდა და გარკვეულწილად პროპორციულობის თვალსაზრისით მოწესრიგდა სტატისტიკური მაჩვენებლები, თუმცა, რეალურად საწარმოთა გამსხვილების შესახებ მონაცემები არ არსებობს. შესაბამისად, ძნელია ვიმსჯელოთ სინერგიული ეფექტის შედეგად მწარმოებლურობის ამაღლებაზე. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სინერგიული სტრატეგიული ალიანსების შექმნის წამახალისებელი ნაბიჯები არ გადადგმულა.

სტრატეგიული ალიანსი წარმოადგენს ორი ან მეტი ორგანიზაციის შეთანხმებას ითანამშრომლოს განსაზღვრული ბიზნესაქტივობის განსახორციელებლად, თითოეული სტრატეგიული პარტნიორი სარგებლობს ერთმანეთის სიძლიერით და ამით მოიპოვებს კონკურენციულ უპირატესობას. სტრატეგიული ალიანსების გაჩენა გლობალიზაციის შედეგად ბიზნესს გარემოს გაუმჯობესებამ და გართულებამ გამოიწვია. სტრატეგიულ ალიანსებში ერთდროულად ხდება პარტნიორების ცოდნისა და პროფესიონალზმის გაზიარება და ამავე დროს ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების განვითარება.

სტრატეგიული ალიანსების გაჩენამ გამოიწვია „კორპორაციულ კულტურაში და ბიზნესის წარმოების მეთოდებში დიდი ცვლილება არა მესაკუთრეობაზე, არამედ პარტნიორობაზე დაფუძნებული ურთიერთობების სწრაფი ზრდა" [32] რაც თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში პარტნიორული ურთიერთობების კონკურენციულ უპირატესობას მოწმობს. სტრატეგიული ალიანსები კომპანიებსა და საერთაშორისო ბიზნეს სისტემებში ფორმირებული ორგანიზაციათაშორისი ურთიერთობები ყალიბდება იმ შემთხვევებისთვის, როცა მიზნის მისაღწევად თანამშრომლობა უკეთესი საშუალებაა, ვიდრე კონკურენცია. სტრატეგიული ალიანსი შეიძლება ვუწოდოთ პროცესს, როდესაც ხდება ბიზნესპრაქტიკის კორექტირება დუბლირებისა და ზედმეტი ხარჯის თავიდან აცილების მიზნით.

სტრატეგიულ ალიანსს წვლილი შეაქვს სტრატეგიული გეგმის წარმატებით განხორციელებაში. სტრატეგიული ალიანსი, შესაძლოა ითქვას, წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის განხორცილებისათვის ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას. მარტივად რომ ვთქვათ, სტრატეგიული ალიანსი შესაძლოა განვიხილოთ როგორც პარტნიორობა, რომელიც ბიზნესს აძლევს შესაძლებლობას ერთობლივი სარგებლიანობისთვის და მდგრადი კონკურენციული უპირატესობების მისაღწევად გააერთიანოს ძალები.

სტრატეგიული ალიანსები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ ბიზნესში. სტრატეგიული ალიანსის მეშვეობით კომპანიამ შესაძლებელია აამაღლოს კონკურენციული მაჩვენებლები, შეაღწიოს ახალ ბაზარზე, გააუმჯობესოს პროფესიული უნარები და მოახდინოს რისკისა და ხარჯების გადანაწილება. სტრატეგიული ალიანსის ძირითადი მახასიათებლებია:

- დამოუკიდებლობის შენარჩუნებით ორი ან მეტი ორგანიზაციის მზადყოფნა მიაღწიოს საერთო ინტერესების მქონე მიზნებს;
- პარტნიორების მიერ როგორც უპირატესობების, ასევე, მენეჯმენტზე კონტროლის გადანაწილება;
- პარტნიორების მცდელობა თავიანთი საკუთარი რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენებით წვლილი შეიტანონ ალიანსის სხვადასხვა სეგმენტის განვითარებაში.

სტრატეგიული ალიანსის სასარგებლო მხარეებია:

[32] Drucker Peter F., Critical Evaluations in Business and Management, Volume 1, 1996, გვ. 68-69.

- ბაზარზე შესვლის გამარტივება (უცხო ბაზარზე შესვლის ხარჯები ერთი ფირმისათვის შესაძლოა დიდი იყოს);
- რისკების გაზიარება;
- ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება (ცალკეული ფირმები კომპეტენტურნი არიან ერთ სფეროში და ნაკლები გამოცდილება აქვთ მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა სფეროში, ძალების გაერთიანება ამ დანაკლისის აღმოფხვრის შესაძლებლობას იძლევა);
- სინერგია და კონკურენციული უპირატესობა.

კონკურენციული უპირატესობა დაკავშირებულია ორგანიზაციის უნართან ითანამშრომლოს სხვა სტრუქტურებთან ბიზნესქსელების, მომწოდებლებისა და მყიდველების ჩათვლით, რითაც გარკვეულწილად ხდება გეოგრაფიულად და კულტურულად დაშორებულ პარტნიორებთან დადებითი და უარყოფითი მხარეების გაზიარება.[33] გლობალიზაციის წარმმართველი ძალები წარმოადგენს კონკურენციული უპირატესობების გამომწვევ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, სტრატეგიული ალიანსები კი თანამედროვე გლობალიზაციის პირობებთან ადაპტაციის გზას.

არც ერთი ბიზნესი იზოლირებულ კუნძულს არ წარმოადგენს, რამდენადაც კომპანიებს ერთმანეთთან ხანრძლივი ურთიერთკავშირი აქვს[34]. ბიზნესის მზარდი ხარჯები კიდევ უფრო ამძაფრებს ალიანსის ჩამოყალიბების აუცილებლობას, ალიანსებს მათი დიდი მნიშვნელობის გამო, სამომავლო ზრდის პირველად ძრავას უწოდებენ. ამრიგად, სტრატეგიული ალიანსი აღარ არის სტრატეგიული ალტერნატიული გზა, არამედ ის წარმოადგენს აუცილებლობას როგორც დარგის, ასევე ბაზრის განვითარებისათვის.

კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან მიმართებაში, იმის გათვალისწინებით, რომ სტრატეგიული ალიანსი მიიჩნევა რესურსების, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების წყაროდ, რაც ბიზნესის სამყაროში ცალსახად კონკურენციულ უპირატესობას წარმოადგენს, შესაბამისად, სტრატეგიულ ალიანსის ფორმებს ცალკეული ფირმების საპირწონედ უპირატესობა აქვთ. ცალეკული ფირმა არ ფლობს არც მატერიალურ, არც ტექნოლოგიურ რესურსს, იმისათვის, რომ კონკურენციულ ბაზარზე დამოუკიდებლად იყოს საკმარისად მწარმოებლური და ინოვაციური.

[33] Todeva E., Strategic Alliances & models of collaboration, School of Management, University of Surrey, Guildford, Surrey, 2005, გვ. 9.
[34] Sören Kock, To Compete or Cooperate – A Strategic Dilemma, Entrepreneurship, Management and Organization. Hanken School of Economics, Finland, 2010, გვ. 1.

ამიტომ იგი, რაღაც ხარისხით, სრატეგიულ კავშირში უნდა იყოს სხვა ფირმებთან, რათა დროულად შესაბამისი რეაგირება მოახდინოს ბიზნესსამყაროს გამოწვევებზე. ქართულ რეალობაში სტრატეგიული ალიანსების ცალკეული ფორმები გვხვდება კონკურენციულ დარგებში სხვადასხვა სახის ბიზნესმენთა/მრეწველთა/მომსახურების სფეროს კავშირების სახით, თუმცა, ქართული ეკონომიკის სუსტი სეგმენტები; (იქნება ეს სოფლის მეურნეობა, კვების გადამამუშავებელი მრეწველობა თუ სხვა) სტრატეგიული ალიანსების რაოდენობის და დამატებითი ფორმების დანერგვის აუცილებლობას საჭიროებს, ამ მხრივ კერძო სექტორის მხრიდან არარსებული ინიციატივა კი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მხარდამჭერი ქმედების საჭიროებაზე მიგვანიშნებს.

## 1.4. კონკურენტუნარიანობის გაზომვის მეთოდოლოგია

კონკურენტუნარიანობის გამოვლენის სხვადასხვა ინდიკატორი არსებობს, რომლებიც სხვადასხვა დონეზე ასახავს ამა თუ იმ სუბიექტის უპირატეს მდგომარეობას ანალოგებთან მიმართებაში. ინდიკატორების გამოყენება ხდება როგორც ინდივიდუალურად – ცალკეული მეცნიერ–მკლევრის, ასევე, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ყველა შემთხვევაში კონკურენტუნარიანობის შეფასება ხდება მეტ-ნაკლებად მსგავსი კრიტერიუმის მქონე სუბიექტებს (ფირმის, სექტორის, დარგის, სახელმწიფოს) შორის.

კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შესახებ მეცნიერთა მიდგომები განსხვავებულია. მათგან მნიშვნელოვანია: 1. მიკროეკონომიკური, რომელიც ეკონომიკურ მაჩვენებლებს აანალიზებს ფირმის დონეზე; 2. მაკროეკონომიკური, რომელიც განიხილავს ისეთ პარამეტრებს, როგორებიცაა: წარმოების ფაქტორთა ღირებულება, ერთობლივი მოთხოვნა, დანაზოგებისა და ინვესტიციების დონეები, აგრეთვე მსოფლიოში ვალუტათა გაცვლის კურსები და სხვა; 3. სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირის არსებობა, როდესაც სახელმწიფო აქტიურად ერევა ეკონომიკაში შიდა ბაზრის დაცვის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სუბსიდირებისა და სხვათა მიზნით.[35]

კონკურენტუნარიანობა შესაძლოა შეფასდეს, როგორც ფირმის, ასევე, სექტორის და ეროვნული ეკონომიკის დონეზე. თითოეული მათგანის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემდგომში კვლევით მიღებული დასკვნებისათვის. ფირმა კონკურენტუნარიანია, თუ მას ძალუძს კონკურენციულ გარემოში გრძელვადიან პერსპექტივაში მოახდინოს თავისი პროდუქციის რეალიზაცია და მიიღოს გარანტირებული შემოსავალი. სექტორი კონკურენტუნარიანია, თუ იგი შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე ინარჩუნებს თავის წილს. ეროვნული ეკონომიკა კონკურენტუნარიანია, თუ ხდება საერთაშორისო ბაზარზე მისი ექსპორტის წილის შენარჩუნება.[36]

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გამოვლენით ხდება მაკროეკონომიკური მაჩვენებლის წარმოჩენა, რაც საშუალებას იძლევა, მოხდეს ქვეყნის რეგიონის სხვა ქვეყნებთან და სავაჭრო პარტნიორებთან შედარება, აქამდე გამოუვლენელი ეკონო-

---

[35] ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, 2011, გვ. 29.

[36] Baade D., Demographischer Wandel und Internationaler Wettbewebsfähigkeit Deutschlands, Eine Anelyse basiert auf Porters Ansatz, 2007, გვ. 42.

მიკური მახასიათებლების დადგენა და საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციების ახსნა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის თანამედროვე ეპოქაში მოხდა საერთაშორისო საზოგადოების მოთამაშეების დაახლოება და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების გაზრდა, რაც აადვილებს მათში საერთო ნიშანთვისებების გამოვლენასა და ამავე დროს ურთიერთდამოკიდებულების საილუსტრაციოდ უფრო საჭიროს ხდის კონკურენტუნარიანობის საერთო რეიტინგის შექმნას. კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ის ფაქტორებიც (ტექნოლოგიური ინოვაციების უნარი, პროდუქციის სპეციალიზაციის ხარისხი, პროდუქტის ზოგადი ხარისხი), რომელთაც ხარისხობრივი მახასიათებლები აქვთ და არ იძლევა თვლად სისტემაში გადაყვანის საშუალებას.[37] ამიტომ შედარებითი კონკურენტუნარიანობის რეიტინგის განსაზღვრის მეთოდოლოგია რთულია. იდეალურ შემთხვევაში კონკურენტუნარიანობის განსაღვრისას უნდა დაკმაყოფილდეს სამი საბაზისო მოთხოვანა: 1) უნდა მოხდეს კონკურენციულ გარემოში წარმოდგენილი ყველა სექტორის გათვალისწინება, ე. ი. წარმოდგენილი უნდა იყოს კონკურენციის ყველა საგანი (პროდუქტი), რომლითაც ხდება ვაჭრობა ან შესაძლებელია ვაჭრობა; 2) რეიტინგის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენციისათვის ყველა ღია ბაზარი; 3) გამოყენებული მონაცემები უნდა იძლეოდეს საერთაშორისო მასშტაბით სრული შედარების შესაძლებლობას. პრაქტიკაში არც ერთი ინდიკატორი არ იძლევა ზემოთ მოყვანილი სამივე კრიტერიუმის სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლობას, შესაბამისად, ხდება თავად მეთოდების გაუმჯობესება მათი დასადგენი კონკურენტუნარიანობის მუდმივად სრულყოფილებისკენ სწრაფვის გათვალისწინებით.

ეროვნული კონკურენტუნარიანობა ფასდება სხვადასხვა საერთაშორისო მნიშვნელობის ორგანიზაციების მიერ.

მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის (IMD) მსოფლიო კონკურენტუნარიანობის წელიწდეულის (WCYB) მიხედვით, „კონკურენტუნარიანობამ უნდა დააბალანსოს ეკონომიკური აუცილებლობა და ქვეყნის სოციალური მოთხოვნილება, რამდენადაც ამას მოითხოვს ისტორია, ღირებულებების სისტემა და ტრადიცია“. ინსტიტუტი მსოფლიო კონკურენტუნარინობას 1989 წლიდან იკვლევს. 2016 წელს კველევამ 61 ქვეყანა მოიცვა, მათ შორის არ არის საქართველო, რის გამოც ინსტიტუტის მეთოდოლოგია ფართოდ არის ცნობილი ქართველ მეცნიერ-

[37] Mattine Durand and Claude Giorno, indicators of international competitiveness conceptualaspects and evaluation 2005, გვ. 149.

ეკონომისტებში. კვლევა დაფუძნებულია ერთ სულ მოსახლეზე მშპ–ს მიხედვით დაანგარიშებულ ზოგადი კონკურენტუნარიანობის ინდიკატორსა და ასევე, ცხოვრების სტანდარტის ინდიკატორზე. WCYB აანალიზებს სახელმწიფოების უნარს, შექმნას კონკურენციული ბიზნესგარემო მისი კლასიფიკაციით. კვლევა ფოკუსირდება ეკონომიკური გარემოს კონკურენტუნარიანობაზე და არა ქვეყნის ზოგად კონკურენტუნარიანობაზე. კონკურენტუნარიანობის შემფასებელი 20 ქვეფაქტორი დაჯგუფებულია ოთხ ძირითად ფაქტორში: ეკონომიკური მდგომარეობა, სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობა, ბიზნესის ეფექტიანობა, ინფრასტრუქტურა.[38]

**სქემა 1.4.1. ქვეყნების კონკურენტუნარიანობის რეიტინგების გამოთვლის სქემა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ცენტრში 2011 წ. ანგარიშის მიხედვით[39]**




სქემიდან 1.4.1 ჩანს, რომ კრიტერიუმებს შორის 132 ძირითადი სტატისტიკური მონაცემებია, 116 - გამოკითხვის შედეგები (2011 წელს თითოეულ ქვეყანაში გამოიკითხა საშუალოდ 84 რესპონდენტი), ხოლო 83 მაჩვენებელი ე.წ. „უკანა ფონის" მაჩვენებელია. ისინი არ ჩანს კრიტერიუმების ჩამონათვალში, მაგრამ გამოთვლები

[38] http://www.imd.org/wcc/wcc_factors_criteria/, ბოლოს გადამოწმებული 20.10.2017.
[39] გაგნიძე ი. -ს მასალების მიხედვით.

მიმდინარეობს მათზე დაყრდნობით. კვლევაში გამოყენებული კრიტერიუმები შერჩეულია ეკონომიკური ლიტერატურის, საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული რესურსებისა და ბიზნესის წარმომდგენელთა გამოკითხვის შედეგად.

ეროვნული კონკურენტუნარიანობის კომპლექსურობა წარმოდგენილია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში (GCR). GCR-ში 2004 წლიდან ხდება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით (შემუშავებულია ხავიერ სალა ი მარტინისა და ელზა არტადის მიერ)[40]. მანამდე მაკროეკონომიკური პარამეტრების გამოვლენა ხდებოდა ჯეფრი საქსის მიერ შემუშავებული ზრდის განვითარების ინდექსის (Growth Development Index) საფუძველზე, ხოლო მიკროეკონომიკური პარამეტრების დადგენა მ. პორტერის ბიზნესის განვითარების ინდექსის (Business Competitiveness Index) მეშვეობით. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი აერთიანებს მაკროეკონომიკურ, მიკროეკონომიკურ და ბიზნესის ასპექტებს. ანგარიში აფასებს ქვეყნის შესაძლებლობას უზრუნველყოს თავისი მოქალაქეებისთვის კეთილდღეობა. ეს, თავის მხრივ, დამოკიდებულია, თუ როგორ იყენებს ქვეყანა მის ხელთ არსებულ რესურსებს. ინდექსის დასაანგარიშებლად ხდება მთელი რიგი ინსტიტუტების, სხვადასხვა სახის პოლიტიკის, არსებული და უახლოეს მომავალში ეკონომიკის მდგრადობის უზრუნველყოფის ფაქტორების შესწავლა. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი შედგება ქვეყნის განვითარების 3 ძირითადი საფეხურიდან (ქვეინდექსიდან), რომელიც აერთიანებს 12 სხვადახვა იდიკატორს (მდგენელს), რომლებიც თავის მხრივ 114 კომპონეტს მოიცავს. განვითარების მდგომარეობის მიხედვით ანგარიშში ქვეყნები ნაწილდება ამ სამი ძირითადი საფეხურისა (I, II, III) და ორი გარდამავალი საფეხურის (I-დან II საფეხურზე გარდამავალი, II-დან III საფეხურზე გარდამავალი) მიხედვით. ინდექსის გამოთვლა ხდება ფორმულის მეშვეობით, რომელშიც გამოიყენება უმაღლესი და უკიდურესად დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნის მონაცემები, ამასთან თითოეულ ინდიკატორის მინიმალური შეფასება 1-ა, მაქსიმუმი კი – 7. ინდიკატორების საფეხურების მიხედვით (იხ. ცხრილში 1.4.1).

[40] Sala i Martin, Xavier and Elsa V. Artadi, "The Global Competitiveness Index", Global Competitiveness Report, Global Economic Forum 2017.

**ცხრილი 1.4.1. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის 3 საფეხურის მიხედვით დაჯგუფებული ინდიკატორები**

| I საფეხური | | II საფეხური | | III საფეხური | |
|---|---|---|---|---|---|
| ფაქტორ-მამოძრავებელი | | ეფექტიანობის მასტიმულირებელი | | ინოვაციების მამოძრავებელი | |
| 1 | ინსტიტუტები | 1 | უმაღლესი განათლება და ტრენინგი | 1 | ბიზნესის განვითარება |
| 2 | ინფრასტრუქტურა | 2 | სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა | 2 | ინოვაციები |
| 3 | მიკროეკონომიკური გარემო | 3 | შრომის ბაზრის ეფექტიანობა | | |
| 4 | ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება | 4 | საფინანსო ბაზრის განვითარება | | |
| | | 5 | ტექნოლოგიური მზაობა | | |
| | | 6 | ბაზრის მოცულობა | | |

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organization for Economic Cooperation and Development - OECD) წარმოადგენს ეკონომიკურ ორგანიზაციას, რომელშიც ძირითადად განვითარებული დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მქონე ქვეყნები (დღეისათვის 35 ქვეყანა) არიან გაერთიანებული[41]. 2009 წლიდან ორგანიზაცია იყენებს საკუთარი მეთოდოლოგიით შემუშავებულ კონკურენტუნარიანობის ინდიკატორებს, რომლებიც დაფუძნებულია შრომითი დანახარჯის ერთეულსა და ექსპორტის ერთეულის ღირებულებაზე. ათვლა ხდება ორმხრივი სისტემით. თავდაპირველად აითვლება მოცემულ ქვეყანაში თითოეული კონკურენტი თავისი ბაზრის წილით. ეს მონაცემი, როგორც წესი, გამოიყენება ვაჭრობის ტენდენციების ანალიზისთვის.[42]

ზემოთ მოყვანილი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული კონკურენტუნარიანობის გამოთვლის მეთოდები აქტუალურია, რაც განპირობებულია მათი მაღალი

[41] http://www.oecd.org/, ბოლოს გადამოწმებული 20.10.2017.
[42] Durand, M., Simon J. and Webb C., OECD's Indicators of International Trade and Competitiveness", OECD Economics Department Working Papers, No. 120, OECD Publishing, 1992.

რეიტინგით და ავტორიტეტით. კონკურენტუნარიანობის შესადარებლად არსებობს სხვა მეთოდებიც, რომელთაც ფართო გამოყენება აქვთ. მიმდინარე პერიოდში ფირმის, სექტორის, ან ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასებისათვის "ex post" მეთოდი გამოიყენება.[43] აღნიშნულისათვის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის საფუძველზე შემდეგი ინდექსებია შემუშავებული:[44]

**გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის ინდექსი (Revealed Comparative Advantage Index_ RCA)**

$$RCA_{ij} = (X_{ij} / \Sigma X_{kj}) / (\Sigma X_{kj} / \Sigma \Sigma X_{kl}),$$

$$l, l \neq j \qquad k, k \neq i \quad l, l \neq j$$

სადაც *RCA* – ქვეყნის მოცემული საქონლის ექსპორტის წილია ამ ქვეყნის მთლიან მსოფლიო ექსპორტში; *X* მთლიანი ექსპორტი; *i, k* – პროდუქტის კატეგორია; *j, l* - რეგიონები. თუ ინდექსის მნიშვნელობა 1–ზე მეტია, მაშინ სექტორი კონკურენ-ტუნარიანია, ხოლო თუ 1–ზე ნაკლებია, სექტორი არაკონკურენტუნარიანია.

**ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (Relative Export Advantage Index – RXA)**

$$RXA_{ij} = (X_{ij} / \Sigma X_{kj}) / (\Sigma X_{kj} / \Sigma \Sigma X_{kl})$$

*RXA RCA*-ს მსგავსი ინდექსია. იმ განსხვავებით, რომ ყველა ექსპორტის შეჯამების შემთხვევაში, თავად საკვლევი ქვეყნის ექსპორტი არ გამოიყენება. საერ-თაშორისო ბაზრებზე მაღალი წილის მქონე ქვეყნების შემთხვევევაში ამ ინდექსს დიდი მნიშვნელობა აქვს.

**ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი Relative Export Advantage Index (RXA)**

$$\boldsymbol{RMP_{ij} = (M_{ij} / \Sigma M_{kj}) / (\Sigma M_{kj} / \Sigma \Sigma M_{kl})},$$ სადაც

$$l, l \neq j \qquad k, k \neq i \quad l, l \neq i$$

*RMP RXA*-ს ინდექსის მსგავსად იანგარიშება, გასხვავება - ექსპორტი *X* ჩანაცვლებულია იმპორტით *M*.

*RMP* ინდექსის 1–ზე ნაკლები მნიშვნელობა ნიშნავს მაღალ კონკურენტუნა-რიანობას, ხოლო 1–ზე მეტი ნაკლებ კონკურენტუნარიანობას.

---

[43] ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბ., 2011, გვ. 36.

[44] Weindler H., die Wettberbsfähigkeit der Deutschen Ernährungsindustrie: Methodische Ansatypukte zur Messung und empirische Ergebnisse. Referat. Vierzigste Jahrestagng der Gesellschaft für Wirtschafts_ und Sozialwissenschaften des Landbauens e.V.vom 4. Bis 6. Okober Kiel, 1999, გვ. 2-4.

**იმპორტის შედარებითი შეღწევადობის ინდექსი Relative Import Penetration Index (RMP)**

$$RMP_{ij} = (M_{ij} / \sum_{l, l \neq j} M_{kj}) / (\sum_{k, k \neq i} M_{kj} / \sum \sum_{l, l \neq i} M_{kl}),$$ სადაც

RMP RXA ინდექსის მსაგვსად იანგარიშება, მხოლოდ ექსპორტი X ჩანაცვლებულია იმპორტით M–ით.

**ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსი**

**Relative Trade Advantage Index (RTA)**

$$RTA_{ij} = EXA_{ij} - RMP_{ij}$$

*RTA* ინდექსი ერთდროულად ითვალისწინებს როგორც ექსპორტს, ასევე იმპორტს. დადებითი RTA ინდექსი მიუთითებს კონკურენტუნარიანობაზე, უარყოფითი RTA ინდექსი კი –არაკონკურენტუნარიანობაზე.

წარმოდგენილი კონკურენტუნარიანობის გამომვლენი კრიტერიუმები და მეთოდები, მათ საფუძველზე შემუშავებული რეიტინგების ჩათვლით, მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავს ამა თუ იმ სუბიექტის კონკურენტუნარიანობას. თუმცა, როგორც აღინიშნა, არც ერთი მათგანი არ არის იდეალურად ზუსტი. არსებული არასრულყოფილი მონაცემებისა და სხვადასხვა სახის შეზღუდვების გათვალისწინებით ცალკეული მკვლევარები ასკვნიან, რომ კონკურენტუნარიანობის ნებისმიერი გაზომვის მეთოდი მხოლოდ იდეალურობის უხეშად მიახლოების მცდელობას წარმოადგენს.[45] თუმცა, კომპრომისი ყველა დონეზე უნდა გაკეთდეს, მისი გამომწვევი მიზეზების დასაძლევად, სხვა შემთხვევაში პროგრესისკენ მიმავალი გზა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სხვადასხვა სუბიექტის კონკურენტუნარიანობის გამოვლენა და მათი ურთიერთშედარების მეთოდების სრულყოფა შეუძლებელი ხდება.

[45] Durand M. and Giorno C., indicators of international competitiveness conceptualaspects and evaluation 2011, გვ.152.

## 1.5. ქვეყნების კონკურენციული უპირატესობის მოდელები

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის შესწავლის შედეგად ნათელი ხდება, რომ მათი კონკურენციული უპირატესობის მოდელები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. საქართველო წარმოადგენს განვითარებად, პოსტსოციალისტურ ქვეყანას, რომელსაც მოწინავე ეკონომიკის ქვეყნებთან შედარებით ახლად მოპოვებული აქვს დამოუკიდებლობა. უაღრესად საინტერესო უნდა იყოს მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკის ქვეყნების კონკურენციული მოდელების – ქვეყნის კეთილდღეობის განმაპიროვნებელ ფაქტორთა განხილვა. ამ მოსაზრებით შერჩეულ იქნა სამი ქვეყანა, – მშპ-ს მიხედვით მსოფლიოს პირველი ეკონომიკის მქონე ამერიკის შეერთებული შტატები, მსოფლიო ბაზარზე როგორც მიმწოდებლის, ასევე მყიდველის პოზიციიდან მრავალი სიახლის დანერგვის გამო. გერმანია, რომელმაც შეძლო დაემტკიცებინა, რომ II მსოფლიო ომში დამარცხების მიუხედავად, შედარებით მწირი ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყანას, სწორი ეკონომიკური განვითარების გამოყენებით და მასში მოსახლეობის ყველა ფენის ჩართვით, შეუძლია დასუსტებული ეკონომიკა მსოფლიოში მოწინავედ აქციოს და სამხრეთული ტემპერამენტის მქონე იტალია. წინამდებარე თავში მ. პორტერის მიერ შემუშავებული „ეროვნული ალმასის“ დეტერმინანტების გათვალისწინებით განხილულია აღნიშნული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობა.

**აშშ-ის** ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის მიწურულიდან მოყოლებული მსოფლიოში პირველია ნომინალური მშპ-ს მიხედვით.[46] ამავე დროს იგი ერთ-ერთი ყველაზე დივერსიფიცირებულია მსოფლიოში. ამერიკული წარმატება გახლავთ გარემოებათა უნიკალური შედეგი. აშშ-ის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია მკვეთრი პოსტინდუსტრიალიზმი, ანუ დიდი ადგილი უჭირავს ინოვაციებით გაჯერებულ ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას, მშპ-ის უდიდესი ნაწილი მომსახურებაზე მოდის, ძირითადად - განათლების, ჯანდაცვის, მეცნიერების საფინანსო სექტორზე, სხვადასხვა სახის პროფესიულ მომსახურებაზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე. მრეწველობის დარგები მშპ-ს 20,6%–ს შეადგენს, ხოლო სოფლის მეურნეობა 0,9%-ს.[47] გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან აღინიშნება აშშ

[46] https://data.worldbank.org/indicator/, ბოლოს გადამოწმებული 20.10.2017.
[47] Bureau of economic analyisis us deprtment of commerce https://www.bea.gov/ ბოლოს გადამოწმებული 20.10.2017.

ფირმების მიერ საკუთარი საწარმოების გადატანა უფრო იაფი რესურსების მქონე ქვეყნებში.

აშშ–ის წარმატების საფუძველი მის ფაქტორულ პირობებში უნდა ვეძიოთ. აშშ-ს აქვს უმდიდრესი წიაღისეული, კლიმატური, წყლის, მცენარეული და ნიადაგის რესურსები. წიაღისეული რესურსებიდან ცალკე უნდა აღინიშნოს ენერგოწყაროები – ნავთობისა და გაზის უდიდესი მარაგები. ამასთან, აშშ-ის უპირატესობა გამოიხატება არამარტო ამ რესურსების ფლობაში, არამედ დამატებით უპირატესობის შექმნასა და არსებულის გაუმჯობესებაში. ამას ხელს უწყობს „ტვინების მოდინების“ პროცესი, – აშშ-ის არსებობის პირველ ხანებში, თუ მსოფლიოს ყველა კუთხიდან იოლი ცხოვრების მოყვარული მიემგზავრებოდა აშშ-ში სათანადოდ შემუშავებული პოლიტიკის წყალობით, II მსოფლიო ომის პერიოდიდან მოყოლებული უკვე მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერები ხდებიან აშშ-ს მოქალაქეები. ამავე დროს სახელმწიფოს მიერ განათლებასა და მეცნირებაში დიდი ინვესტიციები იდება, რაც პირდაპირ აისახება აშშ-ს უმაღლესი სასწავლებლების რეიტიგზე.

აშშ-ის მოთხოვნის პირობები ეროვნული ბაზრის დიდი მოცულობის გამო თავისი მნიშვნელობით მეტოქეობას უწევს ფაქტორულ პირობებს. ბაზრის სიდიდე ამერიკული ფირმებისთვის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლისათვის ერთგვარი ხელისშემშლელი გარემოებაც კი გახლდათ, თუმცა, ამის მიზეზი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დასუსტებული ეკონომიკის მქონე საზღვარგარეთის ქვეყნების დაბალ მსყიდველობითუნარიანობაშიც უნდა ვეძიოთ. ამერიკული ბაზრის სიდიდეს უნდა მივაწეროთ ამერიკელი მწარმოებლების ორიენტირებულობა მასობივ საქონელზე და, შესაბამისად, იაფი და სტანდარტული პროდუქტის ნიშის ათვისება. კომფორტის მოყვარული ამერიკელი მომხმარებლის სურვილის გამოცნობამ გზა გაუხსნა ერთჯერადი გამოყენების საქონლის წარმოებას. ქვეყანაში ურბანიზაციის მზარდმა ტემმა, თავის მხრივ, ბიძგი მისცა სამომხმარებლო პროდუქციის – ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და გამოყენებისათვის მარტივი, მომხმარებლისათვის ერთგვარი ჰობის – დასვენების, საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად გამოსაყენებელი საქონლის წარმოებას. ეს ტენდენცია აშშ–ს ექსპორტზეც აისახა, წამყვანი ადგილი დაიკავა კინოფილმების, სხვადასხვა ჩანაწერის, ტელევიზორების, ფოტოაპარატებისა და ფოტომასალების ექსპორტმა. ამერიკელი მომხმარებლის ჩქარი ცხოვრების რიტმითა და მასზე მორგების სურვილით უნდა იახსნას სწრაფი კვების ობიექტებისა და ქსელური მაღაზიების გაჩენა. მომსახურების სფეროში სისტემატიზაციისა და სტანდარტიზაციის ტენდენციამ შემდგომში სხვა

ქვეყნებში განიცადა ექსპორტი. აშშ–ის საქონელზე მოთხოვნა და მისი კულტურა ერთგვარად ურთიერთდაკავშირებულია, ჰოლივუდის ფილმები, პოპ-მუსიკა და ინგლისური ენის საერთაშორისო სტატუსი ერთგვარ სტიმულს აჩენს საერთაშორისო დონეზე ამერიკული საქონელის შეძენისათვის და, პირიქით, კულტურულ ექსპანიას ისევ და ისევ აშშ მრეწველობის უპირატესობა უდევს საფუძვლად. აშშ-ის შიდამოთხოვნა თავისი მრავალფეროვნების და აშშ ეკონომიკის მასშტაბურობის გამო, ხშირ შემთხვევაში წინ უსწრებს და განსაზღვრავს საერთაშორისო მოთხოვნას.

მონათესავე და დამხმარე დარგების ჭრილში, ზოგადად, აშშ-ის ეკონომიკას ახასიათებს დარგების კლასტერიზაცია. არსებული და წარმოქმნის პროცესში მყოფი კლასტერები ხშირ შემთხვევაში ერთ რეგიონში თანაარსებობენ, სხვადასხვა დარგი ურთიერთდაკავშირებული არიან ერთმანეთთან, რაც ამერიკული ეკონომიკის წარ-მატებას უყრის საფუძველს.

ფირმების სტრატეგია, სტრუქტურა და მეტოქეობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამერიკული ფირმები სპეციალიზდებიან სტანდარტულ პროდუქციასა და მასობრივი მომსახურების გაწევაზე. წარმატების მისაღწევად გამოიყენება რეკლამა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხევით, აშშ-ს 2017 წლის მო-ნაცემებით 75,7 არც თუ ისე მოწინავე „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსი აქვს[48], მთელი რიგი ფაქტორები – ხელისუფლების სტაბილურობა, კანონის უზენაესობა, სხვა ქვეყნებთან შედარებით სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი საწარმოების მცირე წილი, დაფინანსებაზე ადვილი წვდომა, დაბალი საგადახადო განაკვეთები - განაპირობებენ ხელსაყრელ ბიზნეს გარემოს.

კერძო პირებისა და კომპანიების საქმიანობა დაფუძნებულია თვითდაჯერებუ-ლებაზე, რასაც განაპირობებს ანტიტრესტული კანონებით გამტკიცებული ჯანსაღ კონკურენციულ გარემოში შემდგომი წარმატებისკენ სწარფვა.

სახელმწიფო როლი – აშშ-ს ხელისუფლება მრეწველობის განვითარებაში ირიბად მონაწილეობს, რაც ძირითადი ფაქტორების შექმნით გამოიხატება, – ინვეს-ტიციები იდება განათლებაში, მეცნიერებასა და ინფრასტრუქტურაში, ხდება ანტიტ-რესტული პოლიტიკის გატარება და თავისუფალი ვაჭრობის ხელის შეწყობა.

შემთხვევითი ფაქტორები მოიცავს ზემოთ განხილულ ძირითად ფაქტორებს. ხაზგასასმელია, რომ აშშ გეოგრაფიული მდებარეობის გამო მოშორებულია მსოფ-

[48] http://www.heritage.org/index/country/unitedstates, ბოლოს გადამოწმებული 04.02.2018.

ლიოში მიმდინარე წარსულისა და ახლანდელ დროში მიმდინარე კატასტროფებს (მსოფლიო ომები, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე დაპირისპირებები, რამაც ევროპაში საემიგრაციო კრიზისი გამოიწვია). ეს კი ამერიკულ ფირმებს უპირატესობას ანიჭებს.

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის** ეკონომიკა მშპ-ის ოდენობის მიხედვით პირველია ევროპის მასშტაბით, მსოფლიოში კი მეოთხეა.[49] ქვეყანა ევროკავშირისა და ევროზონის დამფუძნებელია. მისი ეკონომიკა შეიძლება დახასიათდეს, როგორც სოციალური საბაზრო ეკონომიკა. აშშ-ს სტატისტიკური აღწერის ბიუროს 2016 წლის მონაცემებით გერმანია დადებითი სავაჭრო ბალანსით 301,4 მლრდ აშშ დოლარი, მეორეა მსოფლიოში ევროკაშირის შემდეგ (ევროკავშირის ყველა წევრის ქვეყნის სავაჭრო ბალანსი 2015 წლის მონაცემებით, ერთიანად 351,9 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს). ამავე ორგანიზაციის 2016 წლის მონაცემებით გერმანია 128,3 მლრდ აშშ დოლარით მეოთხეა ექსპორტიორი ქვეყნების სიაში. მომსახურების სექტორი მშპ-ის 70%-ს შეადგენს, მრეწველობა - 29,1%-ს სოფლის მეურნეობა - 0,9%-ს, ეროვნულ შემოსავალში კი ექსპორტი 41%-ს იკავებს.[50] საექსპორტო საქონელში შედის სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები, ელექტრონაწარმი და მოწყობილობები, ფარმაცევტული ნაწარმი, ავტონაწილები, არაკეთილშობილი ლითონები, სურსათი, რეზინი და პლასტმასი. გერმანიის ეკონომიკა მნიშვნელოვნად კლასტერიზებულია. ყველაზე მნიშვნელოვან კლასტერს წარმოადგენს ქიმიური მრეწველობა.

ფაქტორული პირობები – თუ არ ჩავთვლით რკინისა და ქვანახშირის მარაგებს, გერმანია, მწირი ბუნებრივი რესურსები აქვს, ასევე უნდა აღინიშნოს სხვა ქვეყნებთან შედარებით ენერგოწყაროების სიძვირე. ამიტომ დიდი კონცენტრაცია კეთდება ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე, მუდმივად ხდება ფაქტორული პირობების გაუმჯობესება, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების ტექნიკურ და პრაქტიკულ ორიენტაციას შეაქვს. ამის წაყლობით გერმანელ მუშაკებს კარგი თეორიული და პროფესიული მომზადება აქვთ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიას სამეცნიერო კვლევების დიდი ტრადიცია აქვს, ისეთ დისციპლინებში, როგორებიცაა: ქიმია, ფიზიკა, მეტალურგია და მედიცინა. კვლევები ტარდება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაფინანსებით, შედეგები კი

[49] https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?end=2015&start=2014&year_high_desc=true, ბოლოს გადამოწმებული 20.10.2017.
[50] https://www.census.gov/, ბოლოს გადამოწმებული 20.10.2017.

ავტომატურად აისახება შესაბამის მრეწველობის დარგებში. ამასთან, სამუშაო ძალის სიძვირის გამო უნდა აღინიშნოს გერმანულ საწარმოებში მექანიზაციის მაღალი დონე, რაც, თავის მხრივ, ტექნიკურ პროგრესს უწყობს ხელს.

მოთხოვნის პირობები - გერმანიის შიდა ბაზრის სიდიდე განაპირობებს ადგილობრივი მოთხოვნის მნიშვნელობას. ადგილობრივი მოთხოვნის ხარისხი გერმანელ მეწარმეებს საშუალებას აძლევს გარე ბაზარზე შესვლამდე სათანადოდ მოძლიერდნენ.

მონათესავე და დამხმარე დარგების ჭრილში გერმანია ძლიერია მრეწველობის მთელ რიგ დარგებში. მიმწოდებლების და მყიდველების ურთიერთგავლენა დადებითად აისახება ნოვაციებზე, - უკვე არსებული პროდუქტის გაუმჯობესებასა და ახალი მეთოდების დანერგვაზე.

ფირმების სტრატეგია, სტრუქტურა და მეტოქეობა - გერმანული კომპანიების უმეტესობა წარმოადგენს, გერმანული მასშტაბის მიხედვით, მცირე ან საშუალო საწარმოს. ფირმის მენეჯმენტში აისახება გერმანული წესრიგისა და დისციპლინის სიყვარული. კონსერვატიულ ბუნებასთან დაკავშირებულ სიახლეების მიმართ სიფრთხილე განაპირობებს აგრესიული მარკეტინგის მეთოდებისგან თავის არიდებას, შესაბამისად, მოკლე სასიცოცხლო ციკლის მწარმოებელი დარგები წარმატებას ვერ აღწევენ. გერმანულ ფირმებში მუშახელსა და მმართველობით ორგანოებს შორის ტრადიციულად კარგი ურთიერთობის შედეგად მწარმოებლურობის მიმართ მოტივაცია მაღალია ყველა იერარქიულ დონეზე. ფირმების ტექნიკური ორიენტაცია განაპირობებს არა საფასო, არამედ პროდუქციის დიფერენციაციისა და ხარისხის გაუმჯობესების გზით წარმოებულ კონკურენციას. შიდა ბაზარზე მოთხოვნის მაღალი ხარისხი, საერთაშორისო ბაზრებზე წარმატების წინაპირობას ქმნის.

მთავრობის როლი – გერმანიის მთავრობის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში გაწონასწორებულია. ხელისუფლების დეცენტრალიზაციის შედეგად ფაქტორული პირობების შექმნაში მონაწილეობს, ფედერალური, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების დონეები. უნდა აღინიშნოს მთავრობის მიერ გატარებული გარემოს დაცვის მკაცრი პოლიტიკა.

შემთხვევითი ფაქტორები - ორი მსოფლიო ომის დამანგრეველი ზეგავლენა, ინფრასტრუქტურის განადგურება, ასევე, მასთან დაკავშირებული კვალიფიცირებული მუშახელის დაკარგვა, ძველი ტექნოლოგიებისა და ახლის შექმნის აუცილებლობა – რასაც თან სდევდა გერმანული ეკონომიკის სასწაული.

**იტალიის** ეკონომიკა სიდიდით მესამეა ევროზონაში, ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდით კი მსოფლიოში მე–8 ადგილს იკავებს. ქვეყნის ექსპორტი 2016 წლის მონაცემებით 514 მლრდ აშშ დოლარით მე–8-ა მსოფლიოში, ეკონომიკის სიდიდით კი - მე–9 ადგილზეა.[51] იტალიის ეკონომიკა, უმეტისწილად, შედგება მომსახურებისა (დასაქმებული მუშახელის 65%) და მრეწველობისგან. მომსახურების სექტორის მნიშვნელოვანი დარგებია საცალო ვაჭრობა და ტრანსპორტი. მრეწველობაზე მოდის იტალიის პროდუქციის 1/4. მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რიცხვი მთელი სამუშაო ძალის 30%-ს შეადგენს. ქვეყნის მრეწველობა ძირითადად მოიცავს მცირე და საშუალო საწარმოებს, რომლებიც მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებაზე არიან სპეციალიზებული, უმეტეს მათგანს ოჯახები განკარგავენ. სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული მუშახელი მთლიანი სამუშაო ძალის 4%–ს შეადგენს. ეკონომიკური განვითარების მიხედვით ქვეყანა შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად, – მაღალ ინდუსტრიულიზებულ ჩრდილოეთად და მასთან შედარებით დაბალგანვითარებულ სამხრეთად. ჩრდილო იტალიაზე მოდის ქვეყნის ეკონომიკის 54,8%, მაშინ, როცა მისი მოსახლეობის წილი 45,8%-ს შეადგენს.[52]

ფაქტორული პირობების კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით იტალიის შეძენილი და მემკვიდრეობით მიღებული უპირატესობები მწირია. სამუშაო ძალასთან მიმართებით იკვეთება განათლების საშუალოზე მაღალი დონე, რაც დიდი ხელფასების გამო, მისი სიძვირის, ძლიერი პროფკავშირებისა და სუსტი სამუშაო ეთიკის შედეგად ნეიტრალდება. იტალიის განათლების სისტემა, ტექნოლოგიების სფეროს გამოკლებით, დადებითად შეიძლება დახასიათდეს. ხაზგასასმელია ცალკეულ დარგებში არსებული მდიდარი ტრადიციები, რომლებიც განათლების სექტორის პარალელურად მუშახელის კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბებას განაპირობებენ.

მოთხოვნის პირობები იტალიის ძლიერი მხარეა. ადგილობრივი მომხმარებლის სტანდარტი მსოფლიოში არსებულ სტანდარტზე მაღალია, რაც, ზოგადად, ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობასთანაა დაკავშირებული. სიახლეების ადვილად ათვისების უნარი განაპირობებს მსოფლიოს უახლესი ტენდენციების ასახვას ქვეყნის შიდა მოთხოვნაზე და შემდეგ მის არეკვლას წარმოებაზე. მომხმარებლის მოთხოვნა მაღალი ხარისხობრივი სტანდარტით გამოირჩევა მოდური საქონლის (ტანსაცმელი,

[51] https://www.census.gov/, ბოლოს გადამოწმებული 20.10.2017.
[52] Mangiameli, Stelio. Il regionalismo italiano tra tradizioni unitarie e processi di federalismo. Milano: Giuffrè 2012.

ავეჯი, საყოფაცხოვრებო ტექნიკის) მიმართ. მოთხოვნის ადეკვატურია მიწოდება. იტალია წარმატებულია არაელასტიკური და ინტენსიური მოთხოვნის მქონე დარგებშიც, - ინფრასტრუქტურასა და მშენებლობის სექტორში. იტალიურმა ეკონომიკამ შედარებით მოგვიანებით დაწყო ეკონომიკური ზრდა. ადგილობრივმა ბაზარმა გაჯერების შემდეგ დაიწყო იტალიური საქონლის ექსპორტი, იტალიური სტილი დამკვიდრდა საერთაშორისო სარბიელზე.

დამხმარე და მონათესავე დარგები – იტალიური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია წარმოების სპეციალიზებული და ერთმანეთში გადახლართული ჯაჭვი. ფირმების ვიწრო სპეციალიზაციის გამო ვერტიკალური ინტეგრაციის დონეები ღრმა არაა. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში კარგადაა განვითარებული საინფორმაციო საშუალებები, რაც მსოფლიო მასშტაბით განაპირობებს იტალიიის ეკონომიკის დარგების სიახლეებზე წვდომასა და, შესაბამისად, იტალიური პროდუქციის რეკლამას.

ფირმების სტრატეგია, სტრუქტურა და მეტოქეობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო კონკურენციაში ჩართული იტალიური ფირმების უმრავლესობა მცირე და საშუალო ზომისაა, რაც შეიძლება აიხსნას კაპიტალის დეფიციტითა და მმართველობის განსაკუთრებული სტილით, იერარქიული მმართველობის უგულვებელყოფით და „ახლობლური ურთიერობებისათვის“ უპირატესობის მინიჭებით. ფირმები არ ხასიათდებიან პროდუქციის დივერსიფიკაციით, პირიქით, აქცენტს ვიწრო სპეციალიზაციაზე აკეთებენ და პროდუქტში სიახლეების დანერგვით, ნოვაციებით, ცდილობენ ერთმანეთთან კონკურენციას. ამავე დროს, ისევ და ისევ „ახლობლური ურთიერთობების“ წყალობით მათ ახლო კონტაქტი აქვთ თავიანთ მომხმარებელთან და მაქსიმალურად ითვალისწინებენ მათ მოთხოვნას, ამყარებენ დამატებით კავშირებს თავიანთი საქონლის გასაღების გასაზრდელად. იტალიური ფირმებისათვის დამახასიათებელია შემოქმედებითობა, შესაბამისად, მასობრივი სტანდარტული წარმოება წარმატებული არ არის. ამასთან, რისკის სიყვარული და დამოუკიდებლობის სურვილი ხელს უწყობს ახალი საწარმოების დაფუძნებასა და, შესაბამისად, კლასტერების განვითარებას.

მთავრობის როლი იტალიური საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში სუსტია და, ძირითადად, არაეფექტიანად მიმართული წამგები საწარმოების დასახმარებლად და რეგიონული უთასწორობის დასაძლევად.

ისმის კითხვა, თუ რომელი მოდელი იქნება საქართველოსთვის უკეთესი, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმაპირობებელ ფაქტორთა და თავად ქვეყნის გან-

ვითარების განსხვავებულ თავისებურებათა გამო, მარტივი პასუხი არ არსებობს. უნდა ითქვას, რომ ქვეყანას განვითარების რაღაც ეტაპზე შესაძლოა არ გააჩდეს კონკურენტუნარიანობის ამაღლების მკვეთრად გამოკვეთილი მიმართულებები (იტალიის მაგალითი) და საბაზრო ეკონომიკის კანონების – უპირველეს ყოვლისა, შეჯიბრებითობის პრინციპის ხელშეუხებლობით არ გადაუხვიოს ეკონომიკური განვითარების სწორ გზას. ეს ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, წარსულის გეგმური ეკონომიკის წარუმატებელი რეფორმების მძიმე შედეგების გამო, გამორიცხულია, - წარსული შეცდომები სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად აქტიურ ჩარევას მოითხოვს. ამისათვის კი საჭიროა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურების გათვალისწინებით წარმოდგენილი სხვა მოდელებიდან გადმოვიტანოთ შესაფერისი ელემენტები. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს პროდუქციისა და გასაღების ბაზრების დივერსიფიკაცია; არსებული რეალობიდან გამომდინარე, „ტვინების გადინების“ პროცესის შეჩერების კვალ-დაკვალ ტალანტების მოზიდვის აქტიური პროცესი; ინვესტიციების ჩადება განათლებასა და კვლევებში, რაც ხელს შეუწყობს ამ პროცესს, ასევე კვლევის შედეგის – ნოვაციების გზით გამოიწვევს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და მის დივერსიფიკაციას. ქართული პროდუქციის ძლიერ მხარეებთან მიმართებით, უნდა ითქვას, რომ ქართული ეკონომიკის მასშტაბურობის, ასევე, არსებული რესურ-სების გათვალისწინებით, გამორიცხულია მასობრივ, იაფ წარმოებაზე გაკეთდეს აქცენტი, გზა მის საპირისპირო ხარისხიან და გარკვეული ნიშნით უნიკალურ პროდუქციას უნდა გაეხსნას.

## თავი 2. ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა და პრიორიტეტული დარგების ფორმირების საფუძვლები

### 2.1. კონკურენტუნარიანობა და მისი მომიჯნავე ეკონომიკური კატეგორიები

ეკონომიკური კეთილდღეობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შედეგად მიიღწევა, რაც, თავის მხრივ, კარგად შემუშავებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ, როგორებიცაა: კონკურენტუნარიანობა, ინოვაცია და მწარმოებლურობა. ხშირ შემთხვევაში ხდება ამ ფაქტორების ერთმანეთში არევა, იმის მიუხედავად, რომ თითოეულ მათგანს თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელოვანი როლი აქვს საბოლოო მიზნის – ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევაში.

ვინაიდან კონკურენტუნარიანობის შესახებ სხვადასხვა ავტორთა შეხედულებები განვიხილეთ წინა თავში, მასზე აქ აღარ შევჩერდები.

ინოვაცია უკავშირდება მწარმოებლურობას და, შესაბამისად, კონკურენტუნარიანობას. იგი განვითარების პროცესის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს და გლობალური კონკურენციის პირობებში მის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა. ინოვაციის განმარტება მოცემულია ი. შუმპტერის მიერ – „ინოვაცია ესაა წარმოების მუტაციის პროცესი, რომელიც ეკონომიკურ სტრუქტურაში შიგნიდან ახდენს რევოლუციას და ძველის დანგრევის ხარჯზე ქმნის ახალს.“[53] ინოვაციას იგი „კრეატიულ განადგურებას/კრახსა“ („creative destruction”) და კონკურენტუნარიანობის ძირითად გამწევ ძალას უწოდებდა და მიიჩნევდა, რომ ინოვაცია ერთადერთია, რაც მნიშვენლოვანია ისტორიაში. მეცნიერმა გააკეთა დასკვნა, რომ ყველას, ვისაც სურს ნახოს მოგება, უნდა იყოს ინოვაციური. იგი განარჩევდა 5 სახეობის ინოვაციას:[54]

1. ახალი პროდუქტის, ან უკვე არსებული პროდუქტის ახალი სახეობის გამოშვება;

2. წარმოების ან გაყიდვების ახალი, აქამდე უცნობი მეთოდის დანერგვა;

3. მრეწველობის რომელიმე დარგის აქამდე არარსებული ბაზრის შექმნა;

4. ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატების მიწოდების ახალი წყაროების აღმოჩენა;

---

[53]Schumpter J.A., Capitalism, Socialism and Democracy, 3rd edition, London: George Allen and Unwin, 1976, გვ. 133.
[54]Schumpter J.A., The theory of economic development: an inquiry into profits, 1934, გვ. 32.

5. ახალი წარმოების სტრუქტურის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი მონოპოლიის შექმნას ან/და უკვე არსებული მონოპოლიის აღმოფხვრას.

ეკონომიკის თეორეტიკოსებში ქრონოლოგიური თვალსაზრისით ინოვაციის შესახებ მოსაზრებებს თავდაპირველად ვხვდებით კ. ფრიდმანთან, სიტყვებით „არ მისდიო ინოვაციას, ნიშნავს მოკვდე.[55] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი ინოვაციას ხელისუფლების დეცენტრალიზაციასთან აკავშირებდა, ცივილიზაციის უდიდესი მიღწევები, იქნება ეს არქიტექტურასა თუ ფერწერაში, მეცნიერებაში, ლიტერატურაში, მრეწველობასა თუ სოფლის მეურნეობაში, არასოდეს არაა დაკავშირებული ცენტრალურ ხელისუფლებასთან[56].

ევროკომისიის მიერ შემუშავებული ინოვაციის განმარტება შემდეგნაირია: „ინოვაცია არის ახალი პროდუქტის და პროცესის, ან არსებულის გაუმჯობესებისათვის ახალი ტექნოლოგიების, იდეებისა და მეთოდების კომერციულად წარმატებული ექსპლოტაცია. ინოვაცია არის ინტერაქტიული სწავლის პროცესის შედეგი, გულისხმობს რა კომპანიის მრავალი შიგა და გარე ფაქტორების ჩართულობას“[57]. დაახლოებით იმავენაირად განმარტავს ინოვაციას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, - „ახალი ან საგრძნობლად გაუმჯობესებული პროდუქტის (მატერიალური პროდუქტის ან მომსახურების) პროცესის, ახალი საბაზრო მეთოდის, სამუშაო ორგანიზაციის ან საგარეო ურთიერთობის შექმნა/დანერგვას“. [58] ინოვაცია სხვა თანამედროვე მკვლევართა სიტყვებით, - „კრეატიულობის კომერციალიზაციაა“[59] და გულისხმობს: „ორგანიზაციის (საწარმო – საქონლის მწარმოებელი, სერვისის მომწოდებელი ორგანიზაცია, კვლევითი ლაბორატორია) შიგნით წარმოების პროცესს (საინფორმაციო ტექნოლოგიებით, ავტომატიზაციით, ენერგოეფექტიანი სისტემებით); პროდუქტის (ახალი პროდუქტები და სერვისები, ახალი პროდუქტების მოდელები გაუმჯობესებული ხარისხით); ორგანიზაციული მოქნილობის (მიწოდების სისტემის გაუმჯობესება, ქსელური კავშირები, მწარმოებლისა და მომხმარებლის ურთიერთობის გაუმჯობესება, და ა.შ.)

---

[55] Hart D.A., Innovation Clusters: Key Concepts, Department of Land Management and Development, and School of Planning Studies, the University of Reading, UK., 2000, გვ. 4.

56 Rose D. Friedman Capitalism and Freedom: Fortieth Anniversary Edition 2002, გვ. 85.

[57] Green Paper on Innovation, European Commission, The Innovation Programme, DG XIII, Luxemburg,1996, გვ. 54.

[58] Ministerial Report on the OECD Innovation Strategy Organization for Economic Cooperation and Development, 2010, გვ. 15.

[59] Simmie J., Hart D., Innovation Projects and Local Production Networks: A Case Study of Hertfordshire, European Planning Studies, 7, 1999, გვ. 447.

ტრანსფორმაციას“.[60] არსებული განმარტებების შეჯერებისას ეკონომისტი დავით დარსაველიძე ასკვნის, რომ ინოვაცია არის ახალი და არსებული ცოდნის გამოყენების ახლებური კომბინაცია, რათა შეიქმნას ან გაუმჯობესდეს 1. პროდუქტი, 2. წარმოების პროცესი ან 3. ორგანიზაცია დამატებითი კომერციული სარგებლის/წარმატების მისაღებად. მოცემული განმარტებების საფუძველზე დ. დარსაველიძე აღნიშნავს, რომ ინოვაცია სხვადასხვა ფორმით, მიმართულებით შეიძლება განვითარდეს და ტერიტორიის, მისი განვითარებით დაინტერესებულ მხარეებსა და მათ მიერ შერჩეულ მოდელზე არის დამოკიდებული.[61]

ინოვაცია უკავშირდება კონკურენტუნარიანობასა და მწარმოებლურობას, მაგრამ მათი სრული გაიგივება არ არის მართებული. მაგალითად, ცალკეული ტექნიკური დეტალის დახვეწამ შესაძლოა გააუმჯობესოს განსაზღვრული წარმოება, მაგრამ ამან შესაძლებელია გავლენა ვერ მოახდინოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე. ცალკეულმა ინოვაციამ შესაძლოა გააუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი, მაგალითად, ამინდის პროგნოზის მეთოდის გაუმჯობესების შედეგად გამოწვეულმა ძვრებმა, ირიბად შესაძლოა იმოქმედოს კონკურენტუნარიანობაზე. მაგრამ ახალი სამკურნალო/სატრანსპორტო საშუალების ან კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოგონება არა მარტო ზრდის მოცემული სამრეწველო სექტორის კონკურენტუნარიანობას, არამედ აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხსა და მწარმოებლურობასაც. ამგვარად, ინოვაციამ შესაძლებელია გააუმჯობესოს კონკურენტუნარიანობა და მწარმოებლურობა, მაგრამ არა ყოველთვის.

მწარმოებლურობის ზრდა მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს გლობალურ ბაზარზე გაყიდოს მეტი პროდუქცია და სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე მიაწოდოს იგი ბაზარს, რაც აისახება მათ კონკურენტუნარიანობის ზრდაზე. მწარმოებლურობას ყველაზე მარტივი განსაზღვრება აქვს, – დანახარჯის ერთ ერთეულზე მიღებული ეკონომიკური შედეგი. დანახარჯი შესაძლოა იყოს დროის ერთეულში გამოხატული შრომის მწარმოებლურობა ან მოიცავდეს დროის, დანადგარებისა და ენერგიის გამოყენებას (მთლიანი ფაქტორების გამოყენებას). მიუხედავად საკმაოდ მარტივი განმარტებისა, მისი სხვადასხვანაირი გაგება ხდება. მაგალითად, ჩინეთში წარმოების გადატანამ, ცალკეულთა მტკიცებით, იქ არსებული მცირეხელფასიანი სამუშაო ძალის არსებობის მიზეზით, შესაძლებელია გამოიწვიოს მწარმოებლუ-

[60] Komninos N., Intelligent Cities, Spon Press, UK, USA, Canada, 2002, გვ. 18.

რობის გაზრდა. ფაქტიურად კი სამუშაო ადგილების გადატანით შესაძლოა იგი შემცირდეს, რადგან ჩინურ ფირმებში დასავლურ ევროპულ ფირმასთან შედარებით უფრო ნაკლებად გამოიყენება მანქანა-დანადგარები და, შესაბამისად, ისინი ნაკლებად ეფექტიანია.

მწარმოებლურობის არსის უკეთ დასადგენად საჭიროა დავაზუსტოთ, რომ ეკონომიკის ზრდა შესაძლოა საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში სხვადასხვანაირად გამოიხატოს (მაგ., სამუშაო ძალის რაოდენობის ზრდით, რომელიმე დარგში მაღალტექნოლოგიური სეგმენტის წილის ზრდით). დასაქმებულების ზრდა არამდგრადი სტრატეგიაა, ამ შემთხვევაში არ ხდება არც მწარმოებლურობის და არც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდა. სექტორულ ზრდას – „ზრდის ეფექტს“ უწოდებენ. იგი განისაზღვრება არა ცალკეული სექტორის ქვეყნის ეკონომიკაში წილის ზრდით, არამედ მაშინ, როცა მაღალი და დაბალპროდუქტიანი სექტორები ერთბაშად ხდება უფრო მწარმოებლური. ეს შეიძლება სამი გზით განვითარდეს: 1.როდესაც ყველა ფირმის მწარმოებლურობა იზრდება; 2.დაბალი მწარმოებლურობის ფირმები კარგავენ ბაზრის წილს მაღალი მწარმოებლურობის ფირმების სასარგებლოდ (მაგ., ნაკლებად ეფექტიანი ნაბეჭდი წიგნების გამომცემლობის ნაცვლად, მყიდველთა პრიორიტეტის ცვლილების გამო, ბაზრის წილს იკავებს უფრო მაღალი მწარმოებლურობის მქონე ელექტრონული წიგნების გამოცემა). 3. ამ სახის ზრდა მსგავსია ზემოთ მოყვანილი ბოლო მაგალითისა. ამ შემთხვევაში ხდება დაბალი მწარმოებლურობის სექტორის მიზნობრივი ჩანაცლება მაღალი მწარმოებლურობის სექტორით. ასეთ ცვლილებას „გადატანის ეფექტს“ უწოდებენ. „გადატანის ეფექტის“ მაგალითია სოფლის მეურნეობის სექტორის დაბალი მწარმოებლურობის სამუშაო ადგილების გადანაცვლება მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიების  მაღალი მწარმოებლურობის სექტორში.[62]

ისმის კითხვა, თუ რომელი სტრატეგია „ზრდის ეფექტი“ თუ „გადატანის ეფექტია“ უფრო მნიშვნელოვანი. პასუხი დამოკიდებულია ეკონომიკის სიდიდესა და სექტორის ტიპზე. დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სავაჭრო სექტორის დიდი წილის გამო უფრო ეფექტიანია „ზრდის ეფექტი“. რაც უფრო ორიენტირებულია სექტორი შიდა მოხმარებაზე, მით უფრო მნიშვნელოვანია ზრდის ეფექტი. მაგალითად პატარა ქალაქში ავტომობილების მწარმოებელ ქარხანაში მაღალკვალიფიციური ტექნოლოგიის დანერგვისას იზრდება მწარმოებლურობა, შემცირებული

[62] Atkinson Robert D., Competitiveness, innovation and productivity: cleaning up the confusion, 2013.

ფასების შედეგად სარგებელს ნახავს მოცემული ფირმის ყველა მომხმარებელი ქვეყნის საზღვრებს შიგნით და მის გარეთ. თავად ქალაქი, სადაც ავტომობილების ქარხანაა განთავსებული, ეკონომიკურ სარგებელს ნახავს, თუ ქარხნის მწარმოებლურობა აისახება ხელფასების მომატებასა და მუშახელის რაოდენობის გაზრდაში. ზოგადად მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, როგორებიცაა: ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი სამრეწველო პოლიტიკა ფოკუსირებელია მწარმოებლურობის წახალისებაში. მრეწველობის სექტორის შეცვლა ძირითადად ხდება მრეწველობის სექტორების ნაკრების – მაღალი მწარმოებლურობის ჩანაცვლებით. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობის ყველა სექტორი, დაბალი მწარმოებლურობის მქონეც კი, ცდილობს თავისი შედეგის გაზრდას.

მაშასადამე, კონკურენტუნარიანობა, ინოვაცია და მწარმოებლურობა განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთის ახლო მდგომი ცნებებია. სტიმულირებული ინოვაცია ხელს უწყობს მწარმოებლურობასა და კონკურენტუნარიანობას. ინოვაცია ნიშნავს, რომ მომავლის პროდუქტი არა მარტო უფრო იაფი, არამედ უკეთესიც იქნება. სტიმულირებული კონკურენტუნარიანობა, ასევე მნივშნელოვანია. კონკურენტუნარიანი სექტორების გარეშე ქვეყნის ცხოვრების დონე შემცირდება, ვინაიდან მეტი თანხები დაინახარჯება იმპორტზე. დაბალი კონკურენტუნარიანობა უმალვე გამოიწვევს გავლენას სხვა მაჩვენებლებზე (სავაჭრო სექტორის ინოვაციებსა და მწარმოებლურობაზე). მწარმოებლურობა კი ეროვნულ დონეზე გამოიხატება, როდესაც ფირმების მწარმოებლურობა იზრდება ან/და დაბალი მწარმოებლურობის ფირმები/სექტორები კარგავენ ბაზრის წილს მაღალი მწარმოებლურობის ფირმების/სექტორების სასარგებლოდ.

ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია მიმართული უნდა იყოს მიზნობრივ საკითხებზე: ვაჭრობაზე, გადასახადებზე, ტექნოლოგიებზე. ეს გააძლიერებს რეგიონის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. ინოვაციის სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ინოვაციებისკენ მიმართულ გზაზე არსებული ბარიერების აღმოფხვრა (მაგ. ნორმატიული რეგულირება) და მხარდამჭერი სისტემების (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, განათლება) გამართული მუშაობა, რაც მიგვიყვანს სამივე სექტორში (სამრეწველო, არასამრეწველო, სამთავრობო) ინოვაციების სტიმულირებისკენ.[63] მწარმოებლურობის სტრატეგია მისი ზრდის ხელის შემშლელი ბარიერების დასადგენად შეისწავლის ქვეყნის ეკონომიკის ყველა ძირითად სექტორს

[63] Manyika James et al., How to Compete and Grow: A Sector Guide to Policy, McKinsey & Company, 2010.

და მის ფუნქციებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამ სტრატეგიას სხვადასხვა მიზანი აქვს, მათი ხშირი ურთიერთგადაკვეთის გამო უმეტეს შემთხვევაში ხდება მათი თავმოყრა და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში გაერთიანება.

## 2.2. საქართველო ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რეიტინგში

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახვა ხდება საერთაშორისო რეიტინგებში. რეიტინგების შემადგენელი ინდიკატორები, რომლებიც მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს, გვაწვდიან ახალ კომპლექსურ მონაცემს, რომლებიც სხვა ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელთან თავისუფლად შეიძლება შედარდეს. მეორე მხრივ, საერთაშორისო რეიტინგებში დაკავებულ მოწინავე ადგილს, რეიტინგების პრესტიჟულობიდან გამომდინარე, თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის იმიჯზე, შესაბამისად, გარკვეულწილად მის კონკურენტუნარიანობაზე. ეკონომიკური რეიტინგები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევენ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის, შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე გავლენის მომხდენი მნიშვნელოვანი ცალკეული რეიტინგები და მათი შემუშავების მეთოდოლოგია განხილულ იქნა წინა თავში. წინამდებარე ქვეთავში განხილულულია საქართველოს პოციზია უკვე ნახსენებ და სხვა სპეციფიკურ რეიტინგებში.

მსოფლიოს ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში“, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ქვეყანაში, ბიზნესრეგულაციებსა და საკუთრების დაცვას, საქართველოს 2018 წელს 190 ქვეყანას შორის მე–9 ადგილი უკავია ქვეყნების დაშორებით საუკეთესო მაჩვენებლიდან (DTF) – 82.04 (2.12 პუნქტიანი წინსვლა).

2003 წლიდან საქართველოში განხორციელდა 47 რეფორმა როგორც ინსტიტუციური, ასევე მარეგულირებელი გარემოს დახვეწის კუთხით. მნიშვნელოვანი რეფორმებიდან აღსანიშნავია:

• ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის შემცირება;

• „ერთი სარკმლის პრინციპი“ და „დუმილი თანხმობის ნიშანია“ შექმნა სალიცენზიო აპლიკაციებისათვის;

• საგადასახადო კოდექსის გამარტივება;

• ქონების დარეგისტრირებისათვის საჭირო დროისა და ღირებულების შემცირება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის კეთების სიმარტივის პარამეტრებით საქართველო 2005 წელს გახდა ტოპ–რეფორმატორი.

საქართველო პირველ ათეულშია შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

• ბიზნესის დაწყება – მე-4 პოზიცია;

• ქონების რეგისტრაცია – მე-5 პოზიცია;

• მინორიტარული ინვესტორების (მცირე აქციონერთა) უფლებების დაცვა – მე-2 პოზიცია;

• კონტრაქტის აღსრულება – მე-7 პოზიცია.

გარდა ამისა, გაუმჯობესდა ცალკეული კომპონენტები. კერძოდ, ელექტროენერგიის ქსელზე მიერთება - 30-ე ადგილი (2017 წელს 39-ე ადგილი), რაც გამოიხატება ბიზნესისთვის ელექტროენერგიის ქსელზე მიერთების საფასურისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების რაოდენობის შემცირებით. ასევე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გადახდისუნარიანობის კომპონენტი - 57-ე ადგილი (2017 წელს 106-ე), რაც გამოწვეულია 2017 წლის მაისში „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში მომხდარი ცვლილებით. ამ ცვლილებით გაძლიერდა როგორც მოვალის, ასევე კრედიტორ(ებ)ის უფლებების დაცვა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საგრძნობლად გართულდა მშენებლობის ნებართვის გაცემა. ამ პოზიციაში საქართველო 29-ე ადგილზეა (2017 წელს მე-8 ადგილი), რაც ურბანული გარემოს არახელსაყრელი ტენდენციების აღმოფხვრასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

როგორც  დიაგრამიდან 2.2.1 ჩანს, ბოლო 4 წელიწადის განმავლობაში ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში საქართველო საერთო მაჩვენებელს ამაღლებს, რაც ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე მიუთითებს. მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით რეიტინგში დადებითი ცვლილება გამოწვეულია ინვესტორთა უფლებების დაცვის გაძლიერებით, აგრეთვე ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვის შედეგად ექსპორტისა და იმპორტის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაფორმების დაჩქარებით და ცალკეული საგადასახადო პროცედურების, კერძოდ, დღგ-ს გადახდის წესის გამარტივების შედეგად.[64]

დიაგრამაში 2.2.2 ნათლად ჩანს, რომ საქართველო ლიდერია მეზობელ ქვეყნებთან მიმართებით და ამავე დროს საგრძნობლად გაიუმჯებესა პოზიცია ბოლო 12 წლის მანძილზე.

[64] http://www.doingbusiness.org/reports, ბოლოს გადამოწმებული 20.02.2018.

**დიაგრამა 2.2.1. საქართველოს პოზიცია ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში 2012–2018 წწ.**




**დიაგრამა 2.2.2.**

**საქართველო, მსოფლიოს წამყვანი და რეგიონის ქვეყნები ბიზნესის სიმარტივის რეიტინგში.**




მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 2017 წლის ანგარიშში საქართველოს 2015 წლის მონაცემების გათვალისწინებით მე–8 ადგილი უკავია (იხ. დიაგრამა 2.2.3, დიაგრამა 2.2.4) მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის რეიტინგი დგება 5 პარამეტრის მიხედვით: 1) მთავრობის ზომა (მთავრობის დანახარჯი, ტრანსფერები და სუბსიდიები, სახელმწიფო საწარმოები და ინვესტიციები, ზღვრული საგადასახადო განაკვეთი); 2) სამართლებრივი სტრუქტურა და საკუთრების უფლების დაცვა (სასამართლოს დამოუკიდებლობა, მიუკერძოებელი სასამართლო, საკუთრების უფლების დაცვა, პოლიტიკასა და კანონის უზენაესობაში სამხედრო ჩარევა, კონტრაქტების სამართლებრივად ძალაში შესვლა, მარეგუ-

ლირებელი შეზღუდვები საკუთრების გაყიდვაზე, პოლიციის საიმედოობა, დანაშაულთან დაკავშირებული ბიზნესდანახარჯები); 3) მყარი ვალუტა (ფულის რაოდენობის ზრდა, ინფლაციის სტანდარტული გადახრა, ინფლაცია უკანასკნელ წელს, უცხოური ვალუტის ფლობის თავისუფლება); 4) საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება (ტარიფები, რეგულირების ბარიერები ვაჭრობაში, შავ ბაზარზე გაცვლითი კურსები, კაპიტალისა და ხალხის მოძრაობის კონტროლი); 5) რეგულაციები (საკრედიტო ბაზრის რეგულირება, შრომის ბაზრის რეგულირება, ბიზნესრეგულირება). აღნიშნულ რეიტინგში წინსვლა განპირობებულია ისეთ სფეროებში წინსვლით, როგორებიცაა ფინანსების ხელმისაწვდომობა, საკანონმდებლო სისტემისა და საკუთრების უფლების დაცვა.[65]

**დიაგრამა 2.2.3.**

**რეიტინგის ცვლილება 2012–2015 წწ. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ანგარიშის მიხედვით**




დიაგრამიდან 2.2.3. ჩანს, რომ საქართველომ ერთი ადგილით დაიხია უკან, რაც გამოწვეულია სამართლებრივი სტრუქტურისა და საკუთრების უფლების დაცვის, ასევე, მყარი ვალუტის კომპონენტებში პოზიციის გაუარესებით. ამასთან, გაუმჯობესდა ცალკეული კომპონენტების. მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობის კომპონენტში საქართველოს მდგომარეობა 2 პოზიციით გაუმჯობესდა; რეგულაციების გამჭვირვალობის სისტემა – 3 პოზიციით; მთავრობის ზომის კომპონენტი კი გაუმჯობესდა 3 პოზიციით.

[65]https://www.fraserinstitute.org/, ბოლოს გადამოწმებული 20.02..2018.

დიაგრამადან 2.2.4 ჩანს, რომ საქართველო რეგიონში ლიდერია ამ რეიტინგის მიხედვითაც და ამავე დროს უსწრებს ცალკეულ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს.

**დიაგრამა 2.2.4.**

**საქართველო და სხვა ქვეყნები ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით**




თავისუფლების ინდექსის მიხედვით (The Heritage Foundation) საქართველო 2018 წელს მე-16 პოზიციაზეა და წინ უსწრებს პოსტსაბჭოთა, აღმოსავლეთ ევროპისა და მეზობელი ქვეყნების უმეტესობას, 180 ქვეყანას შორის 76,2 ქულით (იხ. დიაგრამა 2.2.5), ევროპის მასშტაბით კი მე–9 ადგილზეა (44 ქვეყანას შორის). აღსანიშნავია, რომ 1996 წელს საქართველო 123–ე პოზიციაზე იმყოფებოდა (იხ. დიაგრამა 2.2.6). [66] The Heritage Foundation -ის ანგარიშის მიხედვით საქართველოს საერთო ქულა გაუმჯობესდა 0,2-ით. მიუხედავად ამისა, წინა წელთან შედარებით საქართველომ 3 პოზიციით უკან დაიხია. ინდექსში პოზიციები საკუთრების უფლების, მთავრობის სამართლიანობის, კორუფციისგან თავისუფლების, გადასახადის ტვირთის, ბიზნესის თავისუფლების, შრომითი უფლებების, მონეტარული თავისუფლებისა და ვაჭრობის თავისუფლების მიმართულებით გაუმჯობესდა. საკუთრების უფლებებში არსებული

[66] http://www.heritage.org, ბოლოს გადამოწმებული 20.02.2018.

წინსვლა დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ კონტრაქტების აღსრულების ხარისხის გაუმჯობესებასთან და ასევე სასამართლო რეფორმების განხორციელებასთან. ბიზნესის თავისუფლების კატეგორიაში საქართველოს დაწინაურება განაპირობა ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურების სიმარტივემ, მუშახელის არასახელფასო ხარჯის დაბალმა დონემ, ბიზნესის სავალდებულო საწყისი კაპიტალის არარსებობამ და ბიზნესის რეგულირების ეფექტიანმა მექანიზმებმა.

**დიაგრამა 2.2.5.**

**საქართველო და სხვა ქვეყნები ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით 2018 წ.**




**დიაგრამა 2.2.6.**

**საქართველოს რეიტინგის ცვლილება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით 1996–2018 წწ.**



სასამართლოს ეფექტიანობის, მთავრობის დანახარჯების, ფისკალური სიჯანსაღის, საინვესტიციო გარემოს თავისუფლების, ფინანსური თავისუფლების მიმართულებით კი საქართველოს პოზიცია გაუარესდა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტურიანობის ინდექსის მიხედვით 2017–2018 წლებში 137 ქვეყანას შორის საქართველო 67–ე პოზიციაზე იმყოფება. საქართველოს სარეიტინგო ქულა 4,28-ის (4,32 წინა წლის მაჩვენებელი) შეადგენს. ქვეყნის პოზიცია 8 საფეხურით გაუარესდა[67].

დიაგრამაზე 2.2.7 ასახულია საქართველოს რეიტინგის ცვლილება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტურიანობის ინდექსის მიხედვით.

**დიაგრამა 2.2.7.**

**საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგის ცვლილება 2004–2018 წწ.**




ცხრილში 2.2.1 ასახულია 2016-2017 წწ-ისა და 2017-2018 წწ-ის საქართველოს პოზიციები 12 მაჩვენებლის მიხედვით და მათი სხვაობა. არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს პოზიციების უკან დახევის ძირითადი მიზეზი, სხვა ქვეყნების მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს, თუმცა ამ შემთხვევაშიც იკვეთება საქართველოს ჩამორჩენა საერთაშორისო ტენდენციებთან მიმართებით.

საქართველოს ყველაზე რთული მდგომარეობა, ისევე როგორც უწინ, ქვეყნის განვითარების მე-3 საფეხურის მაჩვენებლებთან განსაკუთრებით ინოვაციების მიმართულებით აქვს. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ის რეიტინგში 118–ე ადგილზეა. კომპანიების მხრიდან დაბალი ინოვაციურობის დონე კვლევაზე (R&D) დახარჯულ მცირე თანხებსა და ქვეყანაში კვალიფიციურ ინჟინერთა და მეცნიერთა მცირე რაოდენობასთანაა დაკავშირებული. ბაზრის მოცულობა (1 პოზიციით გაუმჯობესება) და ბიზნესის განვითარება ასევე რჩება პრობლემად, თუმცა სხვა მაჩვენებლებისგან

[67] https://www.weforum.org, ბოლოს გადამოწმებული 20.02.2018.

გასხვავებით, როგორც ცხრილიდან ჩანს, გვაქვს გარკვეული პროგრესი, ისევე, როგორც უმაღლესი განათლებისა და ტრენინგის მაჩვენებელში (2 პოზიციით გაუმჯობესება), რაც უდავოდ იმედის მომცემია.

**ცხრილი 2.2.1.**

**საქართველოს პოზიციების ცვლილება 2016-2017 წწ-სა და 2017-2018 წწ-ში გლობალური კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების მიხედვით.**

| **გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი** | 2016-2017 | | 2017-2018 | | |
|---|---|---|---|---|---|
| | პოზიცია | ქულა | ოზიცია | ქულა | სხვაობა |
| | **59** | **4.32** | **67** | **4.8** | **-8** |
| Iნსტიტუტები | 43 | 4.2 | 50 | 4.2 | -7 |
| Iნფრასრუქტურა | 65 | 4.1 | 69 | 4.2 | -4 |
| მაკროეკონომიკური გარემო | 40 | 5.2 | 48 | 5.1 | -8 |
| ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება | 64 | 5.9 | 69 | 5.2 | -5 |
| უმაღლესი განათლება და ტრენინგი | 89 | 4.1 | 87 | 4 | 2 |
| სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა | 46 | 4.6 | 50 | 4.5 | -4 |
| შრომის ბაზრის ეფექტიანობა | 43 | 4.5 | 53 | 4.4 | -10 |
| საფინანსო ბაზრის განვითარება | 58 | 4.2 | 63 | 4.1 | -5 |
| ტექნოლოგიური მზაობა | 65 | 4.2 | 70 | 4.3 | -5 |
| ბაზრის მოცულობა | 101 | 3 | 100 | 3.1 | 1 |
| ბიზნესის განვითარება | 102 | 3.6 | 99 | 3.7 | 3 |
| Iნოვაციები | 116 | 2.8 | 118 | 2.8 | -2 |

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის არასაკმარისი ხარისხი, ინფლაცია,

ეროვნულ სამუშაო ძალაში სუსტი სამუშაო ეთიკა, ინოვაციების არასაკმარისი შესაძლებლობა, არაეფექტიანი სამთავრობო ბიუროკრატია, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა, საგადასახადო განაკვეთების ოდენობა, საგადასახადო და უცხოური ვალუტის რეგულაციები, კორუფცია, სუსტი ჯანდაცვა, შემზღუდავი სამუშაო რეგულაციები, სამართალდარღვევები საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორებია.

დიაგრამა 2.2.8-დან ჩანს, რომ საქართველო კონკურენტუნარიანობის მიხედვით უსწრებს ევროკავშირის ქვეყნებს, - ხორვატიას (74-ე ადგილი) და საბერძნეთს (87–ე ადგილი), რეგიონის ქვეყნებიდან კი საქართველო მხოლოდ სომხეთსა (73-ე ადგილი) და უკრაინაზეა წინ (81–ე ადგილი).

**დიაგრამა 2.2.8.**

**საქართველოსა და ცალკეული ქვეყნების რეიტინგი 2015–2016 წწ გლობალური კონკურენტურიანობის ინდექსის მიხედვით**




2018 წლის თებერვალში 2017 წლის მონაცემების მიხედვით შედგენილ საერთაშორისო გამჭირვალობის კორუფციის აღქმის რეიტინგში საქართველო 180 ქვეყანას შორის 56 ქულით 46-ე პოზიციაზეა (2017 წელს 44-ე პოზიცია 57 ქულა, საკვლევი ქვეყნების რაოდენობა 176) ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა (ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოკლებით) და ცენტრალური აზიის რეგიონებს შორის პირველ პოზიციაზე (იხ. დიაგრამების 2.29 და 2.2.10).[68]

[68] http://transparency.ge/, ბოლოს გადამოწმებული 20.10.2017.

საქართველოში ანტიკორუფციული გარემო გამაუმჯობესებელი მიზეზებიდან უნდა აღინიშნოს: მედიის, სასამართლოს და საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებელობის ამაღლება, პარლამენტში პლურალისტურობის ხარისხის გაზრდა, ასევე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტის რაოდენობისა და ხარისხის ზრდა. „საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო“ კორუფციის მიზნით საჭიროდ მიიჩნევს საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო შესყიდვებისა და საარჩევნო სისტემის დახვეწას, ასევე, მთავრობაზე არაფორმალური გავლენის აღმოფხვრის კუთხით მთელი რიგი რეფორმების გატარებას.

**დიაგრამა 2.2.9.**

**საქართველოს პოზიცია კორუფციის აღთქმის ინდექსში 2002–2017 წწ.**




წარმოდგენილი მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ საქართველომ მხოლოდ მიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში გაიუმჯობესა პოზიციები. სხვა რეიტიგებში, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოკლებით (პოზიცია გაუარესდა 8 ერთეულით), მოხდა 1-3 ერთეულით პოზიციების უკან დახევა. ეს მეტად საყურადღებოა, ვინაიდან მსხვილი ინვესტორები სწორედ ასეთი ტიპის რეიტინგების შედეგების საფუძველზე იღებენ ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტიციების დაბანდების გადაწყვეტილებას.

**დიაგრამა 2.2.10.**

**საქართველო და მსოფლიოს ქვეყნები კორუფციის აღქმის ინდექსში. 2017 მონაცემების მიხედვით**




ამასთან, ამ ტენდეციას არ უნდა ჰქონდეს შეუქცევადი ხასიათი, რადგან რეგიონში ლიდერობა თვითმიზანი ვერ იქნება, შესაბამისად, სწორება განვითარებული ქვეყნების შედეგებზე უნდა იყოს. იმის გათვალისწინებით, რომსაქართველოს ცალკეულ ქვეყნებთან შედარებით თავისი რესურსებით გაუძნელ-დება ალტერნატიული გზებით რეიტინგებში ასახულ პრობლემებთან გამკლავება, და, ამავე დროს, არ გადაუხვიოს პროგრესისკენ მიმავალ დემოკრატიული გზას, საჭიროა ადეკვატური ნაბიჯები, პირველ რიგში, შესაბამისი ორგანიზაციების რეკო-მენდაციების შესრულება, წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რაც მიგ-ვიყვანს ბიზნესგარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესებისკენ და ასევე აისახება მწვავე გადაუჭრელ პრობლემებზე - ინოვაციებისა და კვლევის დაბალ მაჩვენებლებზე. ინოვაციებისა და კვლევის დაბალი მაჩვენებლები, ასევე, მათთან დაკავშირებული განათლების ხარისხი, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის პრინციპებით მართულ თანამედროვე სამყაროში წარმატების მისაღწევად, დაუყოვნებლივ გამოსწორებას საჭიროებს.

## 2.3. ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირების მექანიზმები

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირებაზე გავლენას ახდენენ როგორც გარე – ზოგადად მსოფლიოში არსებული, ასევე, შიდა – თავად ქვეყანაში არსებული ფაქტორები. გარე ფაქტორები შესაძლოა იყოს ზოგადად მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა, – მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს შორის არსებული დისბალანსი, საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ზეგავლენა მსოფლიო ვაჭრობასა და ენერგომატარებლების ფასის ცვლილებაზე, პოლიტიკური გადაწყვეტილებები ამა თუ იმ სატრანზიტო დერეფნისთვის უპირატესობის მინიჭების შესახებ და ასე შემდეგ. ცალკე გამოსაყოფია სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესის ზეგავლენა მსოფლიო გლობალურ ეკონომიკაზე, რაც უდიდეს გავლენას ახდენს როგორც პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ასევე შრომის დანაწილებაზე, ახალი მოთხოვნის გაჩენაზე და, შესაბამისად, ახალი დარგების წინ წამოწევაზე. ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პოლიტიკის პრიორიტეტების მაფორმირებელ შიდა ფაქტორებიდან აღსანიშნავია ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, განვითარების დონე და მოქმედი ხელისუფლების ნება მოკლევადიანი (ქვეყნის საბიუჯეტო წლის დაგეგმვა) საშუალო/გრძელვადიანი (ქვეყნის და სხვადასხვა დარგის განვითარების სტრატეგიები) დაგეგმილი ღონისძიებებით საფუძველი ჩაუყაროს და ამა თუ იმ სტრატეგიულ მიმართულებას, ასევე, საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ფოკუსირებული უნდა იყოს ეკონომიკის რომელიმე დარგის განვითარებაზე ან პასუხობდეს ქვეყნის მოსახლეობის ცალკეული სოციალური ჯგუფის ინტერესებს.

კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირების საფუძველია მიმდინარე ბიუჯეტის დაგეგმვა, რადგან სწორედ ქვეყნის ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს ფუნქციების და ვალდებულების შესრულებით ეტაპობრივად ხდება გრძელვადიანი სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელება, მათ შორის შესაძლოა მოვიაზროთ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის სტრატეგიაც, ბიუჯეტი კი ამ ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობაა.[69] ბიუჯე-

[69] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 2, თბ., 2014 წ.

ტის დაგეგმვაში საყურადღებოა დანახარჯების სტრუქტურა, რომელიც, თავის მხრივ, შემოსავლების წყაროებს განაპირობებს. გრძელვადიან პერსპექტივაში დანახარჯების ერთი მიმართულებით გაწევა, საბოლოო ჯამში, საფუძველს უქმნის ქვეყნის სტრატეგიულ ეკონომიკურ მიმართულებას, შესაბამისად, გლობალური კონკურენციის სამყაროში ხდება ამა თუ იმ ნიშნით კონკურენციული უპირატესობის მოპოვება და მასთან დაკავშირებული კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება.

დანახარჯების თეორია განარჩევს პროდუქტიულ (productive expaneses/expenses) და არაპროდუქტიულ დანახარჯებს. პროდუქტიული დანახარჯები მიზანმიმართულია წარმოების ფაქტორთა ნაყოფიერების ასამაღლებლად, სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკის მდგრადი ზრდის მხარდასაჭერად. შებამისად, პროდუქტიული დანახარჯები, რომლებიც შესაძლებელია სხვანაირად საინვესტიციო დანახარჯებად მოვიხსენიოთ, მიმართული უნდა იყოს საჯარო სერვისებისკენ – ჯანდაცვის, განათლების, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და კომუნიკაციებისკენ. ისინი, ასევე უნდა ისახავდეს მიზნად ბიზნესკლიმატისა და სტაბილური შრომის ბაზრის დახვეწასა და ხელს უწყობდეს კვლევასა და განვითარებას. არაპროდუქტიული დანახარჯები საპირისპიროდ, მიმართულია მიმდინარე საჭიროებებისკენ, როგორებიცაა სოციალური დანახარჯები და ცალკეული დარგების სუბსიდირება. სხვადასხვა ქვეყნის დანახარჯების ანალიზმა აჩვენა, რომ პროდუქტიულ დანახარჯებს მივყავართ ეკონომიკის ზრდისკენ, მაშინ როცა არაპროდუქტიული დანახარჯების ზეგავლენა ამ კუთხით უმნიშვნელოა. ცალკეულმა კვლევებმა აჩვენა კავშირი საინვესტიციო დანახარჯებსა (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის და ინფრასტრუქტურის სფეროებში) და ეკონომიკის ზრდასა და შემოსავლების გადანაწილებასთან[70]. ზოგიერთმა განვითარებადმა ქვეყანამ შეძლო წარმატებით გაეზარდა პროდუქტიული დანახარჯები და, შესამაბისად, მიიღეს ზრდის მაღალი ტემპები, რამაც, თავის მხრივ, შემოსავლების უფრო სამართლიანი გადანაწილება გამოიწვია. სახელმწიფო ხარჯები, თუ მას მიზანმიმართულად კვალიფიკაციისა და შრომისუნარიანობის ამაღლებისკენ წარვმართავთ და შესაბამის ჩარჩოებში მოვაქცევთ შესაძლოა გახდეს ეფექტიანი ინსტრუმენტი, მწარმოებლურობის მდგრადი ზრდისა და დასაქმებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნისთვის, შემოსავლების გადანაწილებისა და სიღარიბის დასაძლევად. შესაბამისად, სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურის

[70] Towards Sustainable Competitiveness Restructuring Institutions in Egypt The Egyptian Competitiveness Report 2013, გვ. 45.

ცვლილებას ინვესტიციების გაზრდის კუთხით მივყავართ ეკონომიკის მდგრადი ზრდისაკენ. პროდუქტიული დანახარჯები ასევე მოიცავს დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და სოციალურ დაცვას. პროგრამები, რომლებიც მიმართულია არაკვალიფიციური მუშახელის დატრენინგებაზე, პროდუქტიული დანახარჯების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მსგავსი პროგრამების მიზანს წარმოადგენს სამუშაო ძალის უნარების გაუმჯობესება და არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. მსგავსი პროგრამები მოქმედებს როგორც განვითარებად, ასევე, განვითარებულ ქვეყნებში სამუშაო ადგილების შექნის მიზნითა და ფინანსური კრიზისების უარყოფითი ზეგავლენის შესასუსტებლად.

მოკლევადიან პერიოდში სოციალური დაცვის ღონისძიებად შესაძლებელია მივიჩნიოთ სუბსიდიები და პირდაპირი ტრანსფერები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდები გრძელვადიან სტრატეგიაში არ გამოიყენება, რადგან მათ მიზნობრივი დანიშნულება აქვთ განსაზღვრულ ფოკუს–ჯგუფებში. ზოგიერთი ქვეყნის მაგალითით, ისინი ეკონომიკის ზრდის შეფერხებას განაპირობებენ, ანუ სუბსიდიებს და პირდაპირ ტრანსფერებს რეგრესიული ხასიათი აქვთ, ისინი ხელს არ უწყობენ შრომის ბაზრის განვითარებას, არ განაპირობებენ დასაქმებულთა თანაბარ შესაძლებლობებს და არ ზრდიან სამუშაო ადგილებს. ამრიგად, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სუბსიდირება უკარგავს აზრს მწარმოებლურობის გაუმჯობესებისკენ სწრაფვას. ერთი მხრივ, ქვეყნის განვითარებისათვის პროდუქტიულ დანახარჯებს უპირატესობა ენიჭება არაპროდუქტიულ დანახარჯებთან მიმართებით. მეორე მხრივ, კი განვითრებად ქვეყნებში, ისეთი როგორიც საქართველოა, მოსახლეობის საკმაო ნაწილი სიღარიბის ზღვარზე იმყოფება, შესაბამისად, ქვეყანას უწევს სიღარიბესთან ბრძოლა, რაც გულისხმობს არაპროდუქტიული დანახარჯების დაშვების აუცილებლობას, რათა მოსახლეობის ყველა ფენამ წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში და ამავე დროს საჭიროების მიხედვით სარგებლობდეს ეკონომიკის ზრდის სიკეთეებით, ხდებოდეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დროს სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემა – ანუ დაცული იყოს  ინკლუზიური ზრდის პრინციპი.

საქართველოს ბიუჯეტის პრიორიტეტები ასახავს ქვეყნის მდგომარეობასა და აფინანსებს რა გარკვეულ სოციალურ–ეკონომიკურ მიმართულებებს, თავისი თავისებურებით გავლენას ახდენს ქვეყნის გრძელვადიან განვითარებაზე. საქართველოს სახელმწიფო დანახარჯების შესახებ მსოფლიო ბანკის საქართველოს სახელმწიფო ხარჯების 2015 წლის მიმოხილვის თანახმად, საქართველომ მიაღწია შთამბეჭდავ

ზრდას, მაგრამ გადაულახავი დარჩა სოციალური პრობლემები. ამგვარად, გამოწვევად რჩება სოციალური საკითხების მოგვარება მდგრადი მაკროეკონომიკური ჩარჩო–პირობების ფარგლებში. მაკროეკონომიკური და ფისკალური განვითარების განხილვისას წამოიჭრება შემდეგი კითხვები, თუ რამდენად მოახდინა გავლენა: 1. დანახარჯების სოციალურ სფეროში წარმართვამ შემოსავლების უკეთ გადანაწილებაზე; 2. მწარმოებლურობის ასამაღლებლად მიმართულმა სასოფლო-სამეურნეო მხარდაჭერის პროგრამებმა ღარიბ რეგიონებში რეალურ შემოსავლებზე და 3. რა გავლენა აქვთ ფისკალურ და სამართლებრივ პროცესებს მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესზე.[71] მსოფლიო ბანკის საქართველოს სახელმწიფო ხარჯების 2017 წლის მიმოხილვის მიხედვით საქართველო იღვწის გაუმკლავდეს გლობალურ ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებს. დაბალი ეკონომიკური ზრდისა და რეგიონში ზოგადი რთული ვითარების გამო სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ამჟამინდელი მდგომარეობა მიჩნეულია გამოსაცდელ პერიოდად.[72]

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ინტენსიურად გატარებული რეფორმების შედეგად აღინიშნებოდა ეკონომიკის 5%-იანი ზრდა. სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველო წარმოადგენს საშუალო შემოსავლის ქვეყანას. მისი მთლიანი შიდა პროდუქტი 2016 წლის მიხედვით შეადგენს 34028.5 მლნ. ლარს.[73] შეიმჩნევა სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილის შემცირება, რაც საქართველოს მთავრობის სოციალური პოლიტიკის შედეგი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ სოფლად სიღარიბე დაახლოებით ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე ქალაქში. სწორედ ამით აიხსნება პრიორიტეტებში სოციალური დანახარჯების დიდი წილი და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა.

საქართველოს საექსპორტო საქონლის სტრუქტურა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს საქართველოს ეკონომიკის კონკურენციული პრიორიტეტების შესახებ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, საქართველომ 2016 წელს შეძლო შემდეგი სახის საქონლის ექსპორტი მლნ. აშშ დოლარში (ფრჩხილებში მოცემულია მათი %-ული წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში): სპილენძის მადანი და კონცენტრანტები – 312,3 (14.8%); თხილი და სხვა კაკალი – 179,5 (8.5%); ფეროშენადნობები - 169,3 (8%); მსუბუქი ავტომო-

[71] Georgia Public Expenditure Review, World Bank, Report N96524-GE, 2015.

[72] Georgia - Public Expenditure Review: building a sustainable future, World Bank, N114062-Ge, 2017.

[73] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური /www.geostat.ge/.

ბილები – 166,6 (7.9%), ყურძნის ნატურალური ღვინოები – 133,5 (7.9%); სამკურნალო საშუალებები - 107,4 (5,4); სპირტიანი სასმელები - 91,9 (5,1%); ოქრო - დაუმუშავებული და ნახევრადდამუშავებული - 81,1 (4,3%); მინერალური და მტკნარი წყლები - 79,8 (3,8%); აზოტოვანი სასუქები 65,6 (3,8%); დანარჩენი საქონელი - 749,9 (35,3%). 2016 წლის მონაცემებით, უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული პროცენტში ვიზუალურად წარმოდგენილია დიაგრამაში 2.3.1.[74]

**დიაგრამა 2.3.1.**

**უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული 2016 წელს (%)**




ქვეყნის ექსპორტში მნიშვნელოვანი წილის დარგები თავისთავად ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებად გვევლინება. ექსპორტის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ქართველი ეკონომისტი გულნაზ ერქომაიშვილი, - კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირებისათვის სახელმწიფომ უნდა განახორციელოს აქტიური სამეწარმეო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება წარმოების სტრუქტურების დინამიკურად გარდაქმნაზე, განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების განვითარების მიმართულებით.[75] მისი მოსაზრებით, ექსპორტის გაზრდა ქვეყანაში სიღარიბის დასაძლევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. არსებული მონაცემების საფუძველზე იგი ეკონომიკის ხუთ მზარდ სექტორს გამოყოფს: სოფლის მეურნეობა და დამამუშავებელი მრეწველობა, ჰიდროენერგეტიკა, ტრანსპორტი, ტურიზმი და ფინანსური ინსტიტუტები.

[74] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური /www.geostat.ge/.
[75] ერქომაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, თბ., 2016, გვ. 21.

მართლაც, წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები მსგავსი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა. მსუბუქი ავტომობილები საქართველოდან რეექსპორტის ხარჯზე გადის, მათი დიდი წილი ექსპორტში, ერთი მხრივ, ქართული მრეწველობის განუვითარებლობაზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი ხაზს უსვამს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის სიძლიერეს. სატრანზიტო ფუნქცია, საქართველოში თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ისტორიულად აქვს და იგი მნიშვნელოვანია არა მარტო, პოტენციური შემოსავლის წყარო, არამედ, როგორც, ქვეყნის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გარანტიც, შესაბამისად ამ ფუნქციის განსახორციელებლად საჭიროა ტრანსპორტის დარგისა და ინფრასტრუქტურის მუდმივი გაუმჯობესება, დარგში ინოვაციების დანერგვა და სათანადო პოლიტიკურ ნებაზე მუშაობა საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოსაყენებლად. საკვანძო მნიშვნელობა აქვს სამკურნალო საშუალებების (სპეციალიზიბული გადამამუშავებლი მრეწველობა) ექსპორტს, სექტორში კვალიფიციური კადრის დასაქმების გათვალისწინებითა და ქვეყნის განვითარებაში დიდი როლის მქონე ჯანდაცვის სექტორთან მისი კავშირის გამო. სოფლის მეურნეობის სხვა ქვედარგებთან ერთად მეთხილეობას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს, მსოფლიოში თხილზე მოთხოვნა მატულობს, შესაბამისად, ამ მიმართულებას სათანადო პოტენციალი გააჩნია. ელექროგამტარებისა და თბოგამტარების დასამზადებლად გამოიყენება სპილენძი, რომელთაც საქართველოში არსებული ენერგორესურესების გათვალისწინებით დიდი გამოყენება უნდა ჰქონდეს, ფეროშენადნობი კი გამოიყენება ფოლადი - მანქანათმშენებლობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნედლეულის დასამზადებლად, სათანადო გადამუშავების მრეწველობის არქონის გამო, ქვეყანიდან ექსპორტირდება შედარებით იაფი ნედლეული, ნაცვლად იმისა, რომ ჩაერთოს მათ სათანადო წარმოების ჯაჭვში, შესაბამისად, ნედლეულის ექსპორტი საქართველოს ეკონომიკისათვის მისი წარსულისა და სამომავლო პერსპექტივების გათვალისწინებით პრიორიტეტული ვერ იქნება, ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს მათი დამუშავების მასშტაბები, რაც, შესაბამისად, გადამამუშავებელი მრეწველობის წილის ზრდას გამოიწვევს.

ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი საქართველოსთვის ტრადიციული დარგია და ასევე უნდა დარჩეს. არსებული პოტენციალის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია მინერალური და მტკნარი წყლის ექსპორტი იმის გათვალიწინებით, რომ სასმელ წყალზე მოთხოვნა განუწყვეტლივ მატულობს, ქართული წყლების ბრენდები კარგადაა ცნობილი პოსტსოციალისტური ქვეყნების

ტრადიციულ ბაზარზე, ახალი ბაზრების ათვისება კი საქართველოს სამხრეთით არსებულ ქვეყნებში სასმელი წყლის დეფიციტის გამო დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს. ჰიდროენერგეტიკა საქართველოში ერთ-ერთი განვითარებადი დარგია, იგი მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას, წარმოადგენს სუფთა და ჩვენს პირობებში იაფ ენერგიის წყაროს.

ტურიზმი საქართველოს მზარდი სექტორია, მისგან მიღებული შემოსავლების წილი წლიდან წლამდე მატულობს, მატულობს დარგში ჩადებული ინვესტიციების რაოდენობაც, მიუხედავად ამისა, არსებული კონკურენციული გარემოს გათვალისწინებით, ზრდის ტემპის შესანარჩუნებლად, საჭიროა გამოწვევებისათვის შეუჩერებლად გამკლავება, - ინფრატრუქტურისა და სერვისის მუდმივი გაუმჯობესება; საფინანსო სისტემა საქართველოში ერთ-ერთ შედარებითი გამართულ ინსტიტუტს წარმოადგენს, თუმცა არსებობს სუსტი მხარეები – საპროცენტო სარგებლის შედარებით მაღალი განაკვეთები და გაცემული კრედიტების ვაჭრობის სექტორზე კონცენტრაცია, რაც გამოსწორებას საჭიროებს. საქართველოს ეკონომიკა ხასიათდება ინოვაციების დაბალი დონით და განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით დაბალი ცხოვრების სტანდარტით, ამიტომ ამ ფაქტების განმსაზღვრელი განათლებისა და ჯანდაცვის სექტორის განვითარება, მათი შემოსავლების გამომუშავების პოტენციალის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრიორიტულ დარგებად უნდა მივიჩნიოთ.

მაშასადამე, საექსპორტო საქონლის გრძელვადიან პერიოდში მწარმოებელი სექტორები, მშპ-ში მათი წილის გათვალისწინებით, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების განმაპირობებელ და ცხოვრების სტანდარტის ამამაღლებელ დარგებთან (ჯანდაცვა, განათლება) ერთად წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს, ბიუჯეტის შემოსავლების გრძელვადიან წყაროს, პროდუქტიული (საინვესტიციო) და არაპროდუქტიული (სოციალური) ხარჯების დასაფინანსებლად.

## 2.4. საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შეფასება

საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 17 ივნისს დამტკიცებულ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“–ის უმთავრესი მიზანი ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება - გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის, საფუძვლის შექმნა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაა.

სტრატეგიის მიხედვით, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ უმთავრეს პრინციპს ემყარება. პირველი პრინციპი ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას. მეორე პრინციპია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში (დიასპორის, მიგრანტების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა ჯგუფების ჩათვლით), ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. მესამე ძირითად პრინციპს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა, ასევე, ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება წარმოადგენს.

დასახული მიზნების მიღწევა განსაზღვრულია შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებით:

1.კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა;

- საინვესტიციო და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება;
- ინოვაცია და ტექნოლოგიები;
- ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;
- ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

2. ადამიანისეული კაპიტალის განვითარება;

- შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება;

- სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა;
- ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა;
- საინვესტიციო რესურსების მობილიზება;
- ფინანსური ხელმისაწვდომობა - ფინანსური შუამავლობის განვითარების ხელშეწყობა.

დოკუმენტში ვრცლადაა აღწერილი თითოეული პრიორიტეტი, მისი განვითარების ისტორიიდან დაწყებული, თანამედროვე ეტაპაზე არსებული სიტუაციის მიმოხილვით დამთავრებული. თითოეულ პრიორიტეტს გააჩნია საკუთარი მიზანი. საბოლოო ჯამში, სტრატეგია მიზნად ისახავს 2020 წლისთვის მიაღწიოს შემდეგ მაჩვენებლებს (იხ. ცხრილი 2.4.1).

**ცხრილი 2.4.1.[76]**

**„საქართველოს განვითარების სტრატეგია 2020“ მისაღწევი საპროგნოზო მაჩვენებლები**

| მაჩვენებელი | მიმდინარე მაჩვენებელი | საპროგნოზო მაჩვენებელი |
|---|---|---|
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი, ნომინალური) | 5811,7 | 13 000 |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი, მუდმივ ფასებში) | 5811,7 | 9200 |
| ჯინის კოეფიციენტი | 0,41 | 0,35 |
| ინფლაცია (%) | 2,4 | 3 |
| უმუშევრობა (%) | 15 | <12 |
| გადასახადები (წილი მშპ–ში, %) | 24 | 25 |

ამასთან, განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭიროა, რომ ეკონომიკის რეალური ზრდის ტემპი წლიურად საშუალოდ 7%-ს შეადგენდეს.

სტრატეგია არ ასახავს ეკონომიკის ცალკეული სექტორის ანალიზს, ან მათი კონკურენტუნარიანობის შეფასებას, არც ქვეყნის კონკურენციული უპირატესობების გამოვლენას. იგი განსაზღვრავს შესაბამისი სამინისტროებისათვის პრიორიტეტულ

[76] საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“–თბ., გვ. 8.

მიმართულებებს, რომლებიც შესაბამისი დანახარჯების, პასუხისმგებელი ორგანოსა და მონიტორინგის მექანიზმის მითითებით დეტალურად გაიწერება სამოქმედო გეგმებსა და სხვა დოკუმენტებში. შესაბამისად, სტრატეგიის ღონისძიებები შესაბამისობაშია უკვე არსებულ სექტორულ სტრატეგიებთან. ამასთან, იგი არ ასახავს ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც საქართველოს მთავრობას აქვს აღებული.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპი კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფაა მთავრობის ოპტიმალური, ეფექტიანი და გამჭვირვალე საქმიანობის პირობებში. ეს გულისხმობს იმგვარი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, როდესაც კერძო სექტორი თავად იღებს გადაწყვეტილებებს, დაცულია საკუთრების უფლების უზენაესობა და ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად კერძო სექტორი გვევლინება. თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები შერწყმული იქნება სახელმწიფო რეგულაციების ოპტიმალურ მოდელთან. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას. ოპტიმალური და ეფექტიანი მთავრობის პრინციპზე დაყრდნობით, სახელმწიფო მინიმალურად ჩაერთვება სამეწარმეო საქმიანობაში და კონკურენციას არ გაუწევს კერძო სექტორს. სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ აქტივობაში შემოიფარგლება მხოლოდ იმ სფეროებში საქმიანობით, რომლებშიც კერძო სექტორი სუსტი და არაეფექტიანია. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს. კონკურენციის არსებობა როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე, ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას სამართლიანი და დაცული ბიზნესგარემო. მისი ამოცანაა, აგრეთვე, ბიზნესის განვითარების სტიმულირება ინოვაციების და სამეწარმეო უნარების განვითარებითა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობით, რაც ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. კეთილდღეობის მისაღწევად სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებისთვის საბაზისო სოციალური დაცვის სისტემის შექმნისა და შესაბამისი სერვისით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად, ხელმძღვანელობს სოციალური უსაფრთხოების და სოციალური სამართლიანობის პრინციპებით. უმუშევრობის შემცირება და ღირსეული შრომის პირობებით მოსახლეობის უზრუნველყოფა, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათ-

ლების, ჯანდაცვისა და საბაზისო სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ინკლუზიურობაზე ორიენტაცია ამ პრინციპების განმახორციელებელ ინსტრუმენტებს წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კეთილდღეობის ზრდას უმუშევრობის შემცირებით მიაღწევს. ამავდროულად, ხელისუფლება მოსახლეობას საბაზისო სოციალური გარანტიებით და უღარიბესი ფენებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფს.

საქართველოს მთავრობა პრიორიტეტულად მიიჩნევს იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც, პირველ რიგში, დასახული კეთილდღეობის მიღწევას აფერხებს. ამასთან, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ განვითარებას. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა დიდწილადაა დამოკიდებული არა მარტო საერთო ეროვნული, არამედ რეგიონული განვითარების პოლიტიკის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებაზე, ძლიერ და კონკურენტუნარიან რეგიონებზე.

რეგიონული განვითარება განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად. რეგიონული განვითარების პოლიტიკის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების დადებით მხარედ შეიძლება განვიხილოთ ამა თუ იმ რეგიონის შედარებითი უპირატესობის, მისი სპეციფიკის, არსებული პოტენციალის გამოვლენა და მისი ოპტიმალური გამოყენება. ამასთან ერთად, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის შემდგომი მოწესრიგება და განვითარება რეგიონებს შორის უთანასწორობის შემცირების, ადგილობრივი ეკონომიკის ზრდისა და მისი სტიმულირების, პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვისა და ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

თანმინდევრული დეცენტრალიზაცია და სუბნაციონალური ერთეულების წამყვანი როლი ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევა. ამდენად, სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებისას აუცილებელია კონკრეტული ღონისძიებები ითვალისწინებდეს ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობას და მათ ამა თუ იმ საჭიროებას, ცალკეული რეგიონის განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად.

სტრატეგიის მიხედვით, საჭიროა საერთაშორისო ვაჭრობაში ორმხრივი გახსნილობის უზრუნველყოფა და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის არეალის გაფართოება. უცხოური ინვესტიციებისადმი ქვეყნის მზაობისა და მიმზიდველობის უზრუნველყოფა შესაძლებელი ხდება სტაბილური და პროგნოზირებადი ეკონომიკური

პოლიტიკით, ასევე, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებთან ინტეგრირებით და ქვეყნის ფინანსური რისკების შემცირებით. ამ შემთხვევაში ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედია.

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობა აამოქმედებს ეკონომიკის მარეგულირებელ მექანიზმებს, კრიზისულ შემთხვევაში კი ხელს შეუწყობს ბაზარზე მოთხოვნის სტიმულირებას.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“ მოცემული მაჩვენებლებით, - მშპ-ის 7%-იანი რეალური ზრდითა და 4%-იანი ინფლაციით, მართლაც, შესაძლებელია 2020 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური მშპ-ის 13 000 ლარის მიღწევა. აღსანიშნავია, რომ ერთ სულ მოსახლეზე მშპ ნომინალურ მაჩვენებელშია გამოსახული, ხოლო მშპ-ის ზრდის ტემპი კი – რეალურში. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, თუ რამდენად რეალურია სასურველი შედეგის მიღწევა.

# თავი 3. საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განვითარების სტრატეგიები

## 3.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის, როგორც ერთ–ერთი პრიორიტეტული დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია

ზოგადად, სოფლის მეურნეობა ცივილიზაციის არსებობისა და განვითარების ერთ–ერთი ძირითადი ფაქტორია, შესაბამისად ძველთაგანვე სოფლის მეურნეობის ცენტრების განვითარება ემთხვევა ცივილიზაციის კერების გეოგრაფიულ ადგილსამყოფელს, რაც მათ ურთიერთკავშირს მოწმობს. საქართველო და, ზოგადად, კავკასიის რეგიონი პრეისტორიული ხანიდან მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან აგრარულ ბიომრავალფეროვნების კერას – მცენარეების კულტივირებისა და ცხოველების მოშინაურების ცენტრს წარმოადგენდა. საქართველოს ეკონომიკური სიძლიერე დასაბამიდან სოფლის მეურნეობაზე იყო დაფუძნებული, ამიტომ უცხოტომელთა შემოსევებისას ქვეყნის დასამორჩილებლად დამპყრობლები ნათესებსა და ვენახებს ანადგურებდნენ.

ქვეყნის სამუშაო ძალის დაახლოებით ნახევარი და ღარიბი მოსახლეობის ორი მესამედი სოფლად ცხოვრობს და სოფლის მეურნეობა არსებობის ძირითადი საზრდოა, რაც მყარ საფუძველს ქმნის იმისა, რომ სოფლის მეურნეობა სიღარიბის დაძლევასთან ერთად საქართველოს საბიუჯეტო დანახარჯების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდეს. უფრო მეტიც, სოფლის მეურნეობის განვითარება ეკონომიკური წინსვლის და სიღარიბის ქვაკუთხედია.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ ათწლეულში სოფლის მეურნეობა ეროვნული ეკონომიკის უდიდეს დარგს წარმოადგენდა და მშპ-ს შემოსავლების 15%-ს განაპირობებდა. ბოლო 20 წლის მანძილზე ჩატარებული რეფორმების შედეგად საქართველო ჩამოყალიბდა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად. ბოლო წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდა, ზოგადად, ეკონომიკის ზრდას ჩამორჩება და მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში კლებულობს (იხ. დიაგრამა 3.1.1).

სოფლად ცხოვრობს (2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) მთელი მოსახლეობის 42,7%, ხოლო 2015 წელს დასაქმებულთა 48,6% სოფლის მეურნეობის, ნადირობისა და მეტყევეობის, თევზჭერის, მეთევზეობის სექტორშია დასაქმებული. 2016

წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) მხოლოდ 9,0%–ს შეადგენს.

**დიაგრამა 3.1.1**

**სოფლის მეურნეობის, ნადირობის, სატყეო მეურნეობის და მეთევზეობის წილი საქართველოს მშპ–ში[77] 2008-2016 წწ-ში**




დამოუკიდებელ საქართველოში სოფლის მეურნეობის რეფორმა უკავშირდება სოციალიზმის ეპოქის მსხვილმასშტაბიან ფერმერულ მეურნეობებზე დაფუძნებული სისტემის ნგრევას, პრივატიზაციის პროცესის გავლით მრავალი წვრილი ფერმერული მეურნეობის გაჩენას, რასაც თან ახლდა დარგში მწარმოებლურობის და ინვესტიციების შემცირება. ეკონომიკის დაცემა სხვა დარგებზე უფრო აისახა, რის შედეგად არსებული პრობლემების მიუხედავად სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკაში გაიზარდა, ასე მაგალითად, 1995 წელს სოფლის მეურნეობის საქართველოს მშპ-ში 42% შეადგინა, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობა და დარგის ეფექტიანობა კვლავ მცირდებოდა. პრივატიზაციის შედეგად უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან კერძო სექტორი სოფლის მეურნეობაში მთავარი მოთამაშე გახდა. მაგრამ კერძო მესაკუთრეთა გაჩენამ, არსებული პრობლემების, – არაადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკის, საბანკო სისტემის განუვითარებლობის – საკმარისი ფინანსების ხელმიუწვდომლობის მიზეზით, ასევე, ენერგოდეფიციტის, სატრანსპორტო და მთლიანი ლოგისტიკური სისტემის მოშლის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ამორტიზაციის, ქვეყანაში არსებული სამოქალაქო ომის და, რაც მთავარია, დამოუკიდებლად საქმის გაძღოლის გამოუცდელობის გამო,

[77] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, /www.geostat.ge/.

თავისი დადებითი მხარეები ვერ გამოაჩინა. სახელმწიფომ ვეღარ შეძლო შესაბამისი სახსრების გამოძებნა სოფლის მეურნეობის გასავითარებლად და არც დანაწევრებული და სუსტი კერძო სექტორი გამოდგებოდა პარტნიორად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დამოუკიდებელი მეურნეობის ახალ შემდგარი ფერმერები მარტო აღმოჩდნენ პრობლემების – უხარისხო ვეტერინალური მომსახურების, სათესლე მასალის, სასუქების და შხამ-ქიმიკატების წინაშე. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებით სახელმწიფომ დაკარგა პროდუქტებზე ფასის რეგულაციის მონოპოლია და ეს პროცესი, თითქმის მთლიანად, მოთხოვნა-მოწოდების ურთიერთქმედებას დამორჩილდა. სახელმწიფომ ვერ შეძლო სოციალური ინტერესების მიზნითაც კი გასძღოლოდა პროტექციონისტურ პოლიტიკას და 1996 წლიდან სახელმწიფომ მთავარ საარსებო პროდუქტზეც, – პურზეც, შეწყვიტა ფასის დაწესება. [78] ერთი შეხედვით, ეკონომიკის ლიბერალიზაციამ და თავისუფალი კონკურენციული გარემოს შექმნამ, როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკის გაჯანსაღება არ გამოიწვია – ზემოთ ნახსენებ მიზეზებს ემატება ისიც, რომ ტრადიციული გასაღების პოსტსაბჭოთა ბაზარიც კი ღია გახდა საერთაშორისო მძაფრი კონკურენციისათვის, რისი გადალახვა ქართული პროდუქციისთვის ადვილი არ აღმოჩდა (მაგ. ქართული ჩაი).

2005 წლის შემდგომ მოსულმა მთავრობამ მიზნად დაისახა სახელმწიფო ქონების გასხვისება და ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნა. პრივატიზაციის პროცესს თან სდევდა ქონების პირდაპირი განკარგვის წესითა და ხანგრძლივი ვადით გამოყენების ლიცენზიით გადაცემა. მიუხედავად ბიზნესგარემოს ზოგადი გაუმჯობესებისა და საქართველოს მშპ-ს მკვეთრი გაზდისა, სოფლის მეურნეობის მდგომარეობა გაუარესდა. მსოფლიო ბანკის მიერ „ეკონომიკის დარგში მსოფლიოში პირველ რეფორმატორ ქვეყნად“ დასახელებული სახელმწიფოს რეფორმები არ შეხებია სოფლის მეურნეობას. ამასთან, ბაზარზე პრიორიტეტი მიენიჭა ახალ პროდუქტებს – თხილს, მარცვლეულს, რძესა და რძის პროდუქტებს. მიუხედავად ამისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიმართ მოთხოვნა ისევ დარჩა იმპორტზე დამოკიდებული. ამ პერიოდში არ მოხდა სასოფლო-სამეურნეო ინფრასრუქტურის მნიშვნელოვანი განვითარება, დარგი კვლავ უინტერესო დარჩა ინვესტიციების ჩასადებად და სესხების გასაცემადაც კი.

[78] Agricuture Transformation in Georgia: 20 years of independence, European Initatve – Liberal Academy, Tbilisi, 2012, გვ. 6.

2006 წელს ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე რუსეთის მიერ გამოცხადებულმა სავაჭრო ემბარგომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მცირე მწარმოებლებს. თუ დიდმა კომპანიებმა ბაზრების დივერსიფიცირება ასე თუ ისე შეძლეს და ნელ-ნელა მიუახლოვდნენ 2006 წლამდე არსებულ გაყიდვების მაჩვენებლებს, ეს პროცესი მცირე მეწარმეებისათვის მნიშვნელოვნად ნელა მიმდინარეობდა. რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური პირობების ნორმალიზაციამ საქართველოს გასაღების ტრადიციული ფართო ბაზრის დაბრუნების შესაძლებლობა მისცა. უნდა აღინიშნოს, ტრადიციულ ბაზარზე წვდომის შეზღუდვამ, ერთი მხრივ, გამოიწვია საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილების აუცილებლობა, შესაბამისად, ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ამაღლება, თუმცა, საქართველოს კვლავ სჭირდება ახალი კონკურენციული უპირატესობანი ტრადიციულ და ახალ ბაზრებზე ადგილის დასაკავებლად. მეორე მხრივ, ძირითადი გასაღების ბაზრის დაკარგვამ დარგს ინვესტიციების ჩასადებად მომხიბვლელობა დაუკარგა, შესაბამისად, იკლო დარგის განვითარების ინტერესმა, შემცირდა დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის და მოსავლის მოცულობა.

დღეს, როდესაც საქართველოს სოფლის ბაზარმა დივერსიფიკაცია განიცადა და რუსულ ბაზარზეც შეზღუდვები გარკვეულწილად მოიხსნა, სოფლის მეურნეობა კვლავ იბრუნებს თავის მნიშვნელობას. თუმცა, დარგში კვლავ რჩება პრობლემები, როგორებიცაა, – იაფი იმპორტული პროდუქტის შემოდინება, განუვითარებელი სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, არაკვალიფიციური მუშახელი, თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმიუწვდომობა, კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის არასკმარისი თანამშრომლობა, რაც ზოგადად საქართველოს მთელ ეკონომიკას აზიანებს.

სასოფლო-სარმეურნეო პროდუქციის მთლიანი მოცულობა 2012 წლიდან დარგის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარების შემდგომ, როგორებიცაა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი, პროექტი „დანერგე მომავალი“, აგროდაზღვევის პროგრამა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა, აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, ვენახების კადასტრის პროგრამა, ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის პროექტი და ა.შ. მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც დარგის მწარმოებლურობა, ასევე მიღებული შემოსავლები. სოფლის მეურნეობის, ნადირობის, სატყეო მეურნეობისა და მეთევზეობის

პროდუქციის გამოშვება მლნ. ლარებში 2008–2016 წლებში მოცემულია ცხრილში 3.1.1[79].

მიუხედავად დარგში პროდუქტის გამოშვების ზრდისა, მისი წილი ქვეყნის ეკონომიკაში, როგორც ზემოთ ითქვა კლებულობს, (იხ. დიაგრამა 3.1.1), რაც, ერთი მხრივ, უნდა აიხსნას დარგში დამატებითი რეფორმების ჩატარების და ინვესტიციების მოზიდვის საჭიროებით, მეორე მხრივ, ზოგადი ტენდენციით განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის შედეგად ტრადიციული სამუშაო ძალის ოპტიმატიზაციისა და ურბანიზაციის მაჩვენებლის მატების გამო.

**ცხრილი 3.1.1**

**სოფლის მეურნეობის, ნადირობის, სატყეო მეურნეობისა და მეთევზეობის პროდუქციის გამოშვება მლნ ლარებში 2008–2016 წლებში საქართველოში**

| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობის გამოშვება, სულ | 2202.9 | 2072.2 | 2241.8 | 2674.0 | 2807.2 | 3210.0 | 3387.5 | 3652.7 | 3854.0 |
| მემცენარეობა | 918.1 | 868.3 | 932.1 | 1237.9 | 1087.0 | 1405.2 | 1613.4 | 1622.0 | 1656.7 |
| მეცხოველეობა | 1227.6 | 1140.5 | 1240.3 | 1336.8 | 1610.3 | 1665.8 | 1613.4 | 1837.1 | 1983.9 |
| სასოფლო-სამეურნეო მომსახურება | 57.2 | 63.5 | 69.4 | 99.3 | 109.9 | 139.0 | 160.7 | 193.6 | 213.5 |

როგორც ცხრილიდან 3.1.1 ჩანს, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად გამოცხადების და ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების შემდეგ სოფლის მეურნეობის სტატისტიკური მონაცემები გაუმჯობესდა ყველა პარამეტრის მიხედვით. წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ათვლის პერიოდში, 2010-2016 წწ-ში, ყველაზე მეტად - თითქმის სამგზის (273%-ით) სასოფლო სამეურნეო მომსახურება გაიზარდა. სასოფლო-სამეურნეო მომსახურების განვითარება თავისთავად აისახა სოფლის მეურენეობის სხვა ქვედარგების განვითარებაზე, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის გამოშვება მთლიანად გაიზარდა 75%-ით, მემცენარეობა 80%-ით, მეცხოველეობა 62%-ით. საქართველოს ექსპორტის განხილვისას აღინიშნა, რომ ქართუ-

[79] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური /www.geostat.ge/.

ლი თხილი 2016 წლის ექსპორტის 8,5%-ს შეადგენდა და კაკალთან ერთად 179,5 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის შემოსავალი დააფიქსირა. ექსპორტში თავისი წილით აღსანიშნავია ღვინო 5,4% (113,6 მლნ. აშშ დოლარი შემოსავალი) და სპირტიანი სასმელები 4,3% (91,9 მლნ. აშშ დოლარი შემოსავალი). ეს ორი უკანასკნელი პროდუქტი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების შედეგად მიიღება. საქართველოს ექსპორტის ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ წამყვან სასოფლო სამეურნეო პროდუქტებად დღეისათვის თხილი და ალკოჰოლური სასმელების წარმოებისათვის საჭირო კულტურები გვევლინება.

შემოსვლების ზრის პარალელურად იზრდება სექტორში ფულადი სახსრების ბრუნვა და დასაქმებულთა შემოსავლები იხ. დიაგრამა 3.1.2 და დიაგრამა 3.1.3.

2017 წლის წინასწარი მონაცემებით (4 კვარტლის ჯამური მონაცემი), ბიზნეს სექტორის ბრუნვამ სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში 414.4 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 12.6 %-ით აღემატება 2016 წლის და 102.4 %-ით აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 2017 წლის წინასწარი მონაცემებით (4 კვარტლის საშუალო მონაცემი), მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიზნეს სექტორში, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება და 742.5 ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის მონაცემს 30.7 %-ით, ხოლო 2012 წლის მონაცემს 75.3 %-ით აღემატება.[80]

**დიაგრამა 3.1.2 საქართველოს ბიზნეს სექტორის ბრუნვა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში (მილიონი ლარი) 2012-2017 წწ. (2017 წლის წინასწარი მონაცემი.**




[80] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური /www.geostat.ge/.

დიაგრამაში 3.1.3 წარმოდგენილი მონაცემით ჩანს, რომ ბიზნეს სექტორში, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება და 742.5 ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის მონაცემს 30.7 %-ით, ხოლო 2012 წლის მონაცემს 75.3 %-ით აღემატება.

**დიაგრამა 3.1.3 საქართველო ბიზნეს სექტორში, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური შრომის ანაზღაურება (ლარი) 2012-2017 წწ. (2017 წლის წინასწარი მონაცემი.)**




დიაგრამა 3.1.4 ასევე ასახავს სოფლის მეურუნეობის განვითარების დადებით დინამიკას. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 777.0 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 12.0 %-ით აღემატება 2016 წლის და 52.2 %-ით აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 2017 წლის ექსპორტი 333.40 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა, იმპორტი შემცირდა 11.30 მილიონი აშშ დოლარით, რის შედეგაც უარყოფითი სავაჭრო ბალანსი თიქმის განახევრდა (შემცირდა ზუსტად 1.89 ჯერ). აღნიშნულ პერიოდში, ქვეყნის მთლიან ექსპორტში აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი 28 %-ს შეადგენს. ძირითადად ექსპორტირებულია: ღვინო (22 %), სპირტიანი სასმელები (16 %), მინერალური და მტკნარი წყლები (12 %), თხილი (11 %), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (5 %), ცხვრის ხორცი (3 %), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (2 %) და სხვა.[81]

ექსპორტის გასაზრდელად ერთ–ერთი უმთავრესი მიღწევა იყო 2014 წელს ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის

[81] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის ანგარიში, 2018 წ. გვ. 13.

არსებობას და იძლევა მეტ ეკონომიკურ შესაძლებლობებს ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე გასასვლელად.

**დიაგრამა 3.1.4. საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი (მილიონი აშშ დოლარი) 2011-2017 წწ.**




სოფლის მეურნეობის პროდუქტების სხვადასხვა კატეგორიის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია:

- ღვინო, არაალკოჰოლური და სპირტიანი სასმელები: ევროკავშირის ქვეყნებიდან: ნიდერლანდები, საფრანგეთი, პოლონეთი, ლატვია და ლიტვა, ხოლო დსთ-ს ქვეყნებიდან: რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, ყაზახეთი;
- თხილი და კაკალი: ევროკავშირის ქვეყნებიდან - იტალია, გერმანია, ესპანეთი და ჩეხეთი, ხოლო დსთ–ს ქვეყნებიდან – რუსეთი და უკრაინა;
- ხილის და ბოსტნეულის კონსერვები: გერმანია, ავსტრია, სლოვაკეთი; ექსპორტი 2015 წელს 2014 წელთან შედარებით გაიზარდა 38%–ით (2,1 მლნ. აშშ დოლარით) და 7,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა;
- ხილის და ბოსტნეულის წვენები: გერმანია და საბერძნეთი;
- თხილის ფქვილი: გერმანია, საფრანგეთი. ექსპორტი 2015 წელს 2014 წელთან გაიზარდა 50%–ით (1,3 მლნ. აშშ დოლარით) და 4,0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.
- ციტრუსი: დსთ-ს ქვეყნებიდან რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი;
- მსხვილფეხა და წვრილფეხა ცოცხალი პირუტყვი: აზერბაიჯანი, ლიბანი, საუდის არაბეთი.[82]

[82] საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2017-2020, 2016 წ. გვ. 16.

ამასთან, აღსანიშნავია, ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლის შედაგად ევროკავშირის ბაზრის გახსნის პარალელურად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში შემცირდა, მაგალითად, 2015 წელს (ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს და დროებით ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან[83], შესაბამისად მან უკვე ზეგავლენა მოახდინა საქართველოს 2015 წლის ექსპორტზე) 2014 წელთან შედარებით ამ ქვეყნებში ექსპორტი 43%–ით (228,5 მლნ აშშ დოლარით) შემცირდა და 306,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ეს უნდა აიხსნას არჩევნის თავისუფლების გაზრდით – პროდუქციის უფრო დიდი გადახდისუნარიან ბაზარზე გატანის შესაძლებლობის გაჩენით.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ის მიხედვით სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სასოფლო–სამეურნეო ინფრასტრუქტურის, მათ შორის, ირიგაციის და დრენაჟის სისტემების განვითარებას. ამ სისტემების გაუმჯობესება განაპირობებს წყლის გამოყენებას, დრენაჟის ეფექტიანი სისტემების (მათ შორის, წვეთოვანი რწყვა და სხვა) შექმნა/განვითარებას და მათზე ფერმერთა ხელმისაწვდომობის ზრდას, ასევე, ფერმერებისათვის რესურსების ოპტიმალურად გამოსაყენებლად და მწარმოებლურობის ასამაღლებლად წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების მიწოდებას. სოფლის მეურნეობის, როგორც მწარმოებლურობის, ასევე, კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის ხელი შეეწყობა სასოფლო–სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი/შემნახველი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მათ შორის, ინვესტიციების მოზიდვის გზით, რაც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ასევე საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საერთაშორისო დონორებთან, მრავალპროფილიან ინსტიტუტებთან, კერძო ფონდებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია მოამზადა. სტრატეგია 2015–2020 წლებისთვის საშუალოვადიანი სტრატეგიული მიმართულებებისა და ღონისძიებების ერთობლიობას წარმოადგენს.

[83] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო http://mfa.gov.ge/, ბოლოს გადამოწმებული 18.20.2018.

დოკუმენტში ჩამოთვლილია გასატარებელი სტრატეგიული ღონისძიებები, რომლებიც 7 სტრატეგიულ ამოცანაში იყრის თავს. ეს ამოცანებია: 1.აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება; 2.ინსტიტუციური განვითარება; 3.მელიორაცია და ნიადაგის მწარმოებლურობა; 4.რეგიონული და დარგობრივი განვითარება; 5.სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; 6.სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა, სტრატეგიული მიმართულება; 7.კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

2017 წლის მარტში საქართველოს მთავრობამ „სოფლის განვითარების სტრატეგია 2017–2020“ შეიმუშავა. სტრატეგია წარმოადგენს საქართველოს სოფლის განვითარების ახალ ხედვას, რომელიც საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას ეყრდნობა. სოფლის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებებად ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა, სოციალური პირობები და ცხოვრების დონე, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა განისაზღვრა. ასევე გადმოცემულია ის ამოცანები, რომელთა შესრულებითაც მოხდება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება და შეიქმნება ახალი თანამედროვე სოფელი. სტრატეგიის მიხედვით მოხდება სოფლად არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიცირება, ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება. სოფლის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდება უმნიშვნელოვანესი პროექტები აგრარული, ტურისტული, ჯანდაცვის, განათლების, ბუნებრივი რესურსების მართვისა და სხვა მიმართულებებით. სტრატეგია აერთიანებს შემდეგ სამ პრიორიტეტს: 1.ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა; 2.სოციალური პირობები და ცხოვრების დონე; 3.გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკის 40% პირადაპირ თუ ირიბად უკავშირდება ბიოლოგიური რესურსების გამოყენებას.[84] სიღარიბის აღმოფხვრა და ეკონომიკის განვითარება გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოუდგენელი იქნება, თუ ქვეყანა დაკარგავს თავის ბუნებრივ კაპიტალს. საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოში, ეკონომიკის დარგების განვითარება დაკავშირებულია ბუნებრივ კაპიტალთან. სწორედ ამ ფაქტთან უნდა იყოს დაკავშირებული „სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“-ის ერთ-ერთი პრიოტიტეტი გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა. ამ მხრივ საყურადღებოა ბიოწარმოება. იგი გლობალური კონკურენციის პირობებში ჩვენი ქვეყნის კონკურენციულ უპირატესო-

[84] საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014 – 2020, გვ. 17.

ბად შესაძლოა იქცეს. საქართველოში ბიოწარმოება რეგულირდება 2006 წლის 25 ივლის მიღებული საქართველოს კანონით „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ". ბიოწარმოების სფეროში კი კვლევები ძირითადათ მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში. ცენტრში საქართველოში ბიოაგროწარმოების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით:

- გამოკვლეულია ადგილობრივი და უცხოური წარმოების 37 ბიოპრეპარატი მარცვლეულ და ბოსტნეულ კულტურებზე;
- დადგენილია ბიოპრეპარატების მცენარეთა მასტიმულირებელი, განვითარების ხელშემწყობი თვისებები, რის საფუძველზეც, მათი გამოყენება რეკომენდირებულია როგორც ბიო, ასევე ტრადიციულ ინტენსიურ მეურნეობებში;
- 2017 წელს, ბიონაკვეთზე ჩატარებული კვლევების შედეგად, მიღებულია ხარისხოვანი და სტაბილური მოსავალი;
- მიღებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოში არსებულ პრეპარატებს ეძლევათ რეკომენდაცია მათი გამოყენების შესაძლებლობებზე. [85]

ბიოწარმოების მიმართ ბოლო 20 წლის მანძილზე გამოიკვეთა დაინტერესება. ეს შესაძლოა აიხსნას საკუთარი ოჯახის ჯანსაღი საკვებით მომარაგების საჭიროებით, მყიდველების ინტერესებით, ნიადაგის დაცვის სურვილით, აგრეთვე სასუქისა და პესტიციდების ფასის გაზრდით, კრედიტის საპროცენტო განაკვეთის მომატებითა და სასოფლო–სამეურნეო პროდუქციაზე ფასის უცვლელობით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბიოწარმოებისას ბუნებრივი სასუქი გამოიყენება, რომელსაც გლეხური მეურნეობები თავად აწარმოებენ, შესაძლოა, ხარჯები უფრო მცირე იყოს, ვიდრე თანამედროვე მეთოდებით წარმოებისას. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიოწარმოებას აქვს ეკონომიკური გამართლება, მას შეუძლია გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში მაინც კონკურენცია გაუწიოს წარმოების თანამედროვე მეთოდებს. ამასთან, ბიოწარმოების მეთოდებით მოყვანილი მარცვლეული უფრო მდგრადია გვალვის და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების მიმართ, ვიდრე თანამედროვე მეთოდებით მოყვანილი მარცვლეული. ბიომეთოდებით დამუშავებული ნიადაგი უფრო კარგად ისრუტავს წვიმის წყალს, რაც გვალვის გასამკლავებლად ერთგვარ რესურსს ქმნის. ბიოწარმოებისას ერთ ფართობზე სხვადასხვა სახის მარცვლეული ითესება, რის შედეგადად მატულობს დაავადებების მიმართ გამძლეობა.

[85] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის ანგარიში, 2018 წ. გვ. 79.

მოუსავლიანობისას ბიომეურნის ზარალი ნაკლებია, ვინაიდან მათ ნაკლები დანახარჯის გაწევა უწევთ. ზოგადად, შესაძლოა, საკამათოა ბიო- და თანამედროვე მეთოდების სასოფლო–სამეურნეო კულტურების შედარების ეკონომიკური უპირატესობანი. თანამედროვე მეთოდებით მოყვანილი მოსავალი უთუოდ აჭარბებს ბიომეთოდებით მოყვანილს (აქვე უნდა გავითვალისწინოთ ფასის მომატებისას ჩვეულებრივი მეთოდებით მწარმოებლის მოგება გაცილებით მეტად იზრდება, ვიდრე ბიომწარმოებლის, ფასის შემცირებისას კი მისი წაგება უფრო მეტია, რადგან მისი დამოკიდებულება ცვალებად ხარჯებზე უფრო დიდია), წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდებოდა კულტურის მოყვანის მეთოდების და მასთან დაკავშირებული (სასუქის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება) დარგების განვითარება. მხედველობაში მისაღებია ხანგრძლივი ეფექტი, საქართველოს მთიანი ლანდშაფტი, რომელიც ტექნიკის გამოყენებას აძნელებს და ქვეყნის ფართობის წილს სასოფლო-სამეუნეო მიზნებისთვის წამგებიან პოზიციაში აყენებს. აგრეთვე ენერგოწყაროების დაზოგვის (ერთი მხრივ, მათი მზარდი ფასის, მეორე მხრივ, ნახშირბადის შემცველი აირების გამოყოფის – შესაბამისად გლობალური დათბობის პროცესების შემცირების მიზნით) გამო სინთეზური აზოტშემცველი სასუქების გამოყენების შემცირებას, ბიოწამოებისას გარემოზე მავნე ზემოქმედებაზე მეტი კონტროლის შესაძლებლობას, რასაც ეროვნული ეკონომიკისთვის ჯანსაღი მოსახლეობის – სამუშაო ძალის შემოთავაზება და სხვა ალტერნატიული დარგების, ტურიზმის, კვების, ფარმაცევტული მრეწველობის და სხვა განვითარება შეუძლია. ყოველივე ამის გათვალისწინებით ბიომეწარმეობა უფრო მიმზიდველი ხდება. ამის გარდა, ქართულ სასოფლო–სამეურნეო პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე რეგიონში არსებული შესაბამისი პროდუქტის მწარმოებელი გიგანტი ქვეყნების გვერდით, სჭირდება თავისი ნიშის დამკვიდრება და ეს ნიშა სწორედ ბიომეურნეობა შეიძლება იყოს.

ბიოწარმოებას უშუალოდ უკავშირდება ღვინის ქართული წესით ქვევრში დაყენება. ქვევრის ღვინის წარმოებისთვის გამოყენებული ყურძენი საოჯახო ღვინის მარნებს საკუთარ მეურნეობებში მოჰყავთ. მათ მაქსიმუმ 5 ჰა-ზე გაშენებული ვენახები აქვთ, რომლებსაც, ძირითადად, ოჯახის წევრები უვლიან (მინიმუმ 30 კაც-დღე 1 ჰა-ზე).[86] საქართველო - 525 აბორიგენული ვაზის ჯიშის სამშობლოა და 8000 წლიანი

[86]მენცი უ., ბიტარიშვილი ი., რეგნერის ფ., დარტინგის მ., ბურკარტის ი., პეტზოლდი ი., ზაიტცისა ბ. და სხვები ქვევრის ღვინის იდენტობა საქართველოს ქვევრის ღვინის კლასტერის წევრების პრაქტიკის მა გალითზე, 2017, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ).
.

მეღვინეობის ტრადიცია აქვს, მაგრამ გლობალიზაციის შედეგად მსოფლიო ბაზარზე ერთმანეთს კონკურენციას სხვადასხვა წარმოების მაღალი ხარისხის ღვინო უწევს, რაც ქართული ღვინის კომპანიებისათვის გასათვალისწინებელია, ერთდროულად დასაცავია მაღალ ხარისხად მიჩნეული სტანდარტი და უნიკალურობა. ქვევრის ღვინო ამ მხრივ განსაკუთრებულ ნიშას იკავებს. აღსანიშნავია, რომ ქვევრში ღვინის დაყენების მეთოდს 2013 წელს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (იუნესკომ) არამატერიალური ძეგლის სტატუსი მიანიჭა[87].

2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის – „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“ თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოოს ევროპულს. კანონმდებლობის დაახლოებას უდავოდ რეფორმების კლვალდაკვალ მოხდება, რასაც თან დარგის, ინფრასტრუქტურისა და შესაბამისად, მწარმოებლურობის გაუმჯობესება უნდა მოჰყვეს. ამისათვის კი ჯერჯერობით გრძელი გზაა გასავლელი. სოფლის მეურნეობასა და დაკავშირებულ სექტორებში პირდაპირი ინვესტიციების წილი დაბალია. 2016 წლებში სოფლის მეურნეობაში მთლიანი ინვესტიციების წილი საშუალოდ 0,5%–ს შეადგენს და 8,337,9 ათას აშშ დოლარს უტოლდება. სოფლის მეურნეობის მიმართ ინვესტორთა ინტერესის არქონა და შესაბამისად, დარგის მწარმოებლურობა მის სუსტ დივერსიფიკაციაში უნდა ვეძებოთ. 1 ჰა-მდე მიწას ფლობს მიწათმოსარგებლეთა 73,1%, 1-დან 5 ჰექტრამდე ჰა-მდე ფართობს – 25.5%, ხოლო 5 ჰექტარზე ჰა-ზე მეტს – მხოლოდ 1.5%. მეურნეობების კუთვნილი 1 ჰა მიწა საშუალოდ წარმოდგენილია 2–3 ნაკვეთად (2014 წლის სასოფლო–სამეურნეო აღწერის მონაცმები). ამას ემატება თანამედროვე ტექნოლოგიებსა და გლობალურ ბაზრის კანონებში გაუთვითცნობიერება და ეკონომიკური სიდუხჭირე. ყოველივე ამის ფონზე მეურნეთა დიდი ნაწილი ძირითადად საკუთარი შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის იღვწის და არ ძალუძს მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქტის წარმოება. „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიაში 2017-2020“ შემოთავაზებულია სხვა სოფლად სხვა დარგების, ინფრასტრუქტურისა და

[87] http://www.unesco.org/culture/ich/en/RL/ancient_georgian_traditional_qvevri_wine_making_method_00870 ბოლოს გადამოწმებული 20.10.2017.

სახელმწიფო სერვისების განვითარების გზით სოფლის მეურენობის განვითარების შესაძლებლობები.

სოფლის მეურნეობის შესახებ არსებული სტრატეგიები ზოგადად გამოკვეთენ სოფლის მეურნეობის სტრატეგიულ მიმართულებებს, რომელთა შორის შედის კონკურენტუნარიანობისა და მწარმოებლურობის ამაღლება. ასევე, გასათვალისწინებელია ადგილობრივი მოთხოვნისა და ექსპორტის საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამუშავებელი/შემნახველი ინფრასტრუქტურის განვითარება. სტრატეგიები არ გამოყოფენ პრიორიტეტულ სასოფლო-სამეურნეო დარგებს, თუმცა, ამას საექსპორტო სტრუქტურის ანალიზი გვაძლევს, - თხილი, ღვინისა და სპირტიანი სასმელების ძირითადი ნედლეულის წყარო მევენახეობა. ექსპორტზე მოთხოვნადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაზრდელად და ამისათვის ბაზარზე ნიშის დასაკავებლად საქართველომ უნდა შეძლოს სათანადო კონკურენციული უპირატესობის გამონახვა. ამ მხრივ აღსანიშნავია ბიოწარმოება, რაც ექსპორტის 4,5% წილის მქონე სამკურნალო საშუალებების წარმოებისთვისაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს მოთხოვნადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის სამამულო წარმოებით ჩანაცვლებაზე, რასაც მაგალითისათვის უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ხორბლის შემთხვევაში დადებითი ტენდენცია აქვს.[88]

[88] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური /www.geostat.ge/.

### 3.1.1 მეთხილეობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი

როგორც ზემოთაა აღნიშნული 2016 წელს საქართველოდან 179,5 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების თხილი და სხვა კაკლოვნები გავიდა, რამაც მთელი ექსპორტის 8.5% შეადგინა (იხ. ცხრილი 3.1.1.1).[89] საქართველოს მეთხილეობის კონკურენტუნარიანობის დეტალების შესწავლა და მიღებული დასკვნები შესაძლოა სოფლის მეურნეობის მთელ დარგზე განზოგადდეს და ერთიანი რეკომენდაციების შემუშავებაში დაგვეხმაროს.

**ცხრილი 3.1.1.1**

**თხილისა და სხვა კაკლოვნების ექსპორტის მოცულობა და მისი წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში 2013-2016 წწ-ში**

| 2013 | | | 2014 | | | 2015 | | | 2016 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| T | V | % | T | V | % | T | V | % | T | V | % |
| 166,7 | 30,2 | 5,7 | 183,4 | 19,9 | 6,4 | 176,6 | 19,4 | 8 | 179,5 | 27,1 | 8,5 |

T – თხილის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები (მლნ აშშ დოლარი), V – თხილის ექსპორტის მოცულობა (ათასი ტონა), % – თხილის ექსპორტის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით საქართველო 2016 წელს თხილის მწარმოებელ ქვეყნებში მთლიანად წარმოებული თხილის 4%-იანი წილით მე-5 ადგილზე გავიდა – თურქეთის (56,5%), იტალიის (16,2%) აშშ-ს (4,6%) და აზერბაიჯანის (4,6%) შემდეგ. ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობით საქართველო მე-7 ადგილზეა, მაშინ როცა თურქეთი მე-17 (იხ. ცხრილი 3.1.1.2).[90] ამ მონაცემებით და სამომავლო განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან თხილის მიმწოდებლად უნდა მივიჩნიოთ.

[89] საქართველოს სტატისტიკის ეროვნულის სამსახური.
[90] Hazelnuts (with shell); Crops by Region, World List, Production Quantity, 2016" UN Food and Agriculture Organization, Statistics Division (FAOSTAT). 2017. Retrieved 6 January 2017.

ცხრილი 3.1.1.2

**თხილის მწარმოებელი ქვეყნების ხუთეული 2016 წლის მონაცემების მიხედვით.**

| ვეყნა | პროდუქცია (ტონა) | გაშენებული ნაკვეთი (ჰა) | მოსავალი (კგ/ჰა) | პოზიცია 1 ჰა-ზე საშუალო მოსავლის მიხედვით |
|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 420000 | 436869 | 961.39 | 17 |
| იტალია | 120572 | 75050 | 1606,56 | 8 |
| აშშ | 34473 | 14973 | 2302,34 | 2 |
| აზერბაიჯანი | 33941 | 31821 | 1066,62 | 16 |
| საქართველო | 29500 | 16833 | 1752,51 | 7 |

მეთხილეობა საქართველოში ისტორიულად განვითარებული დარგია, საქათველოს ტერიტორიიდან თხილის ექსპორტი ჯერ კიდევ ქვეყნის გასაბჭოებამდე ხდებოდა.[91] თხილი საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე იზრდება, მეთხილეობის დარგი კი დასავლეთ საქართველოში - სამეგრელო, გურია და იმერეთშია განვითარებული.[92] ქვეყნის პირობები იძლევა თხილის კულტურის მოყვანის შესაძლებლობებს ზღვის დონიდან 1500-1800 მეტრამდე, რასაც წარმოების გაფართოებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.[93] ადგილობრივი თხილის ჯიშებია: ნიჯ-ფუნდუკი, ანაკლიური, გულშიშველა, დედოფლის თითი, ვანის თეთრი, ვანის წითელი, იმერული, ლეგი, ნემსა, შველისყურა, ჩხიკვისთავა, ცხენის ძუძუ, ხარისთვალა, ხაჭაპურა, უჩა თხილი. არსებული ინფორმაციით საქართველოში 107 247 მეურნეობა არსებობს ბაღში მდგომი ძირებით, 177 141 მეურნეობა კი ცალკე მდგომი ძირებით.[94] ზუსტი მონაცემი რამდენი ადამიანი დაკავებულია სექტორში არ არსებობს, რაც გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მათი უმრავლესობა პარალელურად სხვა საქმიანობითაა დაკავებული, მეთხილეობაში, ისევე როგორც სოფლის მეურნეობის სხვა ქვედარგებში, ვიწრო სპეციალიზაციის მქონე პირების არ არსებობა, მათი შრომის ნაყოფიერების ზრდას აპრკოლებს.

[91] http://geonuts.org/georgian-hazelnut/ ბოლოს გადამოწმებული 18.08.2018.
[92] http://agrokavkaz.ge/ ბოლოს გადამოწმებული 18.08.2018.
[93] ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, გამც, „უნივერსალი" თბ., 2011, გვ. 120.
[94] საქართველოს სტატისტიკის ეროვნულის სამსახური, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014.

ამასთან, 2016 წელს მსოფლიო ბაზარზე 1 კილოგრამი ნაჭუჭგაცლილი თხილის ფასი 6.83 აშშ დოლარი იყო, მაშინ როცა თურქული 1 კილოგრამი თხილი 8,68 აშშ დოლარი ღირდა, რაც ქართული თხილის კონკურენტუნარიანობას ზრდის (ქართული თხილის (ნაჭუჭითა და ნაჭუჭგაცლილი) ფასის განვითარების დინამიკა მოცემულია დიაგრამაზე 3.1.1.1).[95] დიაგრამიდან ჩანს, რომ 2014 წლამდე ქართული თხილის ფასი იზრდება, 2016 წელს კი ხდება მისი მკვეთრი ვარდნა. სპეციალისტთა მოსაზრებით ეს მავნებლის გამოჩენას, - ფაროსანას უკავშირდება. მავნებლის მიერ მიყენებული ზარალის შედეგად თხილის ხარისხი და შესაბამისად ფასიც დაეცა. ფასის დაცემა აგრეთვე დაკავშირებულია 2016 წელს მეზობელ თურქეთში თხილის უხვ მოსავალთან. როგორც ზემოთაა აღნიშნული, თურქეთი ბაზარზე ყველაზე დიდი მომწოდებელია, მის მიერ 2016 წელს წარმოებული თხილი – (420 000 ტონა) 14,2-ჯერ აღემატება საქართველოს 2016 წლის შედეგს (29 500 ტონა), რაც თურქეთს ერთგვარ მონოპოლიურ მდგომარეობაში აყენებს, ამას ემატება ისიც რომ თურქეთის მიერ მსოფლიო ბაზარზე გატანილი თხილის რაოდენობა არ არის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების პროპორციული, რაც თურქეთის მეთხილეობის სექტორის დაბალწარმოებლობაზე, ან დემპინგური ფასების გამოყენებაზე მიუთითებს.

**დიაგრამა 3.1.1.1**

**ქართული (ნაჭუჭიანი და ნაჭუჭგაცლილი) თხილის საექსპორტო ფასი აშშ დოლარში 2010-2016 წწ-ში.**




ქართული თხილის გასაღების ძირითადი ბაზარი ევროკაშირის ბაზარია. ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 18 აპრილს გამოსცა დადგენილება №185, თხილის შესახებ

[95] https://comtrade.un.org/data/ ბოლოს გადამოწმებული 18.08.2018.

ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს თხილის წარმოების მკაცრ კონტროლს, მისი მოყვანის, ტრანსპორტირების და შენახვის დეტალების გათვალისწინებით. საქართველოში წარმოებული თხილის ბაზრების პროცენტული წილი 2016 წლის მონაცემების მიხედვით ასახულია დიაგრამაში 3.1.1.2.

**დიაგრამა 3.1.1.2**

**საქართველოში წარმოებული თხილის ბაზრების პროცენტული წილი 2016 წ.-ს.**




დიაგრამიდან 3.1.1.2 ჩანს, რომ თხილის საექსპორტო ბაზარი საქართველოსთვის საკმაოდ დივერსიფიცირებულია და უმეტესწილად ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორის ევროკავშირის ქვეყნებზეა ორიენტირებული.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე მეთხილეობა საქართველოში არათუ სოფლის მეურნეობის სექტორის, არამედ მთელი ეკონომიკის კონკურენტუნარიან დარგად შესაძლოა მივიჩნიოთ. შესაბამისად, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული თანადგომა დარგის უფრო გასანვითარებლად. ეს ასეც ხდება, მეთხილეობის სექტორი ჩართულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს აგროდაზღვევის პროექტში. პროექტის ფარგლებში სადაზღვევო პოლისის მფლობელ ფერმერს უფინანსდება დაზღვეული თხილის კულტურის ღირებულების 70%. თხილის კულტურაზე ვრცელდება ამავე სააგენტოს პროექტი „დანერგე მომავალი“, რომლის ფარგლებშიც ხდება ფერმერთათვის ახალი სანერგე მეურნეობებისა და სანერგე მეურნეობების ფარგლებში ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა. ასევე, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი, რომელიც ითვლისწინებს, ფერმერებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის გზით,

სოფლის მეურნეობის პირველადი და გადამუშავებელი წარმოების, აგროპროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობას. სპეციალურად მეთხილეობის განვითარებას ემსახურება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს თხილის წარმოების განვითარების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით, სახელმწიფო პროგრამა.[96] პროგრამის მიზნებია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ფარგლებში (არსებული მონაცემებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტი მეთხილეობის მეურნეობაა წარმოდგენილი,[97] რაც სპეც. პროგრამის მიზნობრიობას უნდა ხსნიდეს):

- თხილის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა;
- თხილის თვითღირებულების შემცირება და თხილის საექსპორტო პოტენციალის ზრდა;
- სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შესაძლებელია ქართულ მეთხილეობაში არსებული ხარვეზების და პრობლემების განზოგადება სოფლის მეურნეობის სხვა ქვედარგებზეც. ასე მაგალითად:

ქართული თხილის დიდი ნაწილი ბიოსამეწარმეო მეთოდებითაა მოყვანილი. ამგვარი პროდუქტის ფასი მსოფლიო ბაზარზე მაღალია, შესაბამისი სერთიფიკატის არაარსებობა კი ამ უპირატესობის გამოყენების შესაძლებლობას არ იძლევა.

მოსახლეობის გათვითცნობიერება სოფლისმეურნეობის ცალკეული სერვისების მიმართ საკმაოდ დაბალია. მეთხილეობით დაკავებული ფერმერები არასათანადოთ აფასებენ პესტიციდებისა და სასუქის მნიშვნელობას. რის გამოც მეთხილეობა საქართველოში პატრიარქალური განვითარების დონეზეა, ძირითადათ ბიოორგანული მეთოდების გამოყენება ხდება, რაც ერთი მხრივ დაბალ მწარმოებლურობას განაპირობებს, მეორე მხრივ ეს უპირატესობაა, - ბიონაწარმს მსოფლიოში შედარებით მაღალი ფასი აქვს. როგორც ზემოთ აღინიშნა ამ უპირატესობის გამოყენება ვერ ხდება.

---

[96] სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს 2015 წლის 14 აგვისტოს 2-1017 ბრძანება.

[97] საქართველოს სტატისტიკის ეროვნულის სამსახური, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014.

ცალკე პრობლემა - დაბალი მექანიზაციის დონეა, ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მექანიზაციის ცენტრები არ არსებობს, კერძო სექტორს კი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დამოუკიდებლად შეძენა, მისი სიძვირის გამო, არ შეუძლია.

ფინანსებზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობა ასევე მეთხილეობის, ერთ-ერთი პრობლემაა, მიუხედავად სპეც. სესხების არსებობისა, სოფლის მეურნეობის შესაძლო რისკებიდან გამომდინარე, მასზე საპროცენტო განაკვეთები მაღალია.

პრობლემას წარმოადგენს მეთხილეობის სექტორში კვალიფიცირებული კადრების სიმცირე. როგორც ზემოთაა აღნიშნული, მეთხილეობა დასაქმებულების არა ძირითადი საქმიანობაა, რის გამოც არ ხდება ამ კუთხით პროფესიული უნარ-ჩვევების სრულყოფილი განვითარება და გაუმჯობესება.

ამასთასთან, აღსანიშნავია კონკურენტი ქვეყნების წარმოებული დემპინგური საფასო პოლიტიკის საფრთხე. ზემოთ აღინიშნა თურქეთში წარმოებული თხილისა და მისი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხების არაპროპორციულობა, რაც ამ ქვეყნის თხილის მისი წარმოების ხარჯებზე დაბალ ფასად გაყიდვის ეჭვს ბადებს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დემპინგური ფასები აგრძალულია, ამიტომ საჭიროა სათანადო საერთაშორისო მექნიზმების ამოქმედება ქართული თხილისა და სხვა პროდუქტის საწინააღმდეგო დემპინგური ქმედებების გამოსავლენად და მის აღსაკვეთად.

საყურადღებოა იტალიის მონაცემები. 2016 წელს იგი თხილის წარმოების მიხედვით ეს ქვეყანა მე-2 ადგილზეა (120572 ტონა), მიუხედავად ამისა მასზე 2016 საქართველოში წარმოებული თხილის რეალიზაციის 27% მოდის. კარგად განვითარებული კვების, კერძოდ შოკოლოდის წარმოების გამო, მსოფლიოში წარმოებული თხილზე მოთხოვნა დიდია. მარტო იტალიური შოკოლოდის მწარმოებელი კომპანიის „ფერერროს“ (ამ კომპანიის პროდუქტებია: რაფაელო, ნუტელა, ფერერრო როშე, ქინდერი და სხვ.) ერთ ერთი პროდუქტის ნუტელას წარმოებაში მსოფლიო თხილის მარაგის 25% გამოიყენება.[98] იტალიური შოკოლადი კი ქვეყნის წარმატებული პროდუქტია, შოკოლოდის საბაზრო ფასი უთუოდ აღემატება თხილის ფასს. ეს მაგალითი საქართველოში წარმოების ამ შემთხვევაში კვების მრეწველობის განვითარების და შემდეგ წარმოებული პროდუქტის ექსპორტის საწყის ნედლეულთან შედარებით უპირატესობაზე მიუთითებს.

[98] https://gizmodo.com/nutella-consumes-25-percent-of-the-worlds-hazelnut-crop-1623880985 ბოლოს გადამოწმებული 24.08.2018.

მასაშადამე მეთხილეობაში თავს იჩენს უშუალოდ დარგობრივი ზოგადი სასოფლო-სამეურნეო პრობლემები, ასევე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი საჭირბოროტო საკითხები.

ამ პრობლემების მოგვარების გზები უპირველეს ყოვლისა საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიით დასახული ამოცანების განხორციელებაა. უპირველეს ყოვლისა საჭიროა სტრატეგიული მიმართულებით - აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს ფერმერთა ცნობიერების ამაღლებას, - მათი მხრიდან მსოფლიოში არსებული უახლოესი ტექნოლოგიების გაცნობასა და მათი დანარეგვის მზაობას, დარგის განვითარებისათვის საჭირო ფინანსებზე მეტ წვდომას, შესაბამისად დაკავშირებული დარგების განვითარების შესაძლებლობას. დიდი მნიშვნელობა აქვს, ასევე პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებასა და მარკეტინგული პროგრამის განხორციელებას, რაც ითვალისწინებს ექსპორტის ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორების გამოვლენასა და აღმოფხვრას.

## 3.2. საქართველოში ტურიზმის კონკურენტუნარიანობა და განვითარების სტრატეგია

ტურიზმის კლასტერი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგობრივი კლასტერია. მაკინზის გლობალური ინსტიტუტის კვლევის მონაცემების მიხედვით, იგი განეკუთვნება მსოფლიოში არსებულ უმნიშვნელოვანეს 6 კლასტერს, რომელთა წილი მთლიანი კლასტერების 70%-ს შეადგენს.[99] ტურიზმის სექტორს მსოფლიო მასშტაბით ზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ტურიზმი არამარტო რეგიონურ დონეზე წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის სტიმულს, არამედ დიდია მისი მნიშვნელობა ეროვნულ დონეზეც. ქვეყნის გეოგრაფიული და სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნების გამო კვლევები ტურიზმის სფეროში, რომლის განვითარება და კონკურენტუნარიანობა უშუალოდ ამ მახასიათებლებზეა დაფუძნებული, მართებული იქნებოდა როგორც ქვეყნის, ასევე, რეგიონულ დონეზე ჩატარდეს. ტურიზმის კლასტერი ამაღლებს როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე რეგიონის კონკურენტუნარიანობას.[100] ტურიზმის კლასტერი მოიცავს ტურიზმთან დაკავშირებულ აქტივობების განთავსებას, კვებას, გართობას, სხვადასხვა სახის ღირშესანიშნაობებს, ტუროპერატორებსა და ტურისტულ სააგენტოებს, გიდებს, სუვენირების დამზადებას, ავტომანქანების გაქირავებასა და ტურისტულ ტრანსპორტს, აგრეთვე სხვა დაკავშირებულ და დამხმარე საქმიანობებს.[101]

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია, რომელსაც სამუშაო ადგილების შექმნაში უდიდესი წვლილი შეაქვს.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკური მონაცემებით, 2016 წელს საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის ზრდა გრძელდება. ამ წელს დაფიქსირებული საერთაშორისო ვიზიტორების შემოსვლები გადასცდა ექვს მილიონიან ზღვარს და მიაღწია რეკორდულ ციფრს - 6,360,503 (იხ. დიაგრამა 3.2.1). ნათლად ჩანს საერთაშორისო ტურისტების რიცხვის ზრდის ტენდენცია, – მაგ. 2016 წელს 2015 წელთან შედარებით ქვეყანაში შემოვიდა 7,8%-ით მეტი საერთაშორისო მოგზაური. ამ ტენდენციის შედეგად 2016 წლისათვის ქვეყნის სერვისის ექსპორტის

[99] Clusters for Competitiveness, International Trade Department, World Bank 2009, გვ.3.
[100] Regional Competitiveness of Tourism Cluster: A Conceptual Model Proposal Ferreira, João and Estevão, Cristina 2009, გვ 1-19.
[101] Ferreira, M. Estratégia e Planeamento Regional do Turismo. Investigação em Turismo –Livro de Actas, 2003, გვ. 67-82.

შემოსავლებში ტურიზმის წილმა 64,4%-ს მიაღწია, 2016 წლის მშპ-ში ტურიზმის წილმა კი 7,1%-ს (იხ. დიაგრამა 3.2.2).

**დიაგრამა 3.2.1. საქართველოში საერთაშორისო შემოსვლები 2010-2016 წწ.**[102]




**დიაგრამა 3.2.2.**

**ტურიზმის სექტორის პროცენტული წილი საქართველოს მშპ-ში 2012-2016 წწ.**




უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის სექტორის მშპ-ს წილის მიხედვით საქართველო ევროს ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს აჭარბებს (იხ. დიაგრამა 3.2.3)[103].

[102] საქართველოს ტურიზმის სტატისტიკის მიმოხილვა. ტურიზმის ეროვნული ასოციაცია, 2016 წ
[103] OECD Tourism Trends and Policies, https://www.oecd.org, ბოლოს გადამოწმებული 12.05..2018

**დიაგრამა 3.2.3.**

**ეუთოსა და სხვა ცალკეული ქვეყნების ტურიზმის სექტორის წილი მშპ-ში 2016 წ.**




დიაგრამაში 3.2.3 ჩანს საქართველოს ტურიზმის წილი მშპ-ში, არამარტო აღემატება ეუთოს ქვეყნების საშუალო მონაცემს, არამედ მეტია ძლიერი ტურისტული სექტორის მქონე თურქეთისა და საბერძნეთის მაჩვენებელზე, ეს ფაქტი, ერთი მხრივ ხაზს უსვამს საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმის სექტორის მნიშვნელობას, მეორე მხრივ კი ქართული ეკონომიკის დივერსიფიკაციის დაბალ ხარისხზე მიგვითითებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოწინავე პოზიციის ქვეყანა ესპანეთი

2017 წლის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ანგარიშის თანახმადაც პირველ პოზიციაზეა.

საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები ასევე მზარდი ტენდენციით გამოირჩეოდა, დიაგრამა 3.2.4-ის მიხედვით 2016 წელს შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 2.166334 მლრდ დოლარს (ზრდა +11.9% 2015 შედარებით).

**დიაგრამა 3.2.4.**

**საქართველოს შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 2012-2016 წწ (ათასი აშშ დოლარი)**




ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო შემოსვლებში დიდი წილი 83,6% მეზობელ ქვეყნებს უკავიათ, სხვა ქვეყნებზე შესაბამისად 16,4% მოდის. ვიზიტების საერთო რაოდენობის 42,8%-მა 24 საათზე მეტხანს გასტანა, 36,4%-ს ერთდღიანი ვიზიტები შეადგენდა, ხოლო ვიზიტების 20,8% ტრანზიტის მიზნით განხორციელდა.

საერთაშორისო ტურმიზმიდან შემოსავლების ზრდასთან უშუალოდ უკავშირდება უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციების მატება. 2016 წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 1.62 მლრდ ლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით 11,4%-იანი ზრდა დაფიქსირდა (იხ. დიაგრამა 3.2.5)

2016 წელს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზაში დარეგისტრირებული იყო 1765 განთავსების ობიექტი 57 049 საწოლი ადგილით.

განთავსების საშუალებების ოთახების მიხედვით კლასიფიკაციის თანახმად, ხუთი და ნაკლები ოთახის მქონე სასტუმროების რაოდენობრივი კატეგორია ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო 680 (39%).

**დიაგრამა 3.2.5.**

**საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები 2012-2016 წწ (ათასი ლარი)**




2015 წელს მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 2.05 მლრდ ლარს მიაღწია (იხ. დიაგრამა 3.2.6) გაზრდილი მოთხოვნის გამო (ზრდა +11.8%). შედეგად, ტურიზმის წმინდა დამატებული ღირებულება, როგორც მშპ-ს წილი 6.7%-დან 7.05%-მდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა 3.2.2). 2016 წელს ტურიზმის სექტორში დამატებული ღირებულება შეიქმნა კვების ობიექტებში (ზრდა +19.1%) განთავსების საშუალებებში (ზრდა +14.5%) და ტრანსპორტში (ზრდა +22.7%).

**დიაგრამა 3.2.6.**

**საქართველოში ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებითი ღირებულება 2013-2016 წწ (ათასი ლარი).**




საქართველოში ტურიზმის სექტორის დადებითი ძვრები მეტ-ნაკლებად ასახულია შესაბამის საერთაშორისო რეიტინგში. 2017 წლის მოგზაურობისა და ტუ-

რიზმის კონკურენციის ანგარიშის[104] თანახმად, საქართველო 3.7 ქულით მსოფლიო ბაზარზე ტურისტული კონკურენტუნარიანობის მიხედვით 71-ე პოზიციას იკავებს 136 ქვეყანას შორის (იხ. დიაგრამა 3.2.7).

ინდექსის შედგენისას ხდება მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროზე დადებითად მოქმედი ფაქტორების გაზომვა და არა ქვეყნის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მომხიბვლელობის შეფასება. თითოეულ ქვეყანას ენიჭება მოგზაურობისა და ტურიზმის ინდექსი, (TTCI), რომელიც მათ 1-დან 7 ქულამდე ანიჭებს. ინდექსი 14 კრიტერიუმისგან შედგება, რომლებიც ძირითად 4 კომპონენტშია დაჯგუფებული. მათ მიხედვით ფასდება ქვეყნის ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და კულტურული შესაძლებლობები. საქართველოს პოზიციები შემდეგნაირია:

**გარემო – 5.3 ქულა (მსოფლიოში 37-ე ადგილი)**

ბიზნესგარემო – 5.3 ქულა (მსოფლიოში 22-ე ადგილი);

უსაფრთხოება და დაცვა – 6.0 ქულა (მსოფლიოში 29-ე ადგილი);

ჯანმრთელობა და ჰიგიენა – 6.1 ქულა (მსოფლიოში 36-ე ადგილი);

საკადრო რესურსები და შრომის ბაზარი – 4.8 ქულა (მსოფლიოში 51-ე ადგილი);

ტექნოლოგიური განვითარება – 4.5 ქულა (მსოფლიოში 67-ე ადგილი).

**მოგზაურობისა და ტურიზმის პოლიტიკა – 4.3 ქულა (მსოფლიოში მე-60 ადგილი)**

პრიორიტეტებს შორის მოგზაურობა და ტურიზმი – 4.9 ქულა (მსოფლიოში 41-ე ადგილი);

საერთაშორისო გახსნილობა – 3.1 ქულა (მსოფლიოში 66-ე ადგილი);

ფასების კონკურენტუნარიანობა – 4.9 ქულა (მსოფლიოში 66-ე ადგილი);

გარემოს მდგრადობა - 4.4 ქულა (მსოფლიოში 42-ე ადგილი).

**ინფრასტრუქტურა - 3.2 ქულა (მსოფლიოში 76-ე ადგილი)**

საავიაციო ინფრასტრუქტურა – 2.2 ქულა (მსოფლიოში 90-ე ადგილი);

საგზაო და საზღვაო ინფრასტრუქტურა – 3.3 ქულა (მსოფლიოში 63-ე ადგილი);

ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურა – 4.0 ქულა (მსოფლიოში 70-ე ადგილი).

**ბუნებრივი და კულტურული რესურსები – 2.0 ქულა (მსოფლიოში 109-ე ადგილი)**

ბუნებრივი რესურსები – 2.4 ქულა (მსოფლიოში 106-ე ადგილი);

[104] The Travel & Tourism Competitiveness Report 2017, world economic forum.

კულტურული რესურსები და ბიზნესტურიზმი – 1.6 ქულა (მსოფლიოში 81-ე ადგილი).

**დიაგრამა 3.2.7.**

**მოგზაურობისა და ტურიზმის ინდექსი საქართველო და სხვა ქვეყნებში.**




დიაგრამაში 3.2.7–ში ჩანს, რომ საქართველო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან უსწრებს უკრაინას, სომხეთს, რესურსებით მდიდარ აზერბაიჯანსა და ყაზახეთს, თუმცა ჩამორჩება თურქეთს, რუსეთს, შავი ზღვის დანარჩენ და ბალტისპირეთის ქვეყნებს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ბიზნესის სიმარტივის 2018 წლის რეიტინგში საქართველო ამ ქვეყნებზე წინაა. ეს უკანასკნელი რეიტინგი არ ითვალისწინებს ინფრასრუქტურის განვითარების დონეს, სწორედ ეს უნდა იყოს ძირითადი მიზეზი მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსსა და ბიზნესის სიმარტივის რეიტინგს შორის არსებული ცდომილებისა. დარგის ექსპერტების აზრით, სწორედ საქართველოს ინფრასრუქტურის სისუსტე არასაკმარის საერთაშორისო ავიარეისებთან ერთად განაპირობებს კულტურული რესურსების და ბიზნესტურიზმის დაბალ მაჩვენებელს.

საქარველოში ტურიზმის პრიორიტეტულობის და დარგის განვითარების გარკვეული ხედვის არსებობის გათვალისწინებით, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერითა და

კერძო სექტორთან თანამშრომლობით საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ შემუშავდა „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“. სტრატეგიაზე მუშაობის პროცესი ფოკუსირებულია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ტურ-ოპერატორებთან, ინვესტორებთან, დაცული ტერიტორიებისა და ძეგლთა დაცვის სფეროს ექსპერტებთან, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან და სასტუმროების მეპატრონეებთან დიალოგზე, რაც შესაბამისად გულისხმობს დარგში არსებული პრობლემების მიმართ კომპლექსურ მიდგომას. სტრატეგიის საბოლოო ამოცანაა ტურისტის კმაყოფილების ხარისხის გაზრდა, საქართველოს ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია, დარგის მოგების მდგრადი ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა.

ტურიზმის სრატეგიაში ასახულია პასუხები სამ ძირითად კითხვაზე: 1.როგორია ტურიზმის დარგში არსებული ვითარება? 2.რას უნდა მივაღწიოთ 2025 წლისთვის? 3.როგორ უნდა მივაღწიოთ სასურველ შედეგს?

დაინტერესებულ პირებთან აქტიური კონსულტაციების ჩამოყალიბებულ 50 პრიორიტეტული აქტივობა დაჯგუფებულია 8 სტრატეგიული ამოცანაში:

1. ტურიზმის სფეროში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდა;
2. უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების გაზრდის მიზნით ბიზნესგარემოს გაუმჯობესება;
3. მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან ეფექტიანი მარკეტინგისა და საინფორმაციო კამპანიის საშუალებით ვიზიტორების მოზიდვა და შიდა ტურიზმის სტიმულირება;
4. მსოფლიო დონის ტურისტული მომსახურების შეთავაზების მეშვეობით კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
5. უნიკალური ტურისტული შთაბეჭდილებების შეთავაზების გზით საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის აქტივების გამოყენება;
6. საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, დაცვა  და წარმოჩენა;
7. ტურიზმის სფეროში მონაცემთა მოპოვებისა და ანალიზის, ასევე, სექტორის განვითარების შეფასების შესაძლებლობების გაუმჯობესება;
8. ზემოხსენებული ამოცანების მისაღწევად პარტნიორული ურთიერთობების დამყარება სახელმწიფო, ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

მსოფლიო დონის ტურისტული პროდუქტების შესაქმნელად და საერთაშორისო მოთხოვნის სტიმულირების მიზნით (რომელიც მეზობელ ქვეყნებს გასცდება) მოცემული სტრატეგიის მიხედვით ქვეყანამ უნდა დაძლიოს შემდეგი გამოწვევები:

• მნიშვნელოვანი ტურისტული ბაზრებიდან მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი საჰაერო მიმოსვლის უზრუნველყოფა;

• ქვეყნის მასშტაბით მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება ვიზიტორებისათვის, განსაკუთრებით ქალაქებს გარეთ, სადაც ტურიზმის განვითარების პოტენციალი ყველაზე მაღალია;

• ქვეყნის ყველაზე შთამბეჭდავ ტურისტულ ადგილებამდე მისასვლელი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

• კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სხვა კულტურული მნიშვნელობის აქტივების შენარჩუნება და მათი მისაწვდომობის, არსებული სერვისებისა და საინტერპრეტაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

• ადგილობრივი მოსახლეობის მიერ განათლების მიღების შესაძლებლობების გაუმჯობესება, რათა მათ შეძლონ საერთაშორისო და ადგილობრივი ვიზიტორების მომსახურება მაღალ დონეზე;

• ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (სასტუმროების, რესტორნების, მუზეუმებისა და ა.შ.) გაუმჯობესება და მოდერნიზაცია, განსაკუთრებით ზღვისპირა ადგილებსა და სოფლებში;

• მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის, ბაზრის კვლევისა და მარკეტინგის შესაძლებლობების გაუმჯობესება;

• სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ტურისტული პროდუქტის შექმნისა და მარკეტინგის კუთხით.

ცხრილში 3.2.1 ასახულია 2014 წლის ტურიზმის დარგის საპილოტე და 2025 წელს სტრატეგიაში ასახული ღონისძიებების შედეგად მისაღწევი მაჩვენებლები.

2015 წელს არსებული და 2025 წელს მისაღწევი ინდიკატორების შედარებისას იკვეთება, მთავარი, რომ საერთაშორისო შემოსავლები ტურიზმიდან უნდა გაიზარდოს 3,47-ჯერ, რაც 2025 წლის მშპ-ს 7,9%-უნდა შეადგენდეს. ანუ უნდა მოხდეს მშპ-ში ტურიზმის წილის 1,2 %-ით მომატება. ლოგიკურია, შესაბამისად იზრდება ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა - თითქმის ორჯერ (1,9-ჯერ), რაც, ცხადია, საქართველოში უმუშევრების რაოდენობას შეამცირებს.

**ცხრილი 3.2.1.[105]**

**საქართველოში ტურიზმის 2015 წელს არსებული და 2025 წელს მისაღწევი მაჩვენებლები**

| **ინდიკატორი** | | **2015** | **2025** |
|---|---|---|---|
| საერთაშორისო მოგზაურები | | 5 901 094 | 11 000 000 |
| შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან | | 1.9 მლრდ. აშშ დოლარი | 6.6 მლრდ. აშშ დოლარი |
| ტურიზმის წილი მშპ-ში | | 6,7% | 7,9% |
| ტურიზმთან ასოცირებულ ინდუსტრიებში სამუშაო ადგილების საშუალო წლიური რაოდენობა | | 158 515 | 301 284 |
| ვიზიტორის საშუალო დანახარჯი | | 328 აშშ დოლარი | 600 აშშ დოლარი |
| გაჩერების საშუალო ხანგრძლივობა | | 5 დღე | 7 დღე |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (ტურიზმი და მომიჯნავე სექტორები) | | 523 მლრდ. აშშ დოლარი | 1 178 მლრდ. აშშ დოლარი |
| საერთაშორისო შემოსვლების სტრუქტურა | თურქეთის, უკრაინის, თურქმენეთისა და დსთ-ს ქვეყნების წილი საერთაშორისო შემოსვლებში | 92% | 70% |
| | სხვა ქვეყნების წილი საერთაშორისო შემოსვლებში | 8% | 30% |

ცხრილი 3.2.1 მიხედვით შემოსავლების გაზრდის მიღწევა ნავარაუდევია სამგვარად: 1.უშუალოდ საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის გაზრდით 186,4%-

[105]საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2015, გვ. 8.

ით; 2.ვიზიტორთა საშუალო ხარჯის 182%-ით ზრდითა და 3.საშუალო ხარჯთან დაკავშირებული გაჩერების საშუალო პერიოდის 2-დღიანი გახანგრძლივებით. მოგზაურობის რაოდენობის გაზრდა, უკვე ტრადიციული ქვეყნების ტურისტების პროცენტული შემცირების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს ახალი სამიზნე განვითარებული ქვეყნებიდან, რომელთა მოქალაქეებსაც ტურისტული სერვისისათვის უფრო მეტი დასახარჯი თანხა აქვთ. დარგის შემოსავლებისა და დაბანდებული ინვესტიციების ურთიერთშეჭიდულობამ უნდა გამოიწვიოს ამ უკანასკნელის 2,25-ჯერ გაზრდა. ზემოთ მოყვანილი დიაგრამებიდან (3.2.1, 3.2.2, 3.2.4, 3.2.5, 3.2.6) ყველა ინდიკატორის მიხედვით აღინიშნება მატება, რაც ზემომოყვანილი მიზნების მიღწევის რეალურობაზე მიუთითებს.

ამასთან, სტრატეგიაში ჩამოთვლილია ღონისძიებები – მიზნის მისაღწევი ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც გაუმჯობესდება საპილოტე მაჩვენებლებები. ეს აქტივობები შესაძლებელია, უდავოდ ნებისმიერი რეგიონის ტურიზმის განვითარების წარმატების წინაპირობად მივიჩნიოთ, ისინი დაკავშირებულია დასახულ მიზნებთან, თუმცა, საქართველოს ტურისტული შესაძლებლობებისა და არსებული სტატისტიკის მიხედვით მზარდი დადებითი ტენდენციების გათვალისწინებით, მხედველობაში მისაღებია მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს კონკურენტი ქვეყნების შესაბამის აქტივობებზე.

საქართველოს ტურიზმის სექტორი რეგულირდება შემდეგი ნორმატიული აქტებით: „საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ (1997 წ.), „საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“ (1997) და კანონი „საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ“ (1998). უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონები მოძველებულია და არ ასახავს ტურიზმის განვითარების დღეს არსებულ და აქტუალურ სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით აუცილებელია მოხდეს ტურიზმის შესახებ კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ქართულ რეალობაში არსებულ სხვა დარგობრივ ნორმატიულ აქტებთან, რათა ტურიზმსა და მის მომიჯნავე დარგებს მაქსიმალურად განვითარების შესაძლებლობა მიეცეს.

საქართველოში ტურიზმის განვითარების პოტენციალზე მსჯელობისას შესაძლოა გამოიყოს კონკრეტული დასახლებული პუნქტის და/ან ცალკეული რეგიონის შესაძლებლობები. მაგალითად, თბილისი თავად წარმოადგენს ტურისტული დანიშ-

ნულების ადგილს და ასევე არის რეგიონის, ამ შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოს ტურისტული ცენტრი აეროპორტითა და ტურისტული ინფრასრუქტურით, გარე ტურისტი რეგიონში ძირითადად თბილისის აეროპორტის გავლით ხვდება და საკუთრივ თბილისში ღამის გასათევი ადგილის არჩევით შესაძლებელია მოინახულოს რეგიონის ტურისტული დანიშნულების ადგილები (სათხილამურო კურორტებისა და მთიანი ლანდშაფტების გარდა, რომლებიც ისევ და ისევ თავიანთი დატვირთვის გამო, ტურისტების დიდხანს გაჩერებას საჭიროებს). საკუთრივ თბილისის ხიბლს ძირითადად მისი კულტურული ღირებულებები განაპირობებს, მაშინ, როცა რეგიონს თავისი ბუნებრივი, ეკოლოგიური და კულტურული ღირებულებების პარალელურად ეკოტურიზმის სხვადასხვა განშტოების განვითარების პოტენციალი აქვს. ამ შემთხვევაში შევჯერდებით მხოლოდ თბილისის პოტენციალზე და მის კულტურულ ღირებულებებზე.

კულტურული ტურიზმი ტურიზმის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და გულისხმობს: პირთა გადაადგილებას ძირითადი საცხოვრებელი პუნქტების საზღვრებსგარეთ მდებარე ქალაქებში, კულტურული ღირსშესანიშნაობების მონახულებას ახალი ინფორმაციის, გამოცდილებისა და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.[106] ეს განმარტება გამორიცხავს შიდა ტურიზმს და აქცენტს გარე ტურიზმზე აკეთებს. თბილისი, როგორც კულტურული ტურიზმის დანიშნულების ადგილი ქალაქში არსებული კულტურულ/ტურისტული ობიექტების გათვალისწინებით, კულტურული ტურიზმის არსებულ განმარტებას უთუოდ შეესაბამება. თბილისის კულტურული ტურიზმის პროდუქტების განვითარება მრავალ შესაძლებლობას იძლევა: კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნება, კულინარია, მოდა და დიზაინი, სახასიათო არქიტექტურა, ფესტივალები და ღონისძიებები. პარალელურად ყურადღება უნდა გამახვილდეს ტურისტული მომსახურების ამაღლებასა და მის ხელმისაწდომობაზე, რაც არ გულისხმობს ერთბაშად მაღალ დანახარჯებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. დაბალბიუჯეტიანი პროექტების წარმატებით დასრულება შესაძლებლობას მოგვცემს მოკლე ხანში მთლიანად დარგში სიტუაციის გასაუმჯობესებლად გადავდგათ ნაბიჯები, განვითარების თავისებურების შესაბამისად დავსახოთ მომდევნო ეტაპები.

საქართველოში თბილისის საპირწონედ საერთაშორისო ტურისტების მოზიდვის მხრივ უნდა ვივარაუდოთ ბათუმი და ქუთაისი – ორივე ქალაქს აქვს საერთაშორისო

[106]City Tourism and Culture, World Tourism Organization, Research Report, 2005.

აეროპორტი, რაც ტურისტული ნაკადების პირდაპირ მიღების შესაძლებლობას იძლევა და თბილისის მსგავსად წარმოადგენენ ჭიშკარს, რომელთა გავლით სხვა ტურისტული დანიშნულების პუნქტებისკენ გადის გზა.

ბათუმს, ზღვისპირა ქალაქს, მისი მეტროპოლიით, არსებული პოლიტიკური ვითარებისგან გამომდინარე, საქართველოში საზღვაო ტურიზმში კონკურენტი არ ჰყავს. აჭარაში ტურიზმის განვითარება საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს, რაზეც მიუთითებს როგორც ტურისტების, ასევე უცხოური ინვესტიციების სიმრავლეც. მოცემულ შემთხვევაში ბუნებრივ ტურისტულ რესურსს თან სდევს დამატებითი კონკურენციული უპირატესობა – საზღვართან სიახლოვე, სახმელეთო გზით შემოსული ტურისტების მოზიდვის დიდი შესაძლებლობა.

ბათუმის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშა შესაძლოა სამორინე სახლების ფუნქციონირების დაშვებითა და შესაბამისი ტურიზმის პოლიტიკის შემუშავებით გამომდინარეობდეს, - რაც მძლავრი საზღვაო ტურისტული ინფრასტრუქტურის მქონე მეზობელი თურქეთიდან მრავალრიცხოვანი ტურისტული ნაკადების მოზიდვას გულისხმობს. ცალკეული კვლევების მიხედვით, შიდა ტურისტებს აჭარაში ძირითადად ზღვა იზიდავთ, ხოლო უცხოელი ტურისტები ეკოტურიზმით (მაღალმთიანი აჭარა) არიან დაინტერესებულნი.[107] საკამათოა, თუ რა კონკურენციულ უპირატესობას ფლობს ამ მხრივ აჭარა, მისი მრავალფეროვანი ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით (საზღვაო ტურიზმი, სამთო-სათხილამურო ტურიზმი, ეკო- და რურალული ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, საკრუიზო ტურიზმი, MICE ტურიზმი). საქართველოს მასშტაბით ზღვაზე დასვენების მოყვარულ შიდა ტურისტებისთვის აჭარის სანაპირო ზოლი მართლაც მნიშვნელოვანია. ქვეყანაში ვალუტის შემომტანი უცხოელი ტურისტებისთვის ეკოტურიზმის მხრივ ქვეყანაში არანაკლებ თვალწარმტაცი ადგილები არსებობს (ბორჯომის ხეობა, სვანეთი, რაჭა, თუშეთი).

ადგილობრივ კვლევებში ყურადღება არ არის გამახვილებული სამორინე სახლების როლზე ბათუმის ტურიზმის განვითარებაში, მაშინ, როცა უმსხვილესი სამაუწყებლო კორპორაცია BBC ჯერ კიდევ 2012 წელს ბათუმს შავი ზღვის ლასვეგასს უწოდებდა.[108] კონკრეტული სტატისტიკა, თუ რამდენია აზარტული თამაშის მოყვარულთა წილი აჭარის სტუმრებში, არ არსებობს, მათი დიდი როლის მნიშვნელობაზე მხოლოდ სამორინეებში ჩადებული ინვესტიციებითა და მიღებული შემო-

[107] ტურისტების კვლევა აჭარაში, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ანალიტიკური ანგარიში, ICT Recearch, 2011.
[108] http://www.bbc.co.uk/news/magazine-19756812, ბოლოს გადამოწმებული 20.10.2017.

სავლებით შეიძლება ვიმსჯელოთ. უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმსა და მის მიმდებარე დასახლებულ პუქტებში სამორინე სახლების გახსნის ნებართვა უფასოა, თუ სამორინე ახლად აშენებულ სულ მცირე ასნომრიან სასტუმროში გაიხსნება.[109] სწორედ ამ გამონაკლისს უნდა მივაწეროთ აჭარის შავიზღვისპირეთში სასტუმროების გახსნის ბუმი და არა ქართველ დამსვნებელთა ზღვის მიმართ სიყვარულს. აღსანიშნავია, რომ „კაზინო-ტურისტების“ უმეტესობა უშუალოდ აზარტული თამაშითაა დაინტერესებული, თუმცა სათანადოდ დაგეგმილი სარეკლამო კამპანიის შედეგად შესაძლებელია მათზე დამატებითი ტურისტული სერვისების მორგება, კერძოდ, მათთვის შესაძლებელია ტურისტული მარშრუტებისა და სხვადახვა კულტურულ ღონისძიებაზე დასწრების შეთავაზება, რაც რეგიონში დამატებითი სახსრების მოზიდვის წინაპირობაა.[110]

ამასთან, სუბიქტურ და ობიექტურ მიზეზთა გამო უნდა აღინიშნოს აზარტული თამაშის მიმართ საკმაოდ გავრცელებული არაჯანსაღი დამოკიდებულება. კორუფციასთან მებრძოლი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ რეკომენდაციით ამ დარგის მიმართ ლიბერალური პოლიტიკა უნდა არსებობდეს, რადგანაც აზარტული თამაშების ბიზნესი ტურიზმის განვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ხოლო ტურიზმი კი ქართული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი საშუალებაა.

ბოლო მონაცემებით საქართველოს სიდიდით მესამე ქალაქის, ქუთაისის, ტურისტული პოტენციალი მნიშვნელოვანია ტურისტული კლასტერის ფორმირებისა და საქართველოს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. ქუთაისს აქვს საერთაშორისო აეროპორტი, უშუალოდ შემოგარენში მდებარეობს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი, გელათის ტაძარი. ქუთაისის გავლით ადვილად შესაძლებელია დაკავშირება დასავლეთ საქართველოს ისტორიული და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით მდიდარ რეგიონებთან. მაგრამ ორ ზემოთ განხილულ ტურისტულ ცენტრთან, თბილისსა და ბათუმთან შედარებით, აღინიშნება საგრძნობი ნაკლოვანებები. კერძოდ, ქალაქში საერთაშორისო დონის სასტუმროს ნომრები ძალზე მცირეა, რაც, თავის მხრივ, ადგილობრივ სასტუმროებს არ უბიძგებს სტანდარტის გაუმჯობესებისკენ, სავალალო მდგომარეობაშია ქუთაისის მახლობელ კურორტ წყალტუბოს სანატორიუმები, განუვითარებელია ტურისტების მოსაზიდი

[109] საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ”, მუხლი 7.
[110] აზარტული თამაშები საქართველოში, მე-2 გამოცემა, საერთაშორისო გამჭირვალობა 2015 წ.

ინფრასრუქტურა. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება აამაღლებს ცხოვრების სტანდარტსა და შესაბამისად მოიზიდავს დამატებით ინვესტიციებს – რაც ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზეც იმოქმედებს. შესაბამისად, საქართველოს ორ ტურისტულ ცენტრს, თბილისსა და ბათუმს შორის მოქცეული ქალაქიც შეძლებს თავისი განსაკუთრებული ნიშის მოპოვებას ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ძირითადი ქალაქები ერთმანეთს არ უწევენ მეტოქეობას, თითოეული მათგანი შეიძლება მოვიაზროთ მისი მომიჯნავე რეგიონის ცენტრებად: თბილისი - აღმოსავლეთ საქართველოს, ქუთაისი - დასავლეთ საქართველოს, ბათუმი კი - საქართველოს შავი ზღვის რეგიონის ცენტრად. ეს ქალაქები ირგებენ თავიანთ განსაკუთრებულ ნიშას და ქვეყნის საერთო ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით საერთაშორისო კონკურენციაში არიან ჩაბმული. ტურისტული კლასტერის ფორმირებისა და გაერთიანების პირობებში მოხდება საქართველოს ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

მონაცემების შეფასებამ გვიჩვენა, რომ ერთ-ერთი განვითარებადი სექტორი ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით - ტურიზმია. მდიდარი და უნიკალური ისტორიული მემკვიდრეობის, ლამაზი ბუნების, მსოფლიო კლასის ღვინოებისა და სამზარეულოს, ასევე, მრავალფეროვანი სარეკრეაციო შესაძლებლობების წყალობით საქართველოში შესაძლებელია ძლიერი ტურისტული კლასტერის შექმნა-განვითარება, რაც საერთაშორისო დონის ტურისტული ინფრასტრუქტურის ფორმირებით ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ტურისტული კლასტერების ჩამოყალიბება და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება.[111] საქართველოს სოციალურ-კულტურული თავისებურებებისა და ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ქვეყნაში მრეწველობის მთელი რიგი დარგების მძიმე მდგომარეობის ფონზე, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ დარგთან, რაც თავისთავად შესაბამისი ადგილობრივი ინსტიტუტების ჩართულობის მკაფიოდ განსაზღვრას გულისხმობს.

[111] Erkomaishvili, G. , Gvelesiani, R. , Kharaishvili, E. , Chavleishvili, M. 'Policy of Tourism and Opportunities of Development of Wellness Industry in Georgia'. World Academy of Science, Engineering and Technology, International Science Index 85, International Journal of Social, Management, Economics and Business Engineering, 8(1), 2014, გვ. 176 - 180.

საქართველოს ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, უპირველეს ყოვლისა, „საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025“-ის მიზნებით დასახული მაჩვენებლების მიღწევით გამოიხატება, რაც კოპლექსური პროცესია და სხვა დარგების განვითარებასაც გულისხმობს. ტურიზმის მოქმედ სტრატეგიაში გამოკვეთილია მისი განხორციელების პრინციპები, რომელთაც შესაბამისად საკვანძო მნიშვნელობა აქვს კონკურენტურიანობის ასამაღლებლად: კერძო სექტორის წამყვანი როლი, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ჩართულობა, ბაზრების პრიორიტეტულობის განსაზღვრა, მდგრადობა, მომსახურების სფეროზე საქართველოს სტუმართმოყვარეობის კულტურის განვრცობა. აღნიშნული პრინციპების დაცვა და სტრატეგიით დასახული ღონისძიებების – მიზნის მისაღწევი ინსტრუმენტების სრულყოფილად ამოქმედება, არამარტო გააუმჯობესებს საპილოტე მაჩვენებლებებს და აამაღლებს ქართული ტურიზმის კონკურენტუნარიანობას, არამედ ზოგადად გააძლიერებს საქართველოს ეკონომიკას. როგორც აღინიშნა, ტურიზმი მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებით განვითარებადი დარგია, ეკონომიკურ წინსვლასთან ერთად სულ უფრო და უფრო მატულობს ადამიანთა რიცხვი, რომელთაც ტურისტული სერვისების გამოყენება სურს, ამის პარალელურად იზრდება მათი არჩევანი, - მძაფრთდება დარგში კონკურენცია. შესაბამისად, საქართველოს ტურიზმის სექტორისათვის გამოწვევა საკმაოდ დიდია, ისევე, როგორც ამ დარგით სარგებლობის მიღების შესაძლებლობა. ტურიზმი განვითარებად ქვეყნებს აძლევს შანსს, საკუთარი კულტურული და ბუნებრივი რესურსები გამოიყენოს დამატებით შემოსავლების გამოსამუშავებლად, იგი საქართველოსაც ეძლევა. საქართველოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ერთი მხრივ, აქვს სატრანზიტო ფუნქცია, რაც ტურისტული ნაკადების მიზიდვის ერთგვარი საბაბიცაა, და მეორე მხრივ, ჩვენ ვიმყოფებით კულტურათა გზაჯვარედინზე, რომელიც ერთნაირად იზიდავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციების წარმომადგენლებს, ეს კი უკვე კონკურენციული უპირატესობაა. ამასთან, ტურიზმი თავისი საკვანძო მნიშვნელობის გამო ეკონომიკის ძრავას წარმოადგენს, მასთან დაკავშირებულია მრავალი დარგი. მოწესრიგებული ტურისტული ინდუსტრია ნიშნავს ტრანსპორტის, საგზაო ინფრასრუქტურისა და მშენებლობის სექტორის გამართვას, სოფლის მეურნეობის, კვებისა და პარფიუმერული მრეწველობის განვითარებას, გულისხმობს შოუბიზნესის, სხვადასხვა სახის მომსახურების დახვეწას, ქვეყანაში ინვესტიციების ჩადების დამატებითი მოტივაციის გაჩენას. ყველა ამ კომპონენტის ურთიერთკავშირის

შედეგად კი იქმნება სამუშაო ადგილები, მატულობს მოსახლეობის შემოსავალი (რაც ქვეყნის საგადასახადო შემოსავლებზეც აისახება) უცხოური ვალუტის შემოდინების შედეგად სტაბილურდება ადგილობრივი ვალუტა. შესაბამისად, ჩვენ, ვერ ვიტყვით უარს ტურიზმის დარგის განივითარებასთან დაკავშირებულ სიკეთეებზე, უნდა ჩავებათ ტურისტული ქვეყნების კონკურენციაში გრძელვადიანი ხედვით - ჩვენი ბუნებრივი და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებით. თუმცა, როგორც აღინიშნა, ტურიზმის დარგი მსოფლიოში ერთ-ერთი კონკურენციული სექტორია, ტურისტული სერვისი კი არ მიეკუთვნება პირველად მოთხოვნას და მცირედმა ფინანსურმა კრიზისმა ან რეგიონში უსაფრთხოების ცვლილებამ სიტუაცია შესაძლოა რადიკალურად შეცვალოს, რაც კიდევ ერთ და-მატებით საბაბს იძლევა, ტურიზმის სექტორისგან მიღებული შემოსავლები გადანა-წილდეს სხვა დარგებში, კეთილდღეობის განმაპირობებელი ფაქტორების დივერსი-ფიკაციისა და ისევ და ისევ საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის კონკუ-რენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

## 3.3. განათლება, როგორც კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორი

ხარისხიანი უმაღლესი განათლება (რომლის საფუძველსაც უთუოდ დაწყებითი და ზოგადი განათლება წარმოადგენს) თანამედროვე, კონკურენტუნარიანი და სამართლიანი სახელმწიფოს შენების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საქართველოს მომავალი განვითარება დიდ წილად არის დამოკიდებული სწორედ განათლების ხარისხსა და მის ხელმისაწვდომობაზე.[112]ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობასთან მიმართებით ყურადღება გასამახვილებელია უმაღლეს და პროფესიულ განათლებაზე, ერთი მხრივ, თავს იჩენს უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული მეცნიერების განვითარებისა და ინოვაციების დონე, რაც შესაბამის რეიტინგებში აისახება და ქვეყნის განვითარების ზოგად სურათს გვაძლევს, ხოლო, მეორე მხრივ, უმაღლეს განათლებასთან ერთად პროფესიულ განათლებასთან დაახლოებული შრომის ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების შეუსაბამობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლება გულისხმობს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო პირობების მიღების აუცილებლობას, რაც თავის თავში განათლების სერვისის ხარისხის გაუმჯობესებას მოიაზრებს.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების შემდეგ მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა განათლებისა და მეცნიერების დაახლოების კუთხით. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური განათლების სისტემის რეფორმირება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, თუმცა სამოქალაქო დაპირისპირებისა და ეკონომიკური ვარდნის გამო განათლების სისტემის განვითარებაზე ზრუნვა, სამწუხაროდ, მეორეხარისხოვანი გახდა, რამაც, თავის მხრივ, მთელ რიგ პრობლემებს დაუდო სათავე.

ზოგადი განათლების კუთხით დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე განხორციელდა მთელი რიგი ძვრები: - (საჯარო სკოლებისათვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება, მათთვის საბანკო ანგარიშების გახსნა და ქონების გადაცემა უვადო უზუფრუქტის წესით, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება, კლასდაფინანსებიდან ერთ მოსწავლეზე გათ-

[112] უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბ., 2013, გვ .3.

ვლილი დაფინანსების მოდელზე გადასვლა და სხვა). მიუხედავად ამისა, ზოგადი განათლება კვლავ დიდი გამოწვევების წინაშეა, როგორებიცაა: პედაგოგების გადამზადება, ახალი კადრების მოზიდვა და მასთან დაკავშირებული რეპეტიტორთა დამოუკიდებელი ინსტიტუტი, მოსწავლეების დაბალი მომზადების დონე და სხვა.

საერთაშორისო შეფასების პროგრამის (PISA) მიხედვით, რომელიც განიხილავს ეუთოს წევრი და მისი პარტნიორი ქვეყნის მონაცემებს პირველი კვლევა საქართველოში 2009 წელს ჩატარდა. შედეგების მიხედვით, მოსწავლეების შეფასება საშუალო მაჩვენებელზე დაბალი იყო. საქართველომ კვლევაში მონაწილე 74 ქვეყნიდან 67-ე ადგილი დაიკავა.[113] ეს მონაცემები მოულოდნელი აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც საქართველოში განათლების სისტემაში მიმდინარე რეფომების ფონზე უკეთეს შედეგს მოელოდნენ. ამ მიზეზით საქართველომ კვლევაში მონაწილეობა შეწყვიტა. 2015 წელს კი განათლების რეფორმის ნაკლოვანი მხარეების უკეთ გამოვლენის და მისი გაანალიზების მიზნით ჩვენი ქვეყანა ამ საერთაშორისო კვლევას კვლავ შეუერთდა. 2015 წელს მოსწავლეების საერთაშორისო შეფასების პროგრამის (PISA) მიხედვით, რომელშიც 72 ქვეყანა მონაწილეობდა, საქართველომ წაკითხულის გააზრებაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 15 წლის მოსწავლეების შეფასების მიხედვით, ცუდი შედეგები აჩვენა და სამივე საგანში მიღებული ქულებით საბოლოოდ 62-ე ადგილი დაიკავა. 2018 წელს ამ კვლევაში 70 ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა, საქართველომ საერთო ჯამში 2 ადგილით გაიუმჯობესა მდგომარეობა და შესაბამისად 60 ადგილი დაიკავა. ამ წლის მონაცემებით საქართველო მათემატიკის კომპონენტში 57-ე ადგილს იკავებს, მეცნიერების 59-ე, წაკითხულის გააზრების კომპონენტში კი 62.[114] ხანგრძლივ პერსპექტივაში ამ ტენდენციის შენარჩუნება სასკოლო განათლებაში წარმოებული რეფორმების წარმატებულებას მიუთითებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ასევე საბჭოთა წარსულის მქონე ესტონეთი კვლევაში მოწინავეთა რიგშია და მე-5 ადგილს იკავებს, საქართველოსთვის საინტერესო უნდა იყოს მათი გამოცდილების გაზიარება.

უმაღლესი განათლების სფეროში ბოლო ორ ათეულ წელიწადში ჩატარებული რეფორმების შედეგად სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა უმაღლესი სასწავლებ-

[113] http://www.oecd.org/pisa/, ბოლოს გადამოწმებული 20.10.2017.
[114] http://factsmaps.com/pisa-worldwide-ranking-average-score-of-math-science-reading/, ბოლოს გადამოწმებული 25.08.2018.

ლების შეერთება. ამის შედეგად ინსტიტუციების გამსხვილებაზე მეტად, სამეცნიერო-კვლევითი მასშტაბების შემცირება შეიმჩნევა. ეს ტენდეცია აისახება შესაბამის რეიტინგებში.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ 2017-2018 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს 137 საკვლევ ქვეყანას შორის განათლებასთან დაკავშირებულ ინდიკატორებსა და კომპონენტებში დაბალი პოზიციები უკავია: ერთიანად ჯანდაცვისა და ზოგადი განათლების ინდიკატორის მიხედვით საქართველო 69-ე ადგილზეა, მაშინ, როცა ამ ინდიკატორის უშუალოდ განათლებასთან დაკავშირებული კომპონენტების მიხედვით - დაწყებით განათლებაში ჩართულობის მიხედვით - 99-ე, ხოლო დაწყებითი განათლების ხარისხის მიხედვით 106-ე; უმაღლესი განათლებისა და ტრენინგის ინდიკატორის მიხედვით 87-ე, ინოვაციების ინდიკატორის მიხედვით 118-ე ადგილზე.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სრატეგიაში „საქართველო – 2020“-ის მიხედვით განათლება სხვა სტრატეგიულ მიმართულებებთან ერთად სოციალური უსაფრთხოების და სოციალური სამართლიანობის პრინციპების განმახორციელებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს. აღნიშნული სტრატეგიის მიხედვით სახელმწიფო კვლევების და განვითარების კომერციალიზაციის მიზნით ხელს უწყობს კერძო სექტორს და განათლების სისტემას შორის კავშირების გაღრმავებას. მოცემულ დოკუმენტში აღნიშნულია შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსის არსებული პრობლემა, - დასაქმებულებს განათლება აქვთ ისეთ სფეროებში, რომლებზეც შრომის ბაზარზე მოთხოვნა ნაკლებია. მაშინ, როცა არასაკმარისია, სათანადო პროფესიული განათლების მქონე სამუშაო ძალა იმ ადგილების შესავსებად, რომლებსაც პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდება. სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილია ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებისათვის სკოლების ფიზიკური ინფრასტრუქტურის განახლება/განვითარება, სასწავლო პროგრამების დახვეწა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და მათი მოტივაციის ამაღლება.

პროფესიულ განათლებასთან მიმართებით არსებული პრობლემების გადასალახად 2013 წლის 26 დეკემბრიდან მოქმედებს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები). სხვა მიზნებს შორის შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის საშუალებით სტრატეგია ითვალისწინებს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტუ-

ნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის.[115] დოკუმენტის მიხედვით საქართველოს პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები, ერთი მხრივ მათი შრომის ბაზარზე არაორიენტულობა, მეორე მხრივ კი მოსახლეობაში მათი არაპრესტიჟულობა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ პროფესიული განათლების პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების ხარისხის გაზრდა, მოსახლეობაში მათ მიმართ კეთილგანწყობას აამაღლებს და ამავროულოულად, საბაზრო ეკონომიკის პირობებზე უფრო მორგებულს გახდის.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 დეკემბრის №533 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“. სტრატეგია ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმებს, ასევე მათი მეშვეობით მიღებული მიღწევებისა და არსებული გამოწვევების ანალიზს. იგი მოიცავს სფეროში არსებული მწვავე საკითხების რეგულირების, როგორებიცაა: განათლების პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მიმდინარე და მომავალ მოთხოვნებთან, სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა, ყველა დონეზე განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დასაქმებაზე მიბმული პროფესიული მომზადება, უმაღლესი განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კავშირი ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან. სტრატეგიაში ასახულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემის ყველა მიმართულება: ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები. დოკუმენტში დაცულია მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების (LLL) პრინციპისა და განათლების სხვადასხვა დონეს შორის კავშირის უზრუნველყოფა. სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების სისტემამ უზრუნველყოს კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი მოქალაქეების აღზრდა, რომლებიც წვლილს შეიტანენ ცოდნის ეკონომიკის განვითარებასა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

საქართველოს განათლების სისტემა დღევანდელი მდგომარეობით რთული გამოწვევების წინაშეა. განათლების მნიშვნელობა გადამწყვეტია, კვალიფიციური კადრების აღზდასა და მეცნიერული აღმოჩენების-ინოვაციების კუთხით, ამიტომ

[115] პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები), გვ. 4.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზაზეც ჩდება დაბრკოლებები. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ ანგარიშის მონაცემებით ნათლად ჩანს. ამიტომ „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021“-ის დასახული მიზნების მიღწევა დიდ მნიშვნელობას იძენს. თავად სტრატეგიის მიხედვით არსებული პრობლემები გარკვეულწილად დაფინანსებას უკავშირდება. ამასთან, უნდა აღინიშნოს ეუთოს ქვეყნების საშუალო ხარჯი განათლებაზე პირველი საფეხურიდან მესამე საფეხურის ჩათვლით მთლიანი სახელმწიფო ხარჯების 11,3%-ს შეადგენს; ჩეხეთში, უნგრეთში, იტალიასა და რუსეთის ფედერაციაში ეს მაჩვენებელი 8%-მდეა; ბრაზილიაში, კოსტა-რიკაში, ინდონეზიაში, მექსიკაში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კი 16%-მდე; მაშინ როცა საქართველოს განათლების სფეროზე 2017 წელს გასაწევი ხარჯი მთლიანი ხარჯების 0,12% -ია (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები - 9 121 212.8 ათასი ლარი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხარჯები - 1102.950 ათასი ლარი).[116] არასაკმარის ფინანსურ რესურსებთანაა დაკავშირებული განათლების სფეროში დასაქმებულთა, განსაკუთებით საჯარო სკოლების პედაგოგთა დაბალი ხელფასები, შესაბამისად დაბალი მოტივაცია, არასაკმარისი აღჭურვილობა კვლევებისა და ლაბორატორიულ-პრაქტიკული სამუშაოებისათვის, მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისადმი დაბალი დაინტერება, მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების ნაკლებობა, რაც განაპირობებს ქართველ მეცნიერთა ციტირების დაბალ ინდექსს, და ინოვაციების მცირე რიცხვს. ეს, თავის მხრივ, იასახება ქართული უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგსა და მეცნიერების დაბალ კონკურენტუნარიანობაზე, რაც თავისთავად ქვეყნის პრესტიჟზე ახდენს გავლენას. უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში საბუნებისმეტყველო და რიგი ტექნიკური სპეციალობებისა, სახელმწიფო დაფინანსებისა და მათთან დაკავშირებული დარგების მაღალი სამრეწველო პოტენციალის მიუხედავად, ისევე, როგორც მთელი რიგი პროფესიული განათლების პროგრამების, აბიტურენტებში მათ მიმართ ინტერესი დაბალია. შესაბამისად, არსებული პრობლემების დასაძლევად დამატებითი ფინანსური რესურსების გამონახვასთან ერთად საჭიროა, დამატებითი ძალისხმევა შრომის ბაზრის პირობების შესაბამისი პრიორიტეტების ფორმირებისათვის, რაც, რა თქმა, უნდა არ

[116] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო http://mof.ge/i, ბოლოს გადამოწმებული 03.05.2018.

უნდა მოხდეს სახელმწიფოს სხვა სასიცოხლო მიმართულების ხარჯზე. იკვრება ჯაჭვი: - განათლების მაღალი სტანდარტი განაპირობებს უფრო ეფექტიან მუშაობასა და რესურსების დაზოგვას, განათლებაში დამატებითი ინვესტიციების ჩადება კი ისევ ხარჯების ეფექტიანი გადანაწილებით მიიღება. ეროვნულ ეკონომიკას სჭირდება კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რაც კვალიფიციური კადრისა და ახალი სამეცნიერო ტექნიკური ინოვაციების გარეშე წარმოუდგენელია, ეს კი ხარისხიან განათლებას მოითხოვს. ამიტომ თავისუფლად შეიძლება ითქვას, ხარისხიანი განათლება გადამწყვეტი ფაქტორია ეროვნული კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

## 3.4. ჯანდაცვა, მედიცინა, მომიჯნავე დარგები და მათი კონკურენტუნარიანობა

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანდაცვისა და მედიცინის დარგის განვითარებას, იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, ამავე დროს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ჯანმრთელობა აღიქმება, როგორც ადამიანის განვითარების უმთავრესი კომპონენტი. ამავე დროს ჯანდაცვა საკმაოდ პოლიტიზირებული სექტორია, სადაც ერთმანეთს კვეთს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მიზანი, თუ ეროვნული და საერთაშორისო პრიორიტეტი.

თანამედროვე ჯანდაცვის სფეროს მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების ბაზრის კონკურენციის გაღრმავება[117], რაც სხვადასხვა ქვეყანაში ჯანდაცვის განვითარებას უნდა გულისხმობდეს. ჯანდაცვის სფეროს მსოფლიო გამოწვევების რეგულირების აუცილებელობა მეტ-ნაკლებად ასახულია ქართულ რეალობაშიც. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ს თანახმად სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის და ხარისხის კუთხით უთანასწორობის აღმოფხვრა უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის ინკლუზიურ განვითარებაზე. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მისი ხარისხის გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ სფეროში განსახორციელებელი პოლიტიკა მიზნად ისახავს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამასთან, უნდა შენარჩუნდეს ჯანდაცვის დაფინანსება და სახელმწიფო და კერძო დანახარჯებს შორის თანაფარდობის ცვლილების გზით შემცირდეს სამედიცინო სერვისებსა და მედიკამენტებზე შინამეურნეობების ფინანსური ტვირთი. სტრატეგიის თანახმად ჯანდაცვის სფეროში იკვეთება შემდეგი მიზნები:

• სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

• სამკურნალწამლო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

• პირველადი ჯანდაცვის გაძლიერება (სახელმწიფოს მიერ ოჯახის ექიმის ინსტიტუტის გაძლიერება).

[117]Partice Spath, Introduction of Haelthcare Quality Managerment, 2013 გვ. 32.

ბოლო 15 წელია საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარეობს ეფექტიანი რეფორმები, რომელთა საშუალებითაც ჯანდაცვის ინდიკატორები მიუახლოვდა ევროპულ სტანდარტს. დამოუკიდებლობის შემდეგ ძირითადი რეფორმები 2003 წელს დაიწყო, ისევე როგორც სხვა სფეროებში, საგრძნობლად შემცირდა ლიცენზიების რაოდენობა, კერძო სექტორისათვის გაადვილდა სამედიცინო ბაზარზე შესვლა, საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინიტრომ შეიმუშავა პაციენტთა საჩივრების განხილვის გაიდლაინები და უმთავრესი – 2007 წელს საქართველოს ჯანდაცვის სისტემა საბოლოოდ გადავიდა საბჭოთა ჯანდაცვის სისტემიდან დაზღვევაზე დაფუძნებულ სისტემაზე. ამასთან, სახელმწიფომ დაა-ფინანსა სადაზღვევო პაკეტები 0,75 მლნ. უმწეოსათვის (მოსახლეობის 21,3%). 2007 წელს კი გაზარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა და ბავშვთა ჯანდაცვის დაფინანსება. 2012 წლიდან საყოველთაო დაზღვევის მასშტაბები გაიზარდა და მან სრულიად 1,8 მლნ. ადამიანი მოიცვა (მთლიანი მოსახლეობის 41,1%). 2013 წელს ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საქართველოს მთავრობამ საყოველთაო დაზღვევის სისტემაში მთელი მოსახლეობა ჩართო. საყოველთაო დაზღვევამ მოიცვა კერძო სადაზღვევო სისტემის დაზღვეულები.[118] 2016 წლის დეკემბერში ხელისუფლებამ დაიწყო ჯანდაცვის რეფორმის მეორე ეტაპი, რაც გულისხმობს მეტ დიფერენციაციას მაღალ და დაბალშემოსავლიან მოქალაქეებს შორის და უფრო მკაცრი კრიტერიუმების შემოღებას პარტნიორი კლინიკების შესარჩევად.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2015 წლის მონაცემებით სიცოხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში მამაკაცებისათვის 70 წელია, ხოლო ქალებისათვის 78. ზრდასრული (15–60) მოსახლეობის სიკვდილიანობა ყოველ 1000 კაცზე შეადგენს 262 (91 მამაკაცი, 71 ქალი). ამავე ორგანიზაციის 2014 წლის მონაცემებით ჯანდაცვაზე 1 სულ მოსახლეზე იხარჯება 628 აშშ დოლარი, რაც მშპ–ს 7,4%-ს შეადგენს. ორგანიზაციის 2015 წლის მონაცემების მიხედვით საქართველო სიცოცლის ხანგრძლივობის მიხედვით მსოფლიოში 82-ე ადგილზეა. შედარებისთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან საქართველოს უსწრებს ესტონეთი, მე-40 ადგილით, სომხეთი 73-ე ადგილით, ლატვია 77-ე ადგილით. ჩვენზე წინაა ასევე მეზობელი თურქეთი 58-ე ადგილით. სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ლიტვა 89-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი 96-ე, ბელარუსია 98-ე, მოლდოვა 99-ე, უკრაინა 104-ე,

[118] Georgia Healthcare Equipment and Services, Industry Overview, Galt & Taggart February 4, 2016, გვ. 3.

ყირგიზეთი 106-ე, რუსეთი 110-ე, ყაზახეთი 111-ე.[119] აღნიშნული მონაცემით, რა თქმა უნდა, ვერ ვიმსჯელებთ ჯანდაცვის სისტემის განვითარების დონის შესახებ, რადგან სიცოცლის ხანგრძლივობას ეკონომიკური განვითარების გარდა სხვა მრავალი ფაქტორიც განაპირობებს.

საქართველოში ჯანდაცვის სფეროს კანონმდებლობა მოიცავს 11 კანონსა და 83 ნორმატიულ ბრძანებასა და მთავრობის დადგენილებას, მათგან უმნიშვნელოვანესია 2001 წლის 8 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი ჯანრთელობის დაცვის შესახებ და საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, ასევე 2005 წლის 5 მაისს მიღებული საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ. სამედიცინო სერვისების მარეგულირებელი კანონმდებლობის მნიშვნელობა და არსებული ხარვეზები მოცემულია სქემაში 3.4.1.

ქვეყანაში ექიმთა უზრუნველყოფის მაჩვენებელები საკმაოდ მაღალია (456.3/100000 მოსახლეზე, 2013 წ.), მაშინ, როდესაც ექთნების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება რეგიონის მაჩვენებლებს (382/100000). ამასთანავე, აღინიშნება სამედიცინო კადრების არათანაბარი გეოგრაფიული განაწილება. დღემდე პრობლემურია საექთნო საქმის პოპულარიზაცია საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებისა და აკადემიური თუ პროფესიული მზადებისათვის შესაბამისი სტიმულაციის (საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ფინანსური წახალისების არარსებობის ფონზე). მედდების რაოდენობის დეფიციტი უარყოფით გავლენას ახდენს ჯანდაცვის სისტემაზე და პაციენტზე. მიზეზი სხვადასხვაა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სისტემის უუნარობა შეინარჩუნოს ექთანი სამუშაო ადგილზე.[120]

ფარმაცია XXI საუკუნის საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული და ის მომგებიან ბიზნესად მიიჩნევა. დარგის წარმატებაზე მიუთითებს ჩვენს გახსნილი როგორც საცალო, ისე სააფთიაქო ქსელები. ამასთან, ქართული საბჭოთა პერიოდის ფარმაციაც საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული, ფუნქციონირებდა კვლევითი ინსტიტუტები, მუშაობდა რამდენიმე ქარხანა.[121]

ცხრილში 3.4.1 პრაქტიკოს მედიკოსთან ინტერვიუს საფუძველზე მოცემულია საქართველოში სამედიცინო სერვისების არსებული მარეგულირებელი ფორმები და მათი ხარვეზები.

---

[119] United Nations Department of Economic and Social Affairs, "United Nations World Population Prospects: 2015 revision

[120] ვერულავა თ., წივწივაძე დ. „მედდების საქმიანობის გარემოს მახასიათებლები და სამუშაოთი კმაყოფილება საქართველოში“, ჟურნალი „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“, №2, 2015 გვ. 10.

[121] დათეშიძე ლ., შენგელია ა., შენგელია ვ., „ქართული სამედიცინო ენციკლოპედია“, მეორე დეპო–გამოცემა. ჟურნალი „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა“, 2006, გვ. 8.

**ცხრილი 3.4.1.**

**სამედიცინო სერვისების მარეგულირებელი კანონმდებლობის მნიშვნელობა და არსებული ხარვეზები საქართველოში.**[122]

| სამედიცინო სერვისების ხარისხის მინიმალური მოთხოვნების უზრუნველყოფის ინსტრუმენტები | ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მოტივაციის ხელისშემშლელი ხარ-ვეზები |
|---|---|
| 1. ლიცენზირება | არახარჯთეფექტიანი მოთხოვნები |
| 2. ნებართვები | არახარჯთეფექტიანი მოთხოვნები |
| 3. სერტიფიცირება | პროცესი ვერ იძლევა, სერთიფიკატის მაძიებლის პროფესიული უნარების იდენტიფიცირების საშუალებას |
| 4. ექსპერტიზის კონტროლი | პროცესი მოიცავს მაღალ რისკებს ქსელისათვის შესაბამისი მოტივაციის გარეშე |
| 5. სახელმწიფო პროგრამების შესრულების კონტროლი | გარკვეულ შემთხვევაში ბუნდოვანი და გაურკვეველია დაწესებულების მიერ ბიუჯეტში აღსადგენი თანხის დაანგარიშების წესი |
| 6. მოქალაქეთა საჩივრების შესწავლა | მექანიზმში ამჟამად გათვალისწინე-ბულია მხოლოდ ექიმთა დასჯის ზომები დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, ხოლო განმცხადებელი, პრაქტიკულად, ყოველთვის მოითხოვს ზიანის მატერიალურ ანაზღაურებას |

საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი რეგულირდება შემდეგი საკანონმდებ-ლო აქტებისგან: 1997 წელს მიღებული საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ ქმნის ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქ-ცევის მართლზომიერი პრაქტიკის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს, 2003 წელს მიღებული საქართველოს კანონი „სამედიცინო და ფარ-

[122] მაღრაძე ბ.– შპს „ჯეოჰოსპიტალსის“, შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის უფროსი, მონაცემები მოპოვულია პირადი ინტერვიუს საშუალებით. 25. 11.2017.

მაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ აწესრიგებს სამედიცინო და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემებით, ჯანდაცვასა და ფარმაციაზე მოდის ფულადი სახსრების ბრუნვის 6%. ოჯახების შემოსავლის 34% ჯანდაცვაზე იხარჯება, ხოლო დახარჯული თანხის 60% მედიკამენტების შეძენაზე. 2015 წლის იმპორტის მონაცემებზე დაყრდნობით, ბაზრის დაახლოებით 70% ხუთ მსხვილ კომპანიაზეა გადანაწილებული. ესენი არიან: შპს „პსპ ფარმა“ – 22,32%, შპს „ეი-ბი-სი ფარმაცია“ – 14,91%, შპს „ავერსი – ფარმა“ – 14,54%, სს „ჯი პი სი – 10,20%“ და შპს „გლობალფარმი“ – 7,02%. ეს მონაცემები აძლევს საფუძველს საერთაშორისო „გამჭვირვალობა-საქართველოს“ (კვლევის საანგარიშო პერიოდი ძირითადად 2012-2016 წლები) ქართული ფარმაციის ბაზრის ძირითად პრობლემად სუსტი ოლიგოპოლია, დაბალი კონკურენცია და შესაბამისად დომინირებული პოზიციების ბოროტად გამოყენების მაღალი ალბათობა დაასახელოს.[123] ფარმაცევტულ სფეროში დომინირებული პოზიციის შესაძლო გამოყენება საქართველოს კონკურენციის სააგენტოს, რომლიც ამოცანაც კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთაა,[124] შესწავლის საგანი ხდება. ამგვარად სფერო, როგორც ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს, ასევე არასამთავრობო სექტორის დაკვირვების ობიექტია, რაც მისი სწორი გაბვითარების საწინდარს ქმნის.

ჯანდაცვის სფეროს განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სამედიცინო ტურიზმიც (სხვა ქვეყნებში ან რეგიონებში მოგზაურობა დიაგნოსტიკური, სტომატოლოგიური ან ქირურგიული მომსახურებისთვის). სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია სამედიცინო მომსახურების ხარისხი, ფასი, ხელმისაწვდომობა, მეთოდიკა. შესაბამისად, რომელიმე ქვეყანაში ამა თუ იმ პროდუქტზე, ამ შემთხვევაში – გარკვეული სახის მკურნალობაზე, მოთხოვნა ყოველთვის არის. ცალკეული სამედიცინო სერვისის მიღება, ცალკეულ ქვეყანაში ძალზე ძვირი, ან შესაძლებელია, საერთოდ ხელმიუწდომელი იყოს. მაგალითად, მილიონობით აშშ-ს მოქალაქე, რომელთაც დაზღვევა არ უფარავს, ცალკეული დაავადებების მკურნალობის ხარჯს, სამედიცინო სერვისებით განვითარებად ქვეყნებში სარგებლობს, ანუ სამკურნალოდ ტურისტების

[123] ფარმაცევტული ბაზარი საქართველოში, „საერთაშორისო გამჭირვალობა“ – საქართველო 2016, გვ. 4.
[124] „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი

გადინება ხდება, როგორც ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან, უფრო მეტად განვითარებულში (საქართველოს შემთხვევა), ასევე, პირიქითაც. დღესდღეობით ქართველი პაციენტების გადინება ძირითადად თურქეთის მიმართულებით ხდება, სანაცვლოდ კი უცხოეთიდან პაციენტები არ შემოდიან. ტურიზმის განვითარების სტრატეგია სამედიცინო ტურიზმს არც ითვალისწინებს, თუმცა მედიცინისა და ტურიზმის მომიჯნავე ამ დარგის განვითარება ძალზე აქტუალურია. რეგიონში სამედიცინო ტურიზმის თვალსაზრისით პირველია თურქეთი, ამ მიმართულებით პოზიციებს იუმჯობესებს აზერბაიჯანი. მეზობელ სომხეთს მასზე მზრუნველი დიდი სომხური დიასპორის სახით საქართველოსთან შედარებით აშკარა კონკურენციული უპირატესობა აქვს. შორეულ პერსპექტივაში ამ მხრივ საინტერესოა ჩრდილოეთ კავკასია, თუმცა რუსეთთან არსებული პოლიტიკური სიტუაციის გამო, ჯერჯერობით პაციენტთა მოდინება ამ რეგიონიდან ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი არ არის. რაც შეეხება საქართველოს არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან პაციენტებს, - იურიდიულად ისინი საქართველოს მოქალაქეებს წარმოადგენენ და ქართულ საავადმყოფოებში მათ მკურნალობას უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეკონომიკური. საქართველოში არსებული მრავალფეროვანი კურორტების დიდი რიცხვი სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში შესაძლებელია იდეალური გარემო გახდეს პაციენტების რეაბილიტაციისათვის, რასაც პარალელურად უნდა უძღოდეს შესაბამისი პროფილის სამედიცინო დარგების განვითარება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება არა მარტო პაციენტების, არამედ კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის გადინება.

სამედიცინო ტურიზმთან დაკავშირებული ველნეს ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას აღნიშნავს გ. ერქომაიშვილი. მისი განმარტებით, ველნეს ინდუსტრია მოიცავს სხვადასხვა სახეობის ნატურალური კვების პროდუქტების, კოსმეტიკის, პირადი ჰიგიენის საშუალებების, სხვადასხვა ტიპის, ველნეს დანადგარების წარმოებას, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიის გამოყენებას, ველნეს სასტუმროების განვითარებას და, საერთოდ, მომსახურების ფართო სპექტრს. მკვლევრის მოსაზრებით, საქართველოში არსებული ბუნებრივი რესურსები, – სასმელი წყალი, რომლის რესურსებით საქართველო 2,5-ჯერ აღემატება მსოფლიოს, 2,4-ჯერ ევროპის და 1,7-ჯერ აზიის საშუალო მაჩვენებელს მოსახლეობის ერთ სულზე; მინერალური წყლები, რომელთა საბადოთა რაოდენობა საქართველოში 2-ჯერ აღემატება მსოფლიოში ცნობილ საფრანგეთსა და გერმანიაში ერთად არსებულ მინერალურ წყალთა დებეტის რაოდენობას; სამკურნალო ტალახები; ღვინის

საუკონოვან კულტურაზე დაფუძნებული ღვინის თერაპია; სამკურნალო მცენარეები; სამკურნალო ქვიშა (ურეკი) ველნეს ტურიზმის მყარ საფუძველს იძლევა.[125]

ზოგადად, ჯანდაცვის სექტორში განსახორციელებელი ღონისძიებები მიზნად ისახავს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. საქართველოს მოსახლეობა უფრო მეტად იქნება დაცული ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯების და გაღარიბების რისკებისაგან; გაუმჯობესდება ხელმისაწვდომობა ხარისხიან სამედიცინო მომსახურებასა და სამკურნალწამლო საშუალებებზე; გაიზრდება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობა ადმინისტრირების გაუმჯობესებისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე მეტი ძალისხმევის მიმართვის გზით. აღნიშნული კი დადებითად აისახება ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარების, ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის მაჩვენებლებზე. დიდი მნიშვნელობა აქვს მედიცინისა და ტურიზმის ურთიერთდაკავშირებას. სამედიცინო და ველნეს ტურიზმის განვითარებისათვის უნდა შემუშავდეს სათანადო სტრატეგიის, სადაც კომბინირებული იქნება საქართველოს პირობებში კონკურენტუნარიანი სამედიცინო დარგებისა და შესაბამისი გარემო პირობების მქონე კურორტის ინფრასტრუქტურის განვითარება. ამასთან, აღსანიშნავია სამედიცინო ტურიზმის განვითარების ჯაჭვური ეფექტი – პაციენტებს ამგვარი მოგზაურობის დაგეგმვასა და განხორციელებაში დამხმარე მთელი რიგი სერვისისა და ეკონომიკის დარგების ჩართვა-განვითარება. დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ფარმაცევტული წარმოების განვითარებას იმის გათვალისწინებით, რომ სამკურნალო საშუალებები 2016 წელს საქართველოს ექსპორტის 5,1%-ს (141,5 მლნ. აშშ დოლარი), იმპორტის კი 4,5%-ს (303,6 მლნ. აშშ დოლარი)[126] შეადგენდა, დარგში უნდა განვითარდეს კონკურენცია, რაც ფასების შემცირებასთან ერთად, აამაღლებს პროდუქციის ხარისხს. შესაბამისად ჯანდაცვა და მასთან დაკავშირებული დარგები მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყანაში პოტენციური შემოსავლების რიგითი საშუალება და ცხოვრების მაღალი სტანდარტის განმაპირობელი ფაქტორი, რომელზედაცაა დამოკიდებული მოქალაქეთა ჯამრთელობა და ყველაზე უმთავრესი, სიცოცხლე. ადამიანები ჯანმრთელი უნდა იყვნენ, რათა შეძლონ შრომა და ისარგებლონ მათ მიერ გამომუშავებული ეკონომიკური კეთილდღეობით.

[125] http://b_k.ge/publikacia/515_gulnaz_erqomaishvili_wellness.html, ბოლოს გადამოწმებული 20.10.2017.
[126] საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2016, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., გვ. 16-17.

## 3.5 საქართველოს საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია

გლობალური კონკურენუნარიანობის ინდექსის 2017-2018 წლის მონაცემებით 137 ქვეყანას შორის საქართველოს 67-ე უკავია. ამ ინდექსის ერთ-ერთი მაჩვენებლის საფინანსო ბაზრის განვითარების მიხედვით კი საქართველო 63-ე (58 -ე წინა 2016-2017 წლის შედეგების მიხედვით) ადგილზეა. აღნიშნული რეიტინგის თანახმად ფინასური ბაზრის განვითარების სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით საქართველო იმყოფება შემდეგ პოზიციებზე:[127]

- ფინანსური მომსახურების არსებობა - 92-ე ადგილი;
- ფინანსურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა – 81-ე ადგილი;
- დაფინანსება ადგილობრივი კაპიტალის საშუალებით – 131-ე ადგილი;
- სესხზე ხელმისაწვდომობა - 46-ე ადგილი;
- სარისკო კაპიტალის შესაძლებლობა – 80-ე ადგილი;
- ბანკების სიმყარე - 64-ე ადგილი;
- საფონდო ბირჟის რეგულაცია – 102-ე ადგილი;
- სამართლებრივი უფლებების ინდექსი – 12-ე ადგილი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო საქმე საქართველოში ერთ-ერთი კარგად განვითარებული სექტორია – 1. საბანკო დაწესებულებში დასაქმულთა საშუალო ხელფასი აღემატება სხვა სექტორებში მომუშავეთა ხელფასებს; 2. დიდია სხვადასხვა ბანკის ფილიალებისა და ბანკომატების რიცხვი, განსაკუთრებით ეკონომიკურად აქტიურ ზონებში, რაც აისახება საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების სტანდარტზე, 3. ქართულ საბანკო სექტორში დიდია უცხოური კაპიტალის წილი, რაც ქართული ეკონომიკით მათ დაინტერესებას გვიჩვენებს და გულისხმობს რისკების გადანაწილებისა და პროექტების დაფინანსებისას ამ წყაროების გამოყენების შესაძლებლობას, 4. ხშირია ბანკების მიერ მომხმარებლების გადმობირების ფაქტები, რაც ჯანსაღ კონკურენციაზე მიუთითებს. თუმცა საბანკო სისტემის განვითარების დონე ვერ პასუხობს ჩვენი ეკონომიკის მტკივნეულ გამოწვევებს. რაც ყველაზე უკეთ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის შემდგენელი მაჩვენებლებით აისახება.

[127] The Global Competitiveness Report 2017-2018,

რეიტიგში ამ მაჩვნებლების მიმართ დაბალი პოზიცია, ბანკების მიერ კრედიტების გაცემის მიზნობრიობის შეზღუდულობაა, მრეწველობის დარგების ნაცლად, ძირითადათ ხდება ვაჭრობის სფეროს დაფინანსება. ცალკეულ ექსპერტთა აზრით ამის მიზეზი საბანკო სექტორის ეკონომიკის სხვა სექტორებთან შედარებით განვითარების მაღალი დონეა, ერთი მხრივ მეწარმეები არ არიან გადახდისუნარიანები და შესაბამისად წარმოადგენენ მაღალი რისკების მატარებელ ჯგუფს, მეორე მხრივ კრედიტის სიძვირე ხელს უშლის წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. სექტორის მიმოხილვისას ვაწყდებით ქართული საბანკო სისტემის ძლიერ მხარეს, რაც გამოიხატება საბანკო პროდუქტების მიწოდების საშუალებების (იგულისხმება ელექტრონული გადარიცხვები, ბანკომატები და პლასტიკური ბარათები) საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში, მის საპირწონედ კი დგას ამ საბანკო პროდუქტების ფასი – კრედიტების მაღალი პროცენტები.

საფინანსო სექტორის მომხმარებლის უფლებების დაცვა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოდგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების უკეთ დაცვის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის მიზნით. კერძოდ, ფინანსური ინსტიტუტებისთვის 2016 წლის დეკემბერში დამტკიცდა ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი, [128] რომელიც 2017 წლის ივნისიდან ამოქმედდა. აღნიშნულმა წესმა ჩაანაცვლა 2011 წელს დამტკიცებული მომხმარებლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი.[129] იგი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ნორმატიულ დოკუმენტს და მისი დამტკიცება ხდება სებ-ის პრეზიდენტის მიერ. ახალი წესით გაფართოვდა დაქვემდებარებული ორგანიზაციები, აქამდე იგი მხოლოდ კომერციულ ბანკებზე ვრცელდებოდა, ხოლო ცვლილების მიხედვით წესი გავრცელდება სებ-ის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ორგანიზაციებზე (ბანკები, მისოები, საკრედიტო კავშირები და კვალიფიციური ინსტიტუტები). ახალი

[128] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №151/04 ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ (კონსოლიდირებული).

[129]საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №35/04, კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ.

წესით შეიცვალა ხელშეკრულების თანხობრივი ზღვარი, ასევე, ორგანიზაციას ეკისრება ვალდებულება ხელშეკრულებაში მიუთითოს ესა თუ ის სავალდებულო ინფორმაცია, გააფორმოს ხელშეკრულების თავსართი, გაუმჟღავნოს მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკები. აქამდე არსებული 300-დან 50,000 ლარამდე ზედა ზღვარი (სესხებზე და დეპოზიტებზე 0-დან 50,000 ლარამდე), ახალი ვერსიით გაიზარდა 200,000 ლარამდე. ამასთან, მომხმარებლებისათვის შეთავაზებებისა და სარეკლამო მასალებში ინფორმაციის მიწოდებისას დაწესდა სტანდარტები (მინიმალური ფონტის ზომის დაწესება, ფასის განმსაზღვრელი პარამეტრებთან ერთად ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის მითითების საჭიროება და სხვა). დამატებით, ახალი წესით დადგინდა დისტანციური შეთავაზებებისას პირობების დისტანციურად გაცნობა-შეთანხმების და შეთანხმებული პირობების მომხმარებლებზე მიწოდების წესი. ასევე, დამატებითი ცვლილებები მოიცავს: ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეტანისას ინფორმაციის მხოლოდ საჯარო შეთავაზებებით გავრცელების შეზღუდვას და ორგანიზაციის მხრიდან მინიმუმ 1 უფასო პერსონალური შეტყობინების არხის შეთავაზების ვალდებულებას, ხელშეკრულების ნიმუშის მიწოდების ვალდებულებას მომხმარებლისთვის, თანამსესხებლისათვის, თავდებისა და დატვირთული უზრუნველყოფის მესაკუთრისათვის მათი მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე, ხელშეკრულების თავსართის გადაცემის ვალდებულებას. ასევე, დაწესდა კრედიტზე ვადაგადაცილების, დავალიანების წარმოშობის, ლიმიტის შეჩერებისას მსესხებლის, თანამსესხებლის, თავდების 5-დღიან ვადაში შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება, ასევე, არააქტიური პროდუქტების ცნების შემოღება და მათზე საკომისიოს დარიცხვის შეწყვეტის წესი. შეიცვალა კრედიტის წინსწრებით დაფარვის წესი და ახალი ვერსიით დადგინდა პირგასამტეხლოს განაკვეთები, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე (მაგალითად სესხის დარჩენილ ვადაზე). დაემატა, ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომხმარებლებთან სესხის ამოღებისას ურთიერთობის ეთიკის კოდექსის შემუშავების ვალდებულება. ამასთან, აღნიშნული ნორმატიული აქტის ცვლილების შემდეგ, წესში დამატებით შევიდა რამდენიმე ცვლილება ბაზარზე არსებული სხვადასხვა მომსახურებების და პროდუქტების მახასიათებლების გათვალისწინებით (მაგალითად, მომხმარებლისთვის ინდივიდუალურად პროდუქტის რეკლამის/შეთავაზების დროს, მიუხედავად ფასის განმსაზღვრელი პარამეტრების არსებობისა, ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის გამჟღავნების ვალდებულება). გარდა ამისა, სებ-ს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით,

ასოცირების ხელშეკრულების თანახმად ევალება რამდენიმე დირექტივასთან შესაბამისობაში მოსვლა. გამომდინარე აქედან, 2019 წლისთვის იგეგმება არსებული კანონქვემდებარე აქტის რედაქტირება და ზემონახსენებ დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა.

გარდა ზემოაღნიშნული წესის ცვლილებისა, 2016 წლის 29 დეკემბერს (ამოქმედდა 2017 წლის 15 იანვარს) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე, 628[1] და 868-ე მუხლებში შევიდა ცვლილებები, [130] რომელთა მიღებაც ასევე, განპირობებული იყო ფინანსური ბაზრის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით. კერძოდ, უკანასკნელი წლების განმავლობაში ბაზარზე გამოჩნდნენ ისეთი ტიპის კომპანიები (მაგალითად ე. წ. „ონლაინ სესხების გამცემი კომპანიები“), რომლებიც სესხებს გასცემდნენ ძალიან მაღალ პროცენტში (რიგ შემთხვევაში, აღნიშნული პროცენტის მაჩვენებელი აღწევდა წლიურ ეფექტიან 8000%-ს). მოცემული კი იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ფინანსური პროდუქტების მომხმარებლებს აქვთ დაბალი ფინანსური განათლების დონე, რასაც ასევე, ცხადჰყოფს 2016 წელს ჩატარებული ფინანსური განათლების და ჩართულობის კვლევა,[131] რომელიც OECD-ის მეთოდოლოგიით ჩატარდა, საკმაოდ პრობლემური საკითხი იყო, მათ შორის, ქვეყანაში მოსახლეობის ჭარბვალიანობის ზრდის კუთხითაც. ზემოაღნიშნული მუხლებით განისაზღვრა: სესხზე დასარიცხი მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთის და მაქსიმალური პირგასამტეხლოს ზღვრები, ასევე, კომერციული ბანკების გარდა, ნებისმიერ მეწარმეს და ურთიერთდაკავშირებულ მეწარმეთა ჯგუფს, გარკვეული ლიმიტის ფარგლებში, შეეზღუდათ თანხის მოზიდვის შესაძლებლობა. გარდა ამისა, დადგინდა უცხოურ ვალუტაში გასაცემი სესხების მოცულობის მინიმალური ოდენობა. კერძოდ, სესხზე დასარიცხი მაქსიმალური ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთი ზემოაღნიშნული რედაქციით შეადგენს 100%-ს, პირგასამტეხლო კი წლიურ 150%-ს, რაც სესხის გამცემმა უნდა იანგარიშოს დღიურად (არაუმეტეს, სესხის ნარჩენი ძირი თანხის 0,41%-სა). რაც შეეხება, მეწარმის მიერ თანხის მოზიდვას, თუ მეწარმე ან ურთიერთადკავშირებული მეწარმეთა ჯგუფი თანხას 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან

[130] საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3534478, ბოლოს გადამოწმებული 20.08.2018.

[131] ფინანსური განათლებისა და ჩართულობის კვლევის ანგარიში ანგარიში მომზადებულია შპს სონარის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის დაკვეთით 2016 წ. https://www.nbg.gov.ge/cp/index.php?m=611 , ბოლოს გადამოწმებული 20.08.2018.

მოიზიდავს, მინიმალური, თითოეული მოზიდული თანხის ოდენობა უნდა იყოს 100,000 ლარი. ამასთან, ამავე კანონის მიხედვით, საქართველოს ეროვნულ ბანკს დაევალა ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის და პირგასამტეხლოს დათვლის პრინციპის განსაზღვრა.[132] მოცემული ბრძანების გარდა, სებ-მა შეიმუშავა ე. წ. „განმარტებები" (არანორმატიული დოკუმენტი), რომელშიც მოცემულია სხვადასხვა მაგალითები თუ როდის როგორ უნდა იყოს დათვლილი ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთი და პირგასამტეხლო და მათი დათვლისას რა ფინანსური ხარჯი უნდა იყოს გათვალისწინებული.[133]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლში კვლავ შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, სესხზე დასარიცხი წლიური ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის ოდენობა 100%-დან 50%-მდე შემცირდა. ასევე, შეიცვალა პირგასამტეხლოს დარიცხვის მეთოდი, რომელიც ნაცვლად დღიური 0,41%-სა განისაზღვრა 0,27%-ით, ხოლო ჯამურად დასარიცხი პირგასამტეხლოს და ყველა ფინანსური ხარჯის (მათ შორის, ეფექტიან საპროცენტო განაკვეთში შესული ხარჯები) ვადაგადაცილების დაწყებიდან მის აღმოფხვრამდე, არ უნდა აღემატებოდეს ვადაგადაცილების მომენტში არსებული ნარჩენი ძირი თანხის 1,5-მაგ ოდენობას. მოცემული ცვლილება ძალაში შედის 2018 წლის 1 სექტემბრიდან. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, სებ-ი 2018 წლის 1 სექტემბრისთვის ასევე, განაახლებს ესგ-ს და პირგასამტეხლოს დათვლის მეთოდოლოგიას (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 2/04). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ცვლილებები ვრცელდება ყველა სესხის გამცემ ორგანიზაციაზე, მათ მიერ ახალი სესხის გაცემის, ან არსებული სესხების რეფინანსირება/რესტრუქტურიზაცია/გადავადებისას. თუმცა, საქართველოს ეროვნული ბანკი ამ მიმართულებით კანონის სისწორესთან მიმართებაში შემოწმებას ახდენს მხოლოდ მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებზე.

დამატებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონის[134] 48-ე მუხლში 2017 წლის 23 დეკემბერს შევიდა

---

[132] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №2/04, 2017 წ.

[133] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რიგი საკითხების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მოსაზრებები, https://www.nbg.gov.ge/cp/index.php?m=613, ბოლოს გადამოწმებული 25.08.2018.

[134] საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ

ცვლილება,[135] რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნული ბანკი 2019 წლის პირველი იანვრიდან უფლებამოსილი იქნება ზედამხედველობა გაუწიოს ყველა სესხის გამცემ სუბიექტს. შესაბამისად, ნებისმიერი მეწარმე სუბიექტი, რომლის მიმართ ერთდროულად 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს აქვს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება ვალდებულია 2019 წლის პირველი იანვრიდან დარეგისტრირდეს საქართველოს ეროვნულ ბანკში. აღნიშნული თარიღისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია, შეიმუშაოს შესაბამისი რეგისტრაციის და რეგულირების წესი. გასათვალისწინებელია, რომ მოცემული ცვლილების მიზანია მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არსებული რეგულირების დახვეწა და კიდევ უფრო გამჭვირვალე და ქმედითი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა. ასევე, კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთებისა და მათი მფლობელი პირების იდენტიფიცირების მიზნით ეფექტიანი და ქმედითი პოლიტიკის განხორციელება. იმ შემთხვევაში თუ მეწარმეს სებ-ში სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსით რეგისტრირების ვალდებულება აქვს, მასზე სარეგისტრაციო მოთხოვნების გარდა, გავრცელდება მომხმარებელთა უფლებების დაცვისთვის განსაზღვრული მოთხოვნები.

გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, მომხმარებლის უფლებების დაცვის ხელშეწყობის და კომერციულ ბანკებში ჯანსაღი საკრედიტო პორტფელის ხელშეწყობის მიზნებისთვის, 2018 წლის აპრილში, კომერციულ ბანკებს სესხის გაცემასთან დაკავშირებით, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების მოთხოვნები განესაზღვრათ. ამასთან, მოცემული ცვლილება განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: ბოლო წლებში შინამეურნეობების დავალიანება მაღალი ტემპით იზრდება, და, რაც არანაკლებ საყურადღებოა, მზარდია იმ ფიზიკური პირების დაკრედიტება, რომელთაც შემოსავლებთან მიმართებაში ვალის მაღალი ტვირთი აქვთ. ასევე, ფინანსურ ინსტიტუტებში ხდება საცალო დაკრედიტების ბიზნესმოდელის ისეთი ცვლილება, რომელიც ნაკლებ ყურადღებას უთმობს შემოსავლების წყაროს და ხდება რისკის მართვისათვის სხვა მახასიათებლებზე ყურადღების გამახვილება. აღნიშნული ხშირად მაღალი რისკის ფასში ასახვის საშუალებას იძლევა, თუმცა მაღალი ფასი არ იწვევს მოწყვლადი ჯგუფებიდან მსგავს პროდუქტებზე მოთხოვნის შემცირებას. ამასთან, პასუხისმგებლიანი

[135] განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/186611 ბოლოს გადამოწმებული 25.08.2018.

დაკრედიტების პრაქტიკის კუთხით ჩდება მატერიალურ ხარვეზები. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, სესხები გაიცემა ისე, რომ არ ხდება მსესხებლის შემოსავლებისა და გადამხდელუნარიანობის სათანადო შესწავლა. გამომდინარე აქედან, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივნისის ბრძანებაში №49/04 შევიდა ცვლილება, [136] რომლის თანახმადაც იზღუდება მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა. კერძოდ, ასეთი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს. ასევე, აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება ძვირფასი ქვებითა და ლითონებით ან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებს, უზრუნველყოფის ღირებულების ფარგლებში. ამასთან, მსესხებლის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს და სესხის გაცემისას, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (Loan to Value Ratio) არ უნდა იყოს 50%-ზე მეტი. მნიშვნელოვანია, რომ მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების მოთხოვნა, ასევე განსაზღვრულია ევროკავშირში მოქმედი იმ დირექტივით (მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების 2008/48/EC დირექტივა), რომელიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველომ 2019 წლის სექტემბერამდე უნდა დანერგოს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცვლილებების გარდა, 2017 წლის 23 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში შევიდა ცვლილება, [137] რომლის თანახმადაც, განისაზღვრა საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროს განმარტება, ასევე სებ-ის უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროებს. დამატებით განიმარტა, რომ მეწარმე სუბიექტი, რომელიც აპირებს განახორციელოს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქმიანობა 2018 წლის პირველი სექტემბრიდან ვალდებულია დარეგისტრირდეს საქართველოს ეროვნულ ბანკში. ეროვნული ბანკი კი თავის მხრივ, ვალდებულია 2018 წლის პირველ სექტემბრამდე გამოსცეს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ზედამხედველობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები. საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს რეგულირების მიზანია ფინანსური სტაბილურობისა და ეროვნული ბანკის მანდატის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის

[136] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №65/04, 2018.
[137] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2017.

უზრუნველყოფა. ეროვნული ბანკი საკრედიტო საინფორმაციო ბიუროების საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურად იმუშავებს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში დაცულ მონაცემებში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რამაც უნდა გააუმჯობესოს მონაცემთა ხარისხი და საბოლოო ჯამში, ხელი შეუწყოს პოტენციური მსესხებლების/მომხმარებლების გადახდისუნარიანობის შეფასებას.

საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს რეგულირების პროექტები შემუშავდა მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში და შესაბამისობაშია ბიუროს რეგულირების კუთხით არსებულ ძირითად საერთაშორისო პრინციპებთან. ამასთან, სებ-ის მიერ გამოქვეყნებულ პროექტის მიხედვით განსაზღვრულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროების ნებადართული საქმიანობის ჩამონათვალი, ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმები, კაპიტალის მინიმალურ ოდენობა, საოპერაციო და სხვა რისკების მართვის მოთხოვნა და ინფორმაციის მიღების, აღრიცხვა/დამუშავებისა და გაცემის მკაცრად გაწერილ ნორმები (მაგალითად, კონცეპტუალურად იცვლება ამჟამად დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ვადაგადაცილების შემთხვევაში საკრედიტო ამონაწერში მომხმარებელს „ნეგატიური“ სტატუსი ენიჭება. ცვლილებების შედეგად, საკრედიტო ამონაწერში „ნეგატიური“ სტატუსის ნაცვლად ასახული იქნება ფაქტობრივი მონაცემები მომხმარებლის/მსესხებლის საკრედიტო ისტორიის შესახებ. ამასთან, მომხმარბლის საბანკო სექტორთან დაკავშირებული საკითხების მიმართ დაბალი გათვიცნობიერებულობის ასამაღლებლად სებ-ში შეიქმნა ფინანსური განათლების განყობილება.

სებ-ის მიერ გადადგმული რეფორმები და დაფუძვნებულია მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილებაზე და მიზნად ისახავს ევროპული სტანდარტთან მაქსიმალურად მიახლოებასა  და თავისთავად უმთავრესს - საქართველოს საბანკო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდას, მოსახლეობის ფინანსური რესურსების მიმართ ხელმისაწვდომობის მათი გრძელვადიანი ინტერესების გათვალისწინებით გაუმჯობესაბას, რაც აისახება მათი პირადი კეთილდღეობის ამაღლებასა და სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებაში და მთლიანობაში საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ამ მხრივ საინტერესო იქნება საქართველოს მომავალი წლის პოზიცია გლობალური კონკურეტუნარიანობის ინდექსის რეიტიგში განსაკუთებით ფინანსური ბაზრის განვითარების სხვადახხვა მაჩვენებლის მიხედვით ახალი პოზიციები.

## 3.6. ენერგეტიკის, ტრანსპორტის და მრეწველობის განვითარების ტენდენციები საქართველოში

ენერგეტიკის როლი ეკონომიკასა და, ზოგადად, ქვეყნის დამოუკიდებლობაში უზარმაზარია. ამავე დროს ელექტროენერგიის წარმოება საქართველოს ერთ–ერთი პოტენციური მსხვილი საექსპორტო პროდუქტია. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დარგი ვითარდება. განხორციელდა ენერგეტიკული სექტორის რეორგანიზაცია, მოწესრიგდა აღრიცხვიანობა და მოხდა დავალიანების გასტუმრება, აღმოიფხვრა კორუფცია, რამაც უზრუნველყო ამ დარგის შემდგომი სტაბილიზაცია. ჰიდროელექტროსადგურების და გაზსადენების რეაბილიტაციამ შექმნა შეუფერხებელი მიწოდების შესაძლებლობა, რის შედეგადაც დაძლეულ იქნა ენერგეტიკული კრიზისი. უკვე 2006–2007 წლებში მთელ საქართველოს მუდმივად მიეწოდებოდა ელექტროენერგია. ინვესტორების ინტერესის გასაზრდელად 2008 წლიდან მოყოლებული ენერგობაზარმა სრული ლიბერალიზაცია განიცადა, ენერგეტიკის სექტორში პრივატიზების ღონისძიებებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო. პრივატიზებას დაექვემდებარა ყველა ელექტროსადგური, გარდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურისა. 2016 წლისათვის საქართველოში  გამომუშავდა 1376,3 ათასი ტონა ნავთობის ექვივალენტი ენერგია, 802,2 ათასი ტონა ნავთობის ექვივალენტი ენერგიის (ანუ 58,3%) გამომუშავება მოხდა ჰიდროლექტროსადგურების მიერ. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მშპ ზრდასთან ერთად მატულობს ელექტროენერგიის მოხმარება (იხ. ცხრილი 3.6.1).

**ცხრილი 3.6.1 ელექტროენერგიის საბოლოო მოხმარება საქართველოში გვტ.სთ-ში 2014-2016 წწ.—ში.**



მოთხოვნის მსგავსი ტემპებით ზრდის შემთხვევაში საქართველოში ენერგოდეფიციტი წარმოიშობა. ამიტომ არსებული პოტენციიდან გამომდინარე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჰიდროელექტროსადგურების განვითარებას. ექსპერტთა შეფასებით დღეს ძირითადად ჰიდროენერგეტიკის ხარჯზე საქართველოს ენერგოშესაძლებლობათა მხოლოდ 25% გამოიყენება.[138] შესაბამისად თითქმის გამოუყენებელია ქარის, მზის, გეოთერმული და ბიომასის ენერგია. ჰიდრორესურსების მიხედვით საქართველო ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში. ქვეყანაში არსებული 20000 მდინარიდან 300 ელექროენერგიის გამომუშავების შესაძლებლობა აქვს. მიჩნეულია, რომ საქართველოს ამ პოტენციალის სრული გამოყენების შემთხვევში 26 ტეტრავატსაათი ენერგიის გამომუშავება შეუძლია. მაღალი მთებით განპირობებული მდინარეების სიჩქარე საქართველოს დარგში მეზობლებთან და მსოფლიოს  სხვა ქვეყნებთან აშკარა უპირატესობას აძლევს. ამას ემეტება ისიც, რომ მეზობელი თურქეთისგან განხვავებით ჩვენი ელექტროწარმოება არაა დამოკიდებული ნავთობის მზარდ ფასზე. დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ქარის გამოყენებით ენერგიის წარმოებას, რამდენდაც ქარის სიმძლავრე ზამთარში უფრო დიდია, ვიდრე ზაფხულში, ამ სახით ენერგიის გამომუშავება ძირითადად ზამთარში ხდება. როდესაც ჰიდროელექტროსადგურების ეფექტიანობა დაბალია და ქვეყანაში ენერგოდეფიციტია, მათი განვითარების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს გარკვეულ დონემდე შედარებით ძვირ იმპორტულ ნედლეულზე მომუშავე თბოელექტროსადგურების ჩანაცვლება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქარის ენერგია განახლებადი რესურსია და თბოელექტროსადგურებისგან განსხვავებით ეკოლოგიურად სუფთაა. ექსპერტთა შეფასებით, 2025 წლისათვის ქარის მიერ გამომუშავებულმა ენერგიამ მთლიანად გამომუშავებული ენერგიის 25%-ს უნდა მიაღწიოს.

2016 წელს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობით დასრულდა მუშაობა ენერგეტიკული სექტორის განვითარების პირველ გრძელვადიან სტრატეგიის დოკუმენტზე, რომელიც პასუხობს ქვეყნის განვითარების ერთიან სახელმწიფო ხედვას.[139] „საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია 2016–2025“ შეესაბამება ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან – „საქართველო 2020“ და ასევე „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ ერთ–ერთი ძირითადი მიმართულების – ენერგეტიკული უსაფრთხოე-

[138]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge.
[139] http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=600&lang=geo ბოლოს გადამოწმებული 21.08.2018.

ბის უზრუნველყოფის საკითხს. ენერგეტიკული სტრატეგია ითვალისწინებს 2015 წელს დამტკიცებულ ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის პარამეტრებს, რომლის მიღებამდეც, 2006 წლიდან, სექტორის განვითარების პოლიტიკურ ვექტორს „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ ზოგადი დოკუმენტი განსაზღვრავდა. საქართველოს ენერგეტიკულ სტრატეგიაში გათვალისწინებულია 2016-2025 წლების შუალედში ქვეყნის ენერგეტიკის სექტორის გამოწვევები, მიზნები და დაგეგმილი ღონისძიებები, დარგში არსებული შესაძლებლობებისა და პრობლემების ჩათვლით. ენერგეტიკის დარგის განვითარებაზეა დამოკიდებული ქვეყნის მთელი რიგი ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები. შესაბამისად, ენერგეტიკის სტრატეგიის წარმატებული განხორციელება სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, რისი ქვაკუთხედი ენერგიის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციის, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური ათვისების, რეზერვის შექმნისა და ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაციის გზით ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების ამაღლება და გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებით ენერგოდამოკიდებულების დონის შემცირებაა.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე და საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკის განვითარება პირდაპირ უკავშირდება სატრანსპორტო სექტორების გამართულ და ეფექტიან მუშაობას. ისტორიულად საქართველო წარმოადგენს ევროპა-აზიის დამაკავშირებელ დერეფანს, შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სატრანსპორტო დარგების კოორდინირებული ფუნქციონირება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია-მშენებლობა და ქვეყნის კანონმდებლობის საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია წარმოადგენს.[140] თანამედროვე გლობალურ სამყაროში ენეგორესურსებით მდიდარ კასპიის ზღვის და გასაღების დიდ ევროპულ ბაზართან წვდომის მქონე შავი ზღვის აუზებს შორის მდებარეობა საქართველოს უზარმაზარ უპირატესობას აძლევს იყოს არა მარტო ტვირთების გამტარი, არამედ თავისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება. საქართველოს ტრანსპორტის დარგის შემოსავლები, მეტწილად ტრანზიტზეა დამოკიდებული. ტრან-

[140] ეკონომიკსა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, http://www.economy.ge ბოლოს გადამოწმებული 12.05.2018.

ზიტზე  მოდის ტვირთბრუნვის 65%-95%. საქართველოში ხელისუფლების მიერ კონ-ტროლირებად ტერიტორიაზე არსებული რკინიგზის სიგრძე 2016 წლის მონაცემებით 1576 კმ-ია, საავტომობილო გზების ჯამური სიგრძე კი 20553 კმ. არამარტო საქართვერლოს რკინიგზის, არამედ მთლიანად საქართველოს ტრანსპორტის დარგის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია რკინიგზის ახალი მონაკვეთი ახალქალაქი-კარწახი (სიგრძე 27 კმ). ეს მონაკვეთი წარმოადგენს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ნაწილს და საქართველოს რკინიგზას თურქეთთან, თურქეთის გავლით კი ევროპას დააკავშირებს. რკინიგზის ამ მონაკვეთის ამოქმედება საქართველოში ტვირთების რაოდენობაზე საგრძნობ ზეგავლენას მოახდენს, აქამდე საზღვაო გზით ბათუმის, ფოთისა და ყულევის პორტებით გამავალი ტვირთის ნაწილი უეჭველად რკინიგზით გადაიზიდება, რაც საზღვაო ტვირთბრუნვას შეამცირებს. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციიდან გამომდინარე, საქართველოში სასაწყობე მეურნეობებისა და ლოგისტიკური ცენტრების განვითარების შესაძლებლობა არსებობს. უკვე არსებული სასაწყობე მეურნეობის ჯამური ფართობი შეადგენს 1,8 მლნ $მ^2$-ს.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია ვლინდება ენერგოპროდუქტების გატა-რებით. საქართველოს ტერიტორიის გავლით გადის ორი ნავთობსადენი: 1) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და 2) დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო ბაქო-სუფსას მილ-სადენი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი სანგაჩალის ტერმინალს (აზერბაიჯანი) თურქეთის პორტ ჯეიჰანთან აკავშირებს. მილსადენის სიგრძე 1 768 კმ-ა (აზერ-ბაიჯანში 443, საქართველოში – 249, თურქეთში 1 076), წარმადობა კი, დღეში 1 მლნ ბარელია. ბაქო-სუფსის მილსადენი სანგაჩალის ტერმინალს (აზერბაიჯანი) სუფსის ტერმინალთან (საქართველო) აკავშირებს. მილსადენის სიგრძე 830 კმ-ია, წარმადობა კი დღეში 145 ათასი ბარელი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს პარალელურად გასდევს სამხრეთ კავკასიის გაზსადენი (ასევე ცნობილია, როგორც შაჰდენიზის ან ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი). გაზსადენი ექსპლოტაციაში 2006 წელს შევიდა, მისი სიგრძე 692 კმ-ია, ხოლო წლიური გამტარობა 16 მლრდ $მ^3$. მომავალში გათვალისწინებულია მასთან ტრანსკასპიური გაზსადენით თურქმენულ და ყაზახურ მწარმოებლებთან შეერთება. კიდევ ერთი არსებული ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში აიგო და რუსეთიდან საქართველოს და სომხეთის გაზით მომარაგებას უზრუნველყოფს[141]. აზერბაიჯანთან კონფლიქტის გამო განსაკუთრებით იგი სომხეთისთვისაა

[141]საქართველოს ბავთობისა და გაზის კორპორაცია http://www.gogc.ge,ბოლოს გადამოწმებული 8.12.2018.

აქტუალური. გაზსადენის სიგრძე საქართველოს ფარგლებში 221 კმ-ია. საქართველოს ტრანსპორტის სისტემის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დასახულია მთელი რიგი პრიორიტეტები, რომლებიც სატრანზიტო სისტემებში მეტ ინტეგრაციას, ურთიერთობების გაღრმავებას, კადრებისა და ინფრასრუქტურის განვითარებას, უსაფრთხოების ამაღლებას, ასევე სამართლებრივი ბაზის ჰარმონიზაციას ისახავს მიზნად.

ტრანსპორტის სექტორში სახელმწიფოს მიერ დასახული ცალკეული ღონისძიებები, მაგალითისათვის, როგორებიცაა: საქართველოს ავიაბაზარზე დაბალტარიფიანი ავიაკომპანიების მოზიდვა და ავიაბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს ხელშეწყობა ჯაჭვურ ეფექტს გვაძლევს ტურიზმისა და შესაბამისად, მასთან დაკავშირებული დარგების განვითარებაზე. წლების მანძილზე, მეტწილად საჰაერო გადაყვანის გაზრდის ხარჯზე, იზრდება გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა (იხ. დიაგრამა 3.6.1)[142], რაც, უეჭველია, უკავშირდება ტურისტული ნაკადების ზრდას.

**დიაგრამა 3.6.1.**

**2014-2016 წწ. სატრანსპორტო დარგების მიერ გადაყვანილი მგზავრების ჯამური რაოდენობა (მლნ) საქართველოში**




ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მომოსვლის შედეგად ეს მაჩვენებლი კიდევ, უფრო იზრდება.

საქართველოს ტრანზიტის გზით შემოსავლების გაზრდა დამოკიდებულია არამხოლოდ ლოგისტიკური ცენტრების შექმნა-განვითარებაზე, ზოგადად, სატრანსპორტო ინფრატრუქტურის გაუმჯობესებაზე და მასთან დაკავშირებული მომსახურების ამაღლებაზე, არამედ ჩვენი სატრანსპორტო დერეფნით მოსარგებლე ქვეყნების ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და ზოგადად, რეგიონში პოლიტიკურ სტაბილურობაზე, რაც მხოლოდ ჩვენი ქვეყნის კეთილ ნებას სცილდება. საქართველომ, ერთი მხრივ, უნდა ეცადოს იყოს კონკურენტუნარიანი სატრანზიტო ქვეყანა, მეორე მხრივ, ამ

[142] ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, http://www.economy.ge, ბოლოს გადამოწმებული 12.05.2018.

დარგის განვითარებაზე მოქმედი გარეშე ფაქტორების გამო (იგივე შეიძლება ითქვას სხვა დარგებზეც, მაგრამ ტრანზიტის შემთხვევაში მოქმედი გარეშე პირები, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტია) ქვეყანაში უნდა მოახდეს ეკონომიკის დივერსიფიკაცია.

საქართველოს მრეწველობის სექტორი მშპ-ს 11%-ს შეადგენს.[143] ქართული წარმოების უპირატესობად ევროპის ქვეყნებთან შედარებით წარმოების ფაქტორის შრომის სიიაფე უნდა აღინიშნოს. თუმცა, სხვა განვითარებად ქვეყნებთან მიმართებაში ეს უპირატესობა ქრება. ამასთან, უნდა აღინიშნოს არსებული კადრების დაბალი კვალიფიაცია, რაც ბიზნესის სიმარტივის ინდექსით გათვალისწინებულ უპირატესობებს ანეიტრალებს. კონკურენციულ უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს იაფი ელექტროენერგია, ნედლეულის არსებული საბადოები და ტრანზიტული გზების გასაყარზე მდებარეობის გამო იმპორტულ რესურსებზე ადვილი წვდომა, ასევე ქვეყანაში არსებული სტაბილური გარემო. მრეწველობის ძირითადი ქვედარგებია კვების მრეწველობა და მეტალურგია, მზარდ მრეწველობის დარგებს კი წარმოადგენს ხეტყის გადამუშავება, ტანსაცმლისა და ქიმიკატების წარმოება. საქართველოს მთავრობის მიერ წარმოებული პოლიტიკის შედეგად მრეწველობის მასშტაბები მატულობს (იხ. ცხრილი 3.6.2).[144] ცხრილიდან 3.6.2 ჩანს, რომ ათვლის 2010-2016 მრეწველობის განვითარებას დადებითი წარიმართა ყველა წარმოდგენილი კომპონეტის მიხედვით, ასე მაგალითად მრეწველობის სექტორში ფულადი სახსრების ბრუნვა გაიზარდა 1,9-ჯერ, გამოშვებული პროდუქციის ღირებულება ასევე 1,9-ჯერ, რამაც გამოიწვია დამატებითი ღირებულების ზრდა 1,7-ჯერ, შუალედური მოხმარება კი ზუსტად 2-ჯერ გაიზარდა, ფიქსირებული აქტივები 1,9-ჯერ. ყველაფერი ამის ფონზე სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა მხოლოდ 1,2-ჯერ, რაც შრომის მწარმოებლურიბის გაზრდით უნდა აიხსნას. მწარმოებლურობის ხარისხის გაზრდას უნდა უკავშირდებოდეს სექტორში დასაქმებულების 1,4-ჯერ ხელფასის ზრდა.

[143] საქარველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, /www.geostat.ge/.
[144] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური /www.geostat.ge/.

**ცხრილი 3.6.2.**

**მრეწველობის განვითარება საქართველოში 2010-2016წწ.**

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრუნვა, მლნ. ლარი | 5540 | 7232 | 7553.6 | 8041.3 | 9000.2 | 9611 | 10579 |
| გამოშვებული პროდუქცია, მლნ.ლარი | 4850 | 6428.3 | 6868.3 | 7299.2 | 8201.5 | 8505.3 | 9174.2 |
| დამატებული ღირებულება, მლნ. ლარი | 1915 | 2263.8 | 2421.8 | 2538.5 | 2753.8 | 3000.8 | 3286.1 |
| შუალედური მოხმარება, მლნ. ლარი | 2935 | 4164.5 | 4446.5 | 4760.7 | 5447.7 | 5504.5 | 5888.2 |
| ფიქსირებული აქტივები, მლნ. ლარი | 3856 | 4580.5 | 4982.9 | 5774.3 | 6097.6 | 6827.5 | 7634.5 |
| დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი | 95849 | 109158 | 114843 | 112752 | 116568 | 117847 | 120783 |
| დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი | 595.1 | 633.3 | 698.5 | 754.1 | 790.5 | 853.4 | 874.3 |

საქართველოს მთავრობის მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებით დადებითი ტენდენციები აისახა ეუთოს კვლევაში „მცირე და საშუალო მეწარმეობის ინდექსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“.[145] ინდექსის თანახმად, საქართველო 7 კომპონენტის მიხედვით პირველ ადგილზეა (კვლევა სულ ითვალისწინებს 12 კომპონენტს), ამ შედეგით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საუკეთესოა. აღნიშნული, კვლევის მიხედვით საქართველოს ამ მიმართულებით წინსვლა უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მცირე და საშუალო ბიზნესის საინოვაციო პოლიტიკის, ასევე გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საკითხების მოწესრიგებით. კვლევაში გამოკვეთილია ორი მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტის - მეწარმეობის განვითარების და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოების დაარსების მნიშვნელობა, მეწარმეებისათვის ფინან-

[145] SME Policy Index: Eastern Partner Countries 2016, OECD, November 24, 2015.

სური და ტექნიკური დახმარების და ინოვაციებისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით.

მრეწველობის დარგის ცალკეული ქვედარგები (საკვები პროდუქტების წარმოება, მსუბუქი მრეწველობა) პირდაპირაა დაკავშირებული სოფლის მეურნეობასა და ტურიზმთან, ამიტომ ზემოთ განხილული სტრატეგიების შესაბამისად მათი წინსვლა გამოიწვევს მრეწველობის განვითარებასაც. ჯაჭვური რეაქციის პრინციპით ეს გამოიწვევს უმუშევრობის შემცირებას და შესაბამისად სიღარიბის მასშტაბების აღმოფხვრასა და საბოლოოდ საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებას. 2014 წელს საქართველოსა და ევროკაშირის ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვერული მისი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება DCFTA, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქართველი მეწარმებისათვის. ამ შეთახმებით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში ევროპული ნორმების დანერგვას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და მის ჩაბმას გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში.

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოებს მოქმედ ბიზნესში დიდი წილი უკავია და ქმნის სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50 პროცენტზე მეტს, კერძო სექტორში ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს[146]. ეს ტენდენცია ვრცელდება საქართველოშიც, - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემებით, საქართველოში იგივე ტენდენცია შეინიშნება, მცირე საწარმოების ბრუნვას უკავია მთლიანი ბრუნვის 34%, საშუალო საწარმოების ბრუნვას 21,9% – საბოლოო ჯამში, მცირე და საშუალო ბიზნესის საერთო ბრუნვის 55,9%. მოწინავე ქვეყნების ეკონომიკურ ტენდენციებს უკავშირდება 2016 წელს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“. სტრატეგია ეფუძნება ევროპული მცირე ბიზნესის აქტის პრინციპს - „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ (Think Small First), შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის. სტრატეგიაში დასახულია 2020 წლისთვის მისაღწევი 5

[146] დიალოგი „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკაზე“ აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში (Dialogue on „SME Policy” with regard to the multilateral framework of the Eastern Partnership) ევროკომისია 2010.

სტრატეგიულ მიმართულებაში თავმოყრილი მიზნები: 1. საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება; 2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, 3. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; 4. ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია; 5. ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“ ასევე ხაზგასმულია კერძო სექტორის განვითარების, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერის პრიორიტეტულობა. ეს ორი სტრატეგია ერთმანეთთან სრულ შესაბამისობაშია. ბიზნესის კეთების რეიტიგში საქართველოს პოზიცია (2018 წლის მონაცემებით მე-12 ადგილი) მიანიშნებს საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიის რიგით პირველი მიმართულების დამაკმაყოფილებელ დონეს.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, საქართველოს ეკონომიკის დარგების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მთავარი მამოძრავებლი ძალა მასში მცირე მეწარმეობიდან დაწყებული განახლებადი ენერგიებისა და მეცნიერებატევადი დარგების ჩათვლით ინოვაციების დონის საგრძნობი ამაღლება და ფინანსური რესურსების ხელმისაწდომობის გაზრდაა, რასაც თან უნდა სდევდეს წარმოების ფაქტორებისა და პროდუქციის დივერსიფიკაცია და დაფინანსების წყაროების ბიზნესის განვითარებით დაინტერესებული მომხმარებლის მიმართ ორიენტირების გაზრდა.

# თავი 4. კლასტერების როლი ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში

## 4.1. კლასტერი – კონკურენტუნარიანობის ამაღლების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი

ეროვნული კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები მრავალფეროვნებითა და კომპლექსურობით გამოირჩევა, მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კლასტერული ინიციატივების განვითარება. კონკურენტუნარიანობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია კაპიტალის დაბანდებისათვის სექტორების, შემდეგ კი მის შიგნით საწარმოთა სწორად შერჩევა. სექტორების კონკურენტუნარიანობის, ზოგადად კლასტერის – კერძო და საჯარო სუბიექტების დამაკავშირებელი სისტემის, ეფექტიანობაზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანური და სოციალური კაპიტალი, ტექნიკური პროგრესი, ინოვაციები, ბიზნესის ხელსაყრელი გარემო, წარმოების გამოცდილება, არსებული მოთხოვნა, პროდუქტისა და ბაზრის დივერსიფიკაცია და სხვა. კლასტერი წარმოადგენს ერთ გეოგრაფიულ არეალში კონცენტრირებული ერთი განსაზღვრული დარგის ურთიერთდაკავშირებული კომპანიებისა და ინსტიტუტების ერთობლიობას, რომლებსაც საერთო ფაქტორები და შემცვლელები აერთიანებთ[147].

კლასტერის შემადგენელი ერთეულები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და როგორც წესი, ერთმანეთის სიახლოვეს არიან განლაგებულნი. გეოგრაფიული სიახლოვისა და მათი საქმიანობის ურთიერთკავშირის გამო კლასტერში შემავალი ერთეულები სარგებლობენ გარე და სინერგიული ეფექტების ეკონომიკური უპირატესობებით. ამ უპირატესობებს მიეკუთვნება კვალიფიციური ადამიანური რესურსები, მიმწოდებლები და ა.შ.

კლასტერულ ინიციატივებს შეუძლია ხელი შეუწყოს ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, კერძოდ, რეფორმებს, სავაჭრო პოტენციალის შესწავლას, საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგს, რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, შრომითი რესურსების კვლევას და ა.შ. დროდადრო ისინი ხდებიან ეკონომიკური რეფორმების საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის, მედიასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ინდიკატორები.

[147] Porter M., The Competitive Advantage of Nations, New York, NY: Free Pass, M.E 1998, გვ. 78.

კონკურენტუნარიანობასთან მიმართებით ეკონომიკურმა კონცეფციამ წინ წამოსწია კლასტერების მნიშვნელობა. კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს წარმოების ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას და დამოკიდებულია ეროვნული პროდუქტის მოცულობაზე, რომელიც იზომება საერთაშორისო ბაზრებზე პროდუქტის ფასისა და წარმოების ეფექტიანობით. დღეს საერთაშორისო ბაზრებზე ერთმანეთს კონკურენციას უწევენ კომპანიები და არა ქვეყნები.[148] კომპანიის წარმატება კი დამოკიდებულია ეკონომიკურ გარემოზე, მომიჯნავე ინსტიტუტებსა და სახელმწიფო პოლიტიკაზე. შესაბამისად, ეროვნული და რეგიონული კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია კომპანიების წარმატებაზე. რამდენადაც არ უნდა იყოს იზოლაციაში ცალკე მდგომი ფირმა წარმატებული ვერ იქნება, იგი დამოკიდებულია მომიჯნავე ინსტიტუტებსა და აგენტებზე, რომელთა ქცევაც მოქმედებს ფირმის საქმიანობაზე, აგრეთვე საკუთარ კავშირებსა და სინერგიის ეფექტზე.

ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის მეცნიერ-მკვლევრები კლასტერებს განიხილავენ, როგორც მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შემადგენელ ნაწილს (იხ. სქემა 4.1.1).[149]

**სქემა 4.1.1.**

**მიკროეკონომიკური კონკურენტუნარიანობა და კლასტერი**




კარგად დაგეგმილმა კლასტერულმა ინიციატივამ შესაძლებელია დააჩქაროს კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროცესი. კლასტერული ინიციატივა მოიცავს კლასტერის ბაზრის, პროდუქტების, გარე- და სინერგიული ეფექტის შეფასებას. იგი ახდენს ნორმატიულ და ბიზნესშეზღუდვების გამოვლენას, იძლევა ახალი ბაზრის

[148] Porter M., The Competitive Advantage of Nations, New York, NY: Free Pass 1990. გვ. 5.

[149] გაგნიძე ი., ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და კლასტერები: ისტორია და თანამედროვეობა, გამომც. „უნივერსალი“ თბ., 2012, გვ. 26.

გამოვლენის და უკვე ათვისებულ ბაზარზე წილის გაზრდისა და ბიზნესის ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავების შესაძლებლობას. სტრატეგიული კვლევა განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნისა და კლასტერისთვის. იგი ძირითადად ფოკუსირდება ბაზრის შესწავლაზე, სამუშაო ბაზრის განვითარებაზე, მიმწოდებელთა ქსელის გაუმჯობესებასა და ხარისხის სტანდარტების შემდგომ ინტეგრაციაზე. კვლევა ხელს უწყობს კონკურენციის ამაღლების ხელისშემშლელი ინსტიტუციური დაბრკოლებებისა და გასატარებელი რეფორმების გამოვლენას. კლასტერის მოთამაშეებს შორის დიალოგით შესაძლებელია ახალი პარტნიორული კავშირების გამოვლენა კლასტერის ლიდერებსა და საჯარო სექტორს შორის. ხელისუფლება რეაგირებს კლასტერებიდან წამოსულ ინიციატივაზე, პასუხობს მას საჭირო რეფორმებით. ამ გზით გატარებული რეფორმები ხელს უწყობს კლასტერების დამატებით განვითარებას – სპეციალიზებული ინფრასტრუქტურის გაჩენასა და ქვეყანაში ტექნოლოგიურ და სამეცნიერო ბაზის გაღრმავებას.

ეროვნული ეკონომიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა დიდ როლს ასრულებს კლასტერების განვითარებაში. კლასტერები როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე ახდენს გავლენას კონკურენტუნარიანობაზე. ამასთან, მათი განვითარება საჭიროებს ხელისუფლების განშტოების ყველა დონის ჩართულობას. ცალკეულ საკითხში, როგორებიცაა ინვესტიციები, განათლება და მიმწოდებელთა ქსელის განვითარება, უშუალოდაა საჭირო ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედება.

კლასტერული ინიციატივა გვთავაზობს წინადადებებს კლასტერის ბაზრის, პროდუქტის, კავშირების, გარეფაქტორებისა და სინერგიის შეფასებისათვის, ასევე ნორმატიული და ბიზნესშეზღუდვების გამოსავლენად, ბაზრის უფრო დიდი შესაძლებლობების ასათვისებლად, ახალი ბიზნესსტრატეგიების დასასახად და კონკურენტებთან უკეთესად გასამკლავებლად. სტრატეგიული ინიციატივები ცვალებადია სხვადასხვა ქვეყანასა და კლასტერში, მაგრამ ისინი ერთიანდებიან ბაზართან დაკავშირებული ინფორმაციის სრულყოფის, სამუშაო ძალის განვითარების, მიწოდების არხების გასაუმჯობესებლად, ხარისხისა და ბრენდის სტანდარტის განსაზღვრის, ინტეგრაციის გაგრძელებასა და, ზოგადად, გაუმჯობესებაზე ფოკუსირების მიზნით. კლასტერული ინიციატივის განხორციელება გამოსახულია ცხრილში 4.1.1.

**ცხრილი 4.1.1.**[150]

**კლასტერული ინიციატივის საფეხურები მსოფლიო ბანკის ნიხედვით**

| I ეტაპი | II ეტაპი | III ეტაპი | IV ეტაპი |
|---|---|---|---|
| კლასტერის რუკაზე მონიშვნა და პირველადი ჩართულობა | დიაგნოსტიკა და სტრატეგიის ფორმულირება | სტრატეგიული, პოლიტიკური და ინსტიტუციური ინიციატივების განხორციელება | პროექტის შემდგომი მდგრადობა |
| ზოგად ეკონომიკურ დონეზე კლასტერის რუკაზე მონიშვნა, კლასტერის ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მათი ჩართულობის განსაზღვრა | 10 კლასტერული ინსტრუმენტის გამოყენება კონკურენციული პოზიციის გამოსავლენად, კლისტერშიდა თანამშრომლობის განვითარება და კოლექტიური ბიზნესსტრატეგიის შემუშავება | კლასტერების ლიდერების უფლებების უზრუნველყოფა დროის, იდეების დანახარჯების გაყოფისა და კერძო და საჯარო სექტორს შორის არსებულ დიალოგთან მიმართებით, კლასტერის კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის სუსტი მხარეები | კლასტერის მიერ რესურსების განაწილების უნარის პროექტშემდგომი უზრუნველყოფა, კლასტერის ინსტიტუციური სტრუქტურის ფორმულირება |

კლასტერზე დაფუძნებული ანალიზი წარმოადგენს რეალურ გზას ეკონომიკის ზრდის ინსტიტუციური დაბრკოლებების გამოსავლენად და შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის ამაღლების პოლიტიკის შესამუშავებლად, ასევე, ეკონომიკური რეფორმების გატარებისთვის ნიადაგის მოსამზადებლად. კლასტერის დონეზე დია-

[150] Clusters for Competitiveness, A Practical Guide & Policy Implications for Developing Cluster initiatives International Trade Department of the World Bank 2009, გვ. 4.

ლოგის შედეგად ხდება კლასტერის ლიდერებსა და სხვადასხვა ორგანიზაციის დაკავშირება, რაც აჩქარებს რეფორმების გატარებას. კლასტერების ზრდა პარალელურად განაპირობებს სპეციალური ინფრასრუქტურის, ცოდნისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესებას, აგრეთვე მათთან დაკავშირებულ მთელ რიგ ინსტიტუტებს, რაც, საბოლოო ჯამში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, ექპორტის გაზრდაში, კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის გაუმჯობესებასა და ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების გატარების მდგრადობაში გამოიხატება.

ჩდება კითხვები: რამდენადაა შესაძლებელი კლასტერზე დაფუძნებული ანალიზი? რამდენადაა შესაძლებელი იგი გამოვიყენოთ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიის შემუშავებისას? რა სახის პრობლემებს შეიძლება გაუმკლავდეს ეფექტიანად კლასტერული ინიციატივები და სად ჩნდება მისი შეზღუდვები? როგორ შეიძლება კონკურენტუნარიანი კლასტერის შექმნამ უზრუნველყოს მაქსიმალური ეფექტიანობა და მდგრადობის მიღწევა? როგორ გამოვიყენოთ კლასტერების ანალიზი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის?

კლასტერული ინიციატივის ინსტრუმენტები მრავლისმომცველია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი. ის გვაძლევს კოპლექსურ წარმოდგენას, თუ როგორ ხდება კერძო და საჯარო სექტორს შორის არსებული თანამშრომლობის განვითარება. კლასტერული ინციატივის ინსტრუმენტები მნიშვნელოვანია პოლიტიკოსების, მრეწველებისა და მეცნიერ-ეკონომისტებისათვის. ერთი მხრივ, იგი საჯარო სექტორის წარმომადგენლებისა და მკლევრებისათვის იძლევა ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ კერძო სექტორისათვის, ხოლო მეორე მხრივ, ისევ ფირმის წარმომადგენლებს აძლევს განზოგადებულ ინფორმაციას თავიანთი ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, რაც, საბოლოო ჯამში, ისევ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვისაა საჭირო.

## 4.2. კლასტერული ინიციატივების განხორციელების ინსტრუმენტები

ცალკეული კლასტერის კვლევამდე ხდება ეროვნულ დონეზე კლასტერების რუკაზე დატანა (პირველი ინსტრუმენტი). ცალკეულ ქვეყანაში რეგიონების ეკონომიკა ხასიათდება ვიწრო სფეროში კონკურენტუნარიანობით, განსხვავებული მრეწველობის დარგების კლასტერების ნაზავით. ამგვარი გეოგრაფიული მრავალგვარობა მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, მათ შორის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული საკითხებით. ნებისმიერ შემთხვევაში, რეგიონთაშორისი და კლასტერშორისი ურთიერთდამოკიდებულება არ უნდა იქნეს უგულვებელყოფილი. კლასტერების რუკაზე ასახვა იძლევა დეტალურ სურათს მრეწველობის დარგების მწარმოებლურობის შესახებ, როგორც საკუთრივ ქვეყანაში, ასევე, მის ცალკეულ რეგიონებში არსებული კავშირებისა და მათზე მოქმედი გარეგანი ფაქტორების გათვალისწინებით, რაც შემდგომი კლასტერული ინიციატივების გააზრებისა და კლასტერული ინტრუმენტების გამოყენების წინაპირობას ქმნის.

სასურველი კლასტერის გამოვლენის შემდგომ ხდება კლასტერთან დაკავშირებული ბაზრისა და პროდუქტის სეგმენტების იდენტიფიცირება (მე-2 ინსტრუმენტი). არასრული სეგმენტაციის შემთხვევაში შემდგომი ინსტრუმენტების გამოყენებას არასწორ შედეგებამდე მივყავართ – კონკურენტუნარიანობის ამაღლების მცდელობა არაფექტიანი ხდება. ბაზრისა და პროდუქტის სეგმენტაციას სდევს ინტერაქტიული პროცესი – ძირითად ინტერესთა ჯგუფების მწარმოებლებისა და მიმწოდებლების, ასევე დისტრიბუტორების მიერ ერთობლივად საერთო ბიზნესინტერესების შემუშავება (მე-3 და მე-4 ინსტრუმენტები); ძირითად საკითხებზე შეთანხმების შემდეგ ხდება არსებული სიტუაციის პორტერის 5 ძალის საშუალებით შეფასება, რათაც შესაძლებელია ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი, ბაზრის ტენდენციისა და კონკურენტუნარიანობის პოზიციის შეფასება სდევს თან (მე-6, მე-7 და მე-8 ინსტრუმენტები), საჭიროების შემთხევაში გამოიყენება დამატებითი ინსტრუმენტები. მუშაობის პროცესში, სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებისას, შეიძლება რეკომენდაციების შემუშავება, თუ როგორი უნდა იყოს კერძო და საჯარო სექტორის მიმართ დამოკიდებულება მათთან შემდგომი თანამშრომლობისათვის. კლასტერული ინიციატივა შესაძლოა ეფექტიანი საშუალება იყოს საერთაშორისო ვაჭრობაში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. კლასტერზე დამყარებული კონკურენციის პოლიტიკა შესაძლოა, იყოს პირველდაწყებითი კლასტერული დიალოგის ამოსავალი წერტილი, სადაც კერძო სექტორი განსაზღვრულ როლს თამაშობს. ზოგადად,

კლასტერის სახით ორგანიზირებულ ფირმებს, ადგილობრივი კონკურენტების გამო, მეტი შესაძლებლობა აქვთ გააუმჯობესონ თავიანთი მაჩვენებელი, ვიდრე კონგლომერაციაში ვერტიკალურად ინტეგრირებულ ფირმებს.

სპეციალიზებული ფაქტორები და უნარები უფრო ადვილი ხელმისაწვდომი და იაფია, თუ ფირმები გაერთიანებული არიან კლასტერში. პროდუქციის კომპონენტები, მექანიზაცია, ბიზნესკონსულტაციები და ტრენინგი უფრო მეტადაა ხელმისაწვდომი, ვიდრე ვერტიკალური ინტეგრაციის, ან ფორმალური ალიანსების არსებობისას. მყიდველებთან, ბაზარსა და პროდუქციასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია უკეთაა აკუმულირებული კლასტერებში, ვიდრე თავად სახელმწიფო სექტორში. საჯარო სექტორს შესაძლოა დიდი როლი ჰქონდეს ამ არეალის გაფართოებაში. კლასტერული ინიციატივების შედეგად ხდება კერძო და საჯარო სექტორის ინტერესთა ჯგუფების გაერთიანება, რაც კლასტერთან დაკავშირებული პოლიტიკის ერთიანობის დემონსტრირებას ახდენს. კლასტერული ინიციატივის ეფექტიანობა აისახება კლასტერში ჩართული ინსტიტუტების სტრატეგიის მრავალგვარობაში. კლასტერი ხელს უწყობს ერთიანი ბიზნესსტრატეგიის შემუშავებას, ახდენს კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის გაძღოლას პოლიტიკური რეფორმების გატარების მიზნით. პორტერის ალმასის მოდელი დასახული რეფორმების ეფექ-ტიანობის დადგენისათვის, პრაქტიკულად, სასარგებლო ინსტრუმენტია მაშინ, როცა სხვა სპეციალური ინსტრუმენტები, როგორიცაა: ღირებულების ჯაჭვის ანალიზი, ბაზრის ტენდენციის ანალიზი და კონკურენციული პოზიციის ანალიზი, აფასებენ რეფორმების ოპერაციულ ეფექტიანობას. კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის სწორი წარმართვით კლასტერულმა ინიციატივებმა შესაძლებელია შე-მოგვთავაზოს კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად კლასტერული ინიციატივის ცალკეული რეკომენდაციები.

## 4.3. კლასტერული ინიციატივის პრაქტიკული მაგალითი

კლასტერების კომპლექსურობის გამო დეტალურად განვიხილავთ ქალაქ თბილისის ტურისტული კლასტერის მაგალითს.

ტურიზმს დიდი მნიშვნელობა აქვს დედაქალაქისათვის, რადგან:

- ტურიზმი ქვეყნისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა;
- თავად თბილისი ახლოსაა სხვა ტურისტული დანიშნულების ადგილებთან (კახეთი – ღვინის რეგიონი, მცხეთა – იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ისტორიული ძეგლებით, გუდაური – სათხილამურო კურორტი, რომლის განვითარებაზე ზრუნვა 2011-2012 წლებში თბილისის ხელისუფლების პრეროგატივაც კი იყო – გუდაურის განვითარების ფონდი გახლდათ ქალაქ თბილისის მერიის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი[151];
- დედაქალაქს გააჩნია ტურისტული ინფრასტრუქტურა, ტურიზმის სფეროში მოქმედი საწარმოები და ადამიანური რესურსი.

ფართო გაგებით, ტურიზმის კლასტერში მოიაზრება ტურიზმის ინდუსტრია თავის ინტერესთა ჯგუფებით. თბილისის შემთხვევაში, ტურიზმის კლასტერში შეიძლება განვიხილოთ:

1. სატრანსპორტო საშუალებების მიმღები პუნქტები: თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, რკინიგზა, ავტოსადგურები. თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ფრენა ხორციელდება დაახლოებით 35 პუნქტში, დედაქალაქი რკინიგზით უკავშირდება სომხეთსა და აზერბაიჯანს, თურქეთთან დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის დამთავრების შემდგომ თბილისი, ასევე დაუკავშირდება ევროპას, ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტით კი ჩინეთს, რაც თბილისის, როგორც სარკინიგზო პუნქტის მნიშვნელობას გაზრდის. თბილისში დღეს არსებობს 5 ავტოსადგური, მათგან ერთი, ცენტრალური ავტოსადგური, საერთაშორისო მნიშვნელობისაა;

2. საერთაშორისო რეისების განმხორციელებელი ავიაგადამყვანები და ავტოკომპანიები: თბილისის აეროპორტში ფრენას 25-მდე ავიაკომპანია ასრულებს. ბოლო

---

[151] ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილება №09.01.331, 2011.

პერიოდში აღინიშნება ავიაგადამზიდების რიცხვის ზრდა, რაც თავისთავად გამოიწვევს კონკურენციის გაზრდასა და მომსახურების ფასების შემცირებას;

3. ტურისტული სააგენტოები: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, მათი რაოდენობა 100–მდეა, უნდა აღინიშნოს, რომ აქტიურად მოქმედი ტურისტული სააგენტო გაცილებით მცირეა;

4. სასტუმროები: 2015 წლის მონაცემებით, დედაქალაქში დაახლოებით 243 განთავსების საშუალებაა 5967 ნომრითა და 13 045 საწოლით. საერთაშორისო ბრენდულ სასტუმროებს ჯამური ნომრების რაოდენობის 22% უჭირავს და სამომავლო პროექტების გათვალისწინებით, 2018 წლისათვის აღნიშნული წილი 46%-მდე გაიზდება.[152] ამ მონაცემებით თბილისი ჯერ კიდევ ვერ შეძლებს მსოფლიო მასშტაბის სპორტული თუ კულტურული ღონისძიებების მასპინძლობას;

5. თბილისში სხვადასხვა ტიპის მრავალი რესტორანი, კაფე-ბარი, თუ სწაფი კვების ობიექტია, დიდი რიცხვი მათ მრავალფეროვნებაში არ აისახება. საერთაშორისო ბრენდები მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი, არ მოქმედებს მსოფლიოში დანერგილი ხარისხის მინიჭების სისტემები – მზა კერძების დეგუსტაცია, მზარეულებისათვის სხვადასხვა რანგის მინიჭება და ა. შ.;

6. ორგანიზაციები (სამეცნიერო–კვლევითი–სასწავლო), რომლებიც დაკავებული არიან ტურიზმის სფეროს კვლევით, ქმნიან ტურიზმის მაღალტექნოლოგიურ პროდუქტს, ამზადებენ სხვადასხვა კვალიფიკაციის ტურიზმის სფეროს კადრებს, რაც, როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად ზრდის თბილისის კონკურენტუნარიანობას ტურიზმის სფეროში;

7. ცენტრალურ (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია) და ადგილობრივ დონეზე მოქმედი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ტურიზმის დარგს არეგულირებენ და ახორციელებენ დარგის მასტიმულირებელ პროექტებს;

8. ტურისტული სუვენირების ინდივიდუალური მწარმოებლები, დამოუკიდებელი გიდები.

ტურისტული კლასტერი უშუალოდ არის დაკავშირებული კვების კლასტერთან, მსუბუქი მრეწველობის ცალკეულ დარგებთან, ინფრასტრუქტურის სექტორთან და ა. შ.

მნიშვნელოვანია ტურიზმის კლასტერზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი (იხ. სქემა 4.3.1). სქემაზე წარმოდგენილია ფაქტორები, რომლებსაც უშუალო ზეგავლენა

[152] სასტუმროების ბაზრის კვლევა საქართველოში, Colliers International 2015.

აქვთ კლასტერის ეფექტიან ფუნქციონირებაზე. ბუნებრივი და კულტურული რესურსები, საქმიანი ტურიზმის შემთხვევაში სამეწარმეო გარემო წარმოადგენს უშუალოდ ტურისტულ პროდუქტს, რომელთა შეთავაზება ხდება მომხმარებლისათვის – ტურისტებისათვის, ხოლო სხვა ფაქტორების ხელშეწყობით ამ პროდუქტის შეთავაზება – შესაბამისი ინფრასრუქტურის ჩამოყალიბება, სარეკლამო კამპანია, ხარისხის გაუმჯობესება და ა.შ.

**სქემა 4.3.1.**[153]

**ტურიზმის კლასტერზე მოქმედი ფაქტორები**




კლასტერის კონკურენტუნარიანობის მთავარ ინდიკატორს მწარმოებლურობა წარმოადგენს,[154] ხანგრძლივ პერსპექტივაში ეს აისახება ქვეყანაში ცხოვრების სტანდარტზე, რაც, თავის მხრივ, ერთ სულ მოსახლეზე მთლიან ეროვნულ შემოსავალთანაა დაკავშირებული. ტურიზმის მწარმოებლურობა უშუალოდ უკავშირდება ვიზიტორებს, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ტურისტული კლასტერის კონკურენტუნარიანობა შესაძლებელია გაიზომოს მისი უნარით მოიზიდოს ტურისტები. მ. პორტერის მიხედვით, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოქმედი კომპანიების, მათ შორის ტურისტული კომპანიების, კონკურენციული უპირატესობები იზომება ალმასის მეთოდის დეტერმინანტებით: ფაქტორების პირობები, მოთხოვნის

[153] Clusters for Competitiveness, A Practical Guide & Policy Implications for Developing Cluster initiatives International Trade Department of the World Bank 2009-ის მასალებზე დაყრდობით მომზადებულია დისერტაციის ავტორის მიერ.
[154] Porter M., The Competitive Advantage of Nations, New York, NY: Free Pass, 1990, გვ.128

პირობები, მონათესავე და მხარდამჭერი სექტორი, სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია.

**ტურიზმის კლასტერისათვის ფაქტორული პირობებია:**

- კვალიფიცირებული კადრები;
- ბუნებრივი და კულტურული ღირსშესანიშნაობები;
- განახლებადი ინფრასტრუქტურა;
- მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან უვიზო რეჟიმი;
- ავიაბილეთების მაღალი ფასი;
- საერთაშორისო სპორტული და შოუბიზნესის ღონისძიებების მცირე რაოდენობა.

**მოთხოვნის პირობებია:**

- ხარისხის, უსაფრთხოების გარემოს დაცვის სტანდარტები;
- მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობა.

**მომიჯნავე დარგები განიხილავს:**

- მასმედიისა და კომუნიკაციის სექტორის განვითარების შესაძლებლობა (ელექ-ტრონული მომსახურება, რეკლამა, ა.შ);
- განვითარებული მსუბუქი მრეწველობა.

**ტურიზმის სტრატეგიის** შემუშავებისა და მისი სრულყოფილად განხორციელე-ბის შემთხვევაში შესაძლებელია თბილისის ტურისტული კლასტერის კონკურენციული უპირატესობების გაუმჯობესება და სათანადოდ გამოყენება, აგრეთვე ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრა, კერძოდ:

- გზების, საკომუნიკაციო საშუალებების, ზოგადად ინფრასტრუქტურის გაუმ-ჯობესება;
- თბილისი, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილი, უფრო ხელმისაწვ-დომი გახდეს (დამატებითი სარეკლამო კამპანია პონტენციური ტურისტების მოზიდ-ვის მიზნით, ავიაბილეთების გაიაფება, ადგილობრივი სასტუმროების საერთაშორისო დასაჯავშნის სისტემებში ჩართვა);
- ტურისტული პროექტების მხარდაჭერა და დარგში ინვესტიციების მოზიდვა;
- უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული რესურსების რეაბილიტაცია.

ამდენად, როგორც ანალიზმა გვაჩვენა, ტურისტული კლასტერი საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი ურთიერთდაკავშირებული რგოლებისაგან შედგება. მას გააჩნია სუსტი და ძლიერი მხარეები. სისტემას აქვს გარკვეული პრობლემები, (მაგ. მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველოს დაბალი რეიტინგის გამომწვევი მაჩვენებელი ბიზნესსტურიზმის არასაკმარისი განვითარება), რომლებიც გადაჭრას საჭიროებენ. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია როგორც ადგილობრივი, ასევე, ცენტრალური ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით. მნიშვნელოვანია კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ჩართულობაც, კერძოდ, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, ინოვაციური ტურისტული პროდუქტებისა და სექტორული სტრატეგიების განვითარების მიზნით.

საქართველოს კონკურენტუნარიანობა სხვა ქვეყნების მსგავსად დამოკიდებულია როგორც მიკროეკონომიკურ ბიზნესგარემოზე (მაგ. მონათესავე და მხარდამჭერი დარგების განვითარების დონე), ასევე მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე (მოთხოვნის პირობები, ფაქტორული პირობები, ფირმის სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია). ორივე შემთხვევაში კლასტერული ინიციატივების განხორციელების ინსტრუმენტებს შეუძლიათ კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის რეკომენდაციების შემუშავება, რისთვისაც კერძო და საჯარო სექტორის სისტემატიური თანამშრომლობაა საჭირო.

# თავი 5. ქალაქების კონკურენტუნარიანობის მნიშვნელობა გლობალიზაციის პირობებში

## 5.1 ქალაქები მსოფლიო ეკონომიკაში და მათი კონკურენტუნარიანობის შეფასების პრობლემები

ქალაქების მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკაში იზრდება. მსოფლიოს ურ-ბანიზაცია უპრეცენდენტო სიჩქარით მიმდინარეობს. 1950 წელს მსოფლიოს მოსახ-ლეობის მხოლოდ 29% ცხოვრობდა ქალაქის ტიპის დასახლებებში. გაეროს პროგ-ნოზით, ეს მაჩვენებელი 2050 წლისათვის 69%-ს მიაღწევს. 2000 წელს მსოფლიოს 30 უდიდესი ქალაქიდან 16-ს 10 მლნ-ზე მეტი მაცხოვრებელი ჰყავდა, 2025 წლისათვის ქალაქს მსოფლიოს 30 უდიდესი ქალაქიდან მხოლოდ ერთს ეყოლება 10 მლნ-ზე ნაკლები მოსახლე.[155] გლობალიზაციის პირობებში ქალაქების ურთიერთდაკავშირების ხარისხი სულ უფრო და უფრო მატულობს, კაპიტალისა და მოსახლეობის მიმოსვლა მათ შორის მარტივად ხდება, რაც ამწვავებს კონკურენციას კვალიფიციური სამუშაო ძალისა და კაპიტალის მოსაპოვებლად. ჰოლანდიური წარმოშობის ამერიკელმა მეცნიერმა სასკია სასსენმა ეკონომიკური გლობალიზაციია დაახასიათა, როგორც ჰიპერმობილურ, გლობალური კომუნიკაციის მქონე, ადგილისა და მანძილის განმანეიტრალებელი მოვლენა. მსოფლიო ეკონომიკაში ქალაქების როლის ზრდის გათვალისწინებით, გლობალურ ვაჭრობაში მათ დიდი როლისათვის ხაზის გასასმელად კი მან ჯერ კიდევ 1991 წელს შემოიღო „მეგა ქალაქისაგან“ განსხვავებული, რომელიც მხოლოდ ქალაქის მცხოვრებლების რაოდენობაზე ფოკუსირდება, ტერმინი „გლობალური ქალაქი“, გარდა საერთაშორისო ვაჭრობაში მაღალი ჩართულობისა გლობალური ქალაქის ტიტულის პრეტენდენტი გეოგრაფიული პუნქტი ხასიათდება დიდი ფინანსური ძალითა და მაღალ განვითარებული ტექნოლოგიებით.[156] შესაბამისად ურბანიზაციის პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკურ ზრდასთან. იგივე ტენდენაცია იკვეთება საქართველოშიც, - მშპ-ს დაახლოებით 50% იწარმოება თბილისში. ქალაქი თანამედროვე სამყაროში არამარტო ადგილია, სადაც თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს და მუშაობს, არამედ ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული

[155] World Urbanization Prospect: The 2009 Revision, File 11 a. The 30 largest Agglomeration Ranked by Population Size at each Point in time, United Nation Secretariat: Department of Economic and Social Affairs, 2009, გვ. 5.
[156] Sassen S. The global city: strategic site/new frontier, 2018.

ცხოვრების მასტიმულირებელი და მარეგულირებელი ცენტრი,[157] შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი როლის გამოყოფა ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მიმოხილვისას.

ქალაქებს შორის, უფრო მართებულად, სხვადასხვა ქალაქის ხელისუფალთ შორის კონკურენციის ისტორია იმდენად ძველია, რამდენადაც თავად ქალაქების არსებობის ისტორია. ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის ქალაქები საგარეო ვაჭრობის სფეროში, რეგიონში დომინანტი დასახლებული პუნქტის სტატუსის მოსაპოვებლად. ქალაქები იბრძოდნენ გამხდარიყვნენ საქარავნო გზების, შემდგომ რკინიგზებისა და ნავთობსადენების საკვანძო პუნქტები, ქალაქის ფუნქციების გამრავალფეროვნებასთან ერთად კონკურენციის მიმართულებებიც დაიქსაქსა, გაიზარდა კონკურენტუნარიანობის შეფასების ინდიკატორების რიცხვიც, როგორებიცაა: ეკონომიკური ინდიკატორები – მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი, უმუშევრობის დონე, სამუშაო ადგილების ზრდის მაჩვენებელი, ხელფასების დონე, ინოვაციების რიცხვი, ახალდაარსებული საწარმოების წილი, მუშახელის მწარმოებლურობა; საზოგადოებრივი ინდიკატორები – კრიმინალის დონე, განათლების ხარისხი, ინფრასრუქტურის ხარისხი, ადგილობრივი გადასახადების და მოსაკრებლების ოდენობა; ასევე ეკოლოგიური ინდიკატორები – გარემოს და ჰაერის დაბინძურების დონე და სხვა. ცენტრალიზებული ეროვნული სახელმწიფოების მმართველობის ფორმამ, რომელიც XX საუკუნის განმავლობაში დომინირებდა მსოფლიოში და გარკვეულ ადგილებში კვლავაც შემორჩა, ქალაქებს ცენტრალური მთავრობებისგან მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციები დაუტოვა, ქალაქებს შორის კონკურენცია თითქმის მხოლოდ ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტიდან დოტაციებისთვის ბრძოლამდე დავიდა. გლობალიზაციის პროცესმა დააჩქარა დეცენტრალიზაცია, რამაც თანამედროვე ქალაქებს მისცა მეტი შესაძლებლობა გახდნენ რეგიონის გამოკვეთილი ლოჯისტიკური ცენტრები, სადაც კონკურენცია პირველად მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად გაიზარდა ქალაქების კონკურენტუნარიანობის - ქალაქის ეკონომიკური სიძლიერისა და პოტენციალის შეფასების მნიშვნელობა. ქალაქებს შორის კონკურენცია განსხვავდება ფირმებს შორის კონკურენციისგან. ქალაქების პირველადი მიზანი არ არის ბაზარზე გასატანი პროდუქციის წარმოება და აქტივებზე მოგების მაქსიმიზაცია. ნებისმიერი მოცემული ქალაქისთვის მეორე ქალაქი წარმოადგენს მისი ფირმების მიერ წარმოებული პროდუქციისათვის

[157]ხმიადაშვილი მ., ურბანიზაცია და მისი ეკონომიკური ასპექტები, ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე", 2015, გვ. 30.

გასაღების ბაზარს, ამისათვის თანამშრომლობა ისევე საჭიროა, როგორც კონკურენცია.

ქალაქის ხელისუფლებას კანონით აქვს მინიჭებული განსაზღვრული ტერიტორიის საზღვრებში ადმინისტრაციული ფუნქციები. რისკის მომტანი ქმედებები, როგორც წესი, მკაცრადაა შემოსაზღვრული. ახალი მოთამაშეების შემოსვლა იმავე პასუხიმგებლობის სივრცეში დაუშვებელია. ურბანული ლიდერობა განისაზღვრება პოლიტიკურ ჭრილში და არა მოგების მაქსიმიზაციის დონის მიხედვით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების პირდაპირი ფუნქცია არ არის მოგების მაქსიმიზაცია, იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს ქალაქის შემოსავლების ზრდაში. ქალაქის ხელისუფლება ახდენს ფირმებისათვის სამოქმედო გარემოს გაუმჯობესებას, ინფრასტუქტურის კეთილმოწყობას, სატრანსპორტო ტერმინალებისა და სავაჭრო ადგილების მოწყობას, ინოვაციების ხელშეწყობას, ინვესტიციების მოზიდვას, ასევე, კვალიფიციური სამუშაო ძალის გადინებისგან თავის არიდების მიზნით, საკუთარ მოქალაქეებს სთავაზობს კარგ საცხოვრებელ პირობებს, უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ა. შ. აღნიშნული იწვევს ფირმების მოგების გაზრდას, რაც შესაბამისად აისახება საგადასახადო შემოსავლებსა და ქალაქის ბიუჯეტში.

ქალაქის ხელისუფლების უფლებამოსილება კანონმდებლობითაა შემოფარგლული და გარკვეულ ჩარჩოებს მიღმა მოქმედება აღარ ძალუძს მაშინ, როცა ტერიტორიის ეკონომიკურ აქტივობასა და ქალაქთან ეკონომიკურად დაკავშირებულ მოსახლეობას მოქნილობა ახასიათებს. რაც უფრო დინამიკურია ეკონომიკური აქტივობა, მით უფრო ნაკლებია თანხვედრა ქალაქის ოფიციალურად დაკანონებულ საზღვრებსა და ქალაქთან ასოცირებულ ეკონომიკურ არეალთან. გლობალიზაცია განაპირობებს ქალაქის ეკონომიკისათვის საზღვრების მოშლას, მის გაშლას ლოჯისტიკურ ცენტრებში, გლობალური ქსელის ჩამოყალიბებას. დიდი მეტროპოლია - მრავალბირთვიანი ტერიტორიული ერთეული - შეიძლება მოიცავდეს კლასტერებს, რომლებიც არსებულ გეოგრაფიულ არეალზე მეტად ურთიერთქმედებენ მსოფლიოს სხვა კლასტერებზე. ეს მოვლენა განაპირობებს ქალაქების ეკონომიკის ხასიათის განსაზღვრაში უზუსტობებს. ამას თან ერთვის ისიც, რომ ქალაქის ეკონომიკური აქტივობების ნაწილი სტატისტიკურად არასახვის გამო, არაფორმალური რჩება.

ქალაქის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასების ინდიკატორების მაჩვენებლები განაპირობებს მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხს. შებამისად, ადგილობრივი ხელისუფლება ფოკუსირებას უმრავლეს შემთხვევაში - მოსახლეობის კმა-

ყოფილებაზე ახდენს. შემდეგი საკითხია კონკურენტთა ჯგუფი. პრაქტიკაში ქალაქები უფრო ვიწრო სფეროში უწევენ კონკურენციას ერთმანეთს, ვიდრე ერთიანი ქალაქის ცნებაა. ქალაქები იბრძვიან იყვნენ ფინანსური, სატრანსპორტო (აეროპორტი, საზღვაო პორტი, რკინიგზა და ა.შ.) კულტურული, სპორტული, სამედიცინო, უმაღლესი განათლების ცენტრები და ა.შ. კონკურენტთა ჯგუფი ყველა შემთხვევაში სხვადასხვაა. კონკურირებადი სექტორის გამოვლენა საშუალებას გვაძლევს, უფრო ზუსტად გამოვავლინოთ კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები და კონკურენტთა ჯგუფი (რომლებთან შედარებითაც უნდა გაიზომოს ესა თუ ის მაჩვენებელი).

ყველა შემთხვევაში კონკურენცია მიმდინარეობს რესურსებისათვის, კვალიფიციური სამუშაო ძალისა და კაპიტალისათვის, რომელთაც ინოვაციებისკენ მივყავართ. ვინაიდან რესურსების მობილურობის ხარისხი ძალზე გაზრდილია, ამიტომ მათი თავმოყრა ხდება იქ, სადაც უკეთესი პირობებია. ამიტომ ქალაქთა შორის კონკურენციას აქამდე არნახული მასშტაბები აქვს. ქალაქები გამოწვევათა ნაკრების წინაშე დგანან, ერთი მხრივ, მათზე ზემოქმედებს ფინანსური რესურსების/კაპიტალის მიმწოდებლები, რომელთაც სხვადასახვა ინტერესთა ჯგუფები წარმოადგენენ - თავად ქალაქის მოქალაქეები, დონორები და ინვესტორები, ხოლო მათ საპირწონედ, მომხმარებლები - კვლავ მოსახლეობა და ხელისუფლება. მოსახლეობის რიცხვი და მიგრაციის დონე უშუალოდაა კავშირში საკუთრივ ქალაქის შემოსავლებსა და უფრო მაღალი სახელისუფლებო იერარქიული საფეხურიდან მისაღებ შემოსავლებზე. ამ ორ ძალას შორის მართებული ბალანსის მიღწევისას გასათვალისწინებელია კონკურენტთა სტრატეგიები. ქალაქში არსებულ რესურსებზე ერთმანეთს კონკურენციას უწევენ სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფები,[158] რომლებიც, თავის მხრივ, ურთიერთქმედებენ ერთმანეთსა და ქალაქის კონკურენტუნარიანობაზე, ესენია:

**მოქალაქეები** ქალაქის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ. თითოეული მათგანი საკუთარ მომავალზე ზრუნავს, ქალაქმა უნდა შეუქმნას მათ შესაფერისი პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კონკურენტ ქალაქებში მოახდენენ ემიგრაციას;

**არსებული ფირმების** დახმარებით ქალაქს განპირობებული აქვს მოქალაქეებისთვის სამუშაო ადგილები და საგადასახადო შემოსავლები;

**ახალი ფირმები** განაპირობებენ ახალ კაპიტალს ინვესტიციებისათვის, შესაბამისად, ახალ სამუშაო ადგილებსა და შემოსავალს;

[158] Citizen Today, Ernst&young February 2011, გვ. 7.

**დონორები** - პოტენციური რესურსების წყარო;

**ხელისუფლება -** ქალაქში წარმოდგენილი სხვადასხვა დონის ადგილობრივი, რეგიონული ეროვნული ხელისუფლებების განშტოებები.

ერთობლიობაში ინტერესთა ეს ჯგუფები ქალაქის კონკურენტუნარიანობას განაპირობებენ, ინტერესთა ჯგუფების თავისებურების მიხედვით ხდება იმ ქალაქისთვის შესაფერისი ნიშის განსაზღვრა გლობალურ ეკონომიკაში, რასაც წინ უძღვის ქალაქის განვითარების სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ქალაქების სხვადასხვა ნიშნის მიხედვით მრავალი რეიტინგი არსებობს, ეკონომიკური კუთხით მნიშვნელოვანია იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში დაფუძვნებული მორის მემორიალური ფონდის ურბანული ინსტიტუტის ქალაქების გლობალური სიძლიერის ინდექსი (Global Power City Index -GPCI). ინდექსს თავის კვლევებში ითვალისწინებს მსოფლიო ბანკი.[159] იგი აფასებს მსოფლიოს ძირითადი ქალაქების კომპლექსურ სიძლიერეს ბიზნესის და მაღალკვალიფიცირებული პროფესიონალების ინდივიდუალურად მოზიდვის კუთხით. 2017 წელს გამოქვეყნებული ანგარიში მსოფლიოს 44 ქალაქის მიხედვით ადგენს რეიტინგს მათი ეკონომიკური, კვლევისა და განვითარების, კულტურული ურთიერთქმედების, სიცოხლისუნარიანობის, ხელმისაწდომობის სფეროების კუთხით განხორციელებული ფუქციისა და ქალაქის შემდეგი მოთამაშეების: მენეჯერების, მკვლევრების, ხელოვნების მუშაკების, ტურისტებისა და ზოგადათ მხოვრებლების ინტერესების გათვალისწინებული 70 ინდიკატორის მიხედვით. ამ ინდექსის მიხედვით ქალაქების პირველი ათეული შემდეგია: 1. ლონდონი, 2. ნიუ-იორკი, 3. ტოკიო, 4. პარიზი, 5. სინგაპური, 6. სეული, 7. ამსტერდამი, 8. ბერლინი, 9. ჰონკ- კონგი, 10 სიდნეი.[160]

ჯ. ბივერსტოკის, რ.გ. სმიტის, პ.ჯ. ტეილორის გლობალიზაციისა და მსოფლიო ქალაქების კვლევის ქსელი Globalization and World Cities Research Network (GaWC) კვლევაში საქართველოს დედაქალქს თბილისსაც ითვალისწინებს. მკვლევრები ქალაქებს ოთხი „განვითარებული მწარმოებლური მომსახურების მიხედვით“- ბუღალტრული აღრიცხვა, რეკლამა, საბანკო საქმე/ფინანსები და სამართალი სამ დონისა (ალფა, ბეტა და გამა) და 10 ქვედონის (ალფა++, ალფა+, ალფა, ალფა-,

[159] https://www.weforum.org/agenda/2017/04/the-top-10-most-powerful-cities-in-the-world/, ბოლოს გადამოწმებული 27.08.2018

[160] Global Power City Index 2017. Tokyo, Japan: Institute for Urban Strategies at The Mori Memorial Foundation. 12 October 2017.

ბეტა+, ბეტა, ბეტა-, გამა+, გამა, გამა-) მიხედვით აჯგუფებენ.[161] 2016 წლის მონაცემების მიხედვით თბილისი გამა ქალაქების ჯგუფს მიეკუთვნება, შედარებისათვის კიევი ბეტა+ ქალაქების ჯგუფშია, ბაქო, რიგა, ვილნუსი გამა+ ჯგუფს მიეკუთვნება, ხოლო მინსკი და ანკარა თბილისის მსგავსად გამა ქალაქების ჯგუფშია.[162]

ქალაქის კონკურენტუნარიანობის შეფასება წარმოადგენს მისი ეკონომიკის სიძლიერის მაჩვენებელს. ზოგადად წარმატებული ქალაქის ცნების განსაზღვრა რთულია, „ეკონომიკა კონკურენტუნარიანია, თუ მისი მოსახლეობა სარგებლობს ცხოვრების მაღალი, მზარდი და მდგრადი სტანდარტებით“.[163] ამ განსაზღვრებას თუ დავეყრდნობით, მაშინ ქალაქის ეკონომიკის სიძლიერის ქვაკუთხედი მოსახლეობის კეთილდღეობა ყოფილა, ყველა ქალაქი თავისი შესაძლებლობების მიხედვით აჯამებს არსებული რესურსებისა და კონკურენციის მიზნებს. კონკურენციას, იქნება ეს ინფრასტრუქტურული პროექტები, ინოვაციური ბიზნესის წახალისება, თუ ინვეს-ტორებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, გლობალური მასშტაბები აქვს. ქალაქების გლობალურ კონკურენციას, როგორც, ზოგადად, კონკურენციას, პროგრესისკენ მივყავართ. მისი შედეგია ეკონომიკის გაძლიერება, შემოსავლების ზრდა და ცხოვრების სტანდარტის ამაღლება. თუმცა, მას თან სდევს უარყოფითი მოვლენები: ეკონომიკის გაძლიერების პარალელურად ცალკეულ ინტერესთა ჯგუფების კიდევ უფრო გაღარიბება, რაც სოციალური უთანასწორობის გამძაფრებას იწვევს; ასევე, ეკონომიკურად ძლიერი სუბიექტების მიერ უფრო სუსტი სუბიექტების მათი ნების საწინააღმდეგოდ შთანთქვა. თუმცა, გლობალიზაციის შეუქცევად პროცესში როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენების აცილება შეუძლებელია.

ქალაქების სწორად დაგეგმილი სტრატეგიის პირობებში შესაძლებელია უარ-ყოფითი შედეგების მინიმიზაცია და დადებითი შედეგების მაქსიმიზაცია. ეს კი სცდება მხოლოდ ქალაქის ადგილობრივი დონის ხელისუფლების კომპეტენციას და ეროვნულ მასშტაბებს იღებს.

---

[161] Beaverstock J.V., R.G. Smith and P.J. Taylor, A Roster of World Cities GaWC Research Bulletin 5, http://www.lboro.ac.uk/gawc/rb/rb5.html, ბოლოს გადამოწმებული 27.08.2018.

[162] The World According to GaWC 2016. GaWC. 24 April 2017. ბოლოს გადამოწმებული 27.08.2018.

[163] Study on the factors of Regional Competitivnes Euro, A draft final report for The European Commission Directorate-General Regional Policy, გვ. 8.

## 5.2 ურბანული განვითარების ტენდენციები საქართველოში

საქართველოს მოსახლეობა 2017 წლის მონაცემებით, შეადგენს 3 მლნ 718 200 კაცს, ურბანიზაციის დონე შეადგენს 57,2%-ს. ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მანიშნებელი ურბანიზაციის მატებაა. ამ მხრივ საქართველოს დადებითი ტენდენცია ახასიათებს (იხ. ცხრილი 5.1). მსოფლიოს ტენდენციების გათვალისწინებით ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს ურბანიზაციის ეს მონაცემი უფრო მაღალ ეკონომიკურ მაჩვენებლებს უნდა განაპირობებდეს.[164] არსებული მონაცემებით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონე ჩამორჩება ქალაქის მაჩვენებლებს. მთლიანი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება სოფლის მაცხოვ-რებლების ხარჯზე (გარე მიგრაციის დროს საზღვარგარეთ წასული ქალაქის მაცხოვრებლები სწრაფად ჩანაცვლდა შიდა მიგრაციის შედეგად ქალაქში ჩამოსული სოფლის მოსახლეობით). სოფლის მოსახლეობის მუდმივი კლების პროცესის გამო უნდა აიხსნას არსებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების სოფელზე ფოკუსირება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური აქტივობა ძირითადად ფიქსირდება ქალაქში მაცხოვრებლებზე. განვითარებულ ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან წილს ურბანულ ყოფასთან ასოცირებული მომსახურების დარგები ქმნიან. ასეა საქართველოშიც - ეკონომიკური აქტივობის დიდი წილი ქალაქებზე მოდის. ქალაქებშია კონცენტრირებული იძულებით გადაადგილებულთა დიდი ნაწილიც. ამასთან, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გადამხდარი ცვლილებები არათანაბრად აისახა ქვეყნის გეოგრაფიულ პუნქტებზე, გასული საუკუნის 90-იან წლებში მეტ-ნაკლებად ერთიანი განვითარების დონე დაირღვა, ახალი საბაზრო პირობების გაჩენა, მთელი რიგი წარმოების დარგებზე მოთხოვნის შემცირების და/ან მათი არაკონკურენტუნარიანობის გამო, დამატებითი შიდა და გარე მიგრაციული პროცესების საბაბი გახდა. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში სპონტანურად მიმდინარე ეკონომიკური პროცესების შემდეგ, საქართველოს ქალაქები დღესდღეობით თავიანთი ეკონომიკური როლის ხელახალი განსაზღვრის აუცილებლობის წინაშე დგანან.

[164] Georgian Urban Strategy, Economic Role of Major Cities, Ministry of Economy and Sustainable Development of Gorgia, World Bank 2015, გვ. 10.

**ცხრილი 5.2.1.**

**საქართველოს მთლიანი მოსახლეობა, მოსახლეობა სოფლად, ქალაქად და ურბანიზაციის დონე 2007-2017 წწ.** [165]

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) | 4,395 | 4,382 | 4,385 | 4,436 | 4,469 | 4,498 | 4,484 | 4,491 | 3,714 | 3,720 | 3,718 |
| ქალაქად (ათასი კაცი) | 2,309 | 2,304 | 2,309 | 2,351 | 2,371 | 2,392 | 2,411 | 2,412 | 2,123 | 2,129 | 2,129 |
| სოფლად (ათასი კაცი) | 2,086 | 2,078 | 2,076 | 2,086 | 2,098 | 2,106 | 2,073 | 2,079 | 1,591 | 1,592 | 1,590 |
| ურბანიზაციის % | 53% | 53% | 53% | 53% | 53% | 53% | 54% | 54% | 57% | 57% | 57% |

მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2015 წელს შემუშავებულ „საქართველოს ურბანული სტრატეგიის – საქართველოს ქალაქების ეკონომიკური როლის“ მიხედვით, საქართველოს ქალაქები შესაძლოა დაიყოს 3 ტიპად: 1) „დიდი ოთხეული“ - თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი; 2)რეგიონული ცენტრები – ადგილობრივი ეკონომიკური მნიშვნელობით; 3)სხვა ქალაქის ტიპის დასახლებები. „დიდი ოთხეულის“ ქალაქებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკისათვის, მსოფლიო ბანკის ექსპერტების მოსაზრებით, ამ 100 ათას ადამიანზე მეტი მოსახლის მქონე ქალაქს აქვს განვითარების სრული პოტენციალი - მათი საკადრო რესურსის, არსებული საჯარო ინსტიტუტების და ეკონომიკის დონის გათვალისწინებით. განსაკუთრებით გამოსაყოფია დედაქალაქის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის დაბალანსებულ განვითარებაში, კავკასიის რეგიონში მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ერთგვარი კონკურენციული უპირატესობაა ტრანსპორტის, ვაჭრობის, კავშირგაბმულობისა და ტურიზმის გასავითარებლად. შესაბამისად, მშენებლობის დარგთან ერთად თბილისის ეკონომიკაში ამ დარგების წილი დიდია. მრეწველობის დარგზე კონცეტრირებულმა რუსთავის ეკონომიკამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად ტრადიციული კავშირების რღვევის გამო საგრძნობი უკუსვლა განიცადა, თუმცა მრეწველობის სექტორი კვლავ ქალაქის ძირითად დამსაქმებლად რჩება. ერთდროულად თბილისთან და საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებთან, სომხეთთან

[165] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/.

და აზერბაიჯანთან, სიახლოვის გამო, რუსთავის ტრანსპორტის დარგს დიდი პოტენციალი აქვს. ბათუმი, მთავარი საზღვაო ჭიშკარი, დიდი ტურისტული რესურსების მქონე, დღესდღეობით საქართველოს ყველაზე სწრაფად მზარდი ქალაქია. ქუთაისი საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული დეგრადაციას განიცდის, არსებული მძიმე მრეწველობის არაკონკურენტუნარიანობის გამო, ქალაქის ეკონომიკის ძირითად დარგებად ვაჭრობა და მომსახურება რჩება. საქართველოს ეკონომიკისთვის ამ ისტორიული ქალაქისათვის სათანადო ნიშის გამონახვა ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც დრომ გვიჩვენა, ამისათვის სახელმწიფოს ჩარევაა საჭირო. მსოფლიო ბანკის ექპერტები, ქალაქის არსებული შრომითი რესურსების გათვალისწინებით მიზანშეწონილად საფეიქრო, სამშენებლო მასალებისა და ტურიზმის დარგების განვითარებას ვარაუდობენ.

რეგიონულ ცენტრებად მოიაზრება 7 ქალაქი (11 რეგიონული ცენტრიდან 3 პირველ ჯგუფს მიეკუთვნება), რომლებიც გარდა მათი სატრანსპორტო და ლოჯისტიკური დანიშნულებისა, უპირველეს ყოვლისა, შესაძლოა მოვიაზროთ სოფლის მეურნეობის ცენტრებად. მათი ეკონომიკის მრეწველობის ერთ კონკრეტულ დარგზე კონცეტრირების შედაგად, ისინი გასული საუკუნის 90-იან წლებში გლობალური მძიმე პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. დაბალი ეკონომიკური აქტივობის გამო ეს დასახლებული პუნქტები საჭიროებენ აქტიურ ზომებს მათი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. საქართველოს ქალაქების მოძველებული ინფრატრუქტურა და არასაკმარისად განვითარებული სერვისები ცალკეული ბიზნესს აქტივობების განსახორციელებლად შეუძლებელს ხდის, რაც მათ დაბალ ეკონომიკურ მაჩვენებლებს განაპირობებს. ადგილობრივი ფირმების კონკურენტუნარიანობა მჭიდოდაა დაკავშირებული მათი განთავსების ადგილის – ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის ანალოგიურ მაჩვენებელზე, რასაც არსებული ინფრასტრუქტურისა და სერვისების დონე განაპირობებს. მიმდინარე პრობლემების მოგვარებას კი, მათი მასშტაბურობის გამო, ხშირად ეროვნულ დონეზე სჭირდება გადაწყვეტა. შესაბამისად, ინფრასრუქტურასა და ინოვაციებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება კერძო და სამთავრებო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეული ქართული ფირმები ვერ გახდებიან გლობალური მასშტაბით კონკურენტუნარიანი. მსოფლიო ბანკსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის „ქალაქების ეკონომიკური როლის“ შესახებ ანგარიშის თანახმად, ქალაქში ფირმების კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია:

- მომსახურების გასაწევად საჭირო შესაბამის ფართზე (მის ოდენობაზე) და
- პროდუქტიული კლასტერისათვის საჭირო ადგილის ვარგისიანობაზე;
- სამუშაო ძალის კვალიფიციურობისა და მისი ღირებულების შესაბამისობაზე;
- სათანადო კაპიტალის სათანადო ვადებში ხელმისაწვდომობაზე;
- სანდო საბაზისო სერვისებსა და მუნიციპალურ მომსახურებაზე;
- ნედლეულის და გასაღების ბაზრების ეფექტიან წვდომასა და მინიმალური ხარჯების ნორმატიული მოთხოვნების გათვალისწინებით კეთილგაწყობილ საკანონმდებლო გარემოზე.

საქართველოს ქალაქების კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები, ანგარიშის თანახმად დაიყვანება, 3 ძირითად პრიორიტეტამდე, ესენია:

1. ინფრასტრუქტურის სფეროში სახელმწიფოს მხრიდან კერძო ინვესტორების მოზიდვა;
2. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა;
3. კერძო სექტორის მიერ ეკონომიკის განვითარებისათვის შესაფერისი გარემოს შექმნა.

როგორც აღინიშნა დიდი ქალაქებიდან პრობლემების სიმწვავით გამოირჩევა ქუთაისი, ამიტომ მიზანშეწოლია ქუთაისის განვითარების მოქმედი სტრატეგიის მიმოხილვა. არსებული და სამომავლო განვითარების ტენდენციები წარმოდგენილია 2016 წლის 31 აგვისტოს ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით №145 დამტკიცებულ ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგიაში „ქუთაისი 2020“. დოკუმენტი მოიცავს 4 სტრატეგიულ მიმართულებასა და მასში დაჯგუფებულ შვიდ სტრატეგიულ მიზანს და 10 პროგრამას მოიცავს (იხ. ცხრილი 5.2.2).

ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი მნიშნელოვანი პრიოტიტეტია. დარგის განვითარებას არსებული ტურისტული ინფრასრტუქტურისა და ახალი ტურისტული ატრაქციიების შექმნით, ტურიზმის სფეროში მოქმედი ინსტიტუციების საქმიანობის კოორდინაციით და ქალაქისა და რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციით იგეგმება. დოკუმნეტში დადებითაა შეფასებული ქუთაისის აეროპორტის რეკონტრუცია, მისი მნიშვნელობა ქალაქის განვითარებაში. აეროპორტის განვითარების კონცეფცია ითვალისწინებს დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების მოზიდვასა და შესაბამისად ქართულ ავიაბაზარზე კონკურენციის ამაღლების გზით ხარისხის გაუმჯობესებას, იმერეთის რეგიონისა და მთელი საქართველოს ტურისტული აქტივობის გაზრდას. თუმცა ტურისტული სხვადასხვა

ნაკადების ქვეყნიდან ტურისტული ნაკადების ზრდა აიანგარიშება არა აეროპორტის არამედ ქუთაისის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მონაცემებზე დაყრდობით (ის. დიაგრამა 5.2.1), რაც უნდა იახსნას იმით, რომ აეროპორტი ემსახურება არა მხოლოდ ქუთაისს არამედ თავისი კონკურენტუნარიანი ხელმისაწვდომი ფასების გამო მთელ საქართველოს, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ქუთაისში საერთაშორისო ტურისტი სხვა გზითაც ხდება.

**დიაგრამა 5.2.1 ქუთაისში საერთაშორისო ტურისტების ზრდის დინამიკა 2012-2015 წწ.-ში ქუთაისის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მონაცემებზე დაყრდობით.[166]**




დიაგრამის 5.2.1 მიხედვით 2015 წელს 2012 წელთან შედარებით ქუთაისში საერთაშორისო ტურისტების რიცხვი 1,4 გაიზარდა. არსებული მონაცემების გათვალისწინებით ტურისტების ნაკადების ზრდას უპირველს ყოვლისა წინ უნდა უძღვოდეს სასტუმროების ზრდა.

[166] ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია „ქუთაისი 2020“, ქუთ., 2016 მონაცემების მიხედვით.

**ცხრილი 5.2.2 გამოწვევების, სტრატეგიული მიმართულებების, მიზნებისა და პროგრამების სტრუქტურა[167]**

| სტრატეგიული მიმართულებები | | | |
|---|---|---|---|
| ცხოვრების ხარისხი | განახლებული ეკონომიკა | თანამშრომლობა | ეფექტიანი მმართველობა |
| **ძირითადი გამოწვევები** | | | |
| 1. ქალაქის მოსახლეობის შემცირების შეჩერება;<br>2. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნა;<br>3. საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის გაზრდა;<br>4. რეგიონული კულტურული და სპორტული პროდუქტების შექმნა;<br>5. რეგიონის მომსახურე სამედიცინო და გამაჯანსაღებელი სერვისების გაუმჯობესება;<br>6. ტურისტული შესაძლებლობების გამოყენება და სავაჭრო კავშირების გაძლიერება;<br>7. ქუთაისი – ქალაქი ბიზნესის, არამომგებიანი ორგანიზაციების, შემოქმედებითი და აქტიური ადამიანებისათვის;<br>8. ქალაქის და მისი სივრცეების მართვის გაუმჯობესება;<br>9. საქართველოს მუნიციპალიტეტებთან ერთად საერთო პროდუქტებისა და სერვისების მომზადება. | | | |
| **სტრატატეგიული მიზნები** | | | |
| 1. დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქის ფუნქციის გაძლიერება;<br>2. ქალაქის ეკონომიკის განახლება და საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა;<br>3. ქალაქის, როგორც განათლების რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა;<br>4. ქალაქის, როგორც კულტურის და სპორტის რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა;<br>5. ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და რეგიონული სამედიცინო მომსახურების განვითარება;<br>6. რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ჰაბის ფუნქციის გაძლიერება;<br>7. თვითმყოფადი ქალაქი მდგრადი გარემოთი. | | | |
| **სტრატეიული პროგრამები** | | | |
| 1. ვიცხოვროთ ქუთაისში;<br>2. ქუთაისი – განათლებისა და ცოდნის ქალაქი;<br>3. ქუთაისი – კულტურის ქალაქი;<br>4. სპორტული ქუთაისი;<br>5. ქუთაისი თქვენი ბიზნესის ადგილი;<br>6. ქუთაისი – ტურისტთა ქალაქი;<br>7. ქალაქი მდინარის პირას;<br>8. განახლებული ქალაქი;<br>9. ერთად განვითარდეთ;<br>10. ვენდობით ერთმანეთს. | | | |

[167] ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია „ქუთაისი 2020“, ქუთ., 2016.

სტრატეგიაში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით ქუთაისში სულ 698 სასტუმრო ოთახია 1401 საწოლით, მსგავსი მონაცემები კი საერთაშორისო გამოწვევებს ჩამორჩება, - ქუთაისი არანაირად არ არის მზად საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიების მასპინძლობისათვის და არც დასავლეთ საქართველოს სხვა ტურისტული დანიშნულების აგდილებისკენ მიმავავალი ტურისტებისთვის არის საკმარისი გზად გასაჩერებლად.

ტურიზმის გარდა ქუთაისის განვითარების სტატეგია, როგორც ეს ცხრილიდან 5.2.2 ჩანს, ასევე ითვალისწინებს მთელ რიგ სფეროებში, როგორებიცაა კულტურა, სპორტი, განათლება, ტრანსპორტი, ქუთაისის დასავლეთ საქართველოს ცენტრად ქცევას, ასევე მცირე ინდუსტრიების განვითარებას. სტატეგიაში არის ითვალისწინებს ამ მიზნების წარმატებულად განხორცილების შემთხვევაში ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური სურათის ცვლილებებს. ამასთან, ყველა მიმართულებიჩ სუსტ მხარეს უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელია დასახელებული.

უკვე აღინიშნა, რომ საქართველოს ქალაქებში იქმნება მშპ-ს უმეტესი წილი, შესაბამისად, ამ პრიორიტეტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მნიშვნელობა აქვს მთელი ქვეყნის ეკონომიკის კონკურეტუნარიანობის ასამაღლებლად. ამასთან, ქვეყნის მასშტაბით გასააზრებელია თითოეული დასახლებული პუნქტის ეკონომიკური როლი, წინააღმდეგ შემთხევაში, მათ შორის გაუაზრებელი კონკურენცია შეიძლება დაემსგავსოს თამაშს, რომელიც ყველა მონაწილისათვის წამგებიანი იქნება.

## 5.3 ჭკვიანი ქალაქისა“ და ელექტრონული მმართველობის როლი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში

თანამედროვე მსოფლიო ცხოვრობს უდიდესი ტექნოლოგიური ძვრების პირობებში. აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში ციფრული ტექნოლოგიების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების, განსაკუთრებით კი ინტერნეტის დანერგვამ შესაძლებელი გახადა არნახული სისწრაფით ინფორმაციის მოპოვება/გავრცელება მთელი პლანეტის მასშტაბით, რამაც დასაბამი მისცა უპრეცედენტო გლობალურ სოციო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს.[168] შესაბამისად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ასევე დიდი მნიშნელობა ენიჭება „ჭკვიანი ქალაქის“ (Smart City) და ელექტრონული მმართველობის ფარგლებში გატარებულ ღონისძიებებს. საქართველოს ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში დაწინაურება გარკვეულ წილად ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის განვითარების შედეგია (იხ. 56 გვ.).

„ჭკვიანი ქალაქის“ გულისხმობს ტექნოლოგიური და კომუნიკაციური მიღწევების დანერგვას სხვადასხვა მომსახურებაში, მათი ხარისხის გაუმჯობესებისა და ხარჯების დაზოგვის მიზნით. ეს მომსახურებები თავიანთი დიდი მნიშვნელობის გამო სცილდება ქალაქს, ამიტომ ,,ქალაქი“ სახელწოდებაში სიმბოლურ ხასიათს ატარებს, და მისი გამოყენება შეიძლება აიხსნას იმით, რომ ქალაქი წამოადგენს ადგილს, სადაც სხვა ტიპის დასახლებებთან შედარებით მეტი მოსახლეობა, შესებამისად, სხვადასხვა სახის მომსახურების მოსარგებლეა წარმოდგენილი. ინიციატივის ფარგლებში გაწეული ტრასნპორტის სფეროს პროექტები მგზავრთა და ავტომობილების ნაკადების მიხედვით სხვადასხვა რეჟიმზე მომუშავე „ჭკვიანი შუქნიშნები“, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტით მგზავრობის დაგეგმის და ელექტროგაბილეთიანების სისტემა წარმატებულად არის დანერგილი თბილისში.[169]

იუნესკოს განსაზღვრებით (www.unesco.org) – ელექტრონული მმართველობა გულისხმობს საჯარო სექტორის მხრიდან ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას მომსახურებისა და ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესებისათვის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა

[168] ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები, 2010, https://idfi.ge/ge/e-governance-in-georgia-world-tendencies.
[169]ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, http://tbilisi.gov.ge/ , ბოლოს გადამოწმებული 18.08.2018.

მონაწილეობის მხარდასაჭერად, ასევე, როგორც ხელისუფლების უფრო ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. [170] საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარების ფონზე საქართველოს საჯარო სამსახურში ელექტრონული მმართველობის დანერგვა–განვითარება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია[171].

გაერთიენებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ ელექტრო მმართველობის განვითარების ინდექსში 2018 წლის მონაცემებით საქართველოს 193 ქვეყანას შორის მე-60 იადგილი უკავია (შედარებისათვის რეგიონის ქვეყნები: რუსეთი - 53-ე ადგილი, თურქეთი - 53-ე ადგილ, სომხეთი 87 -ე ადგილი, აზერბაიჯანს 70-ე ადგილი, უკრაინა 82-ე ადგილი, საქართველოზე დაბალი მაჩვნებელი აქვს ჩინეთს – 65-ე ადგილი, და ევროკავშირის წევრ რუმინეთს - 67-ე ადგილი. რეიტინგში საქართველოს პოზიციები წლების განმავლობაში უმჯობესდება: 2010 წელს მე-100, 2012 წელს 72-ე, 2014 წელს 56-ე, 2016 წელს 61-ე ადგილი.[172] რეგიონის ცალკეულ ქვეყნებთან შედარებით მიღწეული დაწინაურება, ცალკეულთა რესურსების გათვალსიწინებით (მაგ. აზერბაჯანი), ცხადია, საკმარისი არ არის, და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ამ მიმართულებით მუდმივად საჭიროა სრულყოფისკენ სწრაფვა.

[170] ელ-მმართველობა და ელ-გამჭვირვალობა – საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო, https://idfi.ge/public/migrated/uploadedFiles/files/Chapter%20I%20geo.pdf.
[171]საჯარო სამსახურის ბიურო http://csb.gov.ge/ge.
[172] გაერთიაენებული ერების ორგანიზაცია https://publicadministration.un.org/egovkb/Data-Center.

## დასკვნები და რეკომენდაციები

თეორიული მიმოხილვა ადასტურებს კონკურენტუნარიანობის სხვადასხვა დონისა და კონკურენციასთან დაკავშირებული ცნებების ურთიერთკავშირსა და მათ მნიშვნელობას დისერტაციის კვლევის ობიექტში - ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. ქვეყნის კეთილდღეობა უკავშირდება მისი ეკონომიკის აღმავლობას, ეს უკანასკნელი კი სამ ურთიერთგადამკვეთ ფაქტორზე - ინოვაციაზე, მწარმოებლურობასა და კონკურენტუნარიანობაზეა დამოკიდებული.

დისერტაციაში განხილულია კონკურეტუნარიანობასთან დაკავშირებული სხვადახვა საერთაშორისო ორგანიზაციის რეიტინგები. წარმოდგენილი მაჩვენებლების მიხედვით საქართველომ მხოლოდ ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში გაიუმჯობესა პოზიციები. სხვა რეიტიგებში, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოკლებით (პოზიცია გაუარესდა 8 ერთეულით), მოხდა 1-3 ერთეულით პოზიციების უკან დახევა. ეს მეტად საყურადღებოა, ვინაიდან მსხვილი ინვესტორები სწორედ ასეთი ტიპის რეიტინგების შედეგების საფუძველზე იღებენ ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტიციების დაბანდების შესახებ გადაწყვეტილებას. რეიტინგების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში ბიზნესის დაწყება ადვილია, მისი განვითარება კი რთული. აღნიშნულის ძირითადი მიზეზი ინოვაციების სიმცირეა. ინოვაციური განვითარების საჭიროება ასახულია ყველა მოქმედ სტრატეგიაში და მათი სწორად განვითარების შემთხვევაში ბიზნესის დაწყებასა და განვითარებას შორის არსებული ნაპრალი უნდა შემცირდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე გადასვლა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და შესაბამისად, კეთილდღეობის მიღწევა.

ზოგადად, საბიუჯეტო წლის დაგეგმვასა და ხანგრძლივი სტრატეგიული მიზნების დაფინანსებაში არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი. ერთმანეთის საპირწონედ დგანან სოციალური და საინვესტიციო ხარჯები, რომლებიც მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე მიმართულია კვლევა-განვითარებაზე, საჯარო სერვისებზე და ა.შ. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საჭირო პირობების გათვალისწინებით ამ ხარჯებს შორის ოქროს შუალედის დაცვა წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ საკვანძო საკითხს.

საქართველოს საექსპორტო საქონლის სტრუქტურის ანალიზის შედეგად იკვეთება ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის პრიორიტეტული დარგები და ქვედარგები. ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების მნიშვნელობა განიხილება არსებული სექტორული სტრატეგიების საფუძველზე. საექსპორტო საქონლის მწარმოებელი სექტორები, მშპ-ში მათი წილის გათვალისწინებით, ქვეყნის დამოუკიდებლობის, უსაფრთხოებისა და ცხოვრების სტანდარტის განმაპირობებელ დარგებთან ერთად წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს, ბიუჯეტის შემოსავლების გრძელვადიან წყაროს საინვესტიციო და სოციალური ხარჯების დასაფინანსებლად.

სოფლის მეურნეობა, ტრადიციულად, საქართველოს ეკონომიკის წამყვანი დარგია. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში იკვეთება როგორც დარგობრივი, ასევე, უშუალოდ დარგთან დაკავშირებული პრობლემები, როგორებიცაა:

- დაბალია ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა;
- აღინიშნება შესაბამისი განათლების მქონე პირების არასაკმარისი რაოდენობა, რაც კვალიფიცირებული კადრების დეფიციტს ქმნის;
- მოსახლეობის სოფლის მეურნეობის სერვისების მიმართ საკმაოდ დაბალია გათვითცნობიერება, რაც დარგში ახალ მიღწევებზე ხელმისაწვდომობას ზღუდავს და ასევე, დარგისა თუ პროდუქტის კონკურენტუნარიანობას ამცირებს;
- დაბალია ბიოსამეწარმეო პროდუქტის სერთიფიცირების დონე, რაც ჩვეულებრივ პროდუქტებთან შედარებით მაღალი ფასის დაწესების შესაძლებლობას არ იძლევა;
- ცალკეულ მუნიციპალიტეტში მექანიზაციის ცენტრები ჯერ კიდევ არ არსებობს, რაც მექანიზაციის დაბალ დონეს განაპირობებს;
- დიდია კონკურენტი ქვეყნების მიერ წარმოებული დემპინგური საფასო პოლიტიკის საფრთხე;
- არასაკმარისად არის განვითარებული სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული კვების მრეწველობა. აღნიშნულის გამო ქვეყანაში დიდია აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტი, რომლებიც შესაძლოა ჩანაცვლდეს ადგილობრივი პროდუქტით, ასევე, ქვეყანა კარგავს დამატებით საექსპორტო შემოსავლებს და სხვ.

უმთავრესი ამოცანა მსოფლიოს გაჯერებულ ბაზარზე ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის განსხვავებული ნიშის დაკავებაა; საქართველოს კონკურენციას უწევენ როგორც ტექნოლოგიურად დაწინაურებული განვითარებული ქვეყნები, ასევე, იაფი მუშახელის მქონე განვითარებადი სამყარო. ამიტომ გლობალიზაციის ეპოქაში საჭიროა როგორც ინოვაციები, ასევე, ტრადიციული ტექნოლოგიების შენარჩუნებაც.

ტურიზმი საქართველოში ყველაზე მზარდი ეკონომიკის დარგად შესაძლოა მივიჩნიოთ. მნიშვნელოვანია ტურისტული კლასტერების ჩამოყალიბება და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება. საქართველოს სოციალურ-კულტურული თავისებურებებისა და ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ქვეყანაში მრეწველობის მთელი რიგი დარგების მძიმე მდგომარეობის ფონზე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, შესაბამისად კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მჭიდროდ არის დაკავშირებული ტურიზმის დარგთან, რაც თავისთავად შესაბამისი ადგილობრივი ინსტიტუტების ჩართულობის მკაფიოდ განსაზღვრას მოითხოვს. ტურიზმის კლასტერული პოლიტიკის მართებულად შემუშავებისას კი გამართლდება ტურიზმის ეკონომიკის „ძრავის“ მეტსახელი და ავტომატურად მოხდება მასთან დაკავშირებული დარგების სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის განვითარება. არსებული ტურისტული პროდუქტების მიმზიდველობა და კონკურენციის გაწევის პოტენციალი, სწორი მენეჯმენტის პირობებში, საქართველოს ტურიზმის კლასტერს აქცევს ეროვნული ეკონომიკის ამაღლების სტრატეგიულ მიმართულებად.

ამასთან, როგორც ტურიზმი, ასევე, სოფლის მეურნეობა ვერ მიიჩნევა მუდმივი საექსპორტო შემოსავლების გარანტად. სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობის ერთ-ერთი ფაქტორი, სოფლად საქართველოს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დიდი კონცენტრაციაა. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, განვითარებულ ქვეყნებში ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სოფლის მეურ-ნეობის სექტორში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი კლებულობს. იგივე ტენდენციაა მოსალოდნელი ჩვენთან. ტურიზმის განვითარება ვიზიტორების ქვეყნების ეკონომი-კურ მდგომარეობაზე და მთლიანად რეგიონის სტაბილურობაზეა დამოკიდებული. ამიტომ სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების შესაბამისად მრეწველობის განვითარება დიდ მნიშვნელობას იძენს. ამ მხრივ, მოსახლეობის შესაძლებლობების გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობა. ამასთან, მეწარმეობის განვითარებასა და მისი

კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ძალზე მნიშვნელოვანია სტრატეგიული ალიანსების ფორმება. იმის გათვალისწინებით, რომ სტრატეგიული ალიანსი მიიჩნევა რესურსების, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების წყაროდ, შესაბამისად სტრა-ტეგიული ალიანსების სხვადასხვა ფორმის შეთანწყობა ფირმების სტრატეგიული განვითარების მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ.

ეკონომიკის დარგების განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ფინანსური რესურსების არასაკმარისად ხელმისაწდომობაა. საჭიროა სახელმწიფო სუბსიდიების გარეშე გზების გამონახვა, ქართული წარმოების და საბანკო სექტორის თანამშრომლობის ინტენსიურობის გასაზრდელად. ამისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში გატარდა მთელი რიგი რეფორმები. ეს რეფორმები დაფუძნებულია მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილებაზე და მიზნად ისახავს ევროპულ სტანდარტთან მაქსიმალურად მიახლოებასა  და თავისთავად უმთავრესს - საქართველოს საბანკო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდას, მოსახლეობის ფინანსური რესურსების მიმართ ხელმისაწვდომობის, მათი გრძელვადიანი ინტერესების გათვალისწინებით, გაუმჯობესებას, რაც აისახება მათი პირადი კეთილდღეობის ამაღლებასა და სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებაში და მთლიანობაში საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას აამაღლებს.

ქვეყნის დამოუკიდებლობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგოდამოუკიდებლობასა და სატრანზიტო ფუნქციის შენარჩუ-ნებას. ამიტომ ენერგიის წყაროების დივერსიფიკაციისკენ გადადგმული ნაბიჯები და ტრანსპორტსა და სატრანსპორტო ინფრასრუქტურაში მუდმივი ინვესტიციები ძალზე მნიშვნელოვანია.

საქართველოს განათლების სისტემა რთული გამოწვევების წინაშეა. განათლების მნიშვნელობა გადამწყვეტია კვალიფიციური კადრების აღზრდასა და მეცნიერული აღმოჩენა-ინოვაციების კუთხით, ამიტომ ქვეყნის კონ-კურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიებში ჩდება დაბრკოლებები. შესაბამისად, არსებული პრობლემების დასაძლევად დამატებითი ფინანსური რესურსების გამონახვასთან ერთად საჭიროა ძალისხმევა შრომის ბაზრის პირობების შესაბამისი პრიორიტეტების ფორმირებისათვის, რაც, რა თქმა უნდა, არ უნდა მოხდეს სახელმწიფოს სხვა სასიცოცხლო მიმართულებების ხარჯზე. იკვრება ჯაჭვი: განათლების მაღალი სტანდარტი განაპირობებს უფრო ეფექტიან მუშაობასა და რესურსების დაზოგვას, განათლებაში დამატებითი ინვესტიციების განხორციელება კი ისევ ხარჯების ეფექტიანი გადანაწილებით მიიღება. ეროვნულ ეკონომიკას

სჭირდება კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რაც კვალიფიციური კადრებისა და ახალი სამეცნიერო-ტექნიკური ინოვაციების გარეშე წარმოუდგენელია, ეს კი ხარისხიან განათლებას მოითხოვს. ამიტომ თავისუფლად შეიძლება ითქვას, ხარისხიანი განათლება გადამწყვეტი ფაქტორია ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიაში.

ჯანდაცვა და მასთან დაკავშირებული დარგები მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყანაში პოტენციური შემოსავლების საშუალება და ცხოვრების მაღალი სტანდარტის განმაპირობებელი ფაქტორი. მასზეა დამოკიდებული მოქალაქეთა ჯანმრთელობა და ყველაზე უმთავრესი - სიცოცხლე. ადამიანები ჯანმრთელი უნდა იყვნენ, რათა შეძლონ შრომა და ისარგებლონ მათ მიერ გამომუშავებული ეკონომიკური კეთილდღეობით.

ქალაქების კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების ამოქმედების საუკეთესო საშუალება ინიციატივის ადგილობრივ კადრებზე გადაცემა უნდა იყოს, რისი საფუძველიც ხელისუფლების რეალური დეცენტრალიზაცია და შესაბამისი კვალიფიციური კადრების არსებობაა, ამის ხელისშემშლელი გარემოებები კი, რეგიონში არახელსაყრელი პირობების გამო, დიდ ქალაქებში მოსახლეობის გადინების პროცესია. მსოფლიო ბანკის ექსპერტები საქართველოს 100 ათასზე მეტი მოსახლეობის მქონე ქალაქებს (დედაქალაქსა და რეგიონულ ცენტრებს) – თბილისს, ქუთაისს, ბათუმსა და რუსთავს მიიჩნევენ განვითარებისათვის სრული პოტენციის მქონედ, ამიტომ საწყის ეტაპზე აუცილებელია ამ ქალაქების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო ინსტრუმენტებით სრულად აღჭურვა და მათი ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლების ცენტრებად ჩამოყალიბება. თავად ქალაქები უნდა გახდნენ ინოვაციების წარმოშობის კერები, მათი მხარდამჭერები და ადგილობრივ დონეზე დამფინანსებლები, „ჭკვიანი ქალაქის“ კონცეფციით განსაზღვრული ღონისძიებების გატარების ადგილები. განსაკუთრებით კი მიზანშეწონილია ყურადღების გამახვილება ქუთაისზე – დასავლეთ საქართველოს ისტორიულ ცენტრზე, მისი ეკონომიკური მნიშვნელობის დაქვეითების გამო.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება უდაოდ დამოკიდებულია ბიზ-ნესგარემოში არსებული პრობლემების აღმოფხვრაზე, რისთვისაც გარკვეულწილად საჭიროა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის დიალოგის დანერგვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კლასტერული კვლევები, რომლებიც საქართველოში არასაკ-

მარისადაა განვითარებული. კლასტერულმა ინიციატივებმა აჩვენა, რომ ძირითადი ელემენტი ინიციატივების განვითარებაში – ბიზნესსტრატეგიების შექმნისთვის, კლასტერშიდა დიალოგია, რაც რეფორმების გატარების და ფინანსური მხარდაჭერის მოპოვების საფუძველი უნდა გახდეს. დიალოგის საშუალებით ხდება ამ ინფორ-მაციის გადაცემა და შემდეგ კერძო სექტორის მიერ სახელმწიფოს მხარდაჭერით კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის შემუშავება, რის შედეგად სახელმწიფოს მხრიდან შემცირდება პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების და სუბსიდირების აუცილებლობა, მოხდება კერძო და საჯარო სექტორის ინტერესთა ჯგუფების გაერთიანება, კერძო ინიციატივის გამოჩენა კი დასახული მიზნის გან-ხორციელების ერთ-ერთი წინაპირობაა. ამრიგად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კლასტერულ კვლევებს. მოქმედი სტრატეგიების მთავარი ნაკლიც სწორედ კონკურენტუნარიანობის თეორიის უახ-ლესი მიღწევის, კლასტერული ინიციატივის უგულვებელყოფაა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში თავისი ზომისა და რესურსების (მათ შორის ენერგორესურსების) გათვალისწინებით შეუძლებელია მასობრივ მოხმარე-ბაზე გათვლილი სტანდარტული წარმოება დაინერგოს. ქართული წარმოება უფრო კონცენტრირებული უნდა იყოს მაღალი გემოვნების მომხმარებლისთვის განკუთვნილი პროდუქციის გამოშვებაზე, ანუ მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მოთხოვნის ხარისხს და არა მის რაოდენობრივ მაჩვენებელზე ფოკუსირებას.

არსებული სტატისტიკური მონაცემებითა და კონკურენტუნარიანობის ამსახველი საერთაშორისო რეიტინგების საფუძველზე მ. პორტერის ალმასის მოდელის საშუალებით შესაძლებელია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასება. ამ მეთოდით შეფასებამ გვიჩვენა ფაქტორული პირობები, რომლებიც შეიძლება დახასიათდეს შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

ძლიერი მხარე - მზარდი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, დამსაქმებლების ინტერესების გამათვალისწინებელი ლიბერალური შრომის ბაზარი და, ამასთან, უმუშევრობის კლებადი რიცხვი, ბიზნესის კეთების სიმარტივე, კორუფციის დაბალი დონე, უსაფრთხო გარემო, ტრანზიტული გზების კვეთაზე გეოგრაფიული მდებარეობა, საზღვაო გასასვლელის ქონა, ჰიდრორესურსები, ზომიერი ჰავა, ისტორიული და ბუნებრივი ღირშესანიშნაობების სიმრავლე.

გამოწვევები - მოსახლეობის კლებადი რიცხვი, რაც, ზოგადად, სამუშაო ძალის ნაკლებობას, მოსახლეობის დაბერებასა და მასთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრობლემებს იწვევს; არასაკმარისად განვითარებული ინფრასტრუქტურა,

განათლების და მეცნიერების საერთაშორისო დონესთან ჩამორჩენა, შესაბამისად განუვითარებელი ტექნოლოგიები და მთელ რიგ დარგებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, არასაკმარისად დივერსიფიცირებული ენერგოწყაროები, მაღალი საპროცენტო განაკვეთები – ფინანსებზე არასაკმარისი წვდომა, ეკოლოგიური გამოწვევები.

მოთხოვნის პირობები

ძლიერი მხარე - ტრადიციული პროდუქტების მიმართ მოთხოვნის მაღალი ხარისხი; 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად, წარმოებული პროდუქციის სტანდარტების ამაღლება გააუმჯობესებს მიწოდების ხარისხსა და კიდევ უფრო დახვეწს მოთხოვნას.

გამოწვევები - იაფი იმპორტული პროდუქცია და მათზე დემპინგური ფასები.

მომიჯნავე დარგები

მომიჯნავე დარგებიდან უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. მათი ურთიერთქმედების შედეგად უკვე ყალიბდება ეკოტურიზმი, რისი წარმატებული მაგალითია საქართველოს რეგიონებში არსებული ოჯახური სასტუმროები. როგორც ტურიზმის, ასევე სოფლის მეურნეობასთანაა დაკავშირებული მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარება.

ფირმის სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია ტრადიციულ დარგებში მოქ მედ ფირმებს შორის ვაწყდებით დიდ კონკურენციას, დამოუკიდებლობის მო პოვების შემდეგ საქართველოში შეიცვალა ეკონომიკის პრიორიტეტები და გასა ღების ბაზარი. მართალია, ტრადიციულ დარგებში ფირმებს შორის კონკურენცია არსებობს, რაც შემდგომი განვითარება/წინსვლისათვის აუცილებელი პირობაა, გლობალიზაციის შედეგად შემოჭრილი მრავალი ახალი ტექნოლოგიის გასაცნობად და მათი ათვისებისათვის, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საჭირო ხდება სახელმწიფო მხარდაჭერა. მხოლოდ პროდუქტის რაოდენობრივ ზრდაზე არ უნდა მოხდეს შეჩერება, ფოკუსირება უნდა გაკეთდეს ინოვაციებზე. ამისათვის კი საჭიროა არსებული მოქმედი სტრატეგიებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

ამგვარად, ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიად შეიძლება მივიჩნიოთ:

- საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში დაბალი მწარმოებლურობის მაჩვენებლის მიახლოება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებლებთან;

- ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიაში სოფლის მეურნეობის როლის შეფასება, შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ სფეროში მწარმოებლურობის გაზრდა;
- მცირე წარმოების რესურსების გათვალისწინებით მასობრივი წარმოებიდან აქცენტის გადატანა მაღალ და ქვეყნისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ტექნოლოგიებით პროდუქციის წარმოებაზე;
- ეროვნულ დონეზე კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად ფირმის დონეზე ადგილობრივ კანონმდებლობას მორგებული სტატეგიული ალიანსების დანერგვა;
- კლასტერული ინიციატივების შესახებ ეკონომიკური კვლევების გაძლიერება, კერძო და საჯარო სექტორის სისტემატიური თანამშრომლობით, მიკროეკონომიკური ბიზნესგარემოს, ასევე, მაკროეკონომიკური პარამეტრების გასაუმჯობესებლად.

- მოსახლეობის ცნობიერების, შესაბამის სფეროებში ინფორმირებულობისა და პრაქტიკულ განათლებაზე დაფუძვნებული უნარ-ჩვევების ნაკლებობის აღმოფხვრა. ამ პროცესში მასმედიის ჩართვა და უმაღლესი სასწავლებლების რესურსების - პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების გამოყენება, რაც ერთგვარ სინერგიულ ეფექტს გამოიწვევს; - პრაქტიკულ მოქმედების არეალის გაფართოება უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებისათვის უთუოდ გახდება ახალი იდეების, შესაბამისად, აღმოჩენებისა და ინოვაციების ახალი ასპარეზი;

- უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრებთან დაკავშირებით, მათი თანამშრომლობის კიდევ უფრო გარღმავება სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებებთან, ასევე, სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავებაში მათი ჩართულობის გაზრდა და სტუდენტური რესურსების გამოყენება კვლევებში. მეორე მხრივ, სამეცნიერო მოღვაწეობის კომერციალიზაციის ხარისხის ამაღლების – მეცნიერ-მუშაკების შემუშავებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვის ინტენსიურობის გაზრდის აუცილებლობა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა, გამომც. „სიახლე“, თბ., 2012.
2. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, 2014.
3. აზარტული თამაშები საქართველოში, მე-2 გამოცემა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“, 2015.
4. ბარათაშვილი ე., ფარესაშვილი ნ., აბრალავა თ., ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2012.
5. ბარათაშვილი ე., ძიძიკაშვილი ნ., ნადარეიშვილი ნ., ზარანდია ჯ., კლასტერიზაციის თეორიული საფუძვლები და მათი დანერგვის წინაპირობები საქართველოში, ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, №9, თბ., 2007.
6. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., გრძელიშვილი ნ., ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება, გამომც. სოხუმის სახ. უნივერსიტეტი, თბ., 2010.
7. გაგნიძე ი., ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და კლასტერები: ისტორია და თანამედროვეობა, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2012.
8. გაგნიძე ი., სამეწარმეო უნივერსიტეტი – ბიზნესის ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვანი რგოლი, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი” №3, 2016.
9. გაგნიძე ი., ტურიზმის კლასტერი – ტურიზმის პოლიტიკის ძირითადი ნაწილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, „ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი“, ბათუმი-ტრაპიზონი, 2010.
10. გეჩბაია ბ., მცირე და საშუალო ბიზნესის კლასტერული განვითარების საფუძვლები საქართველოში, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სა-მეცნიერო შრომების კრებული, თბ, 2010.
11. გოგოლაშვილი კ., დაღელიშვილი ნ., ბაბუნაშვილი ნ., პოლიტიკის დოკუმენტი: „ღრმა და ყოფლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება“ (DCFTA), აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმა, თბ., 2014.

12. გოგოხია რ., შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004.
13. გოგოძე ი., ინოვაციური საქართველო: მიმდინარე სტატუსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2013.
14. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I. თბ., გამომც. „უნივერსალი“, 2008.
15. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I. თბ., „უნივერსალი“, 2012.
16. დაღელიშვილი ნ., ქართული ფირმების ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის სტრატეგიები, ჟურნალი „ეკონომიკა“, 1-2, 2016.
17. დაღელიშვილი ნ., საქართველოს სამომავლო პერსპექტივები ასოცირების შეთანხმების კონტექსტით, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2015.
18. დარსაველიძე დ. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტები (თესალონიკის, ნაპა ვალისა და თბილისის ტურისტული კლასტერების მაგალითზე), 2014.
19. დარსაველიძე დ., კლასტერში ჩართულ მხარეთა ქსელური თანამშრომლობის შესწავლის მეთოდოლოგია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და სტატისტიკის“ სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2014.
20. დარსაველიძე დ., ლოკალიზაცია და გლობალიზაცია – განვითარების რეგულატორები, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №3, თბ., 2011.
21. დათეშიძე ლ., შენგელია ა., შენგელია ვ. „ქართული სამედიცინო ენციკლოპედია“, მეორე დეპო–გამოცემა, ჟურნალი „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა”, 2006.
22. ერქომაიშვილი გ., ეროვნული კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ეკონომიკური პოლიტიკა. საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში“, სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2010.
23. ერქომაიშვილი გ., საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. სამეცნიერო ნაშრომი. თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013.
24. ერქომაიშვილი გ., „საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები“, თბ., 2016.

25. ერქომაიშვილი გ., ეროვნული კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ეკონომიკური პოლიტიკა. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“. თბ., 2017.
26. ეთერია ე., გლობალიზაციის თანამედროვე კონცეფციების შედარებითი ანალიზი, შრომების კრებული „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები“, თბ., 2008.
27. ეთერია ე., რეგიონული ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, გამომცემლობა თბ., 2005.
28. ვერულავა თ, წივწივაძე დ. „მედდების საქმიანობის გარემოს მახასიათებლები და სამუშაოთი კმაყოფილება საქართველოში”, ჟურნალი „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“ №2, 2015.
29. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, 2011.
30. თოდუა გ., გლობალიზაცია, როგორც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის საყოველთაო არსი, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1, თბ., 2011.
31. ივანიშვილი-ორბელიანი გ., კიკაბიძე კ., და ლოსაბერიძე დ., საქართველოს ეროვნული საინოვაციო სისტემის კონცეფცია, საგამომცემლო სახლი „ტრიასი“, თბ., 2008.
32. კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, თბ., 2012.
33. მაკარდლი, ჯ.. საქართველოს კანონმდებლობა კონკურენციის სფეროში. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, I-II კვარტალი. თბ., 2001.
34. მარგველაშვილი მ., საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარებისათვის არსებული მდგომარეობის შეფასება, თბ., 2013.
35. მენცი უ., ბიტარიშვილი ი., რეგნერის ფ., დარტინგის მ., ბურკარტის ი., პეტზოლდი ი., ზაიტცისა ბ. და სხვები ქვევრის ღვინის იდენტობა საქართველოს ქვევრის ღვინის კლასტერის წევრების პრაქტიკის მა გალითზე, 2017, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ).

36. მესხია ი., საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობა: ანალიზი და პროგნოზები, II საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები“, თბ., 2011.
37. მეტრეველი მ., ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, გამომცემლობა „ფავორიტი პრინტი“, თბ., 2011.
38. მეტრეველი შ., ტურიზმის სტატისტიკის ფორმირების ტენდენციები საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი, თბ., 2012.
39. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები), 2012.
40. ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია „ქუთაისი 2020“, ქუთ., 2016.
41. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014 – 2020, 2013.
42. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №35/04, კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ
43. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №65/04, 2018.
44. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის ანგარიში, 2018.
45. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის ანგარიში, 2018.
46. საქართველოს კანონი  საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებსაქართველოს საგარეო ვაჭრობა 2016.
47. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“.
48. საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“.
49. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2017.
50. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2017.
51. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.
52. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
53. საქართველოს საგარეო ვაჭრობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016.

54. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, 2014.
55. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2017-2020, 2016.
56. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მეწარმოება საქართველოში 2016, თბ., 2017.
57. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისაქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №151/04 ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ (კონსოლიდირებული).
58. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულის სამსახური, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014.
59. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკის მიმოხილვა, ტურიზმის ეროვნული ასოციაცია, 2016.
60. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2015.
61. სართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №2/04 2017. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ
62. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს 2015 წლის 14 აგვისტოს 2-1017 ბრძანება.
63. სასტუმროების ბაზრის კვლევა საქართველოში, Colliers International 2015
64. სეფაშვილი ე. „ეროვნული კონკურენციული უპირატესობის მოდელები გლობალურ ეკონომიკაში: ლექციების კურსი“, თბ., 2012.
65. სეფაშვილი ე., ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კლასტერების განვითარების სტრატეგია. თსუ შრომების კრებული „ბიზნესი და საყოველთაო კეთილდღეობა“, ტ. I, 2008.
66. სმიტი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თბ., 1938.
67. ტურისტების კვლევა აჭარაში, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ანალიტიკური ანგარიში, ICT Recearch, 2011.
68. ფარმაცევტული ბაზარი საქართველოში, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, 2016.

69. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., 2007.
70. ფინანსური განათლებისა და ჩართულობის კვლევის ანგარიში ანგარიში მომზადებულია შპს სონარის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის დაკვეთით 2016.
71. ხადური ნ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, თბ., 2010.
72. ხარაიშვილი ე., აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში, ინტერნეტ ჟურნალი ქართული პოლიტიკა, 2013. www.some.geop.ge.
73. ხარაიშვილი ე., აგრობიზნესის განვითარების პრობლემები და პრიორიტეტული საჭიროებები საქართველოში, საუნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები", ახალციხე, 2015.
74. ხარაიშვილი ე., ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბები და აგრობიზნესის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები, 27-28 ივნისი, 2015.
75. ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბ., 2011.
76. ხარაიშვილი ე., მოთხოვნა ქართულ ღვინოზე და მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის კონკურენტული უპირატესობის ფაქტორების შეფასება, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი IX, №4, 2016.
77. ხარაიშვილი ე., ქართული თხილის კონკურენტუნარიანობა და წარმოების განვითარების სტრატეგიები, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", №1, 2011.
78. ხარაიშვილი ე., ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის განმსაზღვრელი კონკურენტული ფაქტორები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში", 1-2 ივლისი, 2016.
79. ხარაიშვილი ე., სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება საქართველოში - ფერმერთა დამოკიდებულებები და შეფასებები, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", 3-4 ნოემბერი, თბ., 2017.

80. ხარაიშვილი ე., სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება საქართველოში - ფერმერთა დამოკიდებულებები და შეფასებები, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნხარაიშვილი ე. აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის პოტენციალი საქართველოსა და გერმანიას შორის: თანამედროვეობა და პერსპექტივები, ბერლინი (გერმანია), 14-15 მაისი, 2018.
81. ხმიადაშვილი მ., ურბანიზაცია და მისი ეკონომიკური ასპექტები, ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე", 2015.
82. ჰაიეკი ფ., საბედისწერო თავდაჯერებულობა, სოციალიზმის შეცდომები, თბ., 2000.
83. Agricuture Transformation in Georgia: 20 years of independence, European Initatve – Liberal Academy, Tbilisi, 2012.
84. Atkinson Robert D., Competitiveness, innovation and productivity: cleaning up the confusion, 2013.
85. Baade D., Demographischer Wandel und Internationaler Wettbewebsfähigkeit Deutschlands. Eine Analyse basiert auf Porters Ansatz, 2007.
86. Citizen Today, Ernst&Young, 2010.
87. Clusters for Competitiveness, International Trade Department, World Bank, 2009.
88. Dialogue on „SME Policy" with regard to the multilateral framework of the Eastern Partnership) Eurocomission 2010.
89. Drucker Peter F., Critical Evaluations in Business and Management, Volume 1, 1996.
90. Durand, M., J. Simon and C. Webb, OECD's Indicators of International Trade and Competitiveness", OECD Economics Department Working Papers, No. 120, OECD Publishing 1992.
91. E. Kharaishvili E., The Impact of Preferential Agro Credit on the Development of Agribusiness in Georgia, Ecoforum. Volume 7, Issue 1(14) The impact of preferential agro credit on the development of agribusiness in Georgia, 2018.
92. E. Kharaishvili, M. Chavleishvili, M. Natsvaladze, Trends and Prospects for the Development of Georgian Wine Market, World Academy of Science, Engineering and Technology - ICEMBIT 2014: International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology - Economics and Business Sciences Conferences in Barselona (Dublicat), 27-28 October, 2014.

93. E. Kharaishvili. Export-Import Potenzial landwirtschaftlicher Produkte zwischen Georgien und Deutschland: Modernität und Perspektiven, 14-15 May, 2018.
94. Education at a Glance, OECD Indicators, 2017.
95. Erkomaishvili. G., The strategy for Increasing the Competitiveness of Georgia. International Conference on Economics, Industrial and Business Management. World Academy of Scienxe, Engineering and Technology, Barselona, Spain, 27-28 October, 2014. www. waset.org
96. G. Erkomaishvili., Economic policy of Georgia determiner of national competitiveness. "Economics and Business ", N6, 2010.
97. Erkomaishvili, G. , Gvelesiani, R. , Kharaishvili, E. , Chavleishvili, M. `Policy of Tourism and Opportunities of Development of Wellness Industry in Georgia", World Academy of Science, Engineering and Technology, International Science Index 85, International Journal of Social, Management, Economics and Business Engineering, 8(1), 2014. www. waset.org
98. European Competitiveness Report, 2010.
99. Ferreira, M. Estratégia e Planeamento Regional do Turismo. Investigação em Turismo –Livro, 2015.Friedman Milton, Capitalism and Freedom, University of Chicago Press, 1962.
100. George I. Stigler The New Palgrave Dictionary of Economics, Second Edition, 2008.
101. Georgian Healthcare Equipment and Services, Industry Overview, Galt & Taggart, 2016.
102. Georgian Urban Strategy, Economic Role of Major Cities, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, World Bank, 2015.
103. Green Paper on Innovation, European Commission, The Innovation Programme, DG XIII, Luxemburg, 1996.
104. Hart D.A., Innovation Clusters: Key Concepts, Department of Land Management and Development, and School of Planning Studies, the University of Reading, UK., 2000.
105. Kharaishvili E,. Erkomaishvili G., Chavleishvili M., Sagareishvili, N. „Economic Policy of Tourism and the Development Tendencies of Medical Wellness Resorts in Georgia". World Academy of Science, Engineering and Technology, International Science Index 119, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering, 10(11), 2016.
106. Kharaishvili E., Erkomaishvili G., Gvelesiani R., Chavleishvili M. Policy of Tourism and Opportunities of Development of Wellness Industry in Georgia, World Academy of Science, Engineering and Technology - ICEMBIT 2014 : International Journal of Social, Menejment, Economics and Business Engineering Vol:8 No:1, 2014.

107. Kharaishvili E., ErkomaiSvili G., Chavleishvili, - ICEMBIT Agribusiness Development Strategy in Georgia, 2015: 17th International Conference on Economics and Marketing Management, Madrid, Spain, November 12-13, 2015. www.waset.org/conference/2015/11/madrid/ICEMM
108. Kharaishvili E., Gechbaia B., EU Treaty and the Strategy of Development of Georgian Agriculture, 20th International Research Conference on Business, Economics and Social Sciences, IRC-2015, Istanbul, Turkey, December 05-06, 2015.
109. Kharaishvili, E., Gechbaia BWine Brand and Wine Tourism Development Perspectives in Georgia Journal Innovative Economics and Management, T. 3, Volume IV, 2017.
110. Komninos N., Intelligent Cities, Spon Press, UK, USA, Canada, 2002.
111. Krugman P., Competitiveness – A Dangerous Obsession, Foreign Affairs, volume 73, number 2, 1994.
112. Mangiameli, Stelio. Il regionalismo italiano tra tradizioni unitarie e processi di federalism, Milano, 2012.
113. Manyika James et al., How to Compete and Grow: A Sector Guide to Policy, McKinsey & Company, 2010.
114. Marshall Alfred, Principles of Economics (Revised Edition), London, Macmillan; reprinted by Prometheus Books, 1920.
115. Mattine Durand and Claude Giorno, indicators of international competitiveness conceptualaspects and evaluation, 2010.
116. Ministerial Report on the OECD Innovation Strategy Organization for Economic Cooperation and Development, 2010.
117. Partice Spath, Introduction of Haelthcare Quality Managerment, 2013.
118. Porter M. E., On Competition Boston, Harvard Business Review Books, 1998.
119. Porter M. E., The Competitive Advantage of Nations, New York, The Free Press, 1990.
120. Regional Competitiveness of Tourism Cluster: A Conceptual Model Proposal Ferreira, João and Estevão, Cristina, 2009.
121. Roy J. Ruffin, David Ricardo's Discovery of Comparative Advantage, 2001.
122. Schumpter, J.A. Capitalism, Socialism and Democracy, 3rd edition, London: George Allen and Unwin, 1976
123. Schumpter, J.A., The theory of economic development: an inquiry into profits, capital, credit, interest and the business cycle, Harvard Economic Studies, Vol. 46, Harvard College, Cambridge, 1934.

124. Simmie J., Hart D., Innovation Projects and Local Production Networks: A Case Study of Hertfordshire, European Planning Studies, 1999.
125. Sören Kock, To Compete or Cooperate – A Strategic Dilemma., Entrepreneurship, Management and Organization. Hanken School of Economics. Finland, 2007.
126. Study on the factors of Regional Competitivnes Euro, A draft final report for The European Commission Directorate-General Regional Policy, 2013.
127. The Report of the President's Commission on Competitiveness, 1984.
128. Todeva E., Strategic Alliances & models of collaboration, School of Management, University of Surrey, Guildford, Surrey, 2005.
129. Towards Sustainable Competitiveness Restructuring Institutions in Egypt The Egyptian Competitiveness Report, 2013.
130. United Nations Department of Economic and Social Affairs, United Nations World Population Prospects, 2015.
131. WE Forum, The Global Competitiveness Report 2010-2011, 2011-2012, 2012-2013, 2013-2014, 2014-2015, 2015-2016.
132. WE Forum, The Travel & Tourism Competitiveness Report, 2015.
133. Weindler H., die Wettberbsfähigkeit der Deutschen Ernährungsindustrie: Methodische Ansatzpukte zur Messung und empirische Ergebnisse. Referat. Vierzigste Jahrestagng der Gesellschaft für Wirtschafts und Sozialwissenschaften des Landbauens e.V.vom 4. Bis 6. in Kiel, 1999.
134. World Competitiveness Yearbook 2012, IMD World Competitiveness Center, 2012.
135. World Urbanization Prospect: The 2009 Revision, File 11 a. The 30 largest Agglomeration Ranked by Population Size at each Point in time, United Nation Secretariat: Department of Economic and Social Affairs, 2009.
136. Гаврилова С. Н.,. Орлова Е. А, Секторально-отраслевая структура региона как фактор повышения его конкурентоспособности,. Екатеринбург: Изд-во Ин-та экономики УрО РАН, 2007.
137. Гламбоцкая А., Крук Д., Ракова Е., Скриба А., Точицкая И., Шиманович Г. Национальная конкурентоспособность Беларуси: отвечая на современные вызовы Под ред. И. Пелипася. – Минск : ,,Белпринт", 2010.
138. Говорова Н. Конкурентоспособность – основной фактор развития современной экономики, Проблемы теории и практики управления. № 4, 2006.

139. Голубцов А. Н., Батрак В. С., Конкурентоспособность в условиях глобализации:
140. инновационный аспект, [Электронный ресурс], ftp://ftp.repec.org/opt/ReDIF/RePEc/rnp/ppaper/nvg101.pdf, (дата обращения: 23.08. 2017.
141. Мокроносов А. Г., Маврина И. Н., Конкуренция и конкурентоспособность, Издательство Уральского университета, Екатеринбург, 2014.
142. Оберт Т.Б., Теория конкуренции, Издательство Саратовского госуниверситета им Н.Г.Чернышевского Саратов, 2014.
143. Пахомова Н. В., . Рихтер К. К. ,Экономика отраслевых рынков и политика государства: учебник, Экономика, 2009.
144. Портер М., Конкуренция, Санкт-Петербург, Киев, Москва, 2000.
145. Швандар К. В. Международная конкурентоспособность: трансформация понятия, критерии оценки, практические результаты, Вестник Московского университета. № 2. 2008.
146. Шумпетер Й. Теория экономического развития (Исследование предпринимательской прибыли, капитала, кредита, процента и цикла конъюнктуры): перевод с английского, Прогресс, 1982.
147. Шумпетер И., Капитализм, Социализм и Демократия, 1995.
148. http://hydropower.ge/
149. http://mof.ge/
150. http://www.doingbusiness.org/reports
151. http://www.economy.ge/
152. http://www.freetheworld.com
153. http://www.heritage.org
154. http://www.imd.org/
155. http://www.imd.org/wcc/wcc_factors_criteria/
156. http://www.merriam_webster.com/
157. http://www.oecd.org/
158. http://www.transparency.ge/
159. http://www.unesco.org/culture
160. http:www.geostat.ge/

161. https://data.worldbank.org/
162. https://info.parliament.ge/
163. https://www.bea.gov/
164. https://www.census.gov/